

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

კველი ქართული მწერლობისა და რუსთაველოლოგიის საკითხები

IV



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1973

893.962.1.03 (რუსთაველი)

ქ 433

კრებულში განხილულია ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის აქტუალური საკითხები. ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული დარგებიდან ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ პრობლემებს.

რედაქტორები: ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი

მახთანგ ბააკაჴვილი

ბრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები თითქმის მთლიანად არის თარგმნილი ქართულ ენაზე. განსაკუთრებული ღვაწლი ეფრემ მცირეს, ექვთიმე ათონელსა და დავით ტბელს მიუძღვით. |

ერთი გარემოება თავიდანვე მიიპყრობს მკვლევრის ყურადღებას: გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეთიკურ თხზულებათა ექვთიმესეული თარგმანები ეფრემ მცირის გადასინჯვის საგანი გამხდარა და მას ხელმეორედ უთარგმნია ჩვიდმეტი ჰომილეთიკური სიტყვა. პოლემიკური თხზულებების ექვთიმესეულ თარგმანთა ხელმეორედ გადმოღება კი, როგორც ჩანს, ეფრემ მცირეს საჭიროდ აღარ მიუჩნევია.

ექვთიმე ათონელის თარგმანებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ პოლემიკური სიტყვების გადმოღებისას ჩვენი მთარგმნელი უაღრესად ზუსტად, თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება ორიგინალს. რაც შეეხება ჰომილეთიკური თხზულებების თარგმანს, აქ მკაფიოდ იჩენს თავს ექვთიმე ათონელისათვის დამახასიათებელი კლება-მატება. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ ექვთიმესეული ჩამატებები საკუთრივ მას კი არ ეკუთვნოდეს, არამედ რომელიმე სხვა თხზულებიდან მომდინარეობდეს, მაგრამ ამას ჩვენი საკითხისათვის ამ შემთხვევაში არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ექვთიმე ათონელის ამგვარი დამოკიდებულება, ერთის მხრივ, ნაზიანზელის ჰომილეთიკური და, მეორე მხრივ პოლემიკური თხზულებებისადმი, როგორც ჩანს, მათი სპეციფიკით აიხსნება. ცხადია, ჰომილეთიკური ნაწარმოები მთარგმნელის ფანტაზიას მეტ შესაძლებლობასა და გასაქანს აძლევს. ამგვარი შესაძლებლობის გამოძახილს ჩვენ ეფრემისეულ თარგმანებშიც მოველოდით (თუმცა არა ისეთი დოზით, როგორც ექვთიმე ათონელთან). მაგრამ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეთიკურ თხზულებათა ეფრემისეული თარგმანების ბერძნულ ტექს-

ტან შედარებამ ცხადყო, რომ მთარგმნელი აქაც ისეთსავე სიზუსტეს იცავს, როგორც პოლემიკური სიტყვების თარგმნისას.

როგორც უკვე ვთქვით, გრიგოლ ნაზიანზელის ჩვიდმეტი ჰომილეტიკური სიტყვა ეფრემ მცირეს ხელმეორედ უთარგმნია. ქართული რედაქციების ერთიმეორესთან შედარება და მათი ურთიერთმიმართების დადგენა, უთუოდ, ბევრ საინტერესო საკითხს გააჩვევს, ამჯერად კი ერთ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკურ თხზულებათა ეფრემისეული თარგმანები დიდად არის დავალებული ექვთიმე ათონელის თარგმანებისაგან. ძალიან ხშირად, როდესაც ექვთიმე ათონელი ზუსტად მიჰყვება ბერძნულ ტექსტს, ეფრემ მცირე თითქმის მთლიანად ეყრდნობა თავისი წინამორბედის თარგმანს. მოვიტანთ სათანადო მაგალითებს:

ექვთიმე ათონელი

მეგობრისა სარწმუნოასა არა რაჲ არს ნაცულა არსთაგან ამის სოფლისათა, არცა რაჲ შეესწორების სიყეთესა მისსა. მეგობარი სარწმუნოჲ საფარველი არს მტკიცე და სამეუფოჲ გამაგრებული, მეგობარი სარწმუნოჲ უღარეს არს ოქროსა და ქვისა პატიოსნისა. მეგობარი სარწმუნოჲ მტილი არს დაქშული და წყაროჲ დაბეჭდული.

ეფრემ მცირე

მეგობრისა სარწმუნოასა არა არს ნაცულს საცელებელი არსთაგანი არცა ერთი, არცა საწონ სიყეთისა მისისა. მეგობარი სარწმუნოჲ საფარველ მტკიცე და განმაგრებულ სამეფო. მეგობარი სარწმუნოჲ საუნჯე სულიერ. მეგობარი სარწმუნოჲ უფროს ოქროსა და ქვისა პატიოსნისა მრავალისა. მეგობარი სარწმუნოჲ მტილ დაქშულ და წყარო დაბეჭდულ.

თავდაპირველად შევნიშნავთ, რომ ექვთიმესეული თარგმანი (ისევე, როგორც ეფრემ მცირისა), ზუსტად მიჰყვება ბერძნულ ტექსტს.

რაც შეეხება ქართული რედაქციების ურთიერთმიმართებას, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს ეფრემისეული თარგმანის ზედმიწევნითი სიახლოვე ექვთიმე ათონელის ტექსტთან. ხშირად ეს რედაქციები სიტყვასიტყვითაც ემთხვევა ერთიმეორეს:

მეგობარი სარწმუნოჲ საუნჯე არს სულიერი (მეგობარი სარწმუნოჲ საუნჯე სულიერ).

მეგობარი სარწმუნოჲ უღარეს არს ოქროსა და ქვისა პატიოსნისა, (მეგობარი სარწმუნოჲ უფროს ოქროსა და ქვისა პატიოსნისა (მრავალისა)).

მეგობარი სარწმუნოჲ მტილი არს დაქშული და წყაროჲ დაბეჭდული. (მეგობარი სარწმუნოჲ მტილ დაქშულ და წყარო დაბეჭდულ).

დამთხვევა სრულიად ნათელია. რა თქმა უნდა, მხედველობაში ვერ მივიღებთ ეფრემ მცირის მიერ შემველი ზმნის გამოტოვების შემთხვე-

ვებს (არს). ეფრემისეული თარგმანების შესწავლამ დაადასტურა, რომ ეს საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა ეფრემისეულ თარგმანებში.

ზემოთ მოტანილი ნაწყვეტიდან სხვა მაგალითებიც ადასტურებენ ეფრემისა და ექვთიმეს თარგმანების სიახლოვეს. მაგალითად:

...მეგობარი სარწმუნოა საფარველი არს მტკიცე და სამეუფოა გამაგრებული // მეგობარი სარწმუნოა საფარველ მტკიცე და განმაგრებულ სამეფო და სხვა¹.

ქართული რედაქციების შედარებისას ძალზე ხშირად გვხვდება მსგავსი შემთხვევები. მოვიტანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს სხვა თხზულებებიდან.

რად დაქსნით წესსა საქებელსა? რად აძულვებთ ენასა მონასა რჩულისასა? რად დაუტევებთ თავსა და ფერკთა მიმართ მიისწრაფით?

რად დაქსნით წესსა საქებელსა? რად აძულვებთ ენასა სჯულისა მმონებელსა? რაღსა თავის დამტევებელნი, ფერკთა მოისწრაფებთ?2. ~

როგორც ვხედავთ, ქართული რედაქციები კვლავ ზუსტად ემთხვევიან ერთიმეორეს, ზოგჯერ კი ეფრემისეული თარგმანი მთლიანად, სიტყვისიტყვით იმეორებს ექვთიმე ათონელის ტექსტს. მაგრამ ვიღრე სხვა მაგალითებს მოვიტანთ, ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ზემოთ მოტანილი ნაწყვეტები, ვფიქრობთ, კარგად ადასტურებს ექვთიმე ათონელის ერთგვარ გავლენას ეფრემისეულ თარგმანებზე, მაგრამ ეს გავლენა, როგორც ჩანს, სიტყვიერი მარაგის, ლექსიკური ფონდის გამოყენებაზე ვრცელდება. ეფრემ მცირე კვლავ გულდასმით ადევნებს თვალს ბერძნულ ტექსტს და ზოგიერთი სიტყვა ექვთიმესეული ფორმისაგან განსხვავებით გადმოაქვს. მაგალითად: „რად დაუტევებთ თავსა“... — წერს ექვთიმე ათონელი. ეფრემ მცირეს კი ამგვარად შეუტყველია: „რაისა თავის დამტევებელნი“. ასევე: „მონასა რჩულისასა“, // „სჯულის მმონებელსა“ და სხვ. ერთის შეხედვით სრულიად უმნიშვნელო განსხვავებაა. მაგრამ აქვე კარგად მკლავდება ბერძნული ტექსტისადმი ის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება, რაც ექვთიმე ათონელსა და ეფრემ მცირეს ერთმანეთისაგან განასხვავებს. სახელდობრ, ბერძნული მიმღეობების (ამ შემთხვევაში — ἀφ' ἑαυτοῦ და ἑαυτοῦ) თარგმნა.

ამჭერად მოვიტანთ სხვა მაგალითებს ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანებიდან.

1 თქმული გრიგოლის მიმართ ეპისკოპოსისა ნოსელია...

2 თქმული წყლულებისა მისთვის სეტყუსაგან მოწვეწულისა ქუეყანასა ზედა.

აღდგომისა დღე არს და დასაბამი ესე მარჯუშენე. და განებრწყინდეთ უკუშ კრებასა ამას და ურთიერთარს ამბორუყოთ. ეპრქუათ ძმა მოძულეთაცა ჩუენთა, არა თუშცა მათ, რომელთა სიყუარულიასათს არაჲე უქმნეს... შეუნდოთ ყოველი აღდგომასა, მიუტეოთ ყოველთა ურთიერთას: მეცა — მიმძლავრებულმან ამან კეთილთა მიმძლავრებითა, რამეთუ ამასცა აწ შევსძინებ, და თქუენცა, რომელთა კეთილად მიიძლუეთ და მიმძლავრეთ. უკუეთუ რაჲსმე მამბრალობთ დაყოენებისათს, ნუ უკუშ უმჯობეს და უპატრიონს არს მრავალთა მოსწრაფებისა...

საიდუმლომან მცხო მე, საიდუმლოსა მცირედ განვეშორე განხილვად თავისა ჩემისა. საიდუმლოსაცა თანა შემოვალ კეთილ შემწედ ჩემისა მოშიშებისა და უძლურებისა კეთილ შემწედ.

ეს ნაწყვეტი, ისევე როგორც ზემოთ მოტანილები, ნათელს ხდის ექვთიზე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანების ურთიერთისასლოკეს. აქ გვხვდება ზუსტი თანდამთხვევის მაგალითები, ანდა სრულიად უმნიშვნელო განსხვავების შემცველი წინადადებები. აღნიშნულ შემთხვევებს თანმიმდევრულად განვიხილავთ.

I. ზუსტი დამთხვევა:

„აღდგომისა დღე არს და დასაბამი ესე მარჯუშენე“ („აღდგომისა დღე და დასაბამი მარჯვე“ (უკვე შეგნიშნეთ, რომ მეშველი ზმნის, ამ შემთხვევაში — „არს“, გამოტოვება საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა ეფრემისეულ თარგმანებში).

„ეპრქუათ ძმა მოძულეთაცა ჩუენთა“ / „ეპრქუათ ძმა მოძულეთაცა ჩუენთა“.

„უკუეთუ რაჲსმე მამბრალობთ დაყოენებისათს, ნუ უკუშ უმჯობეს და უპატრიონს არს მრავალთა მოსწრაფებისა“ („უკუეთუ რაჲსმე მამბრალობთ დაყოენებისათის, ნუ უკუე უმჯობეს ესე და უპატრიონს (სხუათა) მრავალთა მოსწრაფებისა“.

„საიდუმლომან მცხო მე, საიდუმლოსა მცირედ განვეშორე განხილვად თავისი ჩემისა“, / „საიდუმლომან მცხო მე, საიდუმლოსა მცირედ განვეშორე განხილვად თავისა ჩემისა“.

„საიდუმლოსაცა თანა შემოვალ ჩემისა მოშიშებისა და უძლურებისა კეთილ შემწედ“ / „საიდუმლოსაცა თანა შემოვალ კეთილ შემწედ

აღდგომისა დღე და დასაბამი მარჯვე. და განებრწყინდეთ კრებასა და ურთიერთარს შევეტებნეთ. ვრქუათ ძმა მოძულეთაცა ჩუენთა, ნუ ოდენ სიყუარულისათს რაჲმე მოქმედთა... შეუნდოთ ყოველი აღდგომასა, ვასკეთ ურთიერთარს მიტეება: მე — მიმძლავრებულმან კეთილ მძლავრებითა, რამეთუ ამას აწ შევსძინებ, და თქუენ — კეთილთა მიმძლავრებულთა. უკუეთუ რაჲსმე მამბრალობთ დაყოენებისათს, ნუ უკუე უმჯობეს ესე და უპატრიონს სხუათა მრავალთა მოსწრაფებისა...

საიდუმლომან მცხო მე, საიდუმლოსა მცირედ განვეშორე განხილვად თავისა ჩემისა. საიდუმლოსაცა თანა შემოვალ კეთილ შემწედ ჩემისა მოშიშებისა და უძლურებისა.

ჩემისა მოშიშებისა და უძლურებისა“ (მხოლოდ სიტყვები არის გადაადგილებული).

2. მთარგმნელობითი ხერხებით გამოწვეული განსხვავებებია:

„შეუნდოთ ყოველი აღდგომასა, მიუტეოთ ყოველთა ურთიერთასა“ / „შეუნდოთ ყოველი აღდგომასა, ეპსცეთ ურთიერთარს მიტევება“.

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირემ ზმნის პირიანი ფორმის ნაცვლად საწყისი („მიტევება“) იხმარა (ბერძნული ტექსტის შესაბამისად). ამან კი, თავის მხრივ, მოითხოვა „ეპსცეთ“ ზმნის მოშველიება. თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ ეფრემ მცირის თარგმანი ზუსტად ემთხვევა ეფრემისეულ ტექსტს.

„...რომელთა სიყვარულისათვის რაიმე უქმნეს“ / „სიყვარულისათვის რასმე მოქმედთა“.

აქაც ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ზმნის პირიანი ფორმა (უქმნეს) ეფრემ მცირეს მიმღეობით შეუცვლია (მოქმედთა) ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია ნაცვალსახელის (რომელთა) ამოვარდნა ეფრემისეულ თარგმანში.

„...მეცა — მიმძლავრებულმან ამან კეთილთა მიმძლავრებოთა, რამეთუ ამასცა აწ შევსძინებ, და თქუენცა, რომელთა კეთილად მიიძულეთ და მმძლავრეთ“ / „...მე მიმძლავრებულმან კეთილ მძლავრებოთა, რამეთუ ამას აწ შევსძინებ, და თქუენ — კეთილთა მმძლავრებელთა“.

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირის თარგმანის დიდი ნაწილი თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ექვთიმისეულ ტექსტს. განსხვავება მხოლოდ დასასრულს იჩენს თავს და ისიც პირიანი ფორმის მიმღეობით შეცვლის შედეგია (მმძლავრეთ // მმძლავრებელთა).

ზემოთ მოტანილი ციტატიდან ერთი წინადადება გამოვტოვეთ. დასასრულ, სწორედ ამ წინადადებას განვიხილავთ, ექვთიმე ათონელი: „და განვბრწყინდეთ უკუშ კრებასა ამას და ურთიერთარს ამბორუყოთ“. ეფრემ მცირე: „და განვბრწყინდეთ კრებასა და ურთიერთარს შევეტკბნეთ“.

თარგმანები კვლავ ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. მხოლოდ ერთი სიტყვა არის განსხვავებული: ამბორ-უყოთ // შევეტკბნეთ. აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ აქამდე განხილული მაგალითებიდან ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ეფრემ მცირე სცილდება ექვთიმისეული თარგმანების ლექსიკურ მარაგს.

დასასრულ, ჩვენ კიდევ ერთ ნაწყვეტს მოვიტანთ:

საქმილავსა ზედა ჩემსა დავდგე, იტყვის საკვირველი ამბაკუმ. და მეცა დღეს მის თანა, მიცემულსა ამას ჩემდა სულსა მიერ კელმწიფებასა და ხედვასა ზედა დავდგე და განვიცალო და ვცნა,

საკმილავსა ზედა ჩემსა დავსდგე, იტყვის საკვირველი ამბაკუმ. და მეცა მის თანა დღეს მოცემულისა ჩემდა სულისა მიერ კელმწიფებასა და კედვასა და განვიცალო და ვცნა, რაა მეჩუენოს

რამ მერყუნოს და რამ ითქუას ჩემდა მომართ. და დავდეგ და განვიცადე. დი ამა კაცი მდგომარე ღრუბელთა ზედა. და ესე მალად ფრიად. და ხილვაჲ მისი, ვითარცა ხილვაჲ ანგელოზისაჲ და სამოსელი მისი, ვითარცა ნათელი ელვისაჲ, რამ წარვლინ. და აღიყრა კელი მისი აღმოსავალით კერძო და კმაჲ ყო კმითა დიდითა. კმაჲ მისი, ვითარცა კმაჲ საყვირისაჲ და ვარემო მისა, ვითარცა სიმრავლე ზეცისა მკედრობასაჲ, და თქუა: დღეს ცხოვრებაჲ არს სოფლისაჲ, რავდენიცა არს ხილული და რავდენიცა არს უხილავი. ქრისტე მკუდრეთით აღდგების, თანა აღდეგით!...

და რამ მეთხრას მე. და დავსდეგ და განვიცადე და ამა კაცი მკედარ ღრუბელთა ზედა. და ესე მალად ფრიად. და ხილვაჲ მისი, ვითარცა ხილვაჲ ანგელოზისა, და სამოსელი მისი, ვითარცა ნათელი ელვისა წარმვლელისა. და აღილო კელი თვისი აღმოსავალით და კმაჲ ყო კმითა დიდითა. კმა მისი — საყვირისა და ვარემოს მისსა, ვითარცა სიმრავლე ზეცისა მკედრობისა. და მსთქვა: დღეს ცხოვრებაჲ სოფლისა, რაოდენი რა ხილულ და რაოდენი უხილავ, ქრისტე მკუდრეთით, თანა აღსდგეთით!...⁴

ქართული რედაქციების ურთიერთკავშირი იმდენად აშკარაა, რომ, ვფიქრობთ, კომენტარს აღარ საჭიროებს. მცირეოდენი განსხვავებები, რაც აქა-იქ შეინიშნება, იმგვარივე ხასიათისაა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ამჯერად ჩვენ უკვე შეგვიძლია გარკვეული დასკვნა გავაკეთოთ. ეფრემ მცირე გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმნის დროს დიდი გულისყურით ეკიდებოდა ექვთიმესეულ თარგმანებს და ხშირად თითქმის უცვლელადაც გადმოჰქონდა ექვთიმე ათონელის ტექსტი. გავლენა, განსაკუთრებით, ექვთიმესეული თარგმანების ლექსიკური ფონდის, სიტყვიერი მარაგის გამოყენებაში გამოიხატა.

ამგვარი დასკვნა, რა თქმა უნდა, სრულიადაც ვერ დაამცირებს ეფრემ მცირის თარგმანების ღირებულებასა და მნიშვნელობას.

ჯერ ერთი, ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ ექვთიმე ათონელის თარგმანების გამოყენებისას, ეფრემ მცირე გულდასმით აღევნებდა თვალს ბერძნულ ტექსტს და ითვალისწინებდა ორიგინალის ყველა ნიუანსსა და თავისებურებას.

შემდეგ, ექვთიმე ათონელის ჰომილეტიკური თხზულებების თარგმანთა შესწავლა ადასტურებს, რომ ჩვენი მთარგმნელი ძალზე თავისუფლად ეკიდება ბერძნულ ტექსტს და საგრძობლად ცვლის ხოლმე მას. ეფრემ მცირე კი ექვთიმესეულ ტექსტს მხოლოდ მაშინ იმეორებს, როდესაც ეს უკანასკნელი ზუსტად მიჰყვება დედანს. ამგვარი შემთხვევები კი, როგორც არაერთხელ შევნიშნეთ, არც თუ ხშირია.

ამრიგად, ჩვენ ქართული რედაქციების ურთიერთმიმართების მხოლოდ ერთ მხარეს შევჩვით. ამ საკითხის ყოველმხრივი შესწავლა კი, რაც ახლო მომავლის საქმედ წარმოგვიდგება, უთუოდ ბევრ საინტერესო კითხვაზე მოგვცემს პასუხს.

⁴ თქმული აღვსებისათვის, ეფრემ მცირესთან, პასექისათვის, სიტყუა მეორე.

ამჯერად კი გრიგოლ ნაზიანზელის კომილექტიკური თხზულებების ეფრემისეულ თარგმანებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

კომილექტიკური თხზულებები ორატორულ ქანრს განეკუთვნება. ამიტომ მის ბუნებას (რაობას) ოთხი ერთმანეთისაგან დამოკიდებული და ერთიმეორის გამსაზღვრელი მხარე გააპირობებს: შინაარსი, ფორმა, მიზანი და შესრულება. უქანასკნელი (შესრულება) ცხადია, თარგმანებში ძალას კარგავს და უნდა მოიხსნას. მთარგმნელის მიზანიც უთუოდ ერთგვარად განსხვავდება ავტორისეულისაგან. ამჯერად გრიგოლ ნაზიანზელის ეფრემისეულ თარგმანებს სწორედ ამ ნიშნების მიხედვით განვიხილავთ.

I. შინაარსი

ეფრემ მცირე უაღრესი სიზუსტით, სიტყვასიტყვით გადმოსცემს ხოლმე დედნის ტექსტს. მთარგმნელისათვის უცხოა ორიგინალიდან ოდნავი გადახვევაც კი. გრიგოლ ნაზიანზელის კომილექტიკური თხზულებების ეფრემისეული თარგმანების ბერძნულ ტექსტთან შედარებისას ჩვენ აღნუსხვით ორიოდ შემთხვევა, სადაც თარგმანი ზუსტად არ ემთხვევა ბერძნულ ტექსტს. მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას განსაკუთრებული სიფრთხილე არის საჭირო: შესაძლოა ეფრემისეულ უზუსტობად მივიჩნიოთ ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვის უცნობი ბერძნული რედაქციის არსებობით აიხსნება. მით უფრო, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა მეცნიერული გამოცემა, აღჭურვილი სრული ვარიანტებით.

ამ ეჭვს, სხვათა შორის, ერთი ფაქტი აძლიერებს. ერთ-ერთი კომილექტიკური თხზულების ეფრემისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „...თუმცა რიცხვითა განყოფილნი, არსებითა არა განიყოფებოდეს“. ბილისა და მინის გამოცემებში (ჩვენთვის კი მხოლოდ ეს გამოცემები იყო ხელმისაწვდომი) შესატყვისი ადგილი ასეა მოცემული: „...ἄσθε ἄψυχοι ἄσθε ἄσθε ἄσθε ἄσθε ἄσθε ἄσθε ἄσθε ἄσθε ἄσθε“. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ἄσθε ἄσθε-ს ქართული შესატყვისი „არსებითა“ (ნაცვლად „ძალაუფლებისა“). რა თქმა უნდა, ამგვარი თარგმანი შეიძლებოდა ტექსტიდან გადახვევად, ან შეცთომად მიგვეჩინია, მაგრამ ერთ ერთ ხელნაწერში ἄσθε ἄσθε-ს ნაცვლად მოცემული ყოფილა ἄσθε ἄσθε. ამის შეიდეგ ნათელი ხდება, რომ ქართული თარგმანი სიტყვასიტყვით მიჰყვება დედანს.

ამიტომ, ბერძნული ტექსტიდან გადახვევების აღნუსხვისას ჩვენ ვერიდებით დასკვნების გამოტანას და მათი უბრალო ჩამოთვლით ვკმაყოფილდებით. მით უფრო, რომ ამგვარი გადახვევები საკმაოდ უმნიშვნელო ხასიათისა და ძალზე მცირერიცხოვანია.

აქ მოვიატნთ ყველა მათგანს.

I. ...და არა ზოლო ესე არს ძვრ, რაოდენ რამე დიდ-ლა-ვე არს და მალალ, არამედ ეს უძვრეს არს, რომელ შეძინებად შეგვირაცხეის დაქირვება (...Και οὐχι τινεο παο δε:νθ, και περ θ τηλαοστου, ελλ' θτι και ποισθ'αχγυ νοι:θιομευ τηγ σφαι:ρεσιγ.

ქართულ თარგმანში — τηλαοστου გადმოტანილია ორი ზედსართავი სახელით („დიდი“, „მალალი“). ცალ-ცალკე, რა თქმა უნდა, არც ერთი შეცდომა არ არის. გარდა ამისა, ეფრემისეული დამატებაა „ესე უძვრეს არს“.

2. „რომლისათვის განვეშორე თქუენგან და დავადგერ უდაბნოდ“. უნდა შევნიშნოთ, რომ „დავადგერ უდაბნოდ“ ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ გამოცემებში არ გვხვდება.

3. „რომლისათვის მოვიღე თავი ჩემი და მიგეც თქუენ“.

აქაც, „მიგეც თქუენ“ ბერძნულ ტექსტში არ მოიპოვება.

შედარებით ხშირია ეფრემისეულ თარგმანებში ისეთი უმტკივნეულო ხასიათის დამატებები, როგორცაა „კჟალად მრქუა მან“, „მე მი-ეუგებ, ვითარმედ“ და სხვა მათი მსგავსი. ამგვარი ხასიათის დამატებებს შევხვდით პოლემიკური სიტყვების ეფრემისეულ თარგმანებშიც. სათანადო ტექსტების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედით, რომ მსგავს შემთხვევებში ბერძნულ ტექსტში აშკარად უნდა მოჩანდეს ზეპირად წარმოთქმული სიტყვის კვალი, რაც, სრულიად ბუნებრივად, უნდა მოეშალა მთარგმნელს.

ამრიგად, ქართულ-ბერძნული ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ ეფრემ მცირე ზუსტად, თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება ბერძნულ ტექსტს, ითვალისწინებს სათარგმნელი სიტყვის ყველა ნიუანსს. საკმარისია ვთქვათ, რომ ზედსართავი სახელების გადმოცემისას ის არასდროს არღევეს დედანში მოცემული ზედსართავის ხარისხსაც კი.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ტექსტზე მუშაობისას, როგორც ვთქვით, ბილისა და მინის გამოცემებს ვეყარებოდით. ეფრემ მცირის თარგმანების შესწავლა კი ადასტურებს, რომ ჩვენი მთარგმნელისა და დასახელებული გამოცემლების წყაროები რედაქციულად სრულიადაც არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. თუ იმ ცნობილ ფაქტსაც გავიხსენებთ, რომ ნაზიანზელის თხზულებათა ლათინური თარგმანი ზუსტად ემთხვევა ბილისა და მინის ბერძნულ ტექსტს, საფუძველმოკლებული არ იქნება დავასკვნათ: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებს არ განუცდია რაიმე არსებითი რედაქციული ცვლილება. ასეთ დასკვნას უთუოდ ექნება გარკვეული მნიშვნელობა გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების შესწავლისათვის. მაგალითად: ექვთიმე ათონელის თარგმანების დედანთან მიმართების კვლევისას მკვლევარი იძულებულია უკან დასახევი გზა დაიტოვოს: იქნებ არსებობდა

ისეთი ბერძნული რედაქცია, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა დღესდღეობით ცნობილი ტექსტებისაგან და რომელსაც ექვთიმე ათონელი იყენებდა?

თუ ჩვენი დასკვნა მართებული აღმოჩნდება, ეს შესაძლებლობაც უნდა მოიხსნას (ვგულისხმობთ განსხვავებული რედაქციის არსებობას). ხოლო მის მართებულობას, შესაძლოა, ეფრემ მცირის სიტყვებიც ადასტურებდეს:—წმიდასა და მაგარ ღვინოს, რომელსაც გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნი შეიცავდა, ექვთიმე წყლით აზავებდა და მოძღვრის ნამუშავეს ავრცობდაო...

ცნობილია, რომ ეფრემ მცირე ბეჯითად არჩევდა ხოლმე სათარგმნელ ტექსტს. ის გულმოდგინედ ეძიებდა სხვადასხვა ხელნაწერს. ზემოთ მოტანილი სიტყვები კი იმაზე მიუთითებს, რომ ეფრემისათვის არ იყო ცნობილი ისეთი განსხვავებული რედაქცია, რომელსაც კარგად მიუღებოდა ექვთიმე ათონელის თარგმანი.

ამ მცირეოდენი გადახვევის შემდეგ კვლავ ეფრემისეულ თარგმანებს დავუბრუნდებით. ამჟერად მათ სხვა თვალსაზრისით განვიხილავთ.

2. ფორმა და სტილი

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმნისას ეფრემ მცირის მიზანი მხოლოდ შინაარსის ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემა როდი იყო. ჩვენი მთარგმნელი ცდილობდა დაეცვა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებისათვის დამახასიათებელი ფორმა და სტილი.

გრიგოლ ნაზიანზელის მკვერამეტყველებისათვის დამახასიათებელია უაღრესი ლაკონიურობა, აზრის მკაფიოდ და სხარტად გადმოცემა. ის გაჭიანურებული თხრობის წინააღმდეგი იყო. ძირითადი თემიდან ხშირი გადახვევა და მრავალსიტყვაობა მსმენელის ყურადღებას მოაღუნებს და ორატორსაც ზიანს მოუტანსო, — ამბობდა გრიგოლ ნაზიანზელი. ამიტომ მისი თხზულებები მოკლე, სხარტი წინადადებებით არის გამართული.

ქართულ თარგმანზე დაკვირვება ადასტურებს, რომ ეფრემ მცირე, ძირითადად, კარგად იცავს გრიგოლ ნაზიანზელის მეტყველების ამ ნიშანდობლივ მხარეს. მოვიტანთ სათანადო მაგალითებს სხვადასხვა თხზულებებიდან.

„ვიძლიე მე და ძლეულებასა აღვიარებ“ * *Ηνετημα: και: την η̄ταϋν*
ბმისღჳმ.

„დაეემორჩილე უფალსა და დაეემონე მას“ *παεᾱγην τ̄δ̄ Κυρ̄ῑφ,*
και: Ῑᾱτεσϋᾱ ᾱβ̄τ̄ον.

„რად დაჰხსნით წესსა საქებელსა? რად აიძულებთ ენასა სჯულის მმონებელსა? რაჲსა მოუწოდთ სიტყუესა სულის მორჩილსა?“.

„ხოლო მყუდროდ მომდინარე და სიღრმედ შთაცვენული განაპო-

ხებს ორნატსა და შესძენს მეორნატესა და ზრდის ყუავილსა ნაყოფად მწიფედ“.

„ფრიად იმუშაკა მცირითა მარცულებითა“.

„კულადცა მკითხე და კულადცა სიტყუა გიგო.

„არცა სიტყვთ უმდიდრესი უბრძენესისა უმჯობეს (არს)“.

„მსუროდა თქუენთვის და სასურველიცა ვიყავ თქუენ მიერ“ და მრავალი სხვა.

გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვებში ხშირად ვხვდებით შედარებებსა და ეპითეტებს. ეფრემ მცირის თარგმანებში ისინი ყოველთვის ზუსტად არის გადმოტანილი.

„რიტორიკული ხერხებიდან, — შენიშნავს პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილი. — გრიგოლ ნაზიანზელისათვის სპეციფიკურია ანტითეზების ხმარება, მაგრამ ისე, რომ დაპირისპირებული გამოთქმები ერთიმეორის სიმეტრიულად არის აგებული და ზოგჯერ რითმიანი კლაუზულით“⁵.

ჰომილეთიკური ძეგლების თარგმანებზე დაკვირვებამ დაადასტურა, რომ ქართველი მთარგმნელი კანონზომიერად და სისტემატურად იცავს ნაზიანზელის ორატორული მეტყველებისათვის დამახასიათებელ ამ მხარესაც. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს.

Ὅν δέχομαι πηγὴν φράσσεσθαι, καὶ χεῖμαρρὸν φέρεσθαι· ἤλιον ἄρπασεσθαι· καὶ ἀστέρων θεῖαχυσσθαι. τῆν πολλὰν ἴσχυαρεῖν, καὶ τῆν νεότερα νεμίζεσθαι. τῆν σαρξὶν σωματικῶν, καὶ τῆν ἀπειρίαν νεμίζεσθαι·.

ვერ თავს ვიღებ წყაროას დაყოფად და ლუარის ღინებად; მზის დაფარვად და ვარსკულაის ჩინებად; მოქუთ მირიღებად და სიჭაბუკის სჯულის დებად; სიბრძნის დაღმუხებად და გამოუსდელლობას კანნიერებად.

ანტითეზები თარგმანში, ისევე როგორც ბერძნულ ტექსტში, საწყისის ფორმით არის გადმოცემული. ესეც დამახასიათებელია ეფრემ მცირის თარგმანებისათვის: ის ყოველთვის ცდილობს ბერძნულ ტექსტში მოტანილი სიტყვა იმავე ფორმით გადმოიღოს თავის თარგმანში.

ეფრემ მცირისა და ექვთიმე ათონელის თარგმანების შეპირისპირებისას აღვნიშნეთ, რომ ეფრემისეულ თარგმანებში ხშირია მეშველი ზმნის გამოტოვება. მაგალითად:

ექვთიმე: მეგობარი სარწმუნოა საუნჯე არს სულიერი.

ეფრემი: მეგობარი სარწმუნოა საუნჯე სულიერი.

ექვთიმე: მეგობარი სარწმუნოა უაღრეს, არს ოქროსა და ქვისა.

⁵ სიმ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963.

ლით. ეფრემ მცირეს მხედველობიდან არ გამორჩენია ბერძენი ავტორის ეს ხერხი და წარმატებით გადმოუტანია თავის თარგმანებში.

4. ეფრემ მცირეს უცვლელად გადმოაქვს ის გრამატიკული ფორმები, რაც დედნის ტექსტში გვხვდება (მიმლეობა — მიმლეობად; საწყისი — საწყისად; ითვალისწინებს ზედსართავი სახელების ხარისხებს. და ა. შ.).

5. მიუხედავად საგრძნობი განსხვავებებისა, ეფრემ მცირის თარგმანები ერთგვარად არის დავალებული ექვთიმესეული თარგმანებისაგან. გავლენა, განსაკუთრებით სიტყვიერი მარაგის, ლექსიკური ფონდის გამოყენებაში შეინიშნება.

6. ეფრემ მცირის მიერ გამოყენებული ბერძნული ტექსტი, როგორც ჩანს, რედაქციული თვალსაზრისით, არ განსხვავდებოდა მინის პატროლოგიაში დაბეჭდილი ტექსტიდან. ამიტომ, ქართულ-ბერძნული ტექსტების შედარებისას, ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ მინის ტექსტს.

დასასრულ, ჩვენ გვინდა ერთ საკითხს დავუბრუნდეთ.

როგორც ვთქვით, ეფრემ მცირე გარკვეულად არის დავალებული ექვთიმე ათონელის თარგმანებისაგან. მაგრამ ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკურ თხზულებათა ექვთიმესეული თარგმანები ეფრემ მცირის გადასინჯვის საგანი გამხდარა და მასხელმეორედ უთარგმნია ექვთიმეს მიერ ადრე თარგმნილი თხზულებები.

როგორ შევათავსოთ ეს ორი ფაქტი ერთიმეორესთან?

ზემოთ ნაჩვენები იყო ექვთიმე ათონელის უეპველი გავლენა ეფრემისეულ თარგმანებზე. მაგრამ ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ ეს მოვლენა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში იჩენს თავს. მიეუთითებდით, რომ ამ დროსაც ეფრემ მცირე გულდასმით ადევნებს თვალს ბერძნულ ტექსტს და შესწორებები შეაქვს ექვთიმესეულ თარგმანში. ერთის მხრივ, ქართულ-ბერძნული, ხოლო მეორე მხრივ საკუთრივ ქართული რედაქციების ურთიერთშედარებამ დაადასტურა, რომ ეფრემ მცირე მხოლოდ მაშინ იმეორებს უცვლელად ექვთიმე ათონელის ტექსტს, როდესაც ეს უკანასკნელი ზუსტად, ზოგჯერ სიტყვასიტყვით მიჰყვება ორიგინალს. ექვთიმე ათონელის თარგმანების შესწავლისას კი გამოირკვა, რომ ასეთი შემთხვევები საკმაოდ იშვიათად იჩენს თავს. დედნის ტექსტიდან ექვთიმესეული თარგმანების დაცილება კი ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამჟერად მოვიტანთ ორიოდ ნიმუშს ქართული რედაქციებიდან. შევნიშნავთ, რომ ეფრემისეული თარგმანები სიტყვასიტყვით მიჰყვება დედნის ტექსტს.

მ ფ რ ე მ ი

1. სიბრძნე პირველი —
ცხოვრებაი საქებელი, ღმრთისად გან-
წმენდილი...

2. ...ანუ განწმედადი უწმიდესისა და
უბრწყინვალესისა.

3. ხიბრძნე პირველი —
უგულუბელსყოფათი სიბრძნისა სიტყუათ
შინა მდებარისაი და მიმოქცევასა ლექს-
თასა...

და სხვა.

ქართული რედაქციების დეტალური ურთიერთშედარება უთუოდ
ბევრ საინტერესო საკითხს გაარკვევს. ამჯერად კი მხოლოდ იმის თქმა
შეგვიძლია, რომ ეფრემ მცირე დიდი გულისყურით ეკიდებოდა ექვთი-
მესეულ თარგმანებს და თავის ნამუშავეებში უყოყმანოდ გადმოჰქონდა
ის ადგილები, რომელიც ზუსტად ემთხვეოდა ბერძნულ ტექსტს.

ე ქ ვ თ ი მ ე

სიბრძნე პირველი
არს მოქალაქობაჲ საქებელი და ყოე-
ლისაგან ბიწისა განწმედილი წინაშე
ღმერთისა.

რომელი დღითი დღე წარემატებინ სი-
წმიდითა წინაშე ყოვლად წმიდისა და
ბრწყინვალისა.

სიბრძნე პირველი არს სიბრძნისა კა-
ცობრივისა შეურაცხყოფათი, რომელი იგი
სიტყუათაგან ცუდთა და ქცევათაგან უც-
ხოთა სახელთასა და უსარგებლოთაგან
ზრახვათა შეიწმანების ქაერად ოღენ
მეტყუელად.

გრიგოლ ბაბრატიონის ცხოვრება და შემოქმედება

გრიგოლ იოანეს ძე ბაბრატიონი იმ სახელოვანი ოჯახის შვილია, რომელმაც საქართველოს არა ერთი და ორი საზოგადო მოღვაწე, მოაზროვნე და მწიგნობარი შესძინა. ის იყო ერთადერთი ვაჟი პირველი ქართული ენციკლოპედიის „კალმასობის“ ავტორის — იოანე ბატონი-შვილისა და იმერეთის მეფის სახლთუხუცესის — ზურაბ წერეთლის ასულის ქეთევანისა.

დაბადებულა გრიგოლი თბილისში, მე-18 საუკუნის უკანასკნელი ათეულის დამდეგს. დედამისის, ქეთევან წერეთლის კუთვნილ „ქილილა და დამანას“ ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდს აქვს მინაწერი: „საქართველოს მეფის ძის ძე გრიგოლ იშვა იანვრის კდ (24), ქორონიკონსა უოჭ (1790)“¹. ამავე ცნობას იმეორებს ქეთევანისევე კუთვნილი „რუსუდანიაანის“ ხელნაწერიც².

დაახლოებით ამავე თარიღს მიუთითებს გრიგოლის საფლავის ქვის წარწერაც, საიდანაც ირკვევა, რომ გრიგოლი გარდაიცვალა 1830 წელს, სექტემბერში, როდესაც ის 41 წლისა ყოფილა. მართლაც, 1830 წლის სექტემბერში გრიგოლი 41 წლისა იქნებოდა. ამიტომ უნდა გასწორდეს გრიგოლ ბატონიშვილის დაბადების თარიღი, ნაცვლად დღემდე მიღებული 1789 წლისა უნდა იყოს 1790 წელი³.

სახელი გრიგოლ — მისთვის პაპას, საქართველოს უკანასკნელ მეფეს, გიორგი მე-13 შეუქმვეია. „რადგან დიდად უყვარდა წიგნი გრიგოლ ნოსელისა, ამისათვის ბრძანა უწოდონ ახალშობილსა გრიგოლ“. — გადმოგვცემს პლატონ იოსელიანი⁴.

¹ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 197.

² საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ქართულ ხელნაწერთა კოლექცია № 102.

³ შტრ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე. ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, თბილისი, 1939, გვ. 99; ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1968, კვ. 26.

⁴ პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა, ა. გაწერელის შესავალ წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. 1936, გვ. 19.

ბავშვობის წლები გრიგოლს მეფეების ერეკლესა და გიორგი მე-13-ის კარზე გაუტარებია. ამ დიდ ოჯახთა კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების გარემოცვაში უნდა ჩანერგოდა პატარა ბატონიშვილს სიყვარული ქართული მწერლობისადმი. მომავალი პოეტი იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელთა გარემოცვასა და მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. მეცნიერსა და მწიგნობარ მამას, ქართული მწერლობის საუკეთესო მცოდნესა და დამფასებელ დედას, დოსითეოზ მღვდელმთავარს, რომელსაც მისთვის წერაკითხვა უსწავლებია, იონა ხელაშვილსა და სხვებს უთუოდ დიდი ზეგავლენა უნდა მოეხდინათ მის აღზრდა-განათლებაზე.

უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც იოანე ბატონიშვილს ეკუთვნოდა, ცნობისმოყვარე ახალგაზრდას წიგნის წყურვილს უკმაყოფილებდა. მწიგნობარმა მშობლებმა არაერთი წიგნი უსახსოვრეს გრიგოლს. 1801 წელს რუსეთში გადასახლებული იოანე ბატონიშვილი არც მორეული პეტერბურგიდან აკლებს ყურადღებას თავის პირმშოს. უგზავნის მას წიგნებს, ხელმძღვანელობს მის აღზრდას. მამის ნაჩუქარი წიგნის რამდენიმე ცალს მოუღწევია ჩვენამდე. 1764 წ. ანტონ კათალიკოსის მიერ სომხურიდან ნათარგმნ „რიტორიკას ყრმათათვის“⁵, აქვს შემდეგი მინაწერი: „ეს რიტორება მეფის ძის იოვანესი იყო და თავის ძის უბოძა გრიგოლს. ეს რიტორება მეფის ძის გრიგოლისაა, ღწ მონამაროს, ამინ“⁶.

ან კიდევ: „აქ ეს წიგნი, რომელსა სახელად „სელიანიანი“ ქვიან და ივანე ბატონიშვილის იყო და ახლა თავის ძეს უბოძა ღწ მშვილობაში მონამაროს, ამინ. მეფის ძის ძე გრიგოლ“⁷.

იოანე ბატონიშვილის კოლექციის რამდენიმე ხელნაწერი შეიცავს იმ ცალებს, რომლებიც დედამ აჩუქა გრიგოლს. მეფის რძალი ქეთევანი ქართული მწერლობის კარგი მცოდნე და დამფასებელი ყოფილა. მისი შეკვეთით არაერთი ხელნაწერი გადაუწერიათ. ქმარსა და შვილს მოშორებული ქალი თავის მწუხარებასა და გულისტკივილს წიგნებში კლავდა. უკვეთდა მათ გადამწერთ, იძენდა, ამრავლებდა, ბუნებრივია, რომ ამ სიყვარულს ქეთევანი თავის ერთასაც ჩაუწერავდა.

დედ-მამის გატაცება შვილსაც გამოჰყვა. ისიც წიგნის ტრფიალი ყოფილა. გრიგოლს ბევრი ახალი ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წიგნით გაუმდიდრებია მამის წიგნთსაცავი. ბატონიშვილს გულწრფელად ახარებდა ყოველი ახალი წიგნის დაძებნა და შეძენა.

5 სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწ-გაზა ყოფილების იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 292.

6 ი ქ ვ ე, გვ. 17.

7 ციტ. ა. აბრამიშვილის დასახ. შრომიდან, გვ. 28.

„მეფის ძის გრიგოლისა არის ეს მარხვანი. გიორგი, გამსყიდველი ამისა, ღმერთმა აცხოვნოს, დაშლილი მომყიდა და მე მეფის ძის ძემან, გრიგოლ, ოდეს მოველ ტფილისით ასტრახანს შევაკვრევი. თორმეტი რუბლი ასიგნაცია მივეც ხელფასი თავის ყდით. მეფის ძის ძე გრიგოლ“⁸.

წიგნისადმი სიყვარული და ზრუნვაა გამოხატული შემდეგ მინაწერშიც: „ეს წიგნი მეფის რძლის, წერეთლის სახლთხუცის ზურაბის ასული ქეთევანის იყო და იმის მიცვალების შემდგომად დაშლილიყო და ძემან მისმან, მეფის ძის ძემ გრიგოლმა შევაკვრევი სამ მილანთულათ სულისა მისისა საოხად. მკითხველნო, შენდობას უყოფდით“⁹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლი ბევრს ზრუნავდა მამის წიგნთსაცავის გასამდიდრებლად. აი ერთი დამახასიათებელი მაგალითიც. ასტრახანში ცხოვრებისას გრიგოლი ძალზე დაუახლოვდა გაიოზ რექტორს, იმ დროს ასტრახანისა და სტაეროპოლის მთავარეპისკოპოსს. გაიოზი მეტად ნაყოფიერი მწერალ-მწიგნობარი იყო და საკმაოდ დიდ მემკვიდრეობა შექმნა. მისი წიგნთსაცავი 273 ნომრისაგან შედგებოდა¹⁰. სიკვდილის წინ გაიოზმა დაიბარა გრიგოლი და თავისი ყველა შრომა მას ჩააბარა, თან სთხოვა, რომ წესრიგში მოეყვანა ხელნაწერები, ზოგი კი ბერებისათვის მიეცა ხელახლა გადასაწერად. გაიოზის არჩევანი სავსებით კანონზომიერი იყო. მან კარგად იცოდა თუ როგორი მონდობებით კრებდნენ და უვლიდნენ წიგნებს იოანე ბატონიშვილი და მისი ძე. გრიგოლმა თვით გადაწერა გაიოზის ნათარგმნი შრომა „თხზულებანი ამბროსი მედიოლანელისა“¹¹. ბატონიშვილი წერდა მამას:

„გაიოზის სიკვდილისა ვიყავ წინ კვირას კმობილი, მიბრძანა: ბატონიშვილო, ვარ სიკვდილს გამზადებული, თუც მამაშენი მკრებლებლობა, აქვს ბევრი წიგნი მკობილი ბერთ მისცეს გარდმოსაწერად, ფურცლებად არის წყობილი“.

გაიოზის სიკვდილის შემდეგ გრიგოლს მართლაც დაუწყია დარჩენილ ხელნაწერთა დალაგება-მოწესრიგება.

მაგრამ გაიოზ რექტორს მემკვიდრე გამოუჩნდა თავისი დისწულის გურგენ ნაცვლიშვილის სახით. გრიგოლი ძალზე შეაწუხა ამ ამბავმა და გადაწყვიტა ბოლომდე ებრძოლა. ძვირფასი განძისათვის: „არ დაეანებე, არ მივეც, ვინმარე ძალა ყოველი“. — წერდა ის მამას და თან სთხოვდა დასმარებოდა ზელნაწერთა შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

⁸ ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 205.

⁹ ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 205.

¹⁰ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 361.

¹¹ საქ. სსრ მეცნერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ. — 378.

„თქვენცა მოსწერეთ წიგნითა, არ ახლოს წიგნებს კელია.
ჩემდა არის-თქო ბიძისგან ანდერძად დადებულთა“,

მაგრამ ბრძოლას შედეგი არ გამოუღია: გაიოზის ნაწერები გურგენს ასტრახანის სასულიერო სემინარიისათვის შეუწირავს და ბატონიშვილებს არაფერი დარჩენიათ.

ეს ფაქტი ნათლად გვიმტკიცებს თუ როგორი მონდომებით იღწვოდა გრიგოლ ბატონიშვილი ყოველი წიგნის შეძენისათვის. როგორც აღენიშნეთ, იოანე ბატონიშვილის წიგნთსაცავი უმდიდრესი იყო თავისი შემადგენლობით. სამწუხაროდ გრიგოლს არ არგუნა ბედმა მამის ბიბლიოთეკის შემკვიდრება — მამა და შვილი ორთავე ერთ წელს, 1830-ს გარდაიცვალნენ.

გრიგოლ ბატონიშვილს სცოდნია უცხო ენებიც. კერძოდ: არაბულ-სპარსული, ფრანგული, რუსული, სომხური. როგორც ჩანს, გრიგოლს თავისი დროისა და თავისი მდგომარეობის შესაფერისი განათლება ჰქონდა მიღებული და დაეუკაცებელიც კი ცდილა შემდეგში უფრო გაემდიდრებინა და გაედრმავებინა ცოდნის მარაგი. მაგრამ ამისათვის საჭირო დრო და პირობები მას არც თუ ისე ბევრი ჰქონია. თავის ხანმოკლე ცხოვრების საუკეთესო წლები მას ბრძოლასა, პატიმრობასა და ლაშქრობაში აქვს გატარებული.



როგორც ცნობილია, 1783 წ. საქართველო რუსეთს დაუკავშირდა. ქართლის ბედი, რომელზედაც ესოდენ სწუზდნენ მამულიშვილები, ამერიდან გადაწყვეტილი იყო. ქართველმა ხალხმა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის საფასურად, საბოლოოდ დააღწია თავი ფიზიკური განადგურებისა და ეროვნული გადაგვარების საფრთხეს.

მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთებას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, ქართველ ხალხს ძალზე გაუძნელდა იმ ახალი სახელმწიფო წყობილების მიღება და შეგუება, რომელიც მას თავს მოახვიეს. შექმნილ სირთულეში ცხადია ყველა თანაბრად ვერ ერკვეოდა.

ცხოვრების ახალი პირობების სირთულე განსაკუთრებით მწვავედ განიცადა პრივილეგიური კლასის წარმომადგენლებმა. რუსეთთან შეერთებამ და სამეფოს გაუქმებამ მათ დაუკარგა პოლიტიკური ძალაუფლება. მაგრამ უფრო მძიმედ განიცადა შექმნილი მდგომარეობა ქვეყნის ბურჟუა და ძალამ, გლეხობამ. მართალია, ქართველი ხალხის სხვადასხვა კლასს უკმაყოფილების სხვადასხვა საფუძველი ჰქონდა, მაგრამ აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ „მოხდებოდა ხოლმე, რომ ეს ურთიერთის მოწინააღმდეგე კლასები ამა თუ იმ მომენტში სა-

ერთო პროტესტით გამოდიოდნენ და ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივი მოძრაობაც საერთო, სახალხო მოძრაობის იერს იღებდა¹².

სწორედ ასე შეირწყა ამ მოწინააღმდეგე კლასთა — გლეხობისა და თავადაზნაურობის — ინტერესები 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს.

რასაკვირველია, აჯანყების მიზეზი ერთბაშად არ წარმოშობილა. უკმაყოფილება და რისხვა წლების განმავლობაში გროვდებოდა. აჯანყების უშუალო საბაბი პურის ბეგარა გახდა. წლების მანძილზე უსიტყვოდ ზიდავდა მძიმე ბეგარას ქართველი გლეხი, ვიდრე ტვირთი ყოველად აუტანელი არ შეიქმნა. როდესაც მოსახლეობამ უსამართლობას ქედი არ მოუწარა, რუსეთის მმართველობამ სამხედრო ძალას — ეგზეკუციას მიმართა, ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და კახეთში სახალხო აჯანყების აღმა იფეთქა, გლეხკაცობას რუსეთის ხელისუფლებით უკმაყოფილო თავადაზნაურობა მიემხრო და აჯანყებას ხელმძღვანელობა გაუწია.

აჯანყება ელვის სისწრაფით მოედო მთელ კახეთს. რამდენიმე კვირე ერთი აზრით შეკავშირებული სხვადასხვა ადგილას იბრძოდა. კვირაც კი არ იყო გასული აჯანყების დაწყების დღიდან და რუსთა ხელისუფალთათვის მეტად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა.

„მაშინ გარდაიყვანეს მეფის ძის იოვანეს შვილი გრიგოლ ქართლით კახთა“ — წერდა დავით ბატონიშვილი თავის „ახალ ისტორიაში“¹³. გრიგოლი კახეთის „მეფედ“ აღიარეს. ბატონიშვილი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას.

ეს გარემოება მეტად ართულებდა რუსეთის ხელისუფალთა მდგომარეობას. „ქართველი მეფის“ გამოჩენა ბრძოლის ასპარეზზე აჯანყების საქმის იდეური თავის მობმას ნიშნავდა და მისი ლიკვიდაციის საქმეს ართულებდა¹⁴.

მთავარმართებელი მარკიზ პაულიჩი წერს თავის ერთ-ერთ პატაკში: «Сей царевич, весьма не по личным своим достоинствам, но по уважению, какое народ здешнего края имеет к его происхождению и по правам, кои хотя ложно, но с некоторым основанием приписывают ему грузины, утверждаясь в том, что царевич... имеет права, на наследство Грузии... Сей царевич, оставленный без внимания моими предшественниками... вдруг при открытшейся революции начал играть между ними важную роль и по ослеплению народа, которое обнаруживает их всегдашнюю привя-

¹² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 430.

¹³ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. გამოსცა თ. ლომოურმა, თბილისი, 1941, გვ. 42.

¹⁴ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 145.

зашность к прежнему царскому правлению, был с радостью принят мятежниками и провозглашен царем Грузии»¹⁶.

როგორც პაულიჩის პატაკიდან ჩანს, გრიგოლ ბატონიშვილის გამოჩენამ აჯანყებულთა შორის სერიოზულად შეაშფოთა რუსი ზელისუფალნი. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ისინი ყოველსავე ღონეს იხმარდნენ აჯანყების დროული ლიკვიდაციისათვის და განსაკუთრებით ამ აპლადმოვლენილი „მეფის“ ხელში ჩაგდებას ეცდებოდნენ.

გრიგოლის „გამეფებით“ გამოწვეულ საფრთხეს და უხერხულობას პაულიჩი არაერთ პატაკში აღნიშნავს. ის კვლავ და კვლავ შეახსენებს მთავრობას, «Сей царевич, к которому столь охотно прилепились Кавказские бунтовщики, гораздо важнее умерщвленного Лезгиняки Грузинского царевича Левана и вреднее для Грузии, поэтому что немалая часть легковых Грузии признают его имеющим законное право на Грузию»¹⁷.

როგორც ირკვევა, რუსეთის ხელისუფალნი ჯეროვნად აფასებდნენ შექმნილ სიტუაციას. მთავრობა ზედავდა, რომ აჯანყების საქმეს უფრო ამწვავებდა. ის გარემოება, რომ გრიგოლი ერეკლე მეფის პირდაპირი მთამომავალი იყო და ტახტის კანონიერ პრეტენდენტად ითვლებოდა.

გრიგოლ ბატონიშვილიც მთელი ახალგაზრდული გატაცებით და შექმნილი მდგომარეობის სირთულის გათვალისწინებით, შეუდგა მასზე დაკისრებული მძიმე ტვირთის ზიდვას. მან რამდენიმე მოწოდებით მიმართა ხალხს. გრიგოლი მოუწოდებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთ აესხათ იარაღი და დახმარებოდნენ კახელთ მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთავრობამ გადაწყვიტა დაყვავების ხერხისათვის მიემართა. პაულიჩიმ კახელებს მიმართა: მიუთითებდა მათ მძიმე დანაშაულზე, ფიცის მტეხელობაზე, ხელმწიფის ლალატზე. ის მოუწოდებდა მემამბოხეთ მშვიდობისაკენ და პატიებას აღუთქვამდა, თუ ისინი დროზე დაპყრიდნენ იარაღს.

აჯანყებულებმა მოციქულებს უპასუხეს, რომ მათ სრულებით არ სურდათ რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. რომ მათ კარგად ესმოდათ ამ კავშირის ფასი, მაგრამ იბრძოდნენ იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობამ შექმნა. „ჩვენ რუსხელმწიფის მფარველობას ვეძებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა, მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ და სინასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვავდო... ჩვენ საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკეს, ხელებს აფათურებდნენ და სჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუკებს, ორმოებს, მარნებს გვიტეზავდნენ, ღვინით ილეუებოდნენ, ხოლო დანარჩენს აფუჭებდნენ, ქვევრებში სიბინძურეს

¹⁶ აქტები, ტ. V, გვ. 74.

¹⁷ იქვე, გვ. 63.

გვიყრიდნენ, ბოლოს ჩვენ თვალწინვე ჩვენს ცოლებსა და ქალებს შეურაცხყოფდნენ. განა ოჯახის ამისთანა შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასილა ექნება? ჩვენ ცოდვილნი ვართ ღვთისა და რუსხელმწიფის წინაშე, რომ ქრისტიანთა სისხლში ხელი გავისვარეთ, მაგრამ ღმერთთა მოწმე, რომ რუსთა ღალატი არასოდეს ფიქრად არა გვექონია. ჩვენ ეს ძალდატანებამ გვაიძულა და გადავწყვიტეთ აქვე დაეზოცოთ. შენდობის იმედი არა გვაქვს“¹⁷.

პაულიჩიმ მთელი სამხედრო ძალა მოკრიბა აჯანყებულთა წინააღმდეგ და სძლია კიდეც მემამბოხეებს. ამავე დროს ციხე შიგნიდან გატყდა — აჯანყებულთა შორის ღალატმა იჩინა თავი. თუმცა ღალატიც რომ არა, აჯანყება თავიდან განწირული იყო. რუსეთის გაწვრთნილ, კარგად შეიარაღებულ ჯარს მემამბოხეთა თითქმის შეუიარაღებელი მასა დიდხანს ვერ გაუმკლავდებოდა.

მაგრამ აჯანყების საბოლოო ჩაქრობისათვის საჭირო იყო მისი მეთაურის ხელში ჩაგდება. გრიგოლ ბატონიშვილის სახელი ისევ შიშის ზარსა სცემდა პაულიჩის და ახალი ამბოხების საშიშროებას ქმნიდა. დავით ბატონიშვილის სიტყვებით „მაშინ ზაზაცა, ძმაი ნინიასი, შეუჩინეს გრიგოლს და გრიგოლ მოაცთუნა ზაზამა ანდრონიკაშვილმა და მივიდა მარკიზისა წინაშე“¹⁸. ბატონიშვილი პაულიჩისთან გამოცხადდა მაგრამ გამოცხადდა მოტყუებით.

აჯანყება ჩახშობილ იქნა, ხოლო გრიგოლ ბატონიშვილი, როგორც საშიში პიროვნება რუსეთს გადაასახლეს.

პეტერბურგში ჩასული ბატონიშვილი, რომელსაც პაულიჩმა სრული თავისუფლება და სახელმწიფო ზარჯიც კი აღუთქვა „ბუნებისა გამო მისისა წარავლინნა იმპერატორმა პატიმრად პეტრეზაოდისა ციხესა შინა, რომელიც შორავს პეტერბურხით ოთხასითა ვერსითა და იყო ჟამ რაოდენიმე“ — წერს ბაგრატ ბატონიშვილი¹⁹.

დატყვევებული ბატონიშვილი თავის გულისტკივილს პოეზიაში აქსოვდა. ამ ხანის ლექსები საესეა მწუხარების, მარტოობის, სასოწარკვეთილობის განცდით.

„ცამან ჩრდილოთ დაცაგეფარანა შაეისა ღრუბლით,
ივერთა შზენი ველარ ბრწყინვენ ივერად ხმულით,
ჰე-ჰა, მოყმენო, ჰე-ჰა ძმანო, თქვენ რად ხართ ლელით?
რად არ იქნებით განღვიძებით გონებით სრულით,
ჩვენ ზღვასა შინა ჩაცენიული ლიქვნითა კრულით
გახსოვდეთ შინც, გვიგონებდით სიყვარულ ძმურით,
თქვენ იხარებდით, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურავით“²⁰.

¹⁷ ნ. ბატონიშვილი, იქვე, გვ. 443.

¹⁸ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 44.

¹⁹ ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 120.

²⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 2130.

პოეტი თავის თანამემამულეთა და თანამოძმეთ მოუწოდებს გაი-
ღვიძონ „გონებით სრულით“ რათა იხსნან „ზღვათა შინა ჩაცვინიული“
მეგობარნი. მაგრამ იცის, რომ „ჩრდილოთა მყინვართა მხარეში“ შეე-
ლა არსაით არის და ეს არის მიზეზი მძიმე სულიერი ტკივილებისა.

საპყრობილეს ვიწრო და ცივ კედლებში მომწყვდეულ ბატონი-
შვილს სული ებუთება, სიცოცხლე არარაობად მოუჩანს და სინამდვი-
ლიდან მოწყვეტაზე ფიქრობს.

„ბედარულსა შემთხვევას შევხვდი მწარესა,
მოვაკლდი ქართლისა ტკბილსა არესა,
სატრფოს დედსა გულ მღმობარესა,
აწ ვიგლოვ პყრობილი მყინვართ მხარესა,
ერთგულთა თან ზრდილთა, მოყვასად მკმარესა,
ესტირ თავსა ჩემსა, ვლერი ცრემლს ღვარესა,
ესე სჯობს ვითხრიდე თვით სამარესა“.

პოეტის გონების თვალი სხვა სურათებს ესალმუნება, შენატრის
დღეებს, როდესაც ბედნიერი და თავისუფალი შეექცეოდა ქართლის
ბაღებსა და წალკოტებში, გვერდს კი ტკბილი მეგობრები ეგულებო-
და. საქართველო მას ამქვეყნიურ სამოთხედ ესახება, რომლისთვისაც
სიკვდილი ყველაზე დიდ ჭილდოდ უნდა ჩათვალოს კემშარიტმა მამუ-
ლიშვილმა.

„სჯობდა მამულისთვის მოკვლა თავისა,
მტრისაგან არ მიმეღო ფიცი ზავისა,
ტყვეობით რა ენახე კიდე ავისა,
გმართებს. ყმანო, ჩაცმა ჩემზედ შავისა,
ჰსწუხდეთ, მცხეთის კერძო, სად დამფარესა!
ესტირ თავსა ჩემსა, ვლერი ცრემლს ღვარესა,
ესე სჯობს ვითხრიდე თვით სამარესა“.

ყველაზე საინტერესო ლექსები გრიგოლ ბატონიშვილს ტყვეობის
ხანაში შეუთხზავს. მათში გამოხატულებას პოულობს მისი სულიერი
ტკივილები, შინაგანი გარდატეხის მწვავე და მტკივნეული პროცესი.
მისთვის ეს იყო კრიზისის ხანა, როდესაც რუსეთის რეჟიმის წინააღმ-
დეგ აქტიური მებრძოლი თანდათან დრკება ძალის წინაშე. ლექსებ-
შიც აშკარად შეინიშნება პოეტის აღელვებული, მებრძოლი განწყო-
ბილების თანდათანობითი დაცხრომა და დამშვიდება.

„პეტროზაოდის“ ციხეში მყოფ გრიგოლს არ ასვენებს ბოღმა და
აღშფოთება ზაზა ანდრონიკაშვილის მიმართ. პოეტს გულს უკლავს ის
გარემოება, რომ მოტყუებით მიიყვანეს პაულიჩისთან და ამის მიზეზი
ზაზა იყო.

ზაზა ანდრონიკაშვილის სახე საკმაოდ ნათლად არის გამოკვეთილი
„გარდამავალი ხანის“ პოეზიაში. ეს ხანა კი განსაკუთრებით მდიდარია

სატირული ზასიათის ნაწარმოებებით. ზაზას მიუძღვნა მაგალითად, სატირა პეტრე ლარაძემ. თავისი სიმწვეავით მას არც გრიგოლ ბატონიშვილის სატირული ლექსი ჩამოუვარდება.

ზაზა ანდრონიკაშვილი იოანე ბატონიშვილის სახლთუხუცესი იყო და ბუნებრივია, რომ გრიგოლი მას ენდობოდა. სწორედ ამიტომ მიუჩინა ის ბატონიშვილს პაულიჩმა. გრიგოლთან ბანაკში მისვლისას ზაზამ მას აურაცხელი სიმდიდრე აღუთქვა, თუ კი ის დანებდებოდა რუსეთის მთავრობას.

— მალ მეტყოდა: რად არ მისმენ მაშიშენის კირნახულსა?
თუ მიიღებ, გამდიდრდები. ამა ჩემსა დასახულსა.
სიტყვას ხმობდა საღმობელსა, ვერ მიუხდი განზრახულსა,
მაგრამ ჩემზედ ბილწი იგი, ჰგვანდა ცეცხლსა დაფარულსა“.

როდესაც კრთამმა არ გასჰკრა, ზაზამ სხვა ხერხს მიმართა. ფლიდი და ეშმაკი „ფოკა მტარვალი“ გრიგოლის მოსაცდუნებლად ახალ ხერხს მიმართავს — მან გრიგოლს მშობლების მძიმე მდგომარეობა აუწყა. თუ ბატონიშვილი არ დაჰყრიდა იარაღს, იოანესა და ქეთევანს სიკვდილი მოეღოსთ, — აუწყა ზაზამ.

გრიგოლის თანამებრძოლებმა და ერთგულმა პირებმა ზაზას ნათქვამში სიცრუე იგრძნეს და გაათრთხილეს ბატონიშვილი. გრიგოლიც ექვეა შეიპყრო მაშინ ანდრონიკაშვილმა უფრო ძლიერი არგუმენტი მოიშველია: იოანესა და ქეთევანის სიკვდილი აუწყა გრიგოლს. ეს ცნობა იმდენად მძიმე და მწარე იყო, რომ ელდანაცემმა გრიგოლმა ირწმუნა და მიენდო მას.

„ზაზას უთხარ წამოყვები, დაშთომილვარ რადგან ობლად,
ჩემთა მეშეთა მიწა ვნახო, ვიქმნე მათდა შემამკობლად.
მათზე საფლავზე დამაჯალ, მივედ მტერთა მახარობლად,
საწადელი აღასრულე, ნიჭი იღე მათგან მრჩობლად“.

ზაზას აუსრულდა საწადელი. მისი მისია შესრულებული იყო. „ნიჭის მიღების“ იმედით, „იუდას მსგავსად ვერცხლისა მოყვარებითა ჭლელდმა“, გრიგოლი თელავს პაულიჩის ბანაკში მიიყვანა. ბატონიშვილისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. მართალია, მარკიზმა ის ტყბილად მიიღო და „მრავალი ნიჭით აღვსება“ აღუთქვა, მაგრამ გრიგოლი მიხვდა, რომ ბრძოლა წაგებულნი ჰქონდა და უკან დასახევი გზა აღარსად ჩანდა.

და აი ახლა პეტროზავოდის ციხეს მჯდომი ბატონიშვილი იგონებს ყოველივეს და წყევლა-კრულვას უთვლის, მწარე სიტყვით ჰკილავს და ანადგურებს „იუდა“ ანდრონიკაშვილს.

„კამბეჩოენსა აღზრდილმან ზაქმან ზაზამან წყეულმან,
პატრონის ორგულობაზედ სანიადაგოდ ჩეეულმან,
იუდას მსგავსად ვერცხლისა მოყვარებითა ძლეულმან,
ანგაარებით დანთქმულმან, კერპთმსახურებით სნეულმან.
ჩემის შეპყრობით ჟილდოსა მიელის ზაზა ვიცია,
მაგრა ეკითხვის უთუოდ ეგზომ სიცრუით ფიცია.
ზესთა მსაჭული ყოველთად მრწამს მოსამართლე მტყიცია,
ვერა რა ირგოს მხტომელმან დარჩეს, ვეთ ურა კვიცია!

პეტრე ლარაძისა და გრიგოლ ბაგრატიონის სატირული ლექსებისა საშუალებით ნათლად იხატება ზაზა ანდრონიკაშვილის პიროვნება, როგორც ცბიერი და გაიძვერა, ინტრიგანი და ვერცხლისმოყვარე მოხელისა, რომელიც პირადი გამდიდრებისა და განდიდების მიზნით არავითარ საშუალებას არ თაკილობს და არაფერს არ ერიდება.

*
* * *

გავიდა ერთი წელი და გრიგოლ ბატონიშვილი გათავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან. ქართული სამეფო დინასტიის წარმომადგენელნი კარგა ხანია უკვე რუსეთში იყვნენ გადასახლებულნი. ჯილდოთი, სამხედრო წოდების მინიჭებით თუ სხვა საშუალებით რუსეთის მთავრობა ცდილობდა დაევიწყებინა ის განსაცდელი, რომელიც მათ თავს დაატყდათ. სწორედ ამის გამო დაივიწყა რუსეთის მეფემ გრიგორის დანაშაული და ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლა კიდეც ციხიდან.

1815 წლიდან გრიგოლ ბაგრატიონს მეფის რუსეთის ჯარში ვხვდავთ. კერძოდ, ის მონაწილეობას იღებს ლაშქრობაში, რომელიც ნაპოლეონის წინააღმდეგ არის მიმართული. შთაბეჭდილებანი ლაშქრობის შესახებ გრიგოლმა აღწერა თავის „მოგზაურობაში“²¹.

მოგზაურობამ მხოლოდ ერთი ხელნაწერის სახით მოაღწია ჩვენამდე, თხზულების შესავალში ავტორი გვამცნობს:

„ოდესცა ვმსახურებდი რუსეთისა იმპერატორსა ალექსანდრეს რუსეთისა მხედრობასა თანა და შემთხვევის გამო მოუხდა რუსეთის ხელმწიფესა ფრანციასთან აშლა და გალაშქრება წელსა 1815 და მეცარადგან მუნ ვმსახურებდი და წარმოგვეზაენეს მთლად ღვარდია ქვეითნი და ცხენოსანი პეტერბუხით და მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა რააცა ვნახე თვალითა ჩემითა საკვირველი ანუ სანახაეი ამას ქვეითდაიწერება“.

ჩანს, რომ გრიგოლ ბატონიშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა აღეწერა მთელი ლაშქრობა. შემორჩენილი ხელნაწერი დღიურის სახითაა

²¹ კ. ქეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H — 2178.

წარმოდგენილი. ხელნაწერი ხუთ ფურცელს შეიცავს და ვილნოში ყოფნის ამბით იწურება.

ბატონიშვილს მახვილი თვალი და მრავალმხრივი ინტერესი ჰქონია. ის ყოველმხრივ აღწერს იმ ადგილებს, თუ ქალაქებს, რომლებიც მას უნახავს. მაგალითად, საკმაო სისრულით არის წარმოდგენილი ქალაქი ვილნო, რომელშიც მას 3 დღე გაუტარებია. გრიგოლი აგვიწერს ქალაქს, მის ღირსშესანიშნაობებს, შემოგარენს, თეატრს, რომელიც მას პეტერბურგის „უეკითა თეატრთან“ შედარებით არ მოსწონებია, და განსაკუთრებით ხალხს. „ზემო ხსენებულსა ვილნისა ქალაქსა შინა არის ხალხი დია მშვენიერი, — წერს გრიგოლი — რომელი ვსთქვა, უკეთესი არსად მინახავს. ნამეტნავად ურიათა ქალნიო“. მაგრამ ვილნოს სილამაზის გარდა ბატონიშვილი ამჩნევს იმასაც, თუ როგორ ცხოვრობს ეს ხალხი, როგორ აცვხა მას. „ბუნებითი მცხოვრებნი პოლშისანი არიან ვითარცა ქართველნი მოარულნი კაბითა, სარტყლითა და ჩიბლეტებით, ესე იგი ჩახჩურებით და ჩოხა ბარნითა მოარულნი, ვითარცა ბუნებით ქართველნი“.

გრიგოლ ბატონიშვილი ყოველივეს სამშობლოში ნახულსა თუ გაგონილს ადარებს. მდინარე ნარვის აღწერისას ის შენიშნავს: „მდინარე ესე ჰყოფს ქალაქსა ორად და შუასა ადგილსა ქალაქისასა არის გორა ამოსული. მას ზედა ციხე ძველებური ნაშენი, და თუმცა პატარა არის ქალაქი, მაგრამ დია მშვენიერი არის და მდინარე ეს იქმნების ორის მტკეპარისა ოდენი და ღრმა“.

გრიგოლი დაწვრილებით გადმოგვცემს ყველაფერს, რაც მისთვის უცხო და საკვირველია. დეტალურად აღწერს კათოლიკურ სასაფლაოს, რომელიც მას უნახავს, ან ქონდრის კაცსა და მასთან შეხვედრას ვილნოში.

ბატონიშვილი საკმაოდ ენამახვილი და ობუნჯი კაციც იყო და ამ თვისებას არც „მოგზაურობაში“ დალატობს. აი ერთი დამაზახსიათებელი მაგალითი: „მე მეგონა რომ ეს იამბურლის ქალაქი დიდი რამ იქნება მეთქი. ოდეს მოვედით ზასტავასა ზედა, ენახე ერთი ყასამაა ადგილი და ერთი საყდარი, და მოგვეგება წინ ერთი დაპანკლილი კაცი, ბერი, კბილი არცერთი არა ჰქონდა. ვკითხე ჩემს ამხანაგსა აფიცარსა — ეს ბერი კაცი ვინ არის მეთქი. მან მითხრა: ამ ქალაქის გოროდნიჩიო. გავიციხნეთ ორთავ, და ერთმანეთს უთხარით, როგორიც ქალაქია, იმისთანა გოროდნიჩიცა ჰყავსო“.

ასევე ხუმრობის კილოთი გადმოგვცემს გრიგოლ ბატონიშვილი თავის შესვლას იამბურგის ეკლესიაში „და მას იამბურლის საყდარსა შევედი წირვასა ზედან ნაბლითა და ოდეს ხალხმა იქაურმა მნახა, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: აი ყაზახების პოპიო! და ჩვენ აფიცრები

ვიცინოდით და მოდიოდა ხალხი და ხელსა მემთხვეოდნენ ხოლმე. მეც ჯვარსა ვსწვრიდი და ხელს ვაძლევდი და ვიცინოდი“.

განსაკუთრებით მოსწონებია გრიგოლს პოლონეთი და მისი ზალხი. „ოდეს შემოვედი პოლშის მამულსა, დია უცხო მღებარეობა ადგილისა არის წყლიანი გორებიანი. ალაგ მინდორი და ალაგ ტბა. და დია უცხო აზნაურნი ყოფილან პოლშისანი. საცა მოვედით სულ დაგვხვდნენ აზნაურნი ყოველს სტანციასა ზედა და მიგვიღებდენ ტკბილისა გულითა და გვიმასპინძლიან“.

თავის „მოგზაურობაში“ მწერალი ცდილობს კეთილსინდისიერად აღწეროს ყველაფერი, რაც მან ნახა და რამაც მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენი აზრით, ეს არის ფრაგმენტები, ნანახისა თუ განცდილის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ გაკეთებულ ჩანაწერები, იმ ხასიათის ნედლი მასალა, რომელსაც დღესაც აკეთებს ხოლმე უბის წიგნაკში უცხო ქვეყანაში ჩასული კაცი და რომლის შემდგომი გადამუშავების საფუძველზე იქმნება „მოგზაურობა“. შესძლო თუ არა გრიგოლ ბატონიშვილმა ამ მასალის დამუშავება, ამის შესახებ ამჟამად ვერაფერს ვერ ვიტყვით, რადგანაც არც ის ვიცით გააგრძელა თუ არა მან დღიურების წერა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ხელთა ვვაქვს გრიგოლ ბატონიშვილის კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელიც უკავშირდება მის ყოფნას უცხოეთში. ეს არის „ქართლის ცხოვრების“ გალექსილი ვარიანტი, რომელსაც ავტორი უწოდებს „გარდასავალი ჩვენი საქართველოსა და ეგრეთვე საქართველოსა მცხოვრებთა ამბავი“²².

თხზულების დაწერა გრიგოლ ბატონიშვილს ერთმა გარემოებამ გადააწყვეტინა. რუსეთის ჯარი პრალაში ორი კვირით შეჩერებულა. გრიგოლი გადმოგვცემს, რომ ის ქართული ტანსაცმლით. მორთული უცხო ქალაქს ათვალეირებდა. უცხო, ახოვანი ვაჟკაცის გამოჩენამ ბევრის ყურადღება მიიპყრო. ერთ-ერთი მათგანი დაინტერესებულა მისი ვინაობით და „ოდეს სცნა ჩემი მეფეთ ტომობა — წერს გრიგოლი — შევატყვე, რომ განიხარა და მთხოვა და მიმიწვია სადგომსა თვისსა და მეცა გავყე“. გრიგოლის მასპინძელი მდიდარი ამერიკელი მოგზაური ლოფმან გურანოვი ყოფილა. ის გარკვეული მიზნით მოგზაურობდა — „ყოვლისა თემისა ამბავი ვსცნო და ყოვლისა დიდთა სახლისა, ესე იგი მეფეთა ამბავი აღვსწერო, რომელ შრომა ჩემის მეცნიერებისა არა წარხდეს და სიარული ჩემი არა გაცუდდეს, რომელ მწადს... ჩემგან დანახულნი ქვეყნისა ისტორიანი იკითხებოდეს“. გუ-

²² სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინ-გრაძის განყოფილების ხელნაწ. ფონდი E — 79.

რანოვი ძალზე დაინტერესებულა საქართველოს ამბებით, მისი ბუნებით, ხალხით, მეფეთა ცხოვრებით. გრიგოლსაც დაუკმაყოფილებია უცხოელის ცნობისმოყვარეობა და პასუხი გაუცია მის ყველა კითხვაზე: „დავსდევ ყოველივე სიტყვა შაირად და ყურთათვის საამოდ, რომელნიც მსმენელნი იღებებთ ამა შაირთა ყურისა გდებითა“.

გრიგოლის ეს განცხადება ქრთგვარ ეპქეს იწვევს. არა გვგონია, რომ მისი ქართულად დაწერილი თხზულება გასაგები ყოფილიყო გურანოვისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გრიგოლის უცხოელის იმდენ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა, ამ დროს იმდენი მოგონება წარმოიშალა, რომ სამშობლოს მოშორებულ ბატონიშვილს საქართველოს ისტორიის, მისი ბუნების, მისი ყოფის ქალაქადლე გადატანა მოუხდა და ლექსად თქვა კიდევ.

თხზულებას ეტყობა, რომ ავტორისათვის წარმშართავ ბიძგს მოგონებათა ნაკადით მიღებული შთაბეჭდილება წარმოადგენს.

პოეტის ისტორიული ნაწილი ძალზე სქემატურადაა წარმოდგენილი. გრიგოლი გურანოვს ქართველ მეფეთა ისტორიას უამბობს. თუმცა აღნიშნავს, რომ ერთ თხზულებაში მას არ ძალუძს ყველა მეფის ცხოვრების აღწერა, მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებლად მიაჩნია, ამიტომ პოეტი ცდილობს მხოლოდ მნიშვნელოვან მოვლენათა და მეფეთა ცხოვრების აღწერა მოგვეცეს. ის არჩევს მეფეებს მათი დამსახურების ნიხედვით. პოეტი ჩერდება ბიბლიურ დავითზე, როგორც ქართული სამეფო გვარის მამამთავარზე, ბაგრატზე, რადგანაც „ბაგრატის გამო გვეწოდა ჩვენ გვარად ბაგრაციონი“, შედარებით უფრო დეტალურად აღწერს თამარის მეფობას, როდესაც საქართველოს არ ჰქონდა ურვანი,

ქართველნი მდიდრად ცხოვრობდენ, არც მოვიდგაო ზრუნვანი,
მეფე წყალობას გასცემდის არავინ ჰყვანდა მღურვანი.

თამარის შემდეგ მძიმე დღე დაუდგა საქართველოს, დაიწყო მონღოლთა შემოსევა. პოეტის სიტყვით თემურ-ლენგმა „ქართველნიც ასე აოხრა, თითქოს დაგვიშრო წყალია“. ამ ხნიდან მოყოლებული ქართველებს თითქმის აღარ მოუსვენიათ. პოეტი აღწერს შაჰ-აბასის დამარბველ ლაშქრობებს და ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას. პოემაში აშკარად შეინიშნება ტენდენცია ქართველ მეფეთა გმირულ-რომანტიზირებული პორტრეტების შექმნისა, თუმცა ბატონიშვილს არც ის ავიწყდება, რომ საქართველოს მხოლოდ კარგი მეფეებია არ მართავდნენ. თამარის გარდაცვალების შემდეგ, წერს პოეტი

ოთხასი წელი გავიდა ერეკლეს გამოჩენამდე,
ბევრთა მეფეთა იმეფეს, თითქმის. ასორმოცათამდე,

სპარსთა მრავალგზის წარსტყვევნეს, ჩვენ ველარა ვართ-დამქალდე.
ხან გვიქდის მძლავრი მეფეი, ხან გლახა, სუსტი, ავადე.

პოემის ხელნაწერი ნაკლულია და სწორედ იქ წყდება, სადაც თხრობა ერეკლეს მეფობას უნდა შეხებოდა. ერეკლესადმი სულ რამდენიმე სტროფია მიძღვნილი, მაგრამ მაინც ჩანს, რომ გრიგოლ ბატონიშვილი განსაკუთრებული სიყვარულითა და მოკრძალებით ხატავდა თავისი სახელოვანი პაპის სახეს.

პოემის ისტორიულ ნაწილში გრიგოლი ჩშირად გვაძლევს ბატალური სცენების აღწერას, რაც მას შედარებით კარგად ეხერხება. საინიშუოდ მოვიყვანთ ერთ სურათს, შაჰ-აბასის ერთ-ერთი შემოსევის დროს ქართველთა მეფე ფშავეში გამაგრდა. ბტრის მოწინავე ჯარი საფარს მიუახლოვდა.

„შააბასისა ჯარები შევიდნენ სრულად ვიწროსა,
თორები განკვირებულნი კვირობენ ვასაკვიროსა,
ფშაველთა ჯარი არა მსჩანს, არც შეომარა თუ არსა,
ამ დროს იდროეს ფშაველთა მოასწრეს უკან წინოსა.
შეიქმნა ომი სასტიკი მკურეტელთა მოსანდომია,
სულ დაერივნენ ერთმანეთს, ერთმანერთისა მხმობია,
ფშაველნი გაშმაგებულნი იბრძოდნენ ყოვლნი მღომია,
კჳარ, მოკალ, შეკჳარ, შეიბჳარ, ხელს ხმალი მოსახლომია“.

პოემას მეტად საინტერესო შესავალი აქვს, სადაც საქართველოს ბუნება და მისი ფრინველთა, თუ ცხოველთა სამყაროა აღწერილი. გრიგოლი სიყვარულით გვიხატავს თავისი სამშობლოს მთებს, ველებს, მდინარეებს, უძღურისა და ავადმყოფის განმკურნებელ მოჩუხჩუხე წყაროებს, ტყეებით დაფარულ სერებს, რომლებშიც ურიცხვი ნადირი და ფრინველი ბუდობს. პოეტი სათითაოდ ჩამოთვლის ქართული მიწის დოვლათს, პურს, ღვინოს, ხილს, რომლის მსგავსი ჯერ არცერთი ქვეყნის მიწას არ მოუცია. ღვთისმშობლის წილხდომილ კუთხეს ყველაფერი უხვად აქვს ნაბოძები და ამიტომ არის ესოდენ ძნელი ამქვეყნიურ ედემთან დაშორება.

დამრჩა სხვაც ბევრი სათქმელი, რომელ ვერ მომიგონია,
ამ თემის მკარგსა, იფიქრე, რა ცუცხლი გულსა მქონია,
რადგან იმ თემის კაცი ვარ, ჯავრი მით მომიფონია.
ვინც მკითხავს. ვარქვამ ამბავსა, თავისცა მომიწონია.

სამშობლოს მოშორებული ბატონიშვილი უცხოეთში უცხოკაცს თავისი მიწის მშვენებასა და ბარაქას უქებს. იგონებს საქართველოს, მის ყოველ კუნჭულს და ეს მოგონება შევებას გვრის, დამძიმებულ გულს უმსუბუქებს. პოეტი აღტაცებულია თავისი მიწის სილამაზით,

სიმღიღრით და ეს ზეაწეული ტონი, რომლითაც არის დაწერილი პოე-
მა, ერთგვარად ანელებს იმ უსიამოვნო შთაბეჭდილებას, რომელსაც
ზოგჯერ ლექსის სისუსტე იწვევს.

სხვა ნაწარმოები, რომელიც ბატონიშვილის ცხოვრების ამ ხანას
ეხმაურებოდეს, არ გვხვდება. არც მისი ბიოგრაფიიდან ვიციტ ბევრა
რამ. ცნობილია მხოლოდ, რომ ის ასტრახანის კაზაკთა პოლკს მეთაუ-
რობდა. ცხოვრობდა ხან ასტრახანში და ხან პეტერბურგში, რამდენ-
იმეჯერ ჩამოსულა საქართველოშიც.

გრიგოლს ცოლად შეურთავს ვარვარა (ბარბალე) ფეოდოროვნა
(გარდ. 1876 წ.) მათ შესძენიათ ოთხი შვილი: ორი ვაჟი იოანე და და-
ვითი და ორი ასული ქეთევანი და ეკატერინე. გრიგოლის შვილებიდან
ქართული კულტურის ისტორიას მხოლოდ ივანეს სახელი შემორჩა.
ივანე გრუზინსკი რუსეთში იყო დაბადებული და აღზრდილი. საინტე-
რესოა, რომ პაპისა და მამის სიკვდილის შემდეგ 4 წლის ასაკში დარ-
ჩენილ ივანეს არავინ დარჩა, რომ საქართველოსა და ქართული კულ-
ტურისადმი სიყვარული ჩაენერგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან
დიდი ამაგი დასდო ჩვენს მწერლობას იმით, რომ ნახევარი საუკუნის
განმავლობაში სათუთად შეინახა იოანე ბატონიშვილის მდიდარი კო-
ლექცია, კიდევ უფრო გაამდიდრა ის და გარდაცვალების წელს გა-
დასცა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკას.

გრიგოლი ცხოვრების უკანასკნელ წლებში მატერიალურ სივიწ-
როვეს განიცდიდა. ის იხშირად მიმართავდა იოანე ბატონიშვილს და-
ხმარებისათვის.

გვედრები, შეისმინო, მოხსენებად ესე კმაღის,
ნულარ მარებ მე ქვეითად, სიცოცხლე მჰირს მეტად მწარის,
მომიბოძო მე ულუფა, ხაზინაში წესად ამის,
განმინათლო გონებანი, ღრუბელი პუო ჩემთვის დარის.

მაგრამ, როგორც ირკვევა, მამასაც არ შესწევდა ძალა მისთვის
სისტემატურად დახმარების გაწევისა.

სამხედრო სამსახურიდან თავისუფალ დროს გრიგოლი ინტენსი-
ურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა, გადაწერს ხელნაწერებს,
თარგმნის, აგროვებს წიგნებს. გრიგოლს ადრევე გადაუწყვეტია ხელ-
ნაწერი კრებულის შედგენა, სადაც თავს მოუყრიდა როგორც თავის,
ასევე სხვა წარსული დროისა და თანამედროვე პოეტების შემოქმე-
დებს.

იოანე ბატონიშვილის კოლექციაში დაცულია ვახტანგ მეფის მიერ
დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ მე-19 ტალი. პოემის ეს ტალი ჩვენ-
თვის საინტერესოა იმითაც, რომ მასში აკინძულია ფურცლები, რომ-

ლებიც შეიცავს გრიგოლ ბატონიშვილის ხელით დაწერილ 34 ლექსს. ეს არის გრიგოლის მიერ კრებულის შედგენის პირველი ცდა²³.

არსებობს მეორე, შედარებით უფრო სრული (12) ლექსის შემცველი) ანთოლოგია, რომელიც გრიგოლს 1824 წლის შემდეგ უნდა შეედგინა. მეტად საინტერესოა აღნიშნული კრებულის მიზანი. გრიგოლი წერს: „მე მეფის ძის ძე გრიგოლ დიდის გულისმოდგინებით ვეცადე, რომ შემეკრიბა ძუჭლთაგან თქმული მუნასიბნი ანუ სიმღერისა ლექსნი, ანუ ზმანი ანუ იამბიკონი, ანუ ოხუნჯობანი, რაჟცა ძალმედუა, ვეცადე, ან ვის რა უთქუამს ერთმანეთისათვის ხუმრობა-მასხრობა და თქვენცა გვედრებით კითხუშლ-მსმენელნო, თუ გავონებით, ანუ იცოდეთ ლექსი ანუ ზმანი, ანუ ოხუნჯობა, ჩასწეროთ წიგნსა ამას შა, რათა არა დაეკარგოსთ ქართულშლთა ენა და ლექ(ს)ი ანუ ხუმრობა თვისი, ვინადგან ჩამოთესლდნენ ქ(ვე)ყანასა ჩნსა უცხო თესლნი და უცხო თესლთა მათ ჰნებავსთ ახოცა ჩუჭნისა მშვენიერისა და ტკბილმოზუმარისა ქართუელთა სიტყვისა, ვინაიდგან იქნება წიგნისა შა შთაწერილი, ამისთვის არლა შესაძლებელ არს დაკარგუად ლექსისა, გინა ხუმრობისა, გინა ოხუნჯობისა“²⁴.

როგორც ვხედავთ, გრიგოლს პატრიოტული მიზნები ამოძრავებდა. მას გულთ სურდა, რომ არცერთი სიტყვა, არც ერთი ლექსი, რომელიც ქართველი კაცის ხელიდან იყო გამოსული, არ დაჰკარგოდა შთამომავლობას. ამავე დროს კრებულს სპეციფიკური დანიშნულებაც გააჩნდა, კერძოდ, გრიგოლს გადაწყვეტილი ჰქონდა თავი მოეყარა სატირულ-იუმორისტული ხასიათის ნიმუშებისათვის. ანთოლოგიაში უნდა შესულიყო ზმები, მუნასიბები, ოხუნჯობა-ხუმრობანი, ანეკდოტები.

მაგრამ კრებულზე მუშაობის დროს ბატონიშვილმა ვერ შესძლო ალებულნი გეზის ბოლომდე გატარება. ამიტომაც ჩვენაწერში სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსების გვერდით გვხვდება სხვადასხვა პოეტის სამოქალაქო მოტივების შემცველი ნაწარმოებები, სატირული ლექსები, ანბანთქებები და სხვა. სულ კრებულში 18 ავტორია წარმოდგენილი. გრიგოლ ბატონიშვილი ამა თუ იმ ლექსის გადაწერის დროს ცდილობდა აღენიშნა ამ ლექსთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი. ზოგიერთი მათგანი თანამედროვე მკვლევარებისათვის ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს.

გრიგოლ ბატონიშვილმა ანთოლოგიაში შეიტანა საკუთარი ლექსებიც. ეს ლექსები შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ: ტუსალობის ხანის

23 ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, გვ. 8—31.

24 ხელნაწ. ინსტ. H — 2130, გვ. 1.

ლექსები, რომელთა შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ, სატრფიალო ლექსები და სატირულ-იუმორისტული ჩასიათის ნაწარმოებნი.

თავისი პოეტიკის ძირითადი პრინციპებით გრიგოლ ბატონიშვილი ძველი ქართული პოეზიის ოსტატთა ერთგულ მოწაფედ რჩება. კერძოდ, თავის სატრფიალო ლირიკაში იგი სავსებით კმაყოფილდება უკვე არსებული, მრავალგზის ნაცადი და საბოლოოდ ჩამოყალიბებული მწატრეული საშუალებებით. მისი პოეტური აზროვნება არსებითად ტრადიციულია და თავისი შთაგონების მთავარ წყაროს ძველ პოეტურ სამყაროში პოულობს.

ბატონიშვილის შთაგონებისა და აღტაცების მთავარ საგანს საყვარელი ქალის ხორციელი მშვენება წარმოადგენს.

ეჰა მთიებო, გვეედრები მე განმანათლო,
მზის უმჭებეო, მშვენიერო, ჰაერთა მნათო.
ბანოვანთ დისკო, კეკელ კაო, ნარნართა თაო,
ბანგ-მოსილობით მოხდომილო რიდმოსართათა:
მელნისა ტბანი, გარსხდომილნი ზღვა შესართაო,
ზაჰაზხო იავ, ნარინჭებით სუნოვან ვარდო,
ტბილ საუნოსელო, სუსამბარო, ეთეროვანო,
მე გლახ დამწვარსა, შენის ეშხით მკელავ ნახიანო.

ისევე როგორც ბესიკის სკოლის სხვა პოეტები, გრიგოლ ბატონიშვილიც შესჩივის სატრფოს გულცივობას, მიუკარებლობას. პოეტია თავის სატრფიალო გრძნობას სხვადასხვა ვარიაციებით წარმოგვიდგენს, სხვადასხვა ემოციურ ასპექტში გადმოგვცემს.

თავისი სატრფიალო ლირიკით გრიგოლ ბატონიშვილი ერთგული რჩება ძველი ქართული პოეზიისა და ამ ტრადიციული ფორმების გამოყენებისას ის იშვიათად ახერხებს საკუთარ ლექსებში ცოცხალი პოეტური სულის შთაბერვას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ბატონიშვილს თავისი კრებული შედგენის დროს გადაწყვეტილი ჰქონდა მასში შეეტანა ძირითადად საოხუნჯო, ტკბილმომხუმარი ქართული ლექსები. და მართლაც, კრებული ამ მხრივ შესანიშნავ მასალას შეიცავს.

ზაზა ანდრონიკაშვილი რომ არ ვაჩხენოთ, მწარე სატირა დაუწერია გრიგოლს იონა ხელაშვილზე. პირველად გრიგოლსა და იონას შორის კეთილი დამოკიდებულება სუფევდა. იონა თავს გრიგოლის მასწავლებლად თვლიდა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის H — 2226 ხელნაწერში გვხვდება წერილი, რომელსაც იონა გრიგოლს სწერს. ამ წერილში ის დიდი სიყვარულით მიმართავს ბატონიშვილს და ატყობინებს, რომ შეუსრულა თხოვნა და გამოუგზავნა ფსალმუნის განმარტებანი. მაგრამ როდესაც თეიმურაზ ბატონიშვილსა და იონა ხელა-

შვილს შორის შუღლი ჩამოვარდა, გრიგოლმა მხარი დაუჭირა ბიძას და მწარე სატირა დაწერა იონა ზელაშვილზე.

ვითომ სიბრძნესა ჩემულობს, იქცევის ვითა ცუკია,
კუნჯულით ღმერთსა ატყუებს, სიბრძნის ტყუილა ცრუკია,
შავისა ანაფორითა ჯორზედ არს შესაჯუკია.
ამ გვარის საქმის მოქმედი, ცეცხლშია დასახრუკია.

სატირა ძალზე მწარეა. სწავლული ბერი აბუჩად არის აგდებული და გამასხარავებული.

გრიგოლ ბატონიშვილმა დაწერა იუმორისტული სურათი საყოფაცხოვრებო თემაზე. აქ დაცივნის ობიექტად ქცეულა ქალის გათხოვება. პოეტი ირონიული ღიმილით აგვიწერს ქორწილისათვის სამზადისს, ჯვრისწერას, მეჯლისს, დასცივნის ქალიშვილის გაბედნიერებით გახარებულ დედას და გულუბრყვილო ქალიშვილს, რომელიც ყველაფერზე „ნი ხაჩუს“ აცხადებს. სურათში საკმაოდ ბევრია გაბედული ეროტიული ორაზროვნება, რაც მას მეტად ფრივოლურ ხასიათს აძლევს.

იუმორით სავსე ექსპრომტები მიუძღვნია გრიგოლს თავისი ბიძებისათვის მიხეილ, ილია და ოქროპირ ბატონიშვილებისათვის, რომლებსაც ერთი ქალი დარია ნიკიტიჩნა, თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლის „კომპანიონკა“, შეყვარებიათ.

კრებულში უხვად არის წარმოდგენილი ანექდოტები, რომელთა დიდი ნაწილი ერეკლეს სამეფო კართანაა დაკავშირებული. გრიგოლს შეუგროვებია სხვადასხვა პირთა მოსწრებული თქმანი და ოხუნჯობანი. აი ერთი მათგანი, რომელიც თვით გრიგოლს ეკუთვნის.

„პეტერბუხში მეფის ძის დაეთის სახლში ვართ სამეფოს სახლის შვილები ერთად შეყრილნი და სადილათ დავსხედით. დიდად შევექეცით. ჩამოვარდა საქართველოზედ ამბავი და კურთხეულმა დავით ბატონიშვილმა ბძა[ნა]: „ნეტავ ასი ათასი სვიმონ ბებურიშვილისთანა კაცი მომცა და უცებ დამადგო ჩვენ ქალაქშიო“. მე, ბატონისშვილმა გრიგოლმა გავიციინე და მოვასხენე: „ბატონო, ბებურიშვილი სვიმონ რა საჭირო არის მეთქი. აი ეს ბიძათქვენი მირიან და თქვენი ძმა ბაგრატ, რომ ერთ ალაგს იყვენენ, ჯარი რაღა საჭირო არის მეთქი“. განსვენებულმა იმოდენა იცინა, რომ იძახდა ვაჰ მუცელიო!“ ეს სურათი ნათლად წარმოგვიდგენს ბატონიშვილთა ყოფას. მათ ოცნებებსა და მისწრაფებებს. გადასახლებაში მყოფნი, მაინც არ კარგავდნენ სამშობლოში ძლევამოსილად დაბრუნების იმედს. ყოველი თავშეყრისას მათ წინაშე მხოლოდ ერთი საკითხი იჭრებოდა. ლაპარაკის თემა ერთი იყო — წარსული დიდების მოგონება და ამ მოგონების სიმწარეს 3. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები

ცრემლიანი ღიმილით ჰფარავდნენ. როგორც პლ. იოსელიანი წერდა: „ესრეთ სიცილით მოიგონებდნენ საქმეთა წარსულთა (პატონიშვილნი) და მხიარულობითა განაზავებდნენ მეფობისა ღირსებათა თვისთა და პატივისა დაკარგვისა სიმწარესაო“²⁵.

გრიგოლ ბატონიშვილის კრებული შეიცავს მის მიერ რუსული ენიდან თარგმნილ ლექსებსაც.

ამგვარად წარმოგვიდგება „გარდამავალი ხანის“ ქართული მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენლის გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონის შემოქმედება.

25 პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა, გვ. 77.

ზივი შიკაძე

ძველი საქართველოს პოეტი ქალები

ძველი ქართული მწერლობა არაერთი პოეტი ქალის სახელს იცნობს, რომლებმაც თავისი მხატვრული ქმნილებებით გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართულ პოეზიაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკმაო ლიტერატურა ძველი ქართველი პოეტი ქალების ცხოვრება-მოღვაწეობაზე, ზოგიერთი მათგანის ცხოვრება და ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს. აქვე გვინდა გავარკვიოთ რამდენიმე უცნობი პოეტი ქალის ვინაობა და მათი ლიტერატურული საქმიანობა.

1. ბარბარე ბაბრათიონი

დავით რექტორის ცნობილმა ლექსთა კრებულმა შემოგვინახა ბარბარეს ორი თითოსტროფიანი ლექსი: ერთი დაწერილია ბეგუმის სახელზე, ხოლო მეორე მიწერილია დავით რექტორისადმი.

დავით რექტორსა და მზექაბუკ ორბელიანს ნაიბის ქალის ბეგუმის სახელზე დაუწერიათ თითოსტროფიანი ლექსები. როგორც ჩელნაწერი კრებულიდან ჩანს, ბეგუმი ყოფილა დავით რექტორის ნათლია¹.

აღნიშნულ ლექსებს თავისი ლექსი მიუწერა პოეტმა ქალმა ბარბარემაც, რასაც გვამცნობს დავით რექტორი: „ეს (ლექსები. — გ. შ.) იოანე მუხრან-ბატონის დედას ბარბარას ამ შაირებთან დაეწერაო². შემდეგ მოყვანილია ლექსი:

ორთა ბრძენთაგან შემკულა ტურფა სრა, თვალთა ჩინება,
საამო, შეენიერები, გარემო წყალთა დინება,
სურნელებითა აღვსილი სალხინოდ გულმან ინება,
აღნაგთა ხატვა ავლია, ჭიქებ ფერადთა მინება.

¹ S 105, ფ. 66v და 111v.

² S 105, ფ. 66v.

ბარბარეს მეორე ლექსიც ბეგუმთანაა დაკავშირებული. დავით რექტორმა თავის ნათლიაზე სახუმარო ლექსი გამოთქვა, რის გამოც ბარბარემ ბეგუმის მაგივრად დავითს ლექსითვე უპასუხა. ამაზე დავით რექტორი წერს: „ჩემს მომნათლავს ბეგუმს უხუმარე ხელაშვილის იოსებზედო“³ და იქვე მოჰყავს ერთსტროფიანი ლექსი. ამ ლექსის შემდეგ ვკითხულობთ: „ბარბარეს ბეგუმის მაგივრად ჩემთვის მიეწერა პასუხად:

მსცემერთულს ჰვიობ, ჰბუჟო, კარგენავ, კარგსახედაო.
თვისი მსურავი ტრფიალი მამძებნა, ძლივ მამხედაო,
შენ ხარ ძე იაკობისა, მიწუნებ მასახედაო,
გული განმემსტრო სიშორით, მისს ჰაერს ვერა ვხედაო“⁴.

ეს პოეტური გააპექრება ამით არ დამთავრებულა. დავითმა ლექსებითვე უპასუხა ბარბარეს⁵:

ბარბარეს პასუხად მიმკსწმრდ

ნიშნი ერმისა ბუნებით მკვირან ტიალთა დაგვარა,
ერმის მეტალით შემჰვეერვა მის ანაგებით დაგვარა,
მის ყმისა სრათა ლერწამთა შესხმის ყვაილით დაგვარა,
ეთერის სფერით ორბის ფრთით, ვითარ შზე, ზენა დაგვარა.

მსამ მასმი ბარბარას

სოფელი ხედრთა არ ძვირობს, არა შენ კერძცა იარა,
რად მოსარჩლეობ პირველ ვარდ ამისგან კიდე იარა,
თავსა აბრალბ მარკენთა, მისთვის მიართვ მას იარა,
რასა ემუდრვი, ჰე, მოგფენს, განკურნოს წყლულთა იარა.-

როგორც ჩანს, ბარბარესა და დავით რექტორს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, რადგან დავითი ბარბარეს სხვა შემთხვევაშიც ლექსებით მიმართავს: „ღამბერეს ჰამო ნიაეთა სამეგობროთა ქროლებითო“⁶.

ბარბარეს ლექსები დაცულია რუსეთის სიძველეოსაცავებშიც⁷. ამ

³ ს 105, ფ. 67v.

⁴ ი ქ ვ ე, ფ. 67r.

⁵ ი ქ ვ ე.

⁶ ი ქ ვ ე, ფ. 83.

⁷ სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, E 49; ლენინგრადის საქარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 76. აზიის ხალხთა ინ-ტში დაცულ E 23 ხელნაწერში შეტყობით ბარბარეს მიეწერება ბესიკის ლექსი „ჰაერი ციენამიანი“ (ბ ე ს ი კ ი. თხზულებანი. აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედ., 1962, გვ. 223).

ლექსებზე ყურადღება გაამახვილა ტ. რუხაძემ, თუმცა მისთვის ცნობილი არ იყო ბარბარეს ვინაობა. მეკვლევარი დასძენდა: „ახლა ძნელია იმისი გარკვევა, თუ რომელ მუხრანბატონის დედას ერქვა ვარვარაო“⁸.

ვინ არის პოეტი ქალი ბარბარე?

დავით რექტორის სიტყვით, ბარბარე ყოფილა იოანე მუხრანბატონის დედა. იმ დროისათვის კი ცნობილი იყო მხოლოდ ერთი მუხრანის ბატონი იოანე, ძე კონსტანტინესი. ე. ი. ბარბარე არის კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე და იოანე მუხრანბატონის დედა⁹. საქ. ცენტრარქივში დაცულია ერთი საბუთი, რომელშიც ერთად არიან მოხსენებული კონსტანტინე მუხრანბატონი, მისი მეუღლე ბარბარე და შვილი იოანე. აღნიშნულ საბუთში ვკითხულობთ: „მუხრანის ბატონი სვიმონ მუხრანის ბატონს კონსტანტინეს ცოლს ბარბარეს და იმის შვილს ივანეს ნასყიდს მიწაზე — ვაჟიაურზე ელაპარაკებოდა... მუხრანის ბატონს კონსტანტინეს იმ ვაჟიაურის მიწაში ვაზი ჩაეყარა და ის ვენახი ველარ მოვშალეთ“¹⁰.

კონსტანტინე მუხრანბატონი იყო ქართლის სამეფოს სახლთუხუცესი და შეუდრეკელი სარდალი. ის გამოიჩინებოდა, როგორც ჰკვიანი მმართველთაგანი. კონსტანტინე ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ქართლის პოლიტიკურ თუ სამეურნეო ცხოვრებაში. კარგად არის ცნობილი მისი შეუპოვარი ბრძოლა ლეკიანობის წინააღმდეგ. ერეკლემ და თეიმურაზმა „უბოძეს ჯარი ქართველთა მუხრანისა ბატონს სალთუხუცეს კონსტანტინეს და გაისტუმრეს მონაპირედ და პასუხისა მიცემად მტრისა“¹¹... ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ თეიმურაზ II-მ, როდესაც სადროშოებისათვის საგანგებოდ გააკეთებინა ოთხი დროშა, კონსტანტინეს ჩააბარა მეორე დროშა¹². ამ დროშის წარწერა ამჟამად გამოქვეყნებულია¹³.

⁸ ტ. რუხაძე, უცნობი პოეტი ქალები, ლიტ. საქართველო, 1941, 24 იანვარი, № 4; მისივე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან. 1954, გვ. 151.

⁹ გ. მთქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ლიტ. გაზეთი, 1955, 21 ოქტომბერი, № 42.

¹⁰ დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 169.

¹¹ ქართლის ცხოვრება, II, გამოც. დ. ჩუბინოვისაგან. სანკტ-პეტერბურგი. 1854, გვ. 405.

¹² იქვე, გვ. 383.

¹³ ს. ბარნაველი. ქართული დროშები, 1953, გვ. 71—72, ტაბ. XXVII — XXVIII.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონსტანტინე მურხანბატონის საქმიანობა ქართლში ციხე-სიმაგრეთა აღდგენა-აშენების მხრივ, რაზეც მეტყველებს ამ ნაგებობათა წარწერები¹⁴.

კონსტანტინე მურხანბატონი ლეკებმა მოკლეს ღართის-კართან (მცხეთაში) 1756 წელს¹⁵.

როგორც აღენიშნეთ, კონსტანტინეს მეუღლე იყო პოეტი ქალი ბარბარე. ეს ბარბარე არის არაგვის ერისთავის ბარძიმის ასული¹⁶. მის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ ბარბარემ ეერცხლის ყდა მოაქედინა 1709 წ. დაბეჭდილ სახარებისთვის და კორინთის ეკლესიას შესწირა¹⁷.

ბარბარე გარდაიცვალა 1790 წელს. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძარში¹⁸.

კონსტანტინე მურხანბატონს და ბარბარეს ჰყავდათ ორი შვილი: იოანე და ქეთევანი¹⁹. იოანე უმურხანბატონი საკმაოდ ცნობილი პირია. მას ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის ასული ქეთევანი (დაიბ. 1764), ცნობილი ქართველი პოეტი ქალი²⁰. როდესაც ერეკლე მეფემ თავის მეორე სიძეს (ქალიშვილის თამარის ქმარს) დავით სარდალს (ორბელიანს) შემოსწერა, მას სახლთუხუცესობა წაართვა და იოანე მურხანბატონს უბოძა²¹.

1783 წელს ქ. გიორგიევსკში რუსეთთან მეგობრობის ტრაქტატის დადებისას ერეკლემ გარსევან ჰავჭავაძესთან ერთად რწმუნებულად

14 პ. ზაქარაია, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, 1960, გვ. 33—34; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), ტ. II, 1958, გვ. 238.

15 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თ. ლომოურმა, 1941, გვ. 7; ს. მაკალათია, ქსნის ხეობა, 1968, გვ. 26. სხვა ცნობით კონსტანტინე მოუკლავთ 1758 წ. (საქ. სახელმწ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. VI, 1953, გვ. 188).

16 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, 1962, გვ. 254.

17 Е. Такайшвили, Археологическая экскурсия, разыскания и заметки, Известия кавказского отделения императорского московского археологического общества, Вып. IV, Тиф., 1915, гв. 72—74.

18 А. Натроев, Михета и его собор Свети-Цховели, 1900, гв. 329.

19 სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მას (კონსტანტინეს, გ. მ.) ორი შვილი დარჩა: დავითი და იოანე“ (დ. გვრიტიშვილის დასახ. წიგნი, გვ. 383), მაგრამ დავითი იოანეს შვილია და არა კონსტანტინესი.

20 მისი ლექსები გამოქვეყნებულია: ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936, გვ. 229—240.

21 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაჭვრელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა დაშენიშ ვნებით, 1936, გვ. 253.

გაგზავნა „მხედრობისა თვისისა მემარცხენე სარდარი და უმთავრესი თანაგამძრახი ერევნისა საქმეთა თავადი იოანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი“²². როგორც ჩანს, მასზე დაკისრებული მოვალეობა იოანეს კარგად შეუსრულებია, რისთვისაც ერეკლეს წყალობა დაიმსახურა. 1780 წ. ერეკლეს გაცემულ სიგელში ნათქვამია: „...გიბოძეთ და წყალობა გიყავით, თქვენის ოჯახის ნაქონი ჩვენის კარის სახლთსუცობა და ამის გარდა მოგიბოძეთ ერევნის სამფლობელოს ლუბერნატორობა, რომ ამითი საქმე ყოველივე თქვენის კითხვით გარიგდებოდეს“²³. იოანე მუხრანბატონი მონაწილეობდა კრწანისის ომშიც. ის გარდაიცვალა 1798 წელს²⁴.

იოანეს ჰყავდა ოთხი შვილი: კონსტანტინე, თეიმურაზი²⁵, გრიგოლი და დავითი²⁶. ამათგან გრიგოლი ცნობილია როგორც ლექსის მთხვეელი.

ბარბარეს მეორე შვილი ქეთევანი ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის ძეს ვახტანგს. ამ ქეთევანის საფლავის ქვის წარწერა გვაუწყებს: „ქვე სახსოვრისა ამის ემდებარებ საქართუშლოს მეფის სძალი ქვრივად მყოფი მეფის ირაკლის პირმშოს ძისა ვახტანგის მეუღლე, ასული თავადის შუბრანის ბატონის კოსტანტინე ბაგრატიონისა, ქეთევანი: შობილი წელსა 1744, ფებერვალსა 20, მიცვალებულ ვიქქენ სამეფოსა ქალაქსა ამას [პეტერბურგს] წელსა 1808, მარტის 4“²⁷.

მოყვანილი ცნობების მიხედვით პოეტი ქალის ბარბარეს გენეალოგია ასე წარმოგვიდგება:

22 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1960, გვ. 220.

23 დ. გვრიტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 384—385.

24 პლ. იოსელიანი, დასახ. წიგნი, 1936, გვ. 253. იოანეს გარდაცვალებას ფაქტად ზოგი 1800 წ. შიიჩნევს („ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად“. ტ. II, 1966, გვ. 70r), ზოგი კი — 1801 წ. (დ. გვრიტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 385; ა. შაკალათია, ქსნის ხეობა, 1968, გვ. 26)


25 თეიმურაზი დედასთან ერთად დააბატონრა პავლე ციციშვილმა (საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, IV, 1954, გვ. 232).

26 ალ. ორბელიანი, ჩემი შეცთომილება ანუ ჩემი ცოდვანი (s 1659 — ბ, გვ. 48). ზოგჯერ ასახელებენ მეხუთე შვილსაც — გიორგი მუხრანბატონს (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (s კოლექცია), II, 1961, გვ. 33), მაგრამ ეს შეცდომაა, ასევე მეხუთე შვილად არის დასახელებული ბარბარეც („ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად“. ტ. II, 1966, გვ. 702), რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, იოანეს დედაა.

27 M. Brosset. Inscriptions tumulaires géorgiennes, გვ. 495. ამ ქეთევანს გადუწერია აპოკრიფების კრებული (Q 821). მასზე იხ. აგრ. H1334, ფ. 181r.

ბარძიმ, არაგვის ერისთავი

↓
ბარბარე + კონსტანტინე მუხრანბატონი (მოკლეს 1756 წ.)
(გარდ. 1790)



როგორც ვხედავთ, პოეტი ქალი ბარბარე არის კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე. ვინაიდან მუხრანბატონები იყვნენ ბაგრატიონის გვარიდან, ჩვენი პოეტი ქალიც არის ბარბარე ერისთავი-ბაგრატიონი.

2. ანასტასია ბარათაშვილი

ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს მზეჭაბუკ ორბელიანისა და ანასტასიას პოეტური მიმოწერა.

მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. იგი იყო ერეკლე II-ის მდივანბეგი, მწიგნობრობდა და წერდა ლექსებს. გაება სამეფო კარის ინტრიგებში და ფიზიკური სიმახინჯის (კუზიანი იყო) გამო თანამედროვეთა მწვეავე სატირული ლექსების საგანი გახდა. იგი გარდაიცვალა 1794 წელს.

თვით ის ფაქტი, რომ მზეჭაბუკ ორბელიანი ლიტერატურულ პაექრობაში ებმება ანასტასიასთან, უკვე ამ უკანასკნელის პოეტური შესაძლებლობების აღიარებაზე მიუთითებს. მზეჭაბუკ ორბელიანს შემდეგი ლექსი მიუწერია ანასტასიასთვის:

მდივანბეგის მუჟაბუკისაგან ანასტასიასთან მიწერილი²⁸

ეტრფი, ესურვი სურვილით, ბრძენი ნასიბრძენ-აყამაზ თქმულებსა.
მაგრი მაგეთის ბაგეთით ფიალს სვამ უცხოლ სრულელებსა,
გიჟებენ უცხოლ მკულელებსა ბროლ-ფიქალ, ქალალდ გულელებსა,
გვედრი, მოხედენ წყლულებსა, შენს სიყვარულში ბმულელებსა.

რადგან მწველობს, მისთვის მკვლელობს, ვინ სარდიონს უფერალელებს,
მელნის ტბათა, გიშრის მგვანთა, მიდმოსხამს ჩემს მწველს ხალეებს,
მყისცა, ვისა ისარს [ს]ერისა, წამზედ სტვიფრავს თავის ძალეებს,
როდეს აკრთობ სხივის აღეებს, მყისვე აღნობ გულ კლდე-სალეებს.

²⁸ S 1516, ფ. 20; S 1511, ფ. 274r; საქ. ცენტრარქივის ხელნაწ. კოლექცია 1446, № 495, ფ. 10r.

❖
ჩემი უფალის დაო, მისთვის²⁹ ყოველ-ფერად კმაო,
თუ რომ ვლირსვარ შენი ძმაო, ამ სიტყვაზედ მომეც ხმაო,
მეყო ეზღენ ჳორთა ბმაო, წიგნი მომეც უფალ დაო,
თუ გინდივარ მონა, ყმაო, ნულარ გინდა ბუერი თქმაო!

❖
თუ სხვას უჩვენე წიგნები, შენი ძმა აღარ ვიქნები!

❖
წინა[ა]ლმდეგ ვარ არათი, გვედრი, მიბოძე ბარათი!

მზეჭაბუკის გამოწვევას პოეტი ქალი ლექსითვე გამოეხმაურა:

პასუხი ანანტასნიასაბანაჲ

მთვარეს სრულსა, სიბრძნით მკულსა, დაუმონებ სრულად გულსა,
მეფეთ ყულსა, აღვად რგულსა, თმა თხზულებრივ ჩაბანდულსა,
წინა გამწყო ბრძენთა თქმულსა, სალამს ვკადრებ ზედ დართულსა,
ივალთ დავიდებ შენგან ბრძნულსა. ამად ვალხენ გულსა წყლულსა,

❖
მიქებ ძალსა, მყვედრი ხალსა და კიცხევით მიხმობ ლალსა.
შესდგომიხარ რიტორთ კვალსა, ამად ზაკვით მადებ ვალსა,
როდეს დაჰკრავ სიბრძნის ტალსა, ფილოსოფოსთ მისცემ აღსა,
მე ვითა მთხოვ პასუხს ქალსა, რომ სიბერე მახლავს თვალსა.

❖
შენ მაღალგვარო სქესობით, მსწრაფლ დავსდვა შენთვის თავ[ი]ა,
გული ვით მიქე ქალაღად, ინდთაგან უფრო შავია!
დავთმო, ვით დავთმო აგდება, ნუ გიკვირს, რომ ვთქვა ზავია,
არ იყო ჩემი ძმისწული, სულ გლანძლო არ ვიკმავია.

❖
მზეჭაბუკ მქვიან სატრფო სახელი, გულის შეფრვინვით მისთვის ვარ ხელი..

❖
თუჯი გინდოდა ჩემობა, ესღენ რად მომეც წყენობა.

❖
ერთხელ ვთქვა მომეც ბარათი, ასჯერ გაგაძო არათი.

❖
რად არ იყოდი, დაგწყევდი გულისა ნაშენობასა.

²⁹ ხელნაწ.: მისთვისვე.

³⁰ s 1516, ფ. 20v; H 771, გვ. 189.

ვინ არის ამ პოეტური შეჯიბრის მონაწილე ანასტასია? ანასტასიას ვინაობის შესახებ ცნობას გვაწვდის თეიმურაზ ბაგრატიონი. მის პოეტიკურ ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „გვარნი ანუ საზომი ქართულისა ენისა სტაბთა“, ქართული ლექსის ერთ-ერთი სახეობის საილუსტრაციოდ მოცემულია „ტაეპები“ მზექაბუკისა და ანასტასიას ზემოთაღნიშნული მიმოწერიდან. ამასთან, თეიმურაზი დასძენს: „მზექაბუკ მღვიანბეგისაგან მიწერილი ანასტასია, ანახანუმ დედოფლის დასთანადო“³¹.

ანასტასიას შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე პლ. იოსელიანი, რომელიც წერს: „...შეაძულეს მეფესა ირაკლის ანასტასია, და ანახანუმ დედოფლისა — ცოლისა თეიმურაზ მეორისა. განსწავლულისა სწავლათა შინა და მოლექსეობასა და მხიარულებასა იყო ზნეობით მაღალი. მორწმუნე და კეთილმსახურებითა შემკული. ჰქონდა მიწერ-მოწერა მზექაბუკ მღვიანბეგთან“³².

ამრიგად, პოეტი ქალი ანასტასია ყოფილა ანახანუმ დედოფლის და. ანახანუმ დედოფალი არის თეიმურაზ II-ის მეორე ცოლი, ერეკლე მეფის დედინაცვალი. თეიმურაზმა ის შეირთო 1745 წელს. ანახანუმი პირველად გათხოვილი იყო ქაიხოსრო ციციშვილზე, რომელთანაც დაქვრივდა. ანახანუმი ბეჟან იოთამისშვილის ასულია³³. რადგან იოთამისშვილები ბარათაშვილებიდან წარმომავლობენ, სხვა ცნობით ის ბეჟან ბარათაშვილის ასულია. ანახანუმ დედოფალი გარდაიცვალა 1784 წელს³⁴.

ანახანუმ დედოფლის წყალობით ანასტასია ახლოს იყო სამეფო კართან და, თავის დასთან ერთად, ხშირად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ასე მაგალითად, XVIII საუკუნის 60-იან წლებში, როცა მართლმადიდებელმა სამღვდელოებამ დევნა დაუწყო კათოლიკე მისიონერებს და ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენა და სამშობლოდან გაასახლა, ქართლში დარჩენილმა ანტონის მომხრეებმა დაიწყეს საშუალების ძებნა კათოლიკე მღვდელთმსახურთა და ანტონის უკან დასაბრუნებლად. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ ანახანუმ დედოფალი და მისი და ანასტასია.

31 ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.). გ. მიქაძის რედაქციით, 1954. გვ. 68.

32 პლ. იოსელიანი. ცხოვრება: გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 131.

33 ქართლის ცხოვრება, II. 1854, გვ. 392; იხევე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდრძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით იოსელიანმა, 1950, გვ. 9 („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 28).

34 ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოური 1941, გვ. 59.

ანასტასია გათხოვილი ყოფილა თავის მოგვარეზე — თავად ბარათაშვილზე, ის გარდაიცვალა 1787 წელს³⁵.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, უცნობი პოეტი ქალი ანასტასია არის მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ანასტასია ბეჟანის ასული ბარათაშვილი³⁶.

3. ანა თუმანიშვილი — ამილახვარი

ქართველ მწიგნობარ ქალთა დასის წარმომადგენელია ანა ამილახვარი, რომელიც მდიდარი პოეტური ტრადიციების ერთ-ერთ რიგით გამგრძელებლადაც გვევლინება.

ანა ანუ, როგორც მან მეორენაირად ეწოდება, ანანა არის ეგნატე თუმანიშვილის ასული. ის დაიბადა 1788 წლის 24 მარტს³⁷. ანა გათხოვდა ავთანდილ ამილახვარზე³⁸, რომელთანაც შეეძინა ორი შვილი — ალექსანდრე (დაიბ. 1805)³⁹ და ნინო, იგივე ნინა (დაიბ. 1806)⁴⁰.

ანა თუმანიშვილი-ამილახვარი მწიგნობარი ქალია. მას გადაუწესხავს ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. მაგალითად, 1811 წელს ანას გადაუწერია „ყარამანიანი“ (S 2391), 1825 წელს — „ვისრამიანი“ (S 1728) და „ვეფხისტყაოსანი“ (S 1727), ზოლო უფრო მოგვიანებით — „მირიანი“ (H 459). როგორც გამოვარკვეით, ანას გადაუწერია აგრეთვე პროზაული „ბარამიანი“ (S 1746).

ანას კალიგრაფიული მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი ახლობლებისთვის. ანას მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანზე“ მიწერილია აკროსტიქული ლექსები. ერთ მათგანში გამოყვანილია ორი სახელი: „დავით“ და „ანანა“. როგორც ჩანს, მას — პოეტ დავით თუმანიშვილს თავისი დისთვის მიუძღვნია აღნიშნული ლექსი:

დაწერილ ესე შენ მიერ აღმოჩნდა აჰო კმნილებად.

ამად რომელ მღვდრმან ესე ნაღვაწ შენნი შენდა ხსენებად,

ვითარ წარწერე. და დაშვერ, ნათქვი მზეთა მათ საქებად,

თქვასცა ქება სხვათაგან, ავად არსადა ხსენებად⁴¹.

³⁵ პლ. იოსელიანი, დასახ. წიგნი, გვ. 131.

³⁶ გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ლიტ. გაზეთი, 1955, 21 ოქტომბერი, № 42.

³⁷ H 395, ფ. 229.

³⁸ S 1727, ფ. 133V.

³⁹ H 395, ფ. 229.

⁴⁰ იქვე. ნინო ამილახვარი დაქორწინებულა დავით ერისთავზე, რომელთანაც გასჩენია სამი შვილი: ცნობილი ქართველი პოეტი რაფიელ ერისთავი, „ციცკრელი“ პოეტი ქალი ბარბარე, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ცნობილია თავისი ქმრის — ზაქარია ჭორჭაძის გვარით, და ანა, გათხოვილი ქაუკავაძეზე.

⁴¹ გ. მიქაძე, დავით თუმანიშვილი. ლიტ. ძიებანი, XIV, 1962, გვ. 186.

ანასადმია მიძღვნილი აგრეთვე იქვე ხელნაწერის აშიაზე მიწერილი ლექსიც, რომელსაც ხელს აწერს „კ. ბარბარე“:

ამ შენს ნაღვაწსა მღუპარედ დავმზერი სევლით აღვსილი,
აღვსილი ვაკონი ცრემლფრქვევით, სად გიწერია სახელი,
რად არ მეღირსა უბედურს გამეცან შობლის შობელი,
ასულმაც დედას მოგბაძა, წერილნი გვეო დაობლებული⁴².

ლექსის ავტორი „კნენინა ბარბარე“ არის „ცისკრელი“ პოეტი ქალი: ბარბარე ჭორჯაძე (1833—1895), რომლისთვისაც ანა იყო, როგორც ლექსშია ნათქვამი, „შობლის შობელი“, ე. ი. ბებია. ბარბარეს დედად რე გარდაცვლია და თორმეტი წლის გოგონა გაუთხოვებიათ⁴³. აღნიშნული ლექსი ბარბარეს დაუწერია გათხოვების შემდეგ, რადგან თავისთავს იხსენიებს „კნენინად“, ე. ი. არაუადრეს 1845 (1833+12) წლისა.

ანასათვის ლექსი მიუძღვნია აგრეთვე თუმანიშვილების ოჯახის ახლო მეგობარს მწიგნობარ-კალიგრაფს პეტრე ლარაძესაც⁴⁴.

ანა თვითონაც წერდა ლექსებს. ერეკლე II-ის სამეფო კარის მდივან-მწიგნობრის ეგნატე თუმანიშვილის ოჯახის წევრები ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ. პოეტები იყვნენ მისი შვილები — გიორგი და დავით თუმანიშვილები. ლექსებს წერდა თვითონ ეგნატეც. რა თქმა უნდა, ასეთ გარემოში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მწერლობით გატაცებულიყო ანაც.

ანას ლექსები დართული აქვს მის მიერვე გადაწერილ ხელნაწერებს. სხვათა შორის, მას ერთი ლექსი კრიპტოგრაფიულადაც ჩაუწერია. მდივან-მწიგნობრებისათვის საეალდებულო იყო საიდუმლო დამწერლობის (კრიპტოგრაფიის) ცოდნა. ამიტომ საიდუმლო წერას დაუწყებული იყვნენ თუმანიშვილების ოჯახის წევრებიც. ზოგიერთმა ხელნაწერმა შემოგვინახა ანა თუმანიშვილის საიდუმლო ჩანაწერებიც.

აქად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია პროზაული „ბარამიანი“ (S 1746). აღნიშნული თხზულების გადაწერის ვინაობა და დაწერის თარიღი უცნობია. ქალაქის ჰვირნიშნის მიხედვით, რომელშიც იკითხება [18]08 წ., ე. თაყაიშვილი ასკვნინდა, რომ ხელნაწერი, ექვს გარეშე, XIX საუკ. პირველი მეოთხედისააო⁴⁵.

⁴² S 1727, ფ. 133v.

⁴³ ქ. ირემაძე, ლიტერატურული მემლიონები, 1946, გვ. 46.

⁴⁴ S 105, ფ. 179v; S 1512, ფ. 288r.

⁴⁵ E. Такашвили, Описание, I, стр. 552.

ხელნაწერის ბოლოში მოიპოვება კრიპტოგრაფიული მინაწერი, რომელიც ვერ გაუშიფრავს მკვლევარს. ამ მინაწერის შესახებ მ. ჭანაშვილი წერდა: „ბოლოში რაღაცა გაუგებარი წარწერააო“⁴⁶. აღნიშნული მინაწერი კი მეტად მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს ჩეხლნაწერის გადამწერის შესახებ.

მეორე ნიმუში ამგვარი დაწერილობისა გვხვდება ანას მიერ 1811 წ. გადაწერილი „ყარამანიანის“ მინაწერში. ორივე კრიპტოგრაფიული მინაწერი გაშიფრული გვაქვს თხუთმეტიოდე წლის წინ.

„ბარამიანის“ ხელნაწერზე მიწერილი კრიპტოგრამა⁴⁷ შედგება ექვსი სტრიქონისგან და შემდეგნაირად იკითხება:

„ესე ბარამიანი დავწერე მე კოლექსიკის სოვეტნი / კის მღივნის ეგნატის ასულმა ანანამ.“

ქ. ჩემო უსაყვარელესო და ულხენისა გულის (ჩემის ლხენავ და სულსა შინა ჩემსა / ოქროს მელნით აღბეჭდილო“⁴⁸.

მეორე კრიპტოგრამა, რომელიც მიწერილია „ყარამანიანის“ ხელნაწერზე⁴⁹, შედგება ათი სტრიქონისაგან. ტექსტი ასე იკითხება:

1. „ქ. ჩემო ულხენისა გულისა ჩემის ლხენავ
2. და გულსა შინა ჩემსა ოქროს მელნით აღ
3. ბეჭდილო ჰე ელვარეო მთოვარეო
4. თუმცა არა ვარ საფერი შენისა ტრფიალებ
5. ისა
6. მონად მიყოლე ნაფრდვილად მდიდრობაზედა
7. ნ კლებისა
8. მომიტკბი რაცრამ გაწყინე მე მწერაც მომეკლებ.
9. და ნუ მიმცემ მტერთა საყვედრად მყავლირ
10. ახლოს ხლებისა“.

ამოკითხული ტექსტის გასწორებისა და სათანადოდ გაწყობის შემდეგ ჩვენ მივიღებთ ერთსტროფიან ლექსს:

⁴⁶ Q 878. ფ...

⁴⁷ S 1746, გვ. 70.

⁴⁸ გ. მ. ი. ქ. ა. ძ. ე. „ბარამიანის“ გადამწერის ვინაობისათვის, ლიტ. გაზეთი, 1956, 22 ივნისი, № 25; მ. ს. ი. ე. ვ. ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა. 1957, გვ. 14 და 17 (სურ. 4). ჩვენი ამოკითხული ტექსტის მიუთითებლად რატომღაც იყო ცდა კრიპტოგრამის ხელახალი წაკითხვისა, რომელშიც ვკითხულობთ: „გადაწერა კოლექსიკი სოვეტნიკის ეგნატის (თუმანიშვილი. — ტ. რ.) ასულმან მანანამ“ (ტ. რ. უ. ხ. ა. ძ. ე. ვ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.). 1960, გვ. 137, შენ. 5). მოყვანილი წაკითხვა საფუძველს მოკლებულია.

კრიპტოგრამის გაშიფრვა უცნობია ხელნაწერის აღმწერლებისთვის (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია). ტ. III. 1963, გვ. 178).

⁴⁹ s 2391, ფ. 175r.

ქ. ჩემო ულხენისა გულის ჩემის ლხენავ და გულსა შინა ჩემსა ოკროს შელ-
ნით აღბეჭდილო. ჰე, ელვარეო მთოვარეო!

თუმცა არა ვარ საფერი შენისა ტრფიალებისა,
მონად მიყოლე ნაფრდილად, მდიდრობაზედან კლებისა,
მომტკბი. რაც რამ გაწყინე, მეშვე, რაც მოშველებსისა,
და ნუ მიმცემ მტერთა საყვედრად, მყავ ღირსი ახლოს ზღებისა⁵⁰.

მოყვანილი ლექსი ვახტანგ VI-ის „სატრფიალოდან“ არის ამოღე-
ბული⁵¹. ამ ლექსს სხვა ხელნაწერში მეორე სტროფიც მოსდევს:

ჩემო მიჯნურო, შენთვის ვტირ, [შ]ოლზე და შემიწყნაროდა,
გავიკრე მინდვრად, ტანედ და კლდედ, სოფელსა გავეძალოდა,
რას ვაქნევ სოფლის დიდებას, თუ შენ კი მამეკრძალოდა⁵².

„მირიანის“ გადანუსხულ ტექსტზე ანას დაურთავს ლექს-ანდერ-
დი, რომელშიც წერს:

ვითავე და [ა]ღწვერე ესე წიგნი მირისა,
წასაკითხად საქამო უოვლის კაცის პირისა,
ამბავი განმარტებით ლხინისა და კირისა.
უოველნი წამკითხველნი შეგაქციოთ ამანა,
ღლეგრძელობა მიბრძანეთ, მოგახსენებთ ანანა,
თქვენცა მოქცეთ სიოცხლე მაცხოვარმა მამამა;
თუ რამ შეცდომა ნახოთ ამ წიგნისა თავზედა,
მოხუცებაში გახლდით, სათვალე მქონდა თვალზედა⁵³.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1825 წ. ანას გადაუწერია „ვისრამია-
ნი“ (S 1728). მართალია ეს ნუსხა „რედაქციულად საყურადღებოს
არას შეიცავს“⁵⁴, რის გამოც გამოყენებული არ იქნა გამოცემებში,
მაგრამ აღნიშნულ ხელნაწერში ჩართულია ლექსები⁵⁵.

50გ. მიქაძე, „ბარამიანის“ გადამწერის ვინაობისათვის, ლიტ. გაზეთი, 1956,
№ 25. მოყვანილი კრიბტოგრაფის გაშიფრვა უცნობია ხელნაწერთა აღმწერლების-
თვის, რის გამოც ისინი შეეცადნენ ჩვენ მიერ წაკითხული სხვა ტექსტების მოშვე-
ლიებით მის ამოკითხვას: „კრიბტოგრაფის ამოკითხვისას ვისარგებლეთ ვივი მიქაძის
ამოკითხვიო“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. III, 1963, გვ.
236). სამწუხაროდ, მათ ტექსტი შეცდომებით ამოკითხეს და თანაც შეუშინველი
დარჩათ, რომ აღნიშნული კრიბტოგრაფა ლექსია.

51 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედ., 1947, გვ. 28.
სტრ. 32.

52 S 1746, გვ. 70.

53 H 459, ფ. 61v; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობა (H კოლექცია), ტ. I, 1946, გვ. 337.

54 ვისრამიანი. აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და
შესავალი წერილით, ლექსიკონი ოუსტ. აბულაძისა, 1938, გვ. XVIII.

55 ქართულ ხელნაწ. აღწერილობა (S კოლექცია), ტ. III, 1963; გვ. 154—155.

ხელნაწერის 79-ე გვერდზე, თხზულების თავში — „მოაბადისაგან ცეცხლის აგზნება ვისის საფიცრათ“, ჩართულია შემდეგი ლექსი:

ალი ცად აღვალს, სახმილი რომე მუნ დაეგზნებოდა,
მიკვირს: მთიები უზადო მისგან ვით იგზავებოდა,
ვით დასთმო შარომან ვისი და გული ვისითა კვდებოდა,
მას არა ევნო და თვითვე გლახ ველად გაიძებოდა.

ხელნაწერის 109-ე გვერდზე, თხზულების თავში „მოაბადისაგან ცნობა ვისისა და რამინის ერთგან შეყრისა“, ჩართულია მეორე ლექსი:

მე ვარ უმოყვრო მოყვარე, ჳირთაგან მოყვარიანად,
ვერ დაშეთვალნეს სევდანი, ვერ ამილია სიანლანდ⁵⁷,
მოკრბით ყოველ[ო] ტრფიან[ო], ბაგე ლალ-მინა-სათისად,
კაეშანთ რაზმი იტვირთეთმ თქვენ, მზისა მოკამათისად.

სული შესწირეთ, ვინადგან დაგამზობსთ შორ-ქმნა მათისად,
და გული უძღვენით, გასჳერიტეთ, რა გეგზნათ ცეცხლთან⁵⁸ მათისად.

საყურადღებოა, რომ მოყვანილი ლექსები არ გვხვდება „ვისრამიანის“ სხვა ხელნაწერებში. მას არაფერი აქვს საერთო არც არჩილის გალექსილ „ვისრამიანთან“. ამიტომ, ჩვენი ფიქრით, აღნიშნული ლექსები უნდა ეკუთვნოდეს თხზულების გადამწერს — ანა ამილახვარს.

მართალია, ანა ამილახვრის ლექსებს აკლია მხატვრულობა და სი-სადავე, მაგრამ ისინი მაინც შესწავლის ღირსია. ასეთია მოკლედ პოე-ტისა და კალიგრაფის ანა თუმანიშვილ-ამილახვრის ცხოვრება-მოღვა-წეობაზე ის ცნობები, რომელთა მიკვლევაც დღემდე მოხერხდა.

56 ხელნაწ.: შარომან.

57 ხელნაწ.: სიანალდ.

58 ხელნაწ.: იტვირთედ.

59 ხელნაწ.: ცხენთა.

შერმადინ ონიანი

ნუზალის ეკლესიის ეპიტაფია

ოსეთში, სოფელ ნარს, ნუზალის ეკლესიის კედელზე წარწერილი ყოფილა შემდეგი ეპიტაფია ლექსი:

„ჩვენ ვიყვენით ცხრანი ძმანი. ჩარჯონიძე, კარბილანი,
ოს-ბაყათარ, დავით-სოსლან ოთხ სამეფოდ მებრძოლანი,
ფიდაროს, ჭადაროს, საყურ და გიორგი, მტერთა რისხვით შემხედვარნი;
ჩვენნი ძმანი ბერნი, — ისაჲ, რომანოზ და ბასილ, — იყვნეს ქრისტეს კარგო
უმანი.

ჩვენ გვიჭირავს მიმავალთა-მომავალთა, ოთხის კუთხის ვიწრო გზანი.
კასარაზე სიმაგრე მაქვს და საბაჟო, აქ მიჭირავს კილის კარი.
საიქიოს მოიმედე, სააქაოს კარგა მდგარი,
ოქროსა და ვერცხლის მიწა ამღონი მაქვს, ვითა წყალი.

• კავკასიონი დავიბყარ, ოთხს სამეფოს გაუმკლავდი;
ქართველს ბატონს და მოვსტაცე, არ დავადგდე ჩემი გვარი;
მამწვედა ფიცით, მილაღატა, მან დაიდგა ჩემი ბრალი;
ბაყათარ წყალსა მიეცა, აღიკოცა ოსთა ჭარი;
ვინცა ეს ლექსი იხილოთ, მცირედ ბრძანეთ შენდობანი“.

ეს ლექსი რამდენიმეჯერ არის გამოქვეყნებული. სხვათა შორის, მისი ტექსტი მოიპოვება ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიის“ შემცველ ერთ ხელნაწერში (A IIII, გვ. 249), რომელიც გადაწერილია 1817 წელს¹. ლექსი გავრცელებული ყოფილა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც. კერძოდ იგი ჩაუწერია პ. უმიკაშვილს². ამ ლექსთან დაკავშირებით ის შენიშნავს: „ეს წარწერა ოსეთის ერთ საყდარშიაო. ქართველ ბატონს ფიცის ტეხისათვის სამი საყდარი აუშენებია: მეტეხი (მე ვსტეხი), წილკანი (წილ ვკარი) და სამთავისი. ბაყათარის ჩამომავლობა ტატიშვილები არიანო. ექვთიმე წერეთლისაგან გაგონილი პ. უ.“ (გვ. 563).

¹ იხ. ხელნ. აღწ. A ფონდი, ტ. 4. 1954.

² პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 95, № 143, 1937.

ამ ლექსმა თავიდანვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება და მის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. ჩვენ აქ არ გდმოვცემთ მისი კვლევის ისტორიას და მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს: ეპიტაფიის შესახებ აზრთა სწვადასხვაობაა და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები ჭერჯერობით არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. მკვლევართა ერთი ნაწილი მას ათარიღებს ძველი ქართული მწერლობის დაცემის ხანით, კერძოდ XIII—XIV საუკუნეებით. ჩვენც ამჟერად ეს საკითხი გვინტერესებს: არის თუ არა ეს დებულება სწორი? რა საბუთები შეიძლება წამოვაცენოთ ამის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ? თუ ის ძველი ქართული მწერლობის დაცემის ხანაში არაა შექმნილი, მაშინ როდის შეიძლებოდა იგი დაწერილიყო ან ვინ არის მისი ავტორი?

ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ლექსის ყოველმხრივი დეტალური შესწავლა. წინასწარ უნდა გავარკვიოთ: რამდენად სწორადაა მასში ასახული ისტორიული სინამდვილე და როდისაა დაახლოებით შესრულებული თითონ ეპიტაფიის შემკველი წარწერა.

§ 1. წარწერაში მოხსენებული ისტორიული პირები. აქ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ეპიტაფიაში „ოს-ბაყათარის“ მოხსენიება:

„ჩვენ ვიყვნით ცხრანი ძმანი, ჩარჯონიძე პარხილანი:
ოს-ბაყათარ, დავით-სოსლან, ოთხ სამეფოდ მებრძოლანი“..

ბაყათარის სახელით ისტორიაში ცნობილია ორი პიროვნება: პირველი მოღვაწეობდა V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს, ხოლო მეორე — XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის დასაწყისში. რომელ ბაყათარს უნდა გულისხმობდეს ჩვენი წარწერა? ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ეპიტაფიის შემდეგი ადგილი:

ქართველს ბატონს და მოვსტაცე. არ დავაგდე ჩემი გვარი.
მამწედა ფიცით, მილაღატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი:
ბაყათარ წყალსა მიეცა, აღიქოცა ოსთა ჭარი;
ვინცა ეს ლექსი იხილოთ, მკირედ ბრძანეთ შენდობანი.

ეს ამბავი მოთხრობილია „ქართველის ცხოვრებაშიც“ ვახტანგ გორგასალის დროისათვის: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდმოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუევენს ქართლი თავითგან მტკვრისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოკრნეს ველნი. არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვინიერ კასპისა, ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს და ვახტანგისი მირანდუხტ, სამი წლის ქალი... და განვლეს კარი დარუბანდისა.. და შევიდეს ოსეთს გამარჯვე-
4. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები

ბულნი“ (გვ. 145--146)³. თექვსმეტი წლის ვახტანგმა ილაშქრა ოსეთში, შური იძია და გამოიხსნა თავისი და ტყვეობისაგან. ამ ბრძოლაში თითონ მოკლა ოსთა ბუმბერაზი ფალანგები: თარზანი და ბაყათარ ოსი. ამ უკანასკნელის შესახებ მატეანეში ვკითხულობთ: ვახტანგ გორგასალი „აღჯდა ტაიქსა შეკურვილსა ჭავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუეეთა მახვილი და ჩავლო გუერდი და მიადგა მახლობლად მდინარესა. კმა უყო ბაყათარს და რქუა. „არა გამოვალ მე მდინარესა, რამეთუ მეფე ვარ; არა მივეახლები სპათა ოვსეთისასა, რამეთუ წარწყმდითა ჩემითა წარწყმდების სპა ჩემი ყოველი. ხოლო შენ მონა ხარ და წარწყმედითა შენითა არა ეენების სპათა ოვსეთისათა, ვითარცა ძაღლისა ერთისათა. გამოველ მდინარესა ჩემ-კერძო“. მაშინ ბაყათარ ოვსმან აღასრულა სიტყვა მისი და რქუა: „მე მომკვლევამან შენმან გამოვლო მდინარე, არამედ პირისაგან მდინარისა უკუდეგ სამ უტევან.

„მაშინ ვახტანგ უკუდგა. გამოვლო მდინარე ბაყათარ, და იწყა სროლა ისრითა. მაშინ ვახტანგ სიფიცხლითა თუალთათა, და სიმახვილითა, და სიციქასითა ტაიქისა მისისათა ირიდებდა ისარსა: რამეთუ შორსავე იხილოს ისარი მომავალი, და უხლდებოდა და სიმარჯვით მიეახლებოდა... და ვერა ჰკრა ისარი ორისა ისრისაგან მეტი ბაყათარ ფარსა ვახტანგისასა, და ვერ ჰკუეთა, ყოვლად. და კუალად ჰკრა სხუა ისარი ცხენსა ვახტანგისასა, და გაავლო შინა. და ვიდრე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მოუტკვდა ზედა და უხეთქნა კრძალი მკარსა ბაყათარისსა, და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე“ (გვ. 154—155). ამის შემდეგ იძლია ოსთა ლაშქარი. ვახტანგმა მოაოხრა ოსეთი და გამოიხსნა თავისი და.

მატიანის თხრობის მიხედვით, ვახტანგმა პირისპირ ბრძოლაში დაამარცხა ბაყათარი, მაგრამ, ხალხური თქმულებით, მან თითქოს ფიცი გატეხა, სიტყვა არ აღსრულა ბაყათარს, მდინარის გამოვლისას, მორატყა ისარი და ისე მოკლა. თითქოს ვახტანგ გორგასალს ფიცის გატეხის გამო აუშენებია სამი ეკლესია: მეტეხი, წილკანი და სამთავისი⁴.

ჩვენი აზრით, ნუხალის ეკლესიის ეპიტაფია ამ ამბავს უნდა გულისხმობდეს და ეპიტაფიის ბაყათარი უნდა იყოს ვახტანგ გორგასალის დროინდელი ბაყათარი და არა XIII—XIV საუკუნეების ოსთა მთავარი ბაყათარი. სხვა თვალსაზრისზე დგას ისტორიკოსი თ. ყორდანია, რომელიც ეპიტაფიას ათარიღებს XIII—XIV საუკუნეებით და ფიქ-

³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა.

⁴ ქ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართ. საისტ. სიტყვიერება, გვ. 55—57, 60—61, 1961.

რობს, რომ მასში მოხსენებული ბაყათარ ოსი ამ საუკუნის მოღვაწე ბაყათარი უნდა იყოს, თანამედროვე გიორგი ბრწყინვალესი. მისი ვარაუდით, ამ ბაყათარს და მოუტაცნია გიორგი ბრწყინვალისათვის, ხოლო უკანასკნელს უღალატნია ბაყათარისათვის და ასე ამოუწყვეტია ოსთა ლაშქარი⁵. ამასთან დაკავშირებით, თ უორდანი ალნიშნავს, რომ ქართლის ცხოვრებაში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ის წერს: „რადგან გიორგი ბრწყინვალეს მატთანე მეტად მოკლეა და საზოგადო ფრაზებით შედგენილი და ქართლის ცხოვრებაში შემდეგ შეტანილი, ამისათვის უცხოლ არ უნდა მიგვაჩნდეს, რომ ამ მატთანეში აღწერილი არ არის მეფის დის მოტაცება ოსთაგან და დაწერილებითი გარემოებანი ოსთა მთავრების ამოწყვეტისა“⁶.

თ. უორდანიას შეხედულება, ჩვენი აზრით, არ არის სწორი:

1. „ქართლის ცხოვრებაში“ დაწერილებით არის გადმოცემული ოსთა თარეში საქართველოში XIII—XIV საუკუნეებში და მასთან დაკავშირებული ამბები. ამიტომ ვერ დავიჯერებთ იმას, რომ მემატანეს არ აღნიშნოს ისეთი დიდი ფაქტი, როგორცაა მეფის დის მოტაცება და ამ ნიადაგზე ოსთა მთავრების ღალატით ამოწყვეტა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საერთოდ ძნელი დასაჯერებელია V საუკუნეში მომხდარი ფაქტი ასე ზუსტად გამეორებულიყო XIII—XIV საუკუნეებში. მართალია, გიორგი ბრწყინვალემ საბოლოოდ დაამარცხა ოსები და ამით აღმოფხვრა მათი თარეში საქართველოში, მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ეს მოხდა მისი დის მოტაცების ნიადაგზე.

2. უფრო საინტერესოა მეორე ფაქტი: ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საერთოდ ბაყათარ ოსი არც მოსწრებია გიორგი ბრწყინვალის მეფობას (1314—1346 წწ.). ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „...ბაყათარ წარულო გამრეკელსა, კახას ძესა, ციხე ძამისა. ცნა ესე ბექამან, მოუკდა დიდითა ლაშქრითა, ხოლო ბაყათარ, ციხით გამოსრული, წინ დახუდა წინმავალთა ბექასთა. იქმნა ომი ფიცხელი, და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ, და შევიდა ციხესა. მივიდა ბექა და მოადგა ძლიერად ციხესა, და ვითარ გაძლიერდა ითხოვეს ოვსთა ზენაარი და აღუთქვეს არა წყენა, და ესრეთ მოვიდა ბექას წინაშე გაუშაეებელი, და უკანას მოკუდა ბაყათარ“ (II, გვ. 317, 11—16). მემატანის თხრობიდან ჩანს, რომ ბაყათარის უკანასკნელი წარმატება ყოფილა ძამის ციხის აღება ბექა მანდატურთუხუცესის დროს. ბექას დაუმარცხებია ბაყათარი და ამის შემდეგ ის მალე გარდაცვლილა. ამაზე გარკვევით მიგვითითებს მემატანის სიტყვები: „და უკანას

5 თ. უორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 178—179.

6 თ. უორდანიას, იგივე, გვ. 179.

მოკულდა ბაყათარ“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბაყათარი დაახლოებით ბექას სიცოცხლეში მომკვდარა 1306 წლამდე. გიორგი ბრწყინვალის მეფობა მოდის 1314—1346 წლებში, როდესაც ბაყათარი უკვე აღარ იყო ცოცხალი. აქ მეორე გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ბაყათარი ქართველებს კი არ მოუკლავთ დალატით თუ პირდაპირ ბრძოლაში, არამედ ის თავისით გარდაცვლილა.

ერთი სიტყვით, ეპიტაფიაში მოთხრობილი ამბავი გადმოგვცემს V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს მომხდარ ისტორიულ ფაქტს: ამგვარი რამ XIII—XIV საუკუნის საქართველოს ისტორიიდან არ ვიცით.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თ. ჟორდანიას შეცდომას უფრო ღრმა საფუძველი აქვს ვიდრე ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს: საერთოდ ეპიტაფიაში მოცემული სინამდვილე ისტორიულად უფრო XIII—XIV საუკუნეებს შეეფერება და არა V საუკუნეს, ვახტანგ გორგასალის ეპოქას. ეპიტაფიის მიხედვით, ოსბაყათარი და მისი ძმები ყოფილან „ოთხ სამეფოდ მებრძოლანი“ და „მტერთა რისხვით შემხვედვარნი“.

ისინი ამაყად აცხადებენ:

ჩვენ გვიპირავს მიმავალთა-მომავალთა, ოთხის კუთხის ვიწრო გზანი;
კსარაზედ სიმავრე მაქვს და საბაჟო, აქ მიპირავს კილის კარი,
საიქიოს მოიხედე, სააქაოს კარგა მდგარი.
ოქროსა და ვერცხლის მიწა ამდონი მაქვს, ვითა წყალი
კავკასიონი დავიპყარ, ოთხს სამეფოს გაუმკლავდი“.

ამას მოყვება შემდეგ „ქართველთა ბატონის დის მოტაცების“ ამბავი, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ. აქ ყურადღებას იქცევს უპირველეს ყოვლისა „ოთხი სამეფოს“ მოხსენება: „ოთხ სამეფოს გაუმკლავდი“; „ოთხს სამეფოდ მებრძოლანი“; „ოთხის კუთხის ვიწრო გზანი“. როგორც თ. ჟორდანიას შენიშნავს, XIII—XIV საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალემდე, საქართველო ოთხი სამეფოსაგან შედგებოდა. ესენია, ქართლი, კახეთი, იმერეთი და სამცხე-საათაბაგო. ოსებს ამ დროს მართლაც ოთხ სამეფოსთან უხდებოდათ ბრძოლა და ამ ბრძოლაში მათ გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. მოვიყვანოთ ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი: დიმიტრი მეფეს ყაენთან თანახმად ფარეჯან ოვსთა მთავარი: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისასა, იწყეს ოვსთა ოქრებად, ქოცად და რბევად, და ტყუევენად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვსად დაიპირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს

ქართლისა ერისთავისა ბეგას ძესა ამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა და მრავალგზის შეეზნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად. და ვითარ. მისჭირდა ოვსთა ციხიდაღმან გარდმოუშევს საბლით კაცი, და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმათ, ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი, და მიერთვან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღვხურნა (II, გვ. 296). ოსთა და ქართველთა მტერობას განსაკუთრებით უჩენია თავი დავით VIII-ის მეფობაში: „აქუნდათ მტერობა ქართველთა და ოვსთა: ესოდენ გარდაეციდიან ერთმანეთსა, რომელ რომელიც მძლე ექმნის, მოკლის“ (გვ. 297, 16—18). ოსების მხრით ამ ბრძოლას ჩელმძღვანელობდა მათი მთავარი ბაყათარი: „ვინათვან მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზავხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა. ამისთვის იშლებოდა ქუეყანა ქართლისა, და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო. და აოჯრებდა ქართლსა, თრიანეთსა და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჳირი დიდი მკვდრთა ქართლისათა (II, გვ. 316—21—241)“. ეს ბაყათარი ებრძვის დავით მეფეს თათრებთან და შალვა ქვენიფნეველთან ერთად (გვ. 305). ბაყათარმა ძამის ციხე წაართვა გამრეკელს და მხოლოდ ბექა, მანდატურთუხუცესმა დაამარცხა იგი და უკუაქცია. ამის შემდეგ ბაყათარი მალე გარდაიცვალა (გვ. 317).

ერთი სიტყვით, XIII—XIV საუკუნეებში ოსთა მთავარი ბაყათარი „განდიდებულ იყო“, წარმატებით იბრძოდა საქართველოს „ოთხი სამეფოს“ წინააღმდეგ და მისი ხელით თითქმის სწვდებოდა მთელს კავკასიონს, როგორც ეს გაზვიადებულად არის წარმოდგენილი ეპიტაფიაში. ასე რომ აქ დახატული სინამდვილე უდგება XIII—XIV საუკუნეების ოსეთის მდგომარეობას, ბაყათარის მოღვაწეობას. ამიტომ თ. ყორღანიამ მას მიაწერა „ქართველთა ბატონის დის მოტაცება“, რომელსაც ადგილი ჳქონდა არა ამ დროს, არამედ V საუკუნეში. აქ ჩვენთვის მთავარია ის ფაქტი, რომ ეპიტაფიაში ერთმანეთთანაა არეული V საუკუნის ბაყათარი და XIII—XIV საუკუნეების ოსეთის მთავარი ბაყათარი. ეს ანაქრონიზმი მით უფროა თვალში საცემი, რომ ვახტანგ მეფის დროინდელი ბაყათარი იყო უბრალო ბუმბერაზი რაინდი და არა ოსთა მთავარი, როგორც ეს ეპიტაფიაშია წარმოდგენილი. ვახტანგ მეფე მატყანით ასე მიმართავს ბაყათარს: „...არა გამოვალ მე მდინარესა, რამეთუ შეფე ვარ... ზოლო შენ მონა ხარ და წარწყმედიდა შენითა არა ეცნების სპათა ოვსეთისათა, ვითარცა ძაღლისა ერთისათა“ (I, გვ. 154);

ეპიტაფიას სხვა ანაქრონიზმებსაც შეიცავს. აქ ძმებად არიან წარმოდგენილი ოს-ბაყათარი (V თუ XIII—XIV საუკუნეები) დავით სოსლანი (თამარის მეუღლე, XII—XIII საუკუნის მოღვაწე) ჯადაროსი (დავით სოსლანის მამა) და სხვა. ყოველივე ამის გამო ამ ეპიტაფიას არ შეიძლება ნდობით მოვეყიდოთ და მასში მოყვანილი ცნობები ისტორიულ ქმშმართებად ვცნოთ. თ. უორდანი და ს. კაკაბაძე⁷ მასზე დამყარებით ცდილობენ სადაო ისტორიული საკითხების გადაწყვეტას, რაც ჩვენი აზრით, სწორი არ არის.

ამგვარად, ნუზალის ეკლესიაზე წარწერილი ეპიტაფია ანაქრონიზმების შემცველი ლექსია: აქ ძმებად არიან გამოყვანილი სხვადასხვა საუკუნეებში მოღვაწე ისტორიული პირები: ბაყათარი, დავით სოსლანი, ფიდაროსი, ჯადაროსი, და სხვა, ეპიტაფიაში ერთმანეთთანაა არეული V საუკუნის ბაყათარი და XIII—XIV საუკუნეებში ოსების ცნობილი მთავარი ბაყათარი, რომელსაც შეცდომით მიეწერება მეფის დის მოტაცება. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ნუზალის ეკლესიის წარწერის, და საერთოდ, ეპიტაფიის დათარიღებისათვის.

§ 2. წარწერის შესრულების დრო. როდის არის შესრულებული ეპიტაფიის შემცველი წარწერა და საერთოდ რა მასალები მოგვეპოვება მისი დათარიღებისათვის? სამწუხაროდ, თითონ წარწერას ჩვენს დრომდის არ მოუღწევია და არც მისი გადმოღებული პირი მოიპოვება, რომ მისი დათარიღებისას ჩვენ დავემყაროთ პალეოგრაფიულ მონაცემებს. როგორც ქვევით დავრწმუნდებით, საეკვოა თითონ ის ფაქტიც, რომ ასეთი წარწერა არსებულიყო საერთოდ ნუზალის ეკლესიის კედელზე. ამიტომ წარწერის დათარიღების დროს ჩვენ უნდა დავემყაროთ მხოლოდ ეპიტაფიის ტექსტს და ამის მიხედვით გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

ჩვენ ზედმეტად მივჯანჩნია იმის მტკიცება, რომ წარწერა არაა შესრულებული V საუკუნეში. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამ საუკუნის წარწერაში არ შეიძლება მოხსენებული ყოფილიყო თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი. გარდა ამისა ნუზალის ეკლესიის არსებობა V საუკუნეში არაფრით არ არის დადასტურებული. ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა წარწერა შეესრულებინათ XIII—XIV საუკუნეში, ბაყათარის გარდაცვალების შემდეგ, მისი ჩსოვნის უკვდავსაყოფად? აქ საჭიროა გავითვალისწინოთ ეპიტაფიების ერთი თავისებურება: ამათში ჩვეულებრივ სწორად არის წარმოდგენილი გარდაცვლილის ვინაობა, ვინ იყო იგი, ვინ იყვნენ მისი მშობლები, ნათესავები, რა გააკეთა მან და სხვა. ამასთან დაკავშირებული საკითხები.

⁷ ს. კაკაბაძე ვახტანგ გორგასალი, გვ. 17—20, 1959.

ეს გასაგებია იმიტომ, რომ ეპიტაფია პიროვნების გარდაცვალების უმალ იწერება. რასაკვირველია, მასში გავზიადებასაც აქვს ადგილი, მაგრამ ეპიტაფიებში არ შეიძლება ფაქტების აღრევა, ისტორიული ანაქრონიზმები და სხვა. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ნუზალის ეკლესიის წარწერაში? ეს წარწერა, როგორც ზევით დავრწმუნდით, საესეა ისტორიული ანაქრონიზმებით. ერთმანეთშია არეული V საუკუნის ბაყათარი და XIII—XIV საუკუნეების ოსეთის მთავარი ბაყათარი, სხვადასხვა საუკუნეებში მოღვაწე ისტორიული პირები ერთმანეთის ძმებად არიან გამოყვანილი და სხვა. შეიძლებაოდა თუ არა ეს მომხდარიყო XIII—XIV საუკუნეებში, როდესაც თანამედროვეთა შორის კარგად იყო ცნობილი ბაყათარის მოღვაწეობა, მისი ვინაობა და მასთან დაკავშირებული სხვა ისტორიული ფაქტები? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ეს ეპიტაფია ამ სახით არ შეიძლებაოდა, არსებულიყო ამ საუკუნეებში. ის უთუოდ შემდეგი დროისაა, როდესაც ბაყათარის მოღვაწეობის რეალური ფაქტები თანდათანობით დაიწყებდას მიეცა და მისი პიროვნება ხალხურმა ფანტაზიამ ლეგენდების სამოსელში გაახვია. ერთი სიტყვით, არც წარწერა და არც ეპიტაფია მისი დღევანდელი სახით არ არის XIII—XIV საუკუნეებში შექმნილი. ორში ერთი: ან ბაყათარის ეპიტაფია საუკუნეების განმავლობაში ხალხური გავრცელების წყალობით საგრძნობლად შეიცვალა და შემდეგ წააწერეს ნუზალის ეკლესიის კედლებზე; ან: ეს ეპიტაფია არ არის ძველი, ახალი შექმნილია და ამიტომ ვპოულობთ მასში ამდენ ისტორიულ ანაქრონიზმებს. ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე არა გვაქვს XIII—XIV საუკუნეების ნაწარმოებთან. ეს ფაქტი არის ჩვენთვის ამჟამად მთავარი. მაგრამ ჩვენს საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ამაზე მეტიც ვთქვათ. ნუზალის ეკლესიის ეპიტაფია პირველად დაიბეჭდა 1830 წელს ფრანგულ სამეცნიერო ჟურნალში „Journal Asiatique, 1830“, გვ. 305), მის გამომცემელს თითონ წარწერა არ უნახავს და მოკლედ აღნიშნავს, რომ ცნობა მის შესახებ მოიპოვებოდა XIX საუკუნის ოციან წლებში. ამ წარწერით შემდეგ სხვა სპეციალისტებიც დაინტერესდნენ. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ვ. პფაფის შეხედულებას, რომელსაც 1871 წელს საგანგებოდ შეუსწავლია იგი⁸. ვ. პფაფი წერს:

«Надпись была неизвестно кем снята и через посредство барона Розенкампа, ученого правоведа из С. Петербурга, сообщена сначала известному профессору берлинского университета Бишеру (Bieser); а через последнего академику Броссе, публиковавшему об ней в вышеприведенной статье. Ученый издатель жале-

⁸ Сборник сведений о Кавказских горцах, вып. V, 1871, стр. 62.

ეტ, что надпись не была снята в подлинном лапидарном почерке. Из Journal Asiatique надпись, с различными вариантами, перешла во многочисленные сочинения, и в настоящее время уже пользуется громкою, можно сказать, европейскою известностью¹.

3. შეფათის ცნობით, ეს წარწერა «по словам жителей, будто бы, стерта священником Николаем Самаргановым, бывшим в Осетии в двадцатых и тридцатых годах. Но и на счет этого мы уже выше заявили свои сомнения; подобная обширная надпись не могла поместиться на такой узкой полосе стены, как та, на которую нам указали, тем более, что буквы, которыми мнимые остатки этой надписи написаны, довольно крупного размера. Из всего этого мы заключаем, что нузальская надпись никогда не существовала и не могла даже существовать, потому, что содержание ее противоречит всем историческим данным».

ავტორი საბოლოოდ ასკვნის: «Цель, с которою надпись была сочинена, очевидно, состояла в том, чтобы сблизить потомство Осипбагатара с потомством Давида-Сослана. Но обман этот не удался. Конечно, в настоящее время, когда, вероятно, все участвовавшие в этой проделке давно уже в могиле, нет никакой возможности раскрыть виновника. Притом я считаю нужным сказать, что барон Розенкамф, по всем юридическим данным дела, служил только слепым орудием этого обмана, но насколько к нему не причастен»².

ამგვარად, ეს ეპიტაფია ნუზალის ეკლესიაზე შეიძლება საერთოდ არც ყოფილიყო წარწერილი. ეს ფაქტი თითქოს თავიდან ბოლომდე მოგონილი ჩანს. ისმის კითხვა: თუ ეს ასეა, მაშინ ვინ შეიძლება იყოს ამ ეპიტაფიის ავტორი, რომელსაც შემდეგში მოუხერხებია, მისი ასე ფართო პოპულარობით გავრცელება?

§ 3. ეპიტაფიის ავტორი და თარიღი. 1924 წელს ნუზლა ეკლესიის წარწერას შეეხო კ. კეკელიძე და დასვა ერთი მეტად საინტერესო საკითხი. მკვლევარი განიხილავს პოემა „აღლუზიანს“ და აღნიშნავს, რომ მისი ავტორი კარგად იცნობს ქართულ საისტორიო წყაროებს და იყენებს მათ თავის თხზულებაში. კერძოდ ის იხსენიებს ოსეთის ძლიერ მეფეს ბაყათარს, რომელიც კარგად არის ცნობილი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.

V საუკუნეში ოსებმა ვახტანგს მოსტაცეს და—მირანდუხტი. ის შეებრძოლა და პირდაპირ ბრძოლაში მოკლა ოსთა უძლეველი ფალავანი ბაყათარი. ამასთან დაკავშირებით კ. კეკელიძე სქოლიოში წერს: „ეს ამბავი უნდა იყოს გადმოცემული ნუზალის ეკლესიის კედელზე წარწერილს ლეგენდაში, სადაც ვკითხულობთ:

¹ Сборник сведений о кавказских горцах, вып. V, 1971 г. стр. 62

ქართველს ბატონს და მოესტაცე. არ დაეავდე ჩემი გვარი,
მამწველა ფიცით მილაღატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი:
ბაყათარ წყალსა მიეცა, ალოკოცა ოსთა ქარი

კ. კეკელიძე განაგრძობს: „საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს პოემასა და ნუზალის ეკლესიის ლეგენდას შორის რაღაც იდუმალი კავშირია, საფიქრებელია ქრონოლოგიურიც; ეს კავშირი, სხვათა შორის, გამოიხატება შემდეგში: წარწერის ლეგენდა უკავშირებს ერთმანეთს ოს-ბაყათარისა და დავით სოსლანის სახელს:

ჩვენ ვიყვენით ცხრანი ძმანი...
ოს-ბაყათარ დავით სოსლან.

პოემაშიც ეს სახელები დაკავშირებულია ერთმანეთთან: ოსთა მეფე ბაყათარი რომ ძლიერი და სწორუპოვარი იყო, ეს მისმა პირმშო შვილმა დასწერაო, ხოლო დავით სოსლანმა „აცთუნა სხვა მოქმელიო“, ესე იგი მეორე სწორუპოვარი ოსის, დავით სოსლანის, დიდებამ წააქეზა სხვა მწერალი, რომ მისი დიდება ეთქვათო; ავტორი, ალბათ გულისხმობს ერთერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს, სადაც დავით სოსლანზეა ლაპარაკი, შეიძლება თამარის ისტორიას, ან თამარიანს¹⁰.

ამგვარად, კ. კეკელიძის აზრით, პოემა „აღლუზიანსა“ და ნუზლა ეკლესიის ეპიტაფიას შორის „რაღაც იდუმალი კავშირია, საფიქრებელია ქრონოლოგიურიც“. სამწუხაროდ, კ. კეკელიძე ამ საკითხს შემდეგში არ შეხებია და არ დაუზუსტებია, თუ როგორ ჰქონდა მას კონკრეტულად წარმოდგენილი ეს „იდუმალი კავშირი“. ამ პრობლემით არც სხვა მკვლევარები დაინტერესებულან. თითონ კ. კეკელიძემ, როგორც ცნობილია, თავისი შრომის შემდგომ გამოცემებში პოემა „აღლუზიანი“ მთლიანად ამოიღო როგორც გარდამავალი ხანის პოეტური ნაწარმოები. ასე რომ მკვლევარის ეს საყურადღებო შენიშვნა თანდათანობით დავიწყებას მიეცა...

კ. კეკელიძემ დამაჯერებლად გაარკვია, რომ პოემა „აღლუზიანი“ დაწერილია არა ძველი ქართული მწერლობის დაცემის ხანაში, XV საუკუნეში, როგორც უწინ ფიქრობდნენ, არამედ „მეთვრამეტე საუკუნის გასულს თუ მეცხრამეტეს პირველ მეოთხედში“¹¹. მისი ავტორია საქართველოში ერეკლესა და გიორგი მეფეების კარზე აღზრდილი ოსი აზნაური იოანე იაღლუზიძე, რომელიც გამსჭვალული იყო ოსური პატრიოტიზმით იმდენად, რომ 1820—1825 წლებში მან ოსებს შეუქმნა ანბანი და ქართულიდან უთარმნია საღმრთო წიგნები¹². ისმის

¹⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია. ტ. II, 1924, გვ. 201, 267. 4.

¹¹ კ. კეკელიძე, იგივე, გვ. 203.

¹² კ. კეკელიძე, იგივე, გვ. 204—205.

კითხვა: „აღლუზიანის“ ავტორი იოვანე აღლუზიძე ხომ არ არის ნუხალის ეკლესიის ეპიტაფიის ავტორი? თუ ეს დამტკიცდა, მაშინ ჩვენ გვეცოდინება ეპიტაფიის დაწერის დროც და თითონ ამ ეპიტაფიის შემცველი წარწერის შესრულების თარიღიც. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ეს ორი თხზულება ერთმანეთს შევედაროთ დეტალურად და გავარკვიოთ; საერთოდ რამდენად დასაშვებია იოანე აღლუზისძის მხრივ ისეთი ნაწარმოების შექმნა, როგორცაა ნუხალის ეკლესიის ეპიტაფია?

„აღლუზიანისა“¹² და ნუხალის ეკლესიის ეპიტაფიის შორის შეინიშნება დიდი მსგავსება:

1: ორივე ნაწარმოების ავტორი ოსია ეროვნებით, რომელიც იცნობს ქართულ საისტორიო წყაროებს და იყენებს მათ. ორივე თხზულება გამსჭვალულია ოსური პატრიოტიზმით. ეპიტაფიაში ოს-ბაყათარი და მისი ძმები ამაყად აცხადებენ, რომ მათ უჭირავთ „მიმავალ-მომავალთა, ოთხის კუთხის ვიწრო გზანი“. ისინი ებრძვიან ოთხ სამეფოს, მათ დაუპყრიათ მთელი კავკასიონი. განსაკუთრებით აქვს ზაზი გასმული იმას, რომ ძმებმა, „ქართველთ ბატონს და მოსტაცეს“ და ამით „არ დააგდეს“ თავიანთი გვარი. იგივე მდგომარეობა გვაქვს „აღლუზიანშიც“. პოემის გმირები იბრძვიან ოთხი სამეფოს წინააღმდეგ, იპყრობენ მთელს კავკასიონს. საინტერესოა ისიც, რომ ეპიტაფიის მსგავსად აღლუზონიც იტაცებს ურწმუნო ჩაჩანთა მეფის კესარხანის ასულს ესთერს და დიდ ბრძოლას იხდის ამის გამო, შემუსრავს კესარ ზანის სამფლობელოს, მუსრს ავლებს მღვეარ ლაშქარს.

2. ეპიტაფიაში აშკარაა ქრისტიანული ტენდენცია: „ჩვენი ძმანი ბერნი, — ისაკ, რომანოზ და ბაჰილ, — იყვნენ ქრისტეს კარგნი ყმანი“. შემდეგ ძმები არიან: „საიქიოთ მოიძედე, სააქაოს კარგა მღვარა“ და სხვა. ასეა „აღლუზიანშიც“. ერთ-ერთ ბრძოლაში, როდესაც ძალიან გაუჭირდა, აღლუზონმა შევლისათვის მიმართა მაქხოვრას ჯვარს და ამით მიიღწია გამარჯვებას. საერთოდ, როგორც ეს აღნიშნული აქვს კ. კეკელიძეს, ავტორი „კარგი მცოდნეა საღმრთო წერილისა, კერძოდ დავითნისა და მოსეს წიგნებისა“. პოემა იწყება სამეფოს ქება-დიდებათ. ერთი სიტყვით, პოემა გამსჭვალულია ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობის შეგნებით.

3. ეპიტაფიაში და პოემაში ეპოულობთ ერთი და იგივე გმირების სახელებს, როგორცაა, მაგალითად, ქარხილონი, ოს-ბაყათარი დავით სოსლანი და სხვ. ორივე თხზულებაში გამოყენებულია ქართული საისტორიო წყაროები, რომლებში მოთხრობილი ფაქტებიც ორივეგან

¹² ვსარგებლობთ მ. ჯანაშვილის გამოცემით: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 22, стр. 90—188.

შეზავებულია ხალხური ლეგენდებითა და გადმოცემებით. ორივე ოხზულებაში ზშირია ისტორიული ანარქიზმები. ამ მხრივ მათი მსგავსება ეჭვს არ იწვევს.

4. ეპიტაფია მხატვრულობის თვალსაზრისით არ სტოვებს მაინცა და მაინც კარგ შთაბეჭდილებას. ყოველ შემთხვევაში აქ ლექსის ზომა დაცული არაა. აქ 16 მარცვლიანი ტაეპების გვერდით გვაქვს ოცმარცვლიანი და ოცდაორმარცვლიანი ტაეპებიც. ანალოგიური ვითარება გვქონია „აღლუზიანშიც“. კ. კეკელიძის სიტყვით, „პოემა დაწერილია 16 მარცვლიანი რუსთველური ლექსით. ენა მისი მეტად უხეშია, ლექსი მძიმე და უგემური. ავტორს უბრალო საზომიც კი ვერ დაუცავს ყველგან: სტრიქონში ზშირად ხან 17 მარცვალია, ხან 15; რითმის გულისათვის სიტყვები დამახინჯებულია, ერთი სიტყვით ასეთი უხეში და უნიქო მიმბაძველი ვეფხისტყაოსნისა, მეორე ძნელად მოიძებნება აღორძინების ხანაში“¹³. კ. კეკელიძის სიტყვები თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ნუზალის ეკლესიის ეპიტაფიის მიმართაც.

5. „აღლუზიანის“ ავტორს ეტყობა ერთგვარი გატაცება ეპიტაფიებით. პოემის გჰირის აღლუზიანის გარდაცვალებას შემდეგ მის საფლავზე აღმართეს ძეგლი ასეთი წარწერით:

თუ მკითხავ, მოგახსენებ; მეფე ვარ ამოსარის,
მპყრობელი დიდთა. ქვეყანათ, ძირით დავით მეფის გვარის,
აღლუზონ დიდი ხელმწიფე თვითმპყრობელი მილანქარის.
ბატონი დიდი ოვსთ, ჩერქეზთ, ჩეჩენ, ქისტთა, ნონთა კარის.
გვარად დიდ აელუსტიან ბატონი. მთისა და ბარის,
იალბუზის, კავკაზის და მხარეთა მისთა გარის,
მართლმორწმუნე ქრისტიანი და მლოცველი ცათა მყარის,
მხარგრძელი და მკლავ მაგარი, მეფე ხლმისა ჩაჩქან ფარას.

აქ აღლუზონი წარმოდგენილია მთელი კავკასიის მფლობელად და ბატონად, ეს წარწერა, როგორც შინაარსობლივად ისე ფორმის მხრავაც, ძალიან ჰგავს ნუზალის ეკლესიის ეპიტაფიას. ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ დეტალსაც: ეპიტაფიით ბაყათარი ქართველებმა მოკლეს ღალატით: „მომწვედა ფიცით, მიღალატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი“. პოემის მიხედვით ასევე ქართველი თავადის გამრეკელის ღალატით მოიკლა აღლუზონიც.

6. დასასრულ საჭიროა განვიხილოთ ორივე თხზულების მიზანდასახელება. „აღლუზიანის“ ავტორის სურვილი ყოფილა მხატვრულად აღწერა ოსეთის მეფეთა საგმირო საქმეები და შთამომავლობა რომ ამით უეკდაეყო ისინი. ის პირდაპირ ამბობს:

¹³ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

„ხელეპყო წიგნებსა აღწერად: ვის გეარ ვართ შთამომავალი,
ვინ ვისგან იწვდის ყოფასა, ვინ გვართა გამომავალი,
ვინ ვის გვართაგან ძეობდეს, ვინ ვისგან არს მომავალი,
ვინ ვითარი გასწია მხნეობა ხმელეთ მავალი.
აღწერო ყველა გონიერად, მართალ, არაჩა შევშალო,
რაც მომხდარა ჩვენში კარგი ვიწყო და ირ დავიშალო,
თუ როგორის ცხოვრებითა ჩვენმან მყოფობამან განელო“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ივანე იალღუზისძეს ორგვარი მიზანდასახულება აქვს: ისტორიული და პატრიოტული. ასეთივე ვითარება გვაქვს ნუზალის ეკლესიის ეპიტაფიამშიც. ეს ორი თხზულება რომ ერთმანეთთან არის რაღაც ძაფებით დაკავშირებული, ეს, სხვათა შორის, ჩანს იქიდანაც რომ პოემა „აღღუზიანის“ ძველი ხელნაწერი, რომელიც დღესდღეობით არა ჩანს, დაცული ყოფილა ნუზალში. ეს გარემოებაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: იოვანე იალღუზიძემ ოსების მეფეთა ისტორია აღწერა მხატვრულად და მათ უკვდავსაყოფად თითონ დაწერა ეპიტაფიაც. ავტორმა შემდეგში ეს ეპიტაფია გაასალა როგორც ისტორიული ფაქტი, შეგნებულად დაფარა თავისი პიროვნება და ამ გზით საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა ეს ახლად შექმნილი ეპიტაფია. ასეთივე ვითარება გვაქვს „აღღუზიანშიც“, სადაც არავითარი პირდაპირი მითითება არ მოიპოვება მისი ავტორის შესახებ. ამის შედეგად ეს თხზულება კარგა წნის განმავლობაში მიაჩნდათ საისტორიო ხასიათის ნაწარმოებად და ამის მიხედვით ცდილობდნენ სხვადასხვა საცილობელი ისტორიული საკითხების გადაწყვეტას. პოემას ჩვეულებრივ ათარიღებდნენ XIV—XV საუკუნეებით. მხოლოდ 1924 წელს გაარკვია კ. კეკელიძემ, რომ იგი დაწერილია არა ძველი ქართული მწერლობის დაცემის ხანაში, არამედ XVIII საუკუნის მიწურულს ან XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. კვლევა-ძიების ასეთივე გზა გაიარა ნუზალის ეკლესიის ეპიტაფიამაც. დღემდე ყველა მკვლევარი იმ აზრისა იყო, რომ იგი შექმნილია ძველი ქართული მწერლობის დაცემის ხანაში, რაც, როგორც ვხედავთ, არ მართლდება: პოემა „აღღუზიანთან“ ერთად ისიც დაწერილი უნდა იყოს იოვანე იალღუზისძის მიერ XVIII საუკუნის მიწურულსა თუ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, 1830 წლამდე, როდესაც გარდაცვლილია მისი ავტორი.

ეს ჩვენი მოსაზრება შეიძლება შევამაგროთ იოვანე იალღუზისძის ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც. ის დაბადებულა 1770 წელს და გარდაცვლილა 1830 წელს. იოვანე აღზრდილა და სწავლავანათლება მიუღია საქართველოში ერეკლესა და გიორგი მეფეების კარზე „ქართულისა საღმრთოსა წერილთა და ღრამატიკოსობითა და

ფილოსოფიითა“. იგი, როგორც რუსეთის მოხელე, მონაწილეობას ღებულობდა ოსეთის აჯანყების ჩაქრობაში. ამ წლიდან ის მუშაობდა ოსეთში მოსამართლედ. იოვანე იალღუზისძეს ხშირი, ურთიერთობა ჰქონია საქართველოს სამეფო კართან და ბატონიშვილებთან. მისი ბოღვაწეობისათვის დამახასიათებელია პატრიოტიზმი, მხურვალე სიყვარული სამშობლოს წარსულისადმი და სიძველეებისადმი. 1820—1825 წლებში იოვანე იალღუზისძემ ოსებს შეუქმნა ანბანი და უთარგმნია ქართულიდან სასულიერო ხასიათის წიგნები¹⁴. ასეთი იდეით და შეგნებით გამსჭვალულ ბოღვაწეს მართლაც შეეძლო დაეწერა ნუზალის ეკლესიის ეპიტაფია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იოვანე იალღუზისძეს საერთოდ ქართულ ენაზე უწერია სხვა ლექსებიც¹⁵.

როგორც ოსეთის წარსულისა და სიძველეების საუკეთესო მცოდნე, იოვანე იალღუზის ძე იქნებოდა საუკეთესო ინფორმატორი ქართველი საზოგადოებისათვის ამ სფეროში, ვფიქრობთ ამ გზით გაჩნდა ნუზალის ეკლესიის ეპიტაფია ვახუშტის ისტორიის შემცველ ერთ ხელნაწერში (A1111, გვ. 249), რომელიც გადაწერილია 1817 წელს. საერთოდ ეპიტაფიის კვალი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში არ ჩანს იოვანე იალღუზისძემდე. ესეც იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ იგი არის მისი ავტორიც და ეპიტაფიის შემცველი მინაწერის ინფორმატორიც.

ამგვარად, ნუზლა ეკლესიის ეპიტაფია არ არის შექმნილი ძველი ქართული მწერლობის დაცემის ხანაში. იგი უნდა ეკუთვნოდეს პოემა „იალღუზიანის“ ავტორს, იოვანე იალღუზისძეს, რომელსაც ეს ეპიტაფია დაუწერია XVIII საუკუნის მიწურულს თუ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში.

¹⁴ იოვანე იალღუზისძის ბიოგრაფიის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 204—205.

¹⁵ ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, გვ. 190—200, 1939.

ლალი მოწინააღმდეგე

ანტონ კათალიკოსის წერილები

ქართულ „სამდივნო წიგნებში“ შემონახულ წერილთა უმრავლესობას დიდი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. მათში ასახულია მე-18 საუკუნის საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება და მოღვაწეობა. ხსენებული წერილების, რომლებიც აგრეთვე მნიშვნელოვან ლინგვისტურ ძეგლებს წარმოადგენენ, ერთ მთავარ ღირსებას სწორედ ეს შეადგენს. ისინი, დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრების ცოცხალი მოწმენი, იმდროინდელი ყოფისა თუ პიროვნებების მანკიერი მხარეების მამხილებელნიც არიან.

ეპისტოლეთა წყალობით ჩვენ თვალწინ წარმოდგება იმ ისტორიულ პირთა მთელი გალერეა, რომელთა მოღვაწეობის შესახებაც დღეს შესაძლოა არაფერი გვეცოდნოდა, სახელის ან ზოგიერთი ფაქტის გარდა, ეს წერილები რომ არა. გარდასულნი ცოცხლებიან მხოლოდ პირადი ბარათების წყალობით, რადგან ვერავითარი ვრცელი ისტორია და მატთანე ვერ შეძლებს იმის გადმოცემასა და შემონახვას, რაც ძალუძს თითქოს უმნიშვნელო, პატარა ეპისტოლეს.

ამ თვალსაზრისით მეტად ყურადსაღებია ანტონ კათალიკოსის წერილები, რომლებშიაც შეუფერავად წარმოგვიდგება ათასგვარ ქარიზხალს გამოვლილი, ეს თავისებურად ტრაგიკული პიროვნება.

ანტონ კათალიკოსი მე-18 საუკუნის დიდი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწეა, „მისი კალამი, მისი ღრმად განვითარებული გონება თანაბარი ნაყოფიერებით ქმნიდა და მუშაობდა ცოდნისა და მეცნიერების მრავალ დარგში“...

...ანტონ კათალიკოსი საქართველოში ევროპული კულტურის შემოტანით სასკოლო საქმის მოწესრიგებას ფიქრობდა და ამ მიზანს შესწირა თავისი რწმენა და კარიერა¹. როგორც ცნობილია, ანტონ კათალიკოსი მსხვერპლი გახდა მეფის მოძღვრის — ზაქარია გაბაშვილის

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 358.

— მიერ დატრიალებული ინტრიგებისა, იგი გადააყენეს კათალიკოსობიდან და საქართველოდანაც გააძევეს.

ღრმა სულიერი განცდებით არის აღბეჭდილი ექსორიის დროს რუსეთიდან გამოგზავნილი წერილები. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, გოცებას იწვევს უდანაშაულოდ განდევნილი მამულიშვილის დიდსულოვნება. სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს იგი მისდამი მეგობრულად განწყობილ ბიძაშვილებს, ერეკლესა და ანას, აგრეთვე ბიძას — თეიმურაზ მეორეს, რომლის უშუალო მხარდაჭერითაც ზაქარია გაბაშვილმა გააძევა იგი სამშობლოდან.

ანტონის წერილებში ასახულია მე-18 საუკუნის უტყუარი სურათი, გადმოცემულია რუსეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფის ამსახველი ფაქტებიც. ისინი ნათელს ჰფენენ მე-18 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრების მრავალ საჯულისქმო ფაქტს.

დიდ ინტერესს იწვევს ზაქარია გაბაშვილისა და ანტონ კათოლიკოსის მიწერ-მოწერა. ზაქარიასთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნაჩვენებია ამ ორი სასულიერო პირის ბრძოლის ყოველი საფეხური. ირკვევა, რომ თავდაპირველად ზაქარია შეფარვით მოქმედებდა ანტონის წინააღმდეგ და გარეგნულად მასთან კეთილგანწყობილებას ინარჩუნებდა.

ამას მოავონებს ანტონი ზაქარია გაბაშვილს: „ცოდვა გებრძანა, ამან განგაშორაო ჩემის. მამაშვილობისგანაო, — ...თუ წარსულას ცოდვისა მომწერე... თითონ თქ(ვენი) გაკეთებული იყო ის მისატყვებელი და გამხსნითი არშიაც ეწერა, ჩემი იმ ცოდვის დიდი სინანული და ც(რემ)ლი და შენმან პატიოსნებამაც კელი მოაწერა. ახლადლა მამხილებ იმ ცოდვას, რომლისა ჩემგან შენანებ(ის) წარწერით მოწამე ხარ, ...მეფენი რომ ჩემს პყრობილებით ცხოვრების უამს კა(ვთისხე)ვს ეწვივნენ, მაშინ მოგეწერა მუხრანიდამ ჩემთან დიდი ფიცი, რომ შენზედ არაფერი არა დაგიშავებიო და არცა არა მივნიო. არც შენი დამკობა მე გამომირჩევიაო და დიდათაც ვსწუხვარ, მართალია, რომლისაჲსამე საქმეებისაგან შენს დაბრკოლებას ვსცდილობდით“².

უეპველია, ამ მოჩვენებითი კარგი განწყობილებით იყო გამოწვეული ანტონის საპასუხო თბილი წერილიც ზაქარიასადმი და არა იმით, თითქოს ზაქარიასაგან განწირული ბაგრატიონი შიშის გამო ეფიცებოდეს სიყვარულსა და მეგობრობას, როგორც ამას გ. ლეონიძე ფიქრობდა³.

² H 2510, გვ. 2—3.

³ გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1949, გვ. 184.

პირიქით. ამ წერილიდან ჩანს, რომ ზაქარია რუსეთში მყოფ ანტონს სხვადასხვა საეკლესიო ინვენტარისა თუ ნივთების გამოგზავნას სთხოვდა: ანტონს სდომებია ოდიკის გაგზავნა, მაგრამ თავი შეუწყავებია. „რამეთუ კაცისა მყოფისა უბადოებასა შინა არა რაამე საამებელად გამოჩნდეს ვისდამე“⁴.

ამ მიწერ-მოწერიდან ცხადი ხდება, რომ ზაქარიას ანტონ კათალიკოსისათვის, დაუნდობელი ბრძოლა გაძევების შემდეგ გამოუცხადებია. მე შენს ეპისტოლეს ველოდიო, — სწერს ანტონი, — მაგრამ ჩანს ჩემზედ გიწყრებოდა გულიო, — და სთხოვს: „ვითხოვე თქვენი-საგან მამობრივისა სიყუარულისა, რათა განაახლო ჩემდამი პირუჭლი ოგი სიყვარული და სიმშვიდისა და უროფთა შემუსრო კერპი სიძულვილისა“⁵.

ანტონის განდევნის შემდეგ ზაქარიას პოზიცია აშკარად შეუცვლია და გულახდილად განუცხადებია წერილით თავისი გულისწყრომა. ამით გაოცებული ანტონი პასუხობს: „გებრძანა ორნივე ოდ(ითვან) ვსხედით მრისხანების ჰუნეთა ზე(და)... ურთიერთას ბრძოლას უყოფდით. ეს დია, მეკვირვა შენის სიტყვათა უქცევლობისაგან“⁶.

ადრე ერთგულებას მეფიცებოდი, ახლა კი „გიბრძანებია, რომ მრისხანების ჰუნეზე მჯდარხარ და მანქანით ჩემდამო ბრძოლა გიქმნია, ეს იმ მტკიცის დასარწმუნებელის სიტყვებისა, რაიც კავთისხევეს მოგეწერა დია წინა უკმო არის“⁷.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ანტონ I-ის განდევნის მიზეზი იყო არა მარტო საეკლესიო-დოგმატიური, არამედ პოლიტიკურ-დინასტიური კონფლიქტიც.

ერეკლესადმი წარგზავნილი ეპისტოლეს ერთი ადგილი გვაფიქრებინებს, რომ სწორი უნდა იყოს ეს მოსაზრება.

თავის დროზე ამ საკითხს საგანგებო ყურადღება მიაპყრო კ. კეკელიძემ რეცენზიაში ნ. მაისურაძის ნაშრომზე — „ზაქარია გაბაშვილი“. აქ კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ახლა ცნობილია, ერთი, რომ ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, მოპოვებული თ. ჭყონიას მიერ, რომლითაც ირკვევა, რომ ანტონის გაძევების მიზეზი არ ყოფილა მარტო საეკლესიო-დოგმატიკური, არამედ თითქოს პოლიტიკურ-დინასტიურიც. ეს აზრი, რომელიც თავის დროს გაკვირვებით ცნობილს მურავეიოვსა და პროფ. ა. ცაგარელსაც გამოუთქვამთ და რომელიც არც ჩვენს მკვლევარს გამოპარვია მთლიანად მხედველობიდან, ახლა დოკუმენ-

⁴ H 772, 172—182.

⁵ H 772, 172—182.

⁶ H 2510, გვ. 2.

⁷ იქვე გვ. 3.

ტურადაც მტკიცდება: ის უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე ამას დღეს ვხედავთ ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში⁸.

ამ შეხედულებების სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი ადგილიც ანტონის წერილიდან: „მე შენსა ანტონის, შენსა საკუთარსა ძმასა, შენისა ხედვსა ფასად არა რაჲვე არსთაგანი ქმნილო მოსაგებელად ჩემ-და შემერაცხა ში, საყვარელო, მაგრა ვინაიდგან უკეთილობათა ჩემთა მიერ კნინლა წარვიწყებინდე ძეობისა მადლი სულითი, შენისა ხედვისა-განცა ვიექაოვე, ზოლო თუ საცნოდ ენობის ვისმე თუ რის არსთაგანი ქვენაჲ უმჯობეს მიჩნდა თავისა თჳს ჩემისა, კეთილო ჩემო, ტრედო ჩემო, ესე აღმოიკითხენ და ამით სცანნ. ვითარმედ გარდა მისა ცისა არა რაჲმე მესაჭირებოდა ჩემთვის შენა ახლო ყოფასა, გარდა ხე-დვსა მის მოძღურისა შენისა ქრისტესა. აჲ ხედვა არა რაჲვე განსაშვე-ბელად მიჩნდა ხედვსა შენისა და, და გარდა წმიდათა ლოკუთა და კი-თხვსა საღმთოთა და წმიდათა წერილთასა, არა რაჲმე ზრახუაჲ ვამს-სგავსო შენთა ზრახუასა“⁹.

აქ ანტონი, ერეკლეს, ზაზგასმით და გარკვევით აგრძნობინებს, რომ მისი შეცოდება გამოწვეული იყო მხოლოდ სასულიერო მოტივებით, რომ მას ერეკლესთან ახლო ყოფნისა და მასთან საუბრის გარდა სხვა ინტერესი არა ჰქონდა რა. არავითარი განზრახვა არ ჰქონდა ერეკლეს დასაგავსებოდა (იგულისხმება ტაბტის მოაოვებისათვის ბრძოლა).

ეს ეპისტოლე ანტონის გულწრფელი აღსარებაა მეფისა და საყვარელი ბიძაშვილის წინაშე. იგი გულდაწყვეტილი აღნიშნავს, რომ ეს სატკივარი (სამშობლოდან გაძევება) მას მიაყენეს სწორედ მისი კეთილი საქმეების მცოდნეებმა, მაგრამ იგი ბრალს არავის დებს, როგორც იოსე ებრაელებთან მიმართვის დროს:

„ებრაელთა ურჩებათათჳს ეტყოდა ებრაელთაგანვე, ვითარმედ შეირტყენ კაცად კაცად მან მანვილი, და მოკალნ ძმა თჳსი და მოყვასი თჳსი. ზოლო იქმოდნენ რა არა ცდიდიან“¹⁰.

იქვე ანტონი მიმართავს ერეკლეს:

„ამის მოწერისათვის ნუ განრისხდები და ნურც ყვედრებაში ჩამო-მართმევ. ალბათ გაგიგონია რა უყო დავითის მოციქულებს ანონ მეფემ ძეთა ამმონისთამან. „თვთ განზრახვთა და კელითა შენითა იგი გექმნა ჩემთვის არც იგი განმამორებდა სიყუარულისაგან შენისა. მით რაითა რაჲცა მომეგო იგი არა ვისად ბრალ, გარნა მხოლოდ ჩემისა თავისა-არა სიმართლით ვიყავ წინაშე ღმერთისა და ამისთვის არა თუ იობი-სებრ, არამედ საულისებრ მწყლა“¹¹.

⁸ კ. კეკელიძე, ეტიუდები. ტ. X, გვ. 173—174.

⁹ H 18, გვ. 39.

¹⁰ იქვე

¹¹ იქვე.

აქედანაც ნათლად ჩანს, რომ ანტონი თავის შეცოდებას მხოლოდ სარწმუნოებრივ ნიადაგზე ზსნის. რამდენად ადამიანური, მარტივი და უშუალო ხდება ანტონის სტილი, როცა იგი თავის შინაგან განცდებს გადმოგვცემს, ამჟღავნებს ერეკლესადმი ზრუნვასა და სიყვარულს: „გვედრები უკუშ, და მუქლადღმით გვედრები, რამეთუ არა მიმკე დავიწყებასა მკუღარი... ამას გვედრები, ის რომ ჩემი მოწლებობა გულიდამ არ განიშორე. ნუ დამიტევებ მოძულვებად და ნურცა დამვიწყებ... თუნდა ოთხი ათას ვერსზედ მოშორებული გებრალეზოდე. მე ღია ჩემთვის უღირს მშვიდობაში მოველ, რომელსა აღრითვან გული მითქმიდა. მაგრამ მაშინაც უმშვიდობო ცხოვრება მაქვს. ამაეზის მფიქრებელსა, ეგების ერეკლე ახლა ომში იყოს, ეგების უჭირდეს რამე, ეგების ავად იყოს, ასეთი მწუხარება დამეჩემა, ამას რომ ვფიქრობდე ან დიდებულთა ვისთანმე ვჯდე სტოლზე, ან ეკლესიაში ვიყო, თვითონ კელმწიფის სასახლეში ხომ წირვაზე ვერ დავაკლდებით დღესასწაულზე, ან ჩემთვის ვილოციდე, სულ ცნობისაგან გავალზოლმე და მკითხავენ ხოლმე ჩემი ნათესაეები, რას ფიქრობ?! ჭეშმარიტად ერთი უცხო სენი დამემართებაო. ამას არ თუ გაუყუდრებ, არა ჭეშმარიტად, მაგრამ შემოგჩივი და სახეს გაჩვენებ, არც შენ დამივიწყო“¹².

რადგან გული გადაგიხსენი, შენც ნუ გამწირავო, — სთხოვს ანტონი მეფესა და მეგობარს. ანტონის ეს წერილი დათარიღებულია 1757 წლის 6 დეკემბრით. ცნობილია, რომ 1757 წლის 1 დეკემბრიდან ანტონი დანიშნულ იქნა ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად. მისი მდგომარეობა ამ დროს გარკვეული და შედარებით დაწყნარებული იყო.

ანტონი მაინც არ იეიწყებდა ერეკლეს და დღენიდაგ ზრუნავდა მასზე. საგანგებოდ მისთვის უთარმნია და გაუგზავნია კურციოსის „საქმენი ალექსანდრე დიდისნი“ — „შრომითა ჩემითა ქართულსა კმასაზედა გარდმოღებულნი“.

1762 წელს დაწერილ ეპისტოლეში ანტონი გულითადად ულოცავს ერეკლეს გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფობას: „მოგილოცავ ახლისა წინაპართა პაპათა ჩუენთა... განჭრილის საყდრის შეერთებულად მიღებასა, შენ გონიერს მკნეს მეფესა“¹³ — და ლოცავს.

ცნობილია, რომ ანტონის გაძევების შემდეგ მისი თანამოაზრენი სასტიკად დასაჯეს.

ღვენილთა შორის იყო ანტონის გულითადი მეგობარი და დეიდა

¹² H 18, 39. r.

¹³ H 251g, გვ. 1.

ხვარეშანი. როგორც ჩანს ანტონს ხშირი, ინტიმური მიწერ-მოწერა ჰქონდა ზვარეშანთან.

ამ გარემოებაზე მიუთითებს იგი ალექსი დეკანოზისადმი წარგზავნილ ეპისტოლეში:

„ჩემისა უნდოდა ცხოვრებისა განწილება უფსკრულთა და ღელუთაგან ჰირთასა, რომლისა მომიცუდეს ღელუანი იგი განსაცდელთანი იუწყე დედის დისა ჩემისა გამო მოწერილისაგან ჩემისა ეპისტოლესა“¹⁴.

ამასვე სწერს ანტონი ერეკლეს: „თუ სადამე ჩემთა ამბავთა ცნობად სწადდეს მეფობასა შენსა, მამის დისა თქუჭნისა მეფისა ასულისა ზუარეშანის მიმართ ჩუქნგანისა ვისმე მიერ მოწერილისაგან ეპისტოლესა მოიქსენენ“¹⁵.

ამავე გარემოებაზე მიუთითებს იგი ანა ბატონიშვილისადმი მიწერილ ეპისტოლეში:

„ჩემის მგზავრობისა ან მოსვლის და ან ამ საკვირველს ქალაქს პეტერბურხს მოსვლისა და ან კელმწიფის თაყვანისცემისა და რაც აუღინციით ნახვად, წყალობად, რომ მოდრკა მისი დიდებულება ჩემზე, ესენი ვერ მოგახსენე, დედიდის ჩემის ზვარაშანის წიგნი მოატანინეთ ზაქარია ხუცესმა რომ მოსწერა, ჩვენმა თაზიშვილმა, და თუ არ დაგზარდებათ წაკითხვას, ყველა წვლილად სწერია“¹⁶.

ზვარაშანი გახლდათ ანტონის დეიდა კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ იგი „ნაშობი იყო არა ანნასაგან (ჩოლოყაშვილის ასული, მეუღლე ნაზარალი ხანისა), არამედ ერთ-ერთი ხარკისაგან, ქართლში: წინააღმდეგ შემთხვევაში ანა მისგან ნაშობ ქალს ვერ მიათხოვებდა თავის ძმისწულს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს სპარსელების ზნეჩვეულებისა და ადათების შემოკრის გამო მორალური სახე ცხოვრებისა საკმაოდ შერყვნილა ჩვენში. ამ ზვარაშანის შესახებ, ჩვენ გვაქვს ანტონ კათალიკოზის შემდეგი ცნობა: „ღედიდაი ზვარაშან მომიკვდა და ცილდაწამებული ძაღლთა და მკეცთა მისაგდებლადაცა, დაისაჯა“, რა დანაშაული უნდა ჩაედინა მას ისეთი, რომ ამგვარი სასჯელი მიეყენებინათ მისთვის? „ვეტიქრობთ, — განაგრძობს მკვლევარი, რომ იგი კათოლიკე მისიონერთა ქსელში იყო გაბმული და, როგორც ასეთი, ქომავი ანტონ კათალიკოსისა, დამცველი მისი და უარყოფითად განწყობილი იმ ზომებისადმი, რომელთაც თეიმურაზ მეორე მიმართავდა ანტონთან და კათალიკოზის მიღევრებთან ბრძოლაში“¹⁷.

14 H 772. 20v.

15 H 18. 39v.

16 იქვე

17 კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 232.

კ. კეკელიძის ვარაუდი, დასტურდება ანტონ კათალიკოსის წერილებითაც. ჩანს, რომ ზვარაშანი ანტონთან ძალიან ახლო ურთიერთობაში ყოფილა და მათ გულახდილი ინტიმიური მიწერ-მოწერაც ჰქონიათ. ყოველივე ეს ხდება სწორედ 1757 წელს. ის ცნობა კი, რომელსაც კ. კეკელიძე გვაწვდის, გვიანდელია. ანტონის წერილი, სადაც ზვარაშანის წამებაზეა ლაპარაკი, თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ არის დაწერილი. გაბოროტებულ ზაქარიას ზვარაშანი სასტიკად დაუსჯია, ანტონთან მეგობრობის გამო.

ზვარაშანი, როგორც დავით იმამყულიხანი ერთ-ერთ დოკუმენტში (1717 წ.) ამბობს, „ქცევა საქებელი და საქციელ-სანატრელ ყოფილა“¹⁸.

როგორც ანტონის ზაქარიასადმი მიმართული ეპისტოლე გვიჩვენებს, გაბაშვილს დაურიდებლად ულანძღავს ანნა ბატონიშვილი, გოყადაც კი გამოუცხადებია. ზაქარიას არც ანტონის მეორე დეიდა ერეკლე I-ის ასული ქეთევანი დაუნდვია, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქეთევანი ერეკლე I-ის ასულად არსად იხსენიება. კ. კეკელიძე აღნიშნავდა მხოლოდ: „მ. ჯანაშვილი ასახელებს კიდევ ირაკლის ორ ქალს ქეთევანს ქიზიყის მოურავის აბელ ანდრონიკაშვილის მეუღლეს და ბეგუმს... მაგრამ ამ ცნობის წყაროები არც მას უჩვენებია და ვერც ჩვენ ვივაგენით“¹⁹.

ცნობა ქეთევანის შესახებ შემოინახა ანტონის წერილმა: „ანნას თვის მეფის ასულისა, დედის დის ჩემის ქეთევანის თვის განსაცხრომელს სიტყვებით სხვა და სხვა ტიტოები მიგეცა და ისე კარგად დაგელანძღა მაგათის აგრე შეურაცხად ხსენებაზედ შენ სინილისს ვჰკითხავ, ნამუსია ჩემგან რომ ბევრი ვიცინო? რომელთაც თუ მაგ ქვეყანაში დიდნი ვინმე ხართ მეფეთაგანნი, თუ არ ეგენი და მათგანი სხვანი, არა ვინა ხართ და მაგათ ჩემის დაკარგვისათვის... თავები აგრე სალანძღავათ თქვენ და თქვენს მეგობრებს მოუყარეს და მე მაგაზედ ნუ გეწყინება, ბევრს ვერ ვიცინებ“²⁰.

არც ისეა, რომ ანნას ჩემს მეტი ჭომაგი არავინ ჰყავდეს, ვინც მანდ მეფობენ ამათი ქალი და და არისო.

დეიდაჩემი ქეთევანი მოხუცებულია და ურიგოა მაგისი ასე ხსენებაო, — წერს ანტონი და განაგრძობს: რაც შეეხება მის გარეგნობას, „ქეთევანს თავს თუალადს, დიდი ხანია ვიცნობ, და არავინ ეძახდნენ და რა ენადვლება თუნდა თვალები ქორს უგვანდეს და თუნდა უარესიცა ჰქონდეს. თქვენ ცხოველთ მხატვარი ხომ არა ხართ? მეფეების პატრი-

¹⁸ კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 232.

¹⁹ იქვე.

²⁰ H 2510, გვ. 3.

არხის და მღვდელთ მთავართ აღსარების საიდუმლოს შინა სულიერი მამა ხარ და მაგალითების ჩხრეკა და სახეების როდის გეკადრება?..²¹.

დასასრულ ანტონი დასძენს: წერილი იმიტომ კი არ მოგწერე, რომ პასუხად ბატონიშვილის და დიდი კაცის ცოლების ლანძღვა მოგეწერაო. ზაქარიასადმი მიმართულ ანტონის ეპისტოლეებში აღწერილია მათი ბრძოლის მთელი პერიპეტეები და ნათელი ზღედა რამდენად უფრო კეთილშობილი და პირდაპირი პოზიცია ექირა ანტონს (განდევნის დროსაც კი) ამ დაუნდობელ ორთაბრძოლაში.

ინტერესს მოკლებული არ არის ანტონის წერილი იოანე ორბელიანისადმიც. იოანე ელიზბარის ძე ორბელიანი, მდივანბეგი, მსაჯულთ-უხუცესი, 1731 წელს შეუერთდა რომის ეკლესიას, რითაც სასტიკად განარისხა ქართველი სამღვდლოება. 1754 წელს ზაქარია გაბაშვილის მიერ განდევნილი იოანე ორბელიანი ერეკლემ ისევ დააბრუნა.

სწორედ ამ ზანას ეკუთვნის ანტონის ეპისტოლე. სადაც იგი დიდა სიყვარულით მოიკითხავს მეგობარს.

მეტაფორებისა და შედარებების უხვი გამოყენებით აგვიწერს თავის განცდებსა და დამოკიდებულებას იოანე ორბელიანისადმი: „ჰქსენება შენი პირსა შინა ჩემსა ვითარცა თაფლი დაჰსტკებების და ვითარცა მუსიკის ლექსსა შინა ღვნოჲ და ოდეს შენისა მის სიბრძნის მოყუარის გონებისა თანაკრული რამე გრქუა ანუ რამემსა ვამჰსგავსო შენნი სიტყუანი შორით მოსრულნი დისა შენისა ეპისტოლესა შინა წარვიკითხენ, რომელნიცა ვამჰსგავსენ შორის მოხმულთა კართა და კმელნი იგი ლექსნი ნახმანთა ჩემთაებრ კელოენისაგან მწიგნობრისა ნაწერთა უსწორენ“²².

ამ წერილში განსაკუთრებით საყურადღებოა ის ადგილი, სადაც ანტონი უქადაგებს იოანე ორბელიანს: დატოვოს არაჰეშმარიტი სჯული და დაუბრუნდეს მართლმადიდებლობას: „მესმა ვითარმედ უკუმოქცეულხარ საქართუშლოდევ რომლითვსცა მადლობისა მიმცემი. ღუთისა ჩემისა იშუბს შინაგანი კაცი ჩემი გარნა ითნოს ღმერთმან, რათა უკუმოქცე ჰეშმარიტებადცა და შენისა მის სიბრძნის მიყუარებისა შესაფერ მართლმადიდებელ იქმნე დამტევებელ ახალთა ჰსჯულზედ შემოსრულთა არა ჰეშმარიტთა სარწმუნოებითა ჰსჯულითაცა“²³.

ანტონი ამაზე აღრე ერეკლეს ატყობინებს: „მშვიდობით ვცხოვრებ, და ღირს ვიქმენცა ოდეს წმიდასა საიდუმლოსა მიიღებდა იმპერატორობისა მისისა დიდებულება წოდებით მუნ დასწრებასა. და აუღენციასა მათისამებრ დედობრიობისა, და ნუგეშინის ცემისა დიდსა ბრძანე-

21 H 2510, გვ. 3—4.

22 H 772, გვ. 24—26.

23 H 772, გვ. 25.

ბასა (აქედანაც კარგად ჩანს, რომ ანტონი რუსთა მეფის კარზე დიდ პატივში ყოფილა — ლ. დ.) ზოლო აღრაცხილვარ მეცა ძმათა ჩემთა თანა აქაურთა ვითარმევდ სამღვდელთა ყოველსა შინა საქმესა და არა აღრაცხილ მანდითგან მოსრულთა აქა ჩვენთა ეპისკოპოსთათა“²⁴.

როგორც ამ წერილიდანაც ჩანს, ერეკლეს ბიძის (სიმონის თუ ვახტანგის) ჯაჭვი უთხოვია. ამის საპასუხოდ ანტონი წერს: „ჯაჭვი გებრძანათ ბიძის თქვენისა. თქვენს რძალს უთხარ და ალექსანდრესაც. ლეონ ზომ მოსკოვს არის, აქ არ არის. მოგახსენესთ ლეონიც მოვა შევიყრებით და პასუხს მოვახსენებთო“²⁵.

აქ გარკვევითაა ლაპარაკი ზაქარიას ოჯახზე. ალექსანდრე და ლეონი ზაქარის ვაჟიშვილები არიან, რძალი კი, ალბათ, ალექსანდრეს ან ლეონის მეუღლე იქნებოდა.

ანტონი აღტაცებულია რუსთა მეფის ცხოვრების პირობებით და ნატრობს: ნეტა მეფეს ერეკლეს... დაანახვა, „ქელმწიფე რომ საზაფხულოს სასახლეში გაბრძანდა“²⁶.

ანა ბატონიშვილისადმი მიმართულ ეპისტოლეში ანტონი დიდი სიყვარულითა და სითბოთი მოიხსენიებს ვახტანგის ოჯახის წევრებს: „შენი ბიძაშვილები, შენი ბიძა, მისი პატარა ბიჭები უცხო საყოლები მყავს შენ ნუ მომიკვდები, ნეტა გიორგის უყეთესს რას ნახავ. რა მართებული დიდი კაცია, რა სანახავია, რა საყვარელი გული აქვს, აქიდან რა მოიწერება“²⁷.

აქ იგულისხმება თავისი მაღალადამიანური თვისებებით განთქმული გიორგი ვახტანგის ძე, რომელიც ამ დროს დაახლოებით 48 წლისა იქნებოდა. გიორგი ვახტანგის ძე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველთა კოლონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაც იყო რუსთა მეფის კარზე. გიორგი ვახტანგის ძეს ებოძა განსაკუთრებული პატივი სამეფო კართან ახლო ყოფნისა და პეტერბურგში ცხოვრებისა. ჯერ კიდევ ახალგაზრდას, მას გენერალ-მაიორის ჩინი ჰქონია და მონაწილეობა მიუღია რუსეთ-შვეიცის ომში, მასვე ჰქონდა დავალებული საგალერო ფლოტის მოწყობა.

გიორგი ვახტანგის ძის გაგზავნილი სამხედრო პატაკები მოწმობს, რომ იგი ყოფილა სამხედრო საქმის საუცხოო მკოდნე, მამაცი მებრძოლი, დიდი პატრიოტი, ჯარისკაცებზე მზრუნველი და სხვა ღირსებებით შემკული პიროვნება²⁸.

24 H 18, 39. r.

25 H 18, 39r.

26 H 18, 39r.

27 იქვე, 39v.

28 ალ. ფირცხალაიშვილი, მე-18 ს. მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან, მნათობი, 1952, № 5.

მისი გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში დიდი გულს-ტკივილია გამოხატული ასეთი დიდებული, ქველმოქმედი, ყველასად-მი კეთილგანწყობილი, კაცთმოყვარე, გულმოწყალე, გაჭირვებულთა დამხმარე ადამიანის დაღუპვის გამო და აღწერილია დაკრძალვის ცე-რემონიალიც (დაუკრძალავთ დონის მონასტერში). შევილიოვის ცნო-ბით, ამ დიდებულ ქართველს მოსკოვის უნივერსიტეტისათვის შეუწი-რავს 10000 მანეთი²⁹.

საგულისხმოა, რომ ყველა მისი დადებითი თვისება ადამიანთა გულთამბილავ ანტონს მაშინვე შეუნიშნავს.

ჩვენს მიერ გარკვეულია, რომ გიორგის მეუღლე ყოფილა არა ცი-ციშვილის ქალი, როგორც ფიქრობს ფირცხალაიშვილი, არამედ პეტრე დიდის ცნობილი სენატორის იაკობ თევდორის ძე დოლგორუკის ქალი მარიამი. მისი ვაჟიშვილები იაკობი და ვასილი გარდაიცვალნენ 14-იანა და 17 წლის ასაკში, ზოლო ქალიშვილი ანა ცოლად ჰყავდა (გარდ. 25 წლისა) თავად ალექსი ბორისის ძე გოლიცინს³⁰.

შემდეგ ანტონი ანას ყურადღებას მიაპყრობს ბაქარის ვაჟიშვილე-ბზე — ლეონსა და ალექსანდრეზე: „ალექსანდრე აქ პეტერბუხს არის და ლეონ თავის ცოლით მოსკოვს არის. უცხო დამემართა. მანამდის მოსკოვს ვიყავ, ლეონ აქ იყო, და მე რომ წაველ მოსკოვიდამ აქ პე-ტერბურჯს ლეონ მოსკოვს წასულიყო და გზაზე ერთმანეთს ავცილდით და ჯერ არ მინახავს, ერთი დღი კაი ბიჭი ჰყავს ლეონს. ამისთვინაც ალექ-სანდრე დაურქმევიათ. პაპას მეძახის ქართულად, უცხოდ უყვარვარ ამ პატარა ბიჭს, გაგიკვირდება. ისემც კარგა ხარ, კარგი ალექსანდრე იყოს. დიდად შეგაყვარებს თავს, რომ ნახო შენ ნუ მომიკვდება“³¹.

ეს პატარა ამონაწერიც კი გვაჩვენებს ანტონის დიდბუნებოვანებას, მის სიყვარულს ნათესავებისადმი, განსაკუთრებულ ნაზ გრძნობას და აღტაცებას ბავშვების მიმართ.

აქ ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება: ლეონს — ბა-ქარის ძეს (1728—1763 წწ.), იზმაილოვის პოლკის სეკუნდ-მაიორს, ცოლად ჰყავდა თავადის ასული ალექსანდრა იაკობის ასული სიბირს-კაია. (დარჩა 8 შვილი).

მიუხედავად ამისა, მისი ვაჟიშვილი ალექსანდრე, როგორც ანტო-ნის წერილიდან ჩანს, ქართულად ლაპარაკობს, ისე ძლიერია მასში ქართული ტრადიციები, მშობლიური ენისა და მხარის სიყვარული.

²⁹ აღ. ფირცხალაიშვილი, მე-18 ს. მოსკოვის ქართული კოლონიის ის-ტორიიდან, მნათობი, 1952, № 5.

³⁰ Московский некрополь.

³¹ Н 18 31v.

ალექსანდრე ბაქარის ძე ქართლის ტახტის საკმაოდ ცნობილი მა-
თემატიკაა. რომელმაც სიცოცხლე რუსეთის საპატიმროში დაასრულა.

ალექსანდრეს მეუღლე დარიაც რუსი იყო, გენერალისიმუსი ალექ-
სანდრე დანილის ძე მენშიკოვის შვილი³².

ირკვევა, ბაქარის მეუღლე ანა გიორგი ერისთავის ასული ძლიერი
და გავლენიანი ქალი ყოფილა. ალექსანდრეს ვაჟი გიორგი 12 წლამდე
იზრდებოდა ბებია ანასთან, რომლისგანაც შეისწავლა ქართული ენა.
ეკატერინე მეორისა და თავად მ. ნ. ვოლკონსკის მიმოწერიდან ჩანს,
რომ ეკატერინეს არ მოსწონდა ეს და დაბეჭითებით თხოულობდა,
ალექსანდრეს მეუღლე თავისი შვილებით პეტერბურგს გამგზავრებუ-
ლიყო. ეკატერინე ხაზს უსვამს ამ გარემოებას და წერს: უთხარი ამის
შესახებ დედამთილს, რომ ეს ჩემი სურვილია³³. (წერილი დაწერილია
1772 წლის 13 მარტს, როცა ალექსანდრე ბაქარის ძე ქერიმ ხანთან
იმყოფებოდა)...

ჩემი ნათესავი ერთი ლეონ არ მინახავს და ერთი ვახუშტის ყმაწვი-
ლი იოანე, — განაგრძობს ანტონი, — ჯარში არის იოანე, თორემ ყვე-
ლა ვნახე... ვახუშტი ბიძა თქვე (აქ წყდება ეპისტოლე)³⁴.

აქ მოხსენიებული იოანე ვახუშტის ძე ბაგრატიონი იყო გამოჩენი-
ლი სამხედრო პირი ეკატერინე მეორის ეპოქისა, ჰქონდა გენერალ-
პორუჩიკის ჩინი და მეთაურობდა სიშხირსკის დივიზიას³⁵.

წერილის მინაწერში ანტონი ანას აუწყებს, რომ ბინად იგი გაჩე-
რებულა ბატონის სძალთან, რომელიც „უცხოდ ცდილობს ჩემს გაქლე-
ბას“³⁶.

აქ უთუოდ იგულისხმება იმ დროს პეტერბურგში მყოფი სვიმონ
ლეონის ძის მეუღლე ანა პაატას ასული ამილახვარი, რომელიც აგრე-
სიულად იყო განწყობილი ერეკლესა და თეიმურაზის მიმართ. ამიტომ
ბუნებრივია, იგი განსაკუთრებული პატივითა და მიიღებდა მათგან შერი-
სხულ ანტონს. კიდევ ერთ საინტერესო ამბავს გადმოგვცემს ანტონ კა-
თალიკოსი: „ელისაბედის ქორწილი, მე მოსკოვს ვიყავ, რომ აქ უყვეს.
მაგრამ ამისი უსაკვირველესი რაღა მოგახსენო, თვით კელმწიფემ ელი-
საბედ საქორწილოდ თვისის ხელით მორთო თავისის იარაღით, არათუ
რომელსაც იარაღს თვითონ იკმარებს, ეს დიდი ამბავია... ასე თვითონ
მორთო, რომ ქალი თურმე დასვა, თავს დაადგა. და თავისის კელით გა-
აწყო იარაღი დიადი მრავალი. თავისა და პირის იარაღი იციან, შენ

³² Московский Некрополь.

³³ Восемнадцатый век, Исторический сборник, издаваемый Бартепьевым, кн. I, М., 1868, стр. 74—75.

³⁴ Н 18 3)v

³⁵ Московский Некрополь.

³⁶ Н 18, 39v.

ნუ მომიკვდები. და თავის დიდებულს სასახლეში დააწერინა ჯვარი: ეს საქმე დაწერეს, დაბეჭდეს, რომ ქართველის მეფის შვილის ქალი მის იმპერატორობის დიდებულებამ თვისის კელით...“ შემდეგ მინაწერში შენიშნავს: „მორთო და ქორწილი თავის სასახლეში უყო, ეს ქალი ელისაბედ მოსკოვ ვიყავ, რომ ახალი ნაქორწილვეი ქრმით ჩამოვიდა, იქ ვნახე“³⁷.

აქ აღწერილ ფაქტს ანტონზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ქართველთა მეფის შვილიშვილი ზელმწიფეს თავისი ზელით მოუკაზმავს და თავის სასახლეშივე დაუწერია ჯვარი. საგულისხმოა, რომ ამ ფაქტს პრესაც გამოხმაურებია. ისმის კითხვა: ვინ უნდა იყოს ეს ელისაბედი, ან ვისთვის მიუთხოვებიათ იგი?³⁸

იმეამად რუსეთში ცხოვრობდა — ვახტანგის, სვიმონის, ქაიხოსროს და ბაქარის შთამომავლობა. სვიმონის მემკვიდრეებს შთამომავლობა არ დარჩენიათ, ქაიხოსროს, ვახტანგისა და ბაქარის ოჯახის შემადგენლობა ჩვენთვის ცნობილია. ისმის კითხვა ვინ უნდა იყოს ელისაბედი?

ელისაბედი უნდა იყოს ქალიშვილი ბაქარ ვახტანგის ძისა. მისი სახელი შემოუნახავს მხოლოდ ვახტანგის ამაღის 1737 წლის ნუსხას: «Бакар Вахтангович — его высочества царевич и артиллерии — генерал-лейтенант и кавалер с генеральшею — княгинею Анной и с двумя детьми — князьями Леоном и Александром да с княжною Елисаветою»³⁹.

ელისაბედი იხსენიება აგრეთვე დომენტი კათალიკოსისადმი მიწერილ ანა დედოფლის წერილში: „ჩემმა ლევან, ალექსანდრემ და ელისაბედ ქვე დავრდომით თაყვანება და ამათს მოწყალეს ზელს კოცნა მოგახსენეთ. ბატონი ამათს ამბავს მოიხსენიებს. მაგათის ბედნიერობით ცოცხალან. სამი ენა იციან და ვეკვობ მაგათს მოსაწონად იზდებოდენ. ღმერთსა სთხოვენ თქვენს ზლებას და თქვენს სამსახურს“. (H 18, 22r.).

სხვაგან ვერსად მივაკვლიეთ ვერავითარ ცნობას ელისაბედსა და მისი მეუღლის შესახებ. ამდენად, ანტონის ეს წერილი ძალზე საყურადღებოა. ელისაბედი გავლენიან პირს წაპყოლია და დიდის პატივშიც ყოფილა, რაკი ასეთი ზარზეიმით გაათხოვეს.

ამავე ეპისტოლეში ანტონი იხსენებს ვინმე ბეგუმს, რომელსაც დას უწოდებს: „ბეგუმისა და ჩემის შეყრისა რაღა მოგახსენო ან მისი ჩემ გარჯისა თვითონ მოგახსენოს, რატომ არ მისწერე!“⁴⁰.

³⁷ H 18, 39v.

³⁸ ელისაბედი ცოლად გაპყოლია ვინმე ადუევსკის. თ. კუონია, გორკის ოქმში: აღმოჩენილი ქართული სიძეულენი. ძიებანი IV, გვ. 256.

³⁹ ს. ე. უ. ბ. ა. ნ. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. დ. გურამიშვილი პუსართა პოლკში, 1961, გვ. 148.

⁴⁰ H 18, 40r.

ვინ უნდა იყოს ეს ბეგუმი, რომელსაც ანტონი თავის დას უწოდებს? ანტონს ჰყავდა ორი და — ანასტასია და მარიამი, რომელნიც „ყრმანი წასულან აქაჲთ. „მე-18 საუკუნის საქართველოში მეფის ასულთა შორის ცნობილია სამი ბეგუმი. ერთი გახლავთ ერეკლე პირველის ასული ელენე-ელისაბედ, იგივე ბეგუმი, მეუღლე იესე მეფისა და დედა ანტონისა. მეორე, როგორც მ. ჭანაშვილი ამბობს, იესე მეფის ძის აბდულა ბეგის ცოლია... „ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი 1742 წლის ქვეშ იხსენიებს აბდულა ბეგის მეუღლეს კახთა ბატონის ასულს ბეგუმს (ქართ. ცხოვრ. II. 135). მაგრამ ირაკლის ქალი ბეგუმი იგივე ბანჯანუმ-ელენე იყო მეუღლე არა აბდულა ბეგისა, არამედ მისი მამის იესე მეფისა“, კახთა ბატონის ასული ბეგუმი“, მეუღლე აბდულაბეგისა, ალბათ, ასულია ან დავით იმამყულიხანისა, ან კონსტანტინე მაჰმადყულისა⁴¹.

მესამე ბეგუმი, რომელთანაც ანტონს ინტიმური და საკმაოდ ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონია საქართველოში დაბრუნების შემდეგ, უნდა იყოს ვახტანგ VI-ისა და იესე მეფის ძმის ქაიხოსროს ქალიშვილი ანნა, რომელსაც, როგორც ჩანს, ეძახდნენ ბეგუმსაც. იგი რუსეთს გაჰყოლა ვახტანგის ამალას და იქვე დარჩენილა საცხოვრებლად.

ამ ვარაუდის სასარგებლოდ მოვიხმობთ რამდენიმე ფაქტს:

1) ანტონი ბეგუმისადმი მიმართულ ერთ-ერთ ეპისტოლეში წერს: „უგანათლებულეს მეფის ასულს ანნა ზოსროვნას, ჩემს საყვარელ დას. გადამწერს კი განმარტება თავზე წაუწერია: „თავის დას ბეგუმთან მიწერილი მოსკოვს“⁴².

2) ბეგუმს ანტონი უწოდებს დას. ცნობილია რომ იმ დროის საქართველოში ბიძაშვილ-მამიდაშვილები ერთმანეთს და-ძმას უწოდებდნენ. ასე მიმართავდა ანტონიც ბიძაშვილებს ერეკლესა და ანნას.

3) ყველა ეპისტოლეში აღნიშნულია, რომ ბეგუმი არის მეფის ასული.

ჩემს საყვარელ დას მეფის ასულს⁴³.

უგანათლებულესს მეფის ასულს⁴⁴.

ცარენა ბეგუმთან მიწერილი სამძიმარი მოსკოვს⁴⁵.

4) ანტონი ერთ-ერთ ეპისტოლეში იხსენიებს ბეგუმის ძმას დავითს. ქაიხოსრო ლევანის ძეს მართლაც ჰყავდა ვაჟი დავითი, რომელიც ვახტანგის ამალას თან გაჰყვა მოსკოვს.

⁴¹ კ. კ ე ლ ი ძ ე, ეტოულები, IV, გვ. 232.

⁴² H 2510, გვ. 19—20.

⁴³ H 2510, გვ. 16—17.

⁴⁴ ო ქ ვ ე, გვ. 19—20.

⁴⁵ H 2510, გვ. 15.

5) გიორგი და ბაქარ ვახტანგის ძენი ბეგუმის ძმებად არიან მიჩნეული.

6) ჩანს, თავისი კეთილშობილებით განთქმული გიორგი ვახტანგის ძე მფარველობდა კიდევ ბეგუმს, რადგან ანტონი გიორგის გარდაცვალების გამო დიდ სამძიმარს წერს ბეგუმს: „ჩემი კელმწიფე ცარევიჩი, ჩემთვის, ჩემის კელმწიფის, იმის მამის და ბიძის სანაცვლო. თქვენის სიკბულის და მოხუცებულობის სიცოცხლის სამკაული, სინჯარული, ბრწყინვალეობა და სიკვდილსა შინა საკადრისად დაფლვაც.

...ღმერთო როგორ ვიფიქრებდი მე ცოცხალი გიორგის სიკვდილს გავიგონებდი...

სული ბნელმან ღამემან და არმურმან განათლების უიმედომან შეიწყვდია და შენი, ჩემთვის ძვირფასი, სიცოცხლე სიკვდილისაგან უმწუხრესად გამიწადა. თუ მოგახსენო მოითმინე შეთქი, შენგან იმისი აღარ ყოფა როგორ მოითმინება“⁴⁶.

იმავე ბეგუმს და არქიმანდირტ ეფრემს წერს სამძიმარს ლეონის გარდაცვალების გამოც. ასეთი გულისტკივილი არცერთი ახლობელი ადამიანის დაკარგვის დროს არ განმიცდიაო, — აღნიშნავს ანტონი და იქვე დასძენს: ასეთი ყმაწვილი ამ ქვეყანაში არ იყო და ამბობდნენ: „ერეკლე აღარ დაბერდებოა, ასეთი სხვა ერეკლე გამოჩნდაო, რომ ერეკლეს წინა აღდგომობა აღარავის შეუძლიანო. აქამდის ერთი იყო და ახლა ორი ერეკლე არისო“⁴⁷.

საყოველთაოდ ცნობილია ანტონის და ანა ბატონიშვილის დიდი მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა, იმ ეპისტოლეების მიხედვით, რომლებიც ჩვენს დრომდე შემონახულა, ცხადი ხდება, რომ ამ ორ ადამიანს ერთმანეთზე უფრო ძლიერი არც ნათესავთა და არც მეგობართა შორის არავინ ჰყოლია. ახლა ჩვენთვის სავსებით ნათელია, რომ სწორედ ანას დიდი ღვაწლითა და სურვილით დააბრუნა ერეკლემ ანტონი საქართველოში. (ეტყობა ეს ამბავი ზაქარიაშვილმა იცოდა და ამიტომ შეიძულა და შეაჩვენა საქვეყნოდ ანა ბატონიშვილი).

უჩვეულო გულისტკივილი ჩანს ანტონისათვის მიწერილ ანას წერილებში: „ჩემად პატრონად და სულისა და კორცის კელმწიფედ სახალისოს შენის უსწოროს თავის დაკარგვა და ასე დაკარგვა, რომ მოლოდენბას იმედიც აღარა მაქვს. არა კმარიყო ერთის გულისათვის სასიკვდილოდ შენი მოშორება და უშენოდ სიკვდილი დაუმარჯაობა, რომ ღმერთს ჩემის ცოდვის საშხილებლად ჩემი სატრფიალო და შესახარული ჩემი კარგი ყმაწვილი, უებრო ვაჟკაცი, საკელმწიფოდ დამშვენიებული ვახტანგ არ წაერთმია და მის გათავებით ჩემი ახლად ჯოჯო-

46 H. 2510, გვ. 15.

47 H 2510, გვ 18.

ზეთად გაკეთებული სიცოცხლე არ მოეცა. ან იმისთვის შევებრალოდი ჩემის ღმერთის მოყვარის ქელმწიფეს დედის ლოცვა შეესმინა და მუდამ იმისათვის ტირილი ან მამის ჩემის სიცოცხლის მიზეზი, წარმართთ ქელში არ მომკვდომოდა და უტყობდ და ღარიბად უსჯულოში და ქრისტეს მტრებში არ დამკარგოდა, სულით და ხორციით ეს ყველა დამემართა და ღმერთის მოძაგებული ჯული კიდევ მიდგს. არ გებრალეები, ჩემო ქელმწიფის შვილო, სიცოცხლისათვის.. ვაჟ რა, ჩასაქოლავი ვარ ვაჟ რა წყალში ჩასავარდნელი ვარ“⁴⁸.

ასევე გულთბილი და ინტიმური, არაჩვეულებრივად პოეტური, ნაზი და სათუთია ანტონის წერილიც ანასადმი. ამ წერილებით ანტონი წარმოგვიდგება არა როგორც მკაცრი სქოლასტიკოსი, აღზევებული სტილით მეტყველი, სამი სტილის თეორიის მიმდევარი, არამედ მეოცნებე, პოეტურად ამბულეული, კეთილშობილი და დიდსულოვანი, ადამიანის რთული შინაგანი სამყაროს საუკეთესო მცოდნე.

ანტონი აღწერს თავის მდგომარეობას პეტერბურგში: — აქ კარგად ვარ. ბევრ ჩემთვის უღირს რამეს ვხედავ, დიდი სიყვარულით, ნებიერობით, ზელსშემწყობით და იქვე შენიშნავს: „მაგრა ჩემი თავი შენი ძმისა შენი, და საწყალს მამიდაშენებს დაშორებულს მებრალეება ბატონს (იგულისხმება თეიმურაზი) აგრე რად დავაკლდები, როგორც თქვენ თვალში გაკლდები და წიგნიც ამისთვის ვერ მომირთმევია ზოლმე მეფისათვის რომ ვერ გამიბედავს, როგორ უნდა მივართვა, აქედამ კადნიერად. მართალია, მანდ ქართლში რომ ვიყავ და ხან სად ვეგდე და ხან სად განსაცდელებს, უკუნ მაშინ ნუჟდა მქონდა ასეთი, რომ უნდა წიგნი მიმერთმივა, და ასლა აქადამ რა ნუჟდა მაქვს. თუ გამაბედვინებ შენ და მირჩევ, მივართმევ. ვითამ სახვეწარი კი არა მაქვს რა, შენ ნუ მაიკვდე“⁴⁹.

მაგრამ ანტონის მსგავს კეთილშობილსა და მოყვარულ ადამიანს აგრერივად შეუძლიან ბიძის მოძულება?! აი რას წერს ანტონი: „მაგრამ დედის ჩემის შვილმა მეფე თეიმურაზ როგორ გადავადლო ჩემის. გულიდამ, ღმერთს რა უთხრა? ასეთი რა დაქრილი ვიყავ, რომ აქამდის არ გამრთელელებულიყო გული?“⁵⁰.

აქ ანტონი რიტორიკული შეკითხვით გვაგრძნობინებს თავის დიდ წუხილს და იქვე დასძენს: „მამაშვილობა ხომ აღკოცად ძნელია“⁵¹.

უსაზღვროა ანტონის დიდსულოვნება. იგი საყვედურით არ მიმართავს არამც თუ თეიმურაზ II-ს (ბიძას), არამედ ზაქარია გაბაშვილსაც

48 H 1334, გვ. 173—174.

49 H 18, 39v.

50 იქვე.

51 იქვე.

კი, ვიდრე ზაქარია ყოველგვარ საზღვრებს არ გადასცდა. თეიმურაზს სთხოვს, აბათიოს დანაშაული, როგორც მეფემ, ადამიანმა, ბიძამ, მამამ და გამზრდელმა და ევედრება: სხვა არა მინდა, ოღონდ საქართველოში ცხოვრების ნება მომეცითო.

„სხვა რაცა ესკოდე ჩემითა უკეთურებითა და უკრძალველობითა.... რაისათვის ანუ რამე მიქმენნით ესეოდენი, კელმწიფეო ჩემო, ვითარმედ მე რა თქმისგანცა სიყვარულისა გარეგან ვიყო, ვინაიდგან სიყვარულისასა ვჰკადრებთ დია და თუ სადამდე გრისხავს კვალად მეფობა თქვენი, მე თქვენის ჰირის სანაცვლომცა ვიყო“⁵².

ეს დიდი პატივისცემა, სიყვარული და მოკრძალება მეფე ბიძისადმი დაადასტურა ანტონმა თავისი სამძიმრის წერილით ანახანუმ დედოფლისადმი, თეიმურაზი რომ მიიცვალა რუსეთს. ეს წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო. სტილი ამ წერილისა ერთგვარი არ არის. ზოგან აღზევებულია და ხელოვნური, ზოგან კი, სადაც ინტიმური ადამიანური განცდები ჩანს, ნათელია და სადა.

მიუხედავად იმ დიდი ტკივილისა, რომელიც მას თეიმურაზ მეფემ მიაყენა, ანტონი მაინც გულწრფელად დასტირის მეფე ბიძას და ჩამოთვლის მის მაღალ ადამიანურ თვისებებს: „ჩემი ამალღებული კელმწიფე, ჩემი კეთილმსახური და ქრისტეს ერთგული მეფე, მართალი, მშვენი ღლევამოსილი თუალ უხუავი, მოწყალე, მოსამართლე“⁵³ და შემდგომ ბრწყინვალე შედარებებისა და მეტაფორების საშუალებით გვაძლევს თეიმურაზის გარეგნულ პორტრეტს, რომლისთვისაც იგი იყენებს მხატვრულ სახეებს, როგორც ბიბლიის ისე ანტიკური ლიტერატურიდან (იერიქოს ვარდი, ეკბონის ტბა, ეთიოპიის ლაშქარი, ექტორის ჯაფშანი, ახილესის მოზიდული შვილდი).

იგი ახასიათებს თეიმურაზს როგორც მოჭირითეს, მომღერალსა და სახემშვენიერს. ამ წერილით ირკვევა, რომ პეტერბურგში ჩასული თეიმურაზ მეორე იმპერატორის წინაშე შუამდგომლობდა ანტონს. აქვე ანტონი აღნიშნავს, რომ საქართველოში ყოფნის დროს თეიმურაზი თავის დის — ელისაბედის ნუგეში და იმედი ყოფილა (იგულისხმება ანტონის დედა ელენე, იგივე ბეგუმი). „თავის დასთან ყმაწვილურ ნებიერობდა ძმურად. და გაზრდილურად თვალთახედებდა, გულს უმრთელებდა, ჰირთაგან ჰქმირის სულთქმის ჩვეულებას უყენებდა. ყმაწვილობდა, ხარობდა“⁵⁴. ანტონი აქვე მიუთითებს, რომ, როდესაც მეფე თეიმურაზი მეფედ აკურთხეს, არც მაშინ ღავეიწყებდნენ, უჩემოდ არც ის ეამა და მომიყვანაო.

52 2510, გვ. 6.

53 H 1334, კე.

54 H 1334, კე.

თეიმურაზის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას ანტონი აძლიერებს მხატვრული განმეორებებით: „გვირგვნი მპყრობელობისა, შვენიერება სიხარულისა, სიმდიდრე ბედნიერებისა, წარკდა, მოიმანგლა, განიწულა, მძვინვარედ იხრწნა“. ანდა „ესტირ, უკუნესი, ვალალებ მეცა უცხოებაში სიკვდილის მომლოდე“⁵⁵.

ამ წერილში ყოფითი სამგლოვიარო და პირადი თემა გადახლართულია ერთიმეორეში. აქამდე მიაჩნდათ, რომ ანტონის დედა ელისაბედი გარდაიცვალა მოსკოვს. ეს წერილი ნათელს ფენს ამ ფაქტსაც. ანტონი წერს: „დედა აღარ მყავს. აღარც ის დედა მყავს... მცხეთას თვთ მე მივასამარე“. ამავე წერილში ანტონი მიუთითებს თავისი დაბადების თარიღს: „ჩემი ჰელმწიფე მეფე თეიმურაზ ოცდა შვიდის წლისა კაბუჯი ვნახე, როდესაც მე ძნელ ბედად შობილი შვიდის წლისა ვიყავ“⁵⁶.

ამ წერილში ანტონი თეიმურაზის შინაგან სამყაროს ზუსტად წარმოგვიდგენს.

ეს ეპისტოლე საშუალებას გვაძლევს ორასი წლის შემდეგ აღვადგინოთ მეფე პოეტის — თეიმურაზ II-ის პორტრეტი.

ნ. კანდელაკი ანტონის მკერამეტყველური მოღვაწეობის განხილვისას სინანულით აღნიშნავდა: „თუმცაღა ანტონი ბევრი სარწმუნო დოკუმენტით დამოწმებული ორატორია..... მას უმუშავნია სამგლოვიარო და სამქადაგებლო მკერამეტყველების დარგებში, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ორი ორატორული ძეგლი. ერთი ქადაგება თქმული „დღესასწაულსა მიგებისასა უფლისა ჩვენისა იოსე ქრისტესა“ და მეორე სამძიმრის წერილი, მიმართული ანა ჰანუმ დედოფლისადმი“⁵⁷.

მართლაც სამწუხაროა, რომ ჩვენი მკვლევარი და ფართო საზოგადოება არ იცნობს ანტონის წერილებს, რომლებიც ორატორული ზელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია. მათი ლექსიკა, მხატვრული სახეები, ნათელი სტილი და აზრის სიღრმე სამაგალითო და მიმზიდველია. ანტონის ეპისტოლეები თამამად ამოუდგება გვერდით არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ეპისტოლური ჟანრის საუკეთესო ნიმუშებს. ერთ-ერთი ეპისტოლე სამძიმრის წიგნია ანა ბატონიშვილის მიმართ. ეს სამძიმარი დაწერილია შემოქმედებითი აღმაფრენით. იგი იწყება რამდენადმე რიტორიკული სტილით (ბუნებრივია, ხანდახან ტრაფარეტული უსაგნო გამოთქმებიც გვხვდება), თავიდან ბოლომდე დიდი გრძნობითაა გამთბარი და ანტონის მდიდარ შინაგან სამყაროს წარმოგვიდგენს.

55 H 1334, კვ.

56 იქვე, კვ.

57 ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მკერამეტყველება 1961 წ. გვ. 287.

საოცარი გოდებით წერს სამშობლოდან უდანაშაულოდ გაძევებული დიდი მამულიშვილი: „ცრემლით ვატირებ აწ გულსა ჩემსა,.... და ეგრე ცრემლს სპეტისა ველსა ზედან გიშრის მძივად დავასხამ და სიბნელისა კარავი დავიდგ გონებასა განუნათლებელი და აწ შენდა მოშორებულ და ყოველთა ჩემთა მეთვისტომეთაგან განკიდებული უბედურთა ეტლ-თა ჩემთაგან ჰმუნვისა ტვირთ“⁵⁸.

ამ სამძიმარ-ეპისტოლეს მთავარ თემას ანტონის დების სიკვდილი და გლოვა წარმოადგენს. თემის ღერძი, რომლის ირგვლივ გაშლილია მთელი სიტყვა, ანტონისა და ანას მეგობრული სიყვარულია. წერილში იგრძნობა დიდი დრამატიზმი, გამოწვეული ანტონის მძიმე სულიერი მდგომარეობით.

სამძიმარს გააჩნია თემატური ნაწილები, რომლებიც სიტყვაში ძირითადი მოტივების სახით გვევლინება. ამ უკანასკნელთა ერთიანობაში ჩანს სიტყვის იდეური შინაარსი (ანტონის სულიერი განწყობა, მისი შინაგანი სამყარო). სამძიმარი იწყება ვრცელი მიმართვით ანასადმი: „ვა, წუთმან სოფელმან ოხრა მომართვა საშინელ შესაწრწუნებელი საკვდილი ორთა დათა ჩემისა სულისა უტკბოსთა. ვაი, ჩემდა! ვითარ აღეძარ ენა ჩემი. საზარის მწუხარებისა. შენმან მზემან გული შენთან ტირს და შენ მიეი გულის მდებელად“⁵⁹.

ანტონი შედარებების, მეტაფორებისა და ეპითეტების მომარჯვებით, გადმოგვცემს თავის მძიმე სულიერ განწყობილებასა და გულთბილ დამოკიდებულებას ანა ბატონიშვილისადმი. „შენმა უნაწაობამ ეთერისა სარტყელი შემომარტყა და ამის ძლით ვერ გამტფარავარ. შენმან ნახვისა დაძვირებამან სეტყვისა სახლი დამიდგა და გული ცეცხლით მეწყის. პირველ სიკვდილისა მიზეზითა და შენთან უსიტყველობითა თვალთაგან წყალი მდის და გული გამშრალი მაქვს. მეწამულისა ვარდისა-წალკოტსა ყვითელი ვარდი მოეჩა და თეთრისა იასამანსა ხვართქლა გარდაეფარა, ყირმიზი ლალი გალურჯიგუნდდა, შაშპრათა ქაფურიანობა კნინდა გამიმკცოვანდალა. ჩემის საბრალოს ამ სოფლის სიხარულ მოკლებულთა და უქამოდ გარდაცვალებულთა ჩემთა დის მსგავსად და უზეშთაესადც ჩემთვის საყვარლად დაუვიწყებლად მარად მოსაგონარ და ჩვენთა უდებთა ლოცვათა შინა ხსენებულთა და დამტირებლად მოსალოდნელო ჩემთვის ორისავე დის მსგავსად ორის თვალის ჩენავე და გულის სიხარულად სატრფოვ. ჩემო აუარებელ ღმრთის წყალობად და დაუვიწყებლად სახსოვარო, ჩემო სასურველო ნუგეშო ბატონიშვილო და ბატონო“⁶⁰. ვფიქრობთ, ეს სამძიმარი სანიმუშოა, როგორც ეპის-

⁵⁸ H 18, 17v.

⁵⁹ H 18, 18v.

⁶⁰ იქვე.

ტოლე, სადაც ასეთი ექსპრესიითაა გამოთქმული ადამიანის განცდათა სიმძაფრე და სულიერი ტკივილები.

ანტონის ენისათვის ნიშანდობლივია მეტაფორების სიუხვე. ანტონი მეტაფორებით მეტყველებს და აზროვნებს, გვიხატავს გულდასეტყვილ ადამიანს, რომელსაც დარდი ისევე მორევია, როგორც მეწამულასა ვარდისა წალკოტსა ყვითელი ვარდი. ანტონთან წითელი ბედნიერებისა და სიხარულის სიმბოლოა, ყვითელი — დარდისა და სევდისა.

წერილის მხატვრულ უღერადობას ხელს უწყობენ სინონიმებიც და განმეორებანიც. მათი ოსტატური გამოყენებით ძლიერდება სიტყვის ემოციური იერი: „ორსავ დის ნაცვლად ორის თვალის ჩენავ“, „ბატონიშვილო და ბატონო“, „დაო და პატრონო ჩემო, დამტირებელო და სიქადულო ჩემო“, „შენი ჳირიმე, შენი სევდა მე, და შენი ქარები მე“ არაიშვიათად მიმართავს რიტორიკულ ფიგურებს, რიტორიკულ შეძახებასა და შეკითხვასაც, რითაც შთამაგონებელს ხდის ფრაზასა და აზრს: „აჰა, გებრალეობოდე, აჰა“, „და დამათრო ლმობიერებამან სიყვარულისა შენისამან“, „შეენიერი აღმკულო პირად და პირადად“, ჳი მე ამ დღისა მგონესა, ვისისა მწუხარებით ცრემლდენილობა და ასე გაბედითება დაო“, „აჰა, ესერა მათგან მოშორებული განლიგებულ იქმნენს საცნობელნი ჩემნი“. ჳი, შენ ვითარ მოვიგონო მათი შეენიერება და ჳარიფობით აღზრდილობაჲ“, „ეჰ, პატიოსანო დაო და პატრონო ჩემო, დამტირებელო და სიქადულო ჩემო“, „აჰა, მყის რეკს სიყვარული იგი შენი კარსა მას დახშულსა“, „მაგრამ დედისჩემის შვილმა მეფე თეიმურაზი როგორ გადაეგდო ჩემის გულიდამ? ღმერთს რა ვუთხრა: ასეთი რა დაჰკრილი ვიყავ, რომ აქამდის არ გამრთელებულიყო გული?“ „ვაჰ რა კარგი სანახავი იქნები ეგ ჩემი საკუთარი ვარდი მთიურის ნიასლისაგან ცურეული“.

ანტონის სტილისათვის დამახასიათებელია ფიგურალური გამოთქმები, რომელთაც მიზნიდველობა და სიუხლე შეაქვთ ეპისტოლეში. აჰშევენებენ სიტყვიერ ქსოვილს და ჳატოვანებით იპყრობენ მკითხველს. ანტონი მაღალმხატვრული ჳერხებით აღადგენს თავისი დების პორტრეტებს: უხვად იყენებს მხატვრული მეტყველების სამკაულებს — მეტაფორებსა და ეპითეტებს: „გზაგადახრილი ქამანდი, ტოლებრ დაბმული წარბი“. „ანნა ბატონიშვილის გარეგნობას აღწერს მხატვრულ სახეთა უხვი გამოყენებით: „მზეებრ ნათელ სიმსხიმად მომფენელო, ჩემო ცისკროვან ვარსკვლავებრ, მანათობელო ათხუთმეტისა მთვარისებრ ჯავსილო, საქციელ ჳკუა წყნარო, ჟამს ფსალმუნებით დაუდუშებლად მლოცველო და ყოველთა ბანოვანთა თავ დაბურვილთა უპირატესად წარჩინებულო. კეთილ გონებაჲ, ჳე ნაყოფიერად გონება ვრცელო, სიბრძნისა უფსკრულო, სარწმუნოებისა ლოდო შეურყვენელო“. ყოვლის

კეთილით განსრულებული, ჩემთვის საყნოსად 'სანიადაგოდ სულნელო', „მზიან სიტკბოთა მიზეზიან, ტან ნაჭეთიანო, კარგო ნორჩო. შარავანდელ ბრწყინვალეან თვალადო შარავანდელი და ტანად კვიპაროსო, ქვა ნარნარო, პირ მკინარო, მოყვასთა ლხინის მომდინარეო, ნაზობის პალატსა აღზრდილო“⁶¹.

ანტონს პოეტური სინტაქსი მოშველიებული აქვს აზრის მკაფიოდ და ხატოვნად გადმოსაცემად. ასე მაგალითად: „თეთრსა იასამანსა ხვართქლა გადაფარა“, „ყირმიზი ლალი ვალურჯიაგუნდა“, „შაშპართა ქაფურიანობა კინლა გამიმცხოვანდალა“. „დაკივა. მწუხარებისა მახვილითა დედისა გული“, „მაქვნდა თინათინად სიბრძნის სიბნელისა ჩემისა“, „მეტყველების ალერსი“. „სიკვდილია მანგალთა“, „მთეარე გონებისა“.

ანტონი, როგორც თეოლოგიაში დიდად განსწავლული ადამიანი, ეყრდნობა ძირითადად ბიბლიას, საიდანაც იღებს უამრავ საილუსტრაციო მასალას, და ბიბლიური სახეებითა და ასოციაციებით შთაბეჭედავ ზეგავლენას ასდენს მკითხველზე, ასე მაგალითად, როცა ერეკლეს წერს თავისი უდანაშაულო გაქევების შესახებ, ბიბლიიდან მოტანილი მაგალითებით უფრო ნათლად წარმოგვიდგენს თავის მდგომარეობას: „არასაბრალებელ ვისდამე მაქვს მით, რამეთუ იოსეცა დიდი ებრაელთა ურჩებათათჳს ეტყოდა ებრაელთაგანვე: ვითარმედ შეირტყენ კაცად კაცდამან მახვლი და მოკალნ ძმაჲ თვისი და მოყვასი თვისი. ხოლო იქმოდენ რა არა ცდილიან“⁶². ანდა როცა ერეკლეს მიმართავს: „შენ საყვარულს იგიჲ კი არ განმამოარებდა ისე, რომ მონქცეოდა „ვითარმედ, რაჲცა უყო მოციქულთა ჯავითისათა არონ მეფემან ძეთა ამონისთამან“⁶³.

ასევე ბიბლიურ სახეებს მიმართავს ანტონი ანასადმი მიმართულ ეპისტოლეშიც: რაბამ განშვენდი და საყვარელო ჩემო, და რაბამ დასტკბი სიტკბოთა შინა სიბრძნისითა. და ამით შენ ჩემდა უსაკუთარეს დაჲ ვითარმედ მარიამ მოსესი, რამეთუ მარიამ მოსეს ზედა ოდესმე შებრკოლდაცა, გარნა შენ ჩემდა არა მისებრ, რამეთუ რაოდენ გზისცა ინდისფერსა შეეყო სული მეუღლესა. და ვითარმედ ინდისფერსა რაოდენ შევეყავ ბედნიერობასა. შენ რა დაბრკოლდი ჩემზედა და არცა გარეგან მანავისა განვედ ესე იგი ჩემისა სიყვარულისა კარავთაგან. და ესთა ყოვლითურთ ჩემდა იქმენ. ამას გეტყვის გონებაი ჩემი“⁶⁴.

61 H 18, 39v.

62 H 18, 39r.

63 H 18, 39r.

64 H 18, 18v.

აქედან ჩანს, რომ ანას უმბიძეს წუთებშიც კი არ დაუტოვებია ანტონი. ბიბლიური სოლომონ ბრძენის სიტყვების მომარჯვებით ზატავს ანტონი თავის მძიმე სულიერ განწყობილებას: „გულმტკივნეული გაბრალებ ცხოვრებას ჩემსა შეიწრებულსა“, მაგრამ ეს განსაცდელადღვთის მიერ არის მოვლინებული „ოდეს ბრძენი სოლომონ რა ეამს სოფლისა ამის ეამისა საქმესა აღასრულებდა და თვითოეულისა წესსა განუჩინებდა, მაშინვე თქვა ეამი არს შობისა და ეამი სიკვდილისა. „მაგრამ მე — დასძენს ანტონი — ეამმან სიხარულისამან მიპრიდა და მწუხარებანი მომიახლნეს“⁶⁵.

ანტონი ეპისტოლეებში იყენებს არა მარტო ტრადიციულ ბიბლიურ სახეებს, არამედ საერო ძეგლებიდან ამოღებულ სიტყვიერ მასალასაც. იგი სარგებლობს „თამარიანის“, „ვისრამიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახეებით.

უშუალოდ „თამარიანიდან“ ამოღებულ ფრაზას იყენებს იგი ანაბატონიშვილის დახასიათების დროს: „ქმა ნარნარი, პირ-მცინარი“.

ისევე, როგორც „ვისრამიანში“, მეცნიერები და ყვავილები ანტონთანაც მეტაფორის გავრცელებული სახეა, ასე მაგალითად, „შენს ვარდზე კიანჭველ შეხვეულობას და შროშანზედ დაყრილს ამბრას მრავალს გრძნობადის საყნოსელის თვალით ვხედვიდე და იათაგან უქუფრესსა და სულნელესსა კვალად შევნიერს ქოჩორზედ ბაგეს შეგაზებდა“⁶⁶.

ხშირად ანტონის წერილებში „ვისრამიანის“ მსგავს კონსტრუქციებსაც და ფრაზეოლოგიასაც ვხვდებით. ვეფხისტყაოსნის უშუალო გავლენა იგრძნობა თეიმურაზ მეორის დახასიათების დროს: „ჩემი ამალღებული ხელმწიფე“, „ჩემი კეთილმსახური და ქრისტეს ერთგული“, „მეფე მართალი, მშვიდი, ძლევამოსილი, თვალუხვევი, მოწყალე, მოსამართლე“.

ანტონს სიკვდილის შთანთქმელი, გამანადგურებელი ძალა ასეთი ფიგურული გამოთქმით აქვს ნაჩვენები: „მოხვეული ქმნა ღრუბელნი იგი ურწყულნი“, „ვეშაპთაგან შთანთქმულ იქმნა ყოველთაჲდართა სიბნელისა განმართებელი იგი ცისკარი“... „მადრიბისა მზემან სხივნო მოკლებულ ქმნა და ასპირიზისა სინათლემან არღარა გამოსცა კვირობა“⁶⁷.

ანტონის მიერ დაბატული სურათი გვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ადგილს:

65 H 18, 18r.

66 H 722, გვ. 23—24.

67 H 18—18v.

„მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადმცა გაგვითენდა!“ 1158,4

ანტონი ლირიკული და ფილოსოფიური წიაღსვლების დროს სოფლის გაუტანლობასა და უსამართლობაზე ლაპარაკობს: „რად განვაგრძო სიტყვა უქმად სოფლისაგან მტკივნეულმან ბატონის შვილმან ანტონიმ, ვაუბნა მწუხარებათაგან მოუძღურებული ენა ჩემი“⁶⁸. ამაოებინა და წარმავლობის გრძნობით არის აღბეჭდილი სიცოცხლის განადგურების სურათი, სადაც კონტრასტების მოშველიებით გადმოცემულია ანტონის დამოკიდებულება სოფლის ცვალებადი ბუნებისადმი: „და თუ სადამე კუალად გონება ინებებს შესვლად რომლითამე გზით მტილსა ნიგზოვან ხეთასა ხილვად, ნაყოფთა არა ჰპოვებს მას შინა აღყვავებულად ვენაქთა და აღორძინებულად ყვავილთა. არამედ ვენაქთა ესე იგი ძალის მიზეზთა სიცოცხლისათა განსხლულად და ვარდთა სიხარულისათა აღმოგლეჯილად და გარე განთხევად“⁶⁹.

კათალიკოსი თანაგრძნობით მიმართავს ანას: — „მე მესმის, რომ ამ სოფლისაგან ვნებულსა აღარად გინდა რაც უნებს სოფელსა. მე ამას ქვეშარიტებით მოგახსენებ, რომ ერთხელაც ერეკლეს სიშორეში ამისთანა სიტყვა მოგახსენე, დამიჯერე, მერმე კი მიმადლიდი... ახლა მიგეცესთ შენდა მწუხარებას ერთმანეთისთვის სალაში... მაგრამ უნდა შევჩვეულიყავ მწუხარებასა და მორეოდი“⁷⁰.

ანტონი ამჟღავნებს საოცარ სულიერ სიმტკიცესა და ტრადიციულ ოპტიმიზმს, რომელიც კვებავდა ქართველი ადამიანის სულს სასოწარკვეთისა და უბედობის წუთებშიც კი, და რომელიც ნათლად ჩანს რუსთაველის, არჩილის, ვახტანგ VI-ისა და გურამიშვილის შემოქმედებაში.

ოპტიმიზმი ასულდგმულებს ანტონს მაშინაც, როცა მოუწოდებს ანა ბატონიშვილს: გამაგრდი, უნდა შეჩვეოდი მწუხარებას და მორეოდი, „ჯოჯოხეთისა და სიკვდილისა გარდა ყველას უნდა დაეჩვიოს კაცი“. თუ ჩემი სიყვარული გაქვს, გევედრები, თავს გაუფრთხილდი, რომ შენი ნახვა მელირსოს. მე იმას კი არ ვამბობ: — თუ კი ერეკლეს ინდოეთს ყოფნას გაუძღელ და დედის მიცვალებას, ჩემის დარდით არა აგიტყდეს რა მეთქი, მაგრამ როგორც ერეკლე ძნელი იყო დასაკარგავად, და დედა დასაფლავად ეგრეთვე აგებულებაც უფრო სიმართელით და ყმაწვილობით მტკიცე იყო. „და ყველას ძნიად მიიღებს კაცი, თუ სიფრთხილით თავი არ განიმტკიცა. მე შენ სიკვდილს ვერ გადავიტან და ჩემი სიკვდილის მიზეზი ნუ გახდები“⁷¹.

ანასადმი მიმართული მეორე ეპისტოლე ამალღებული, მეგობრუ-

68 H 18—18v.

69 H 18, 39v.

70 ოქვე.

71 H 18, 39r.

ლი და დამპური სიყვარულის ჰიმნია. აქ შედარება, მეტაფორა და ეპითეტი, ერთმანეთში გადახლართული, ისეთ ემოციურ სურათს იძლევა, რომ სხვა რომ არაფერი დაეწერა, შთამომავლობის სსოვნაში მაინც დარჩებოდა ანტონი, როგორც მაღალი და ფაქიზი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, ადამიანის ფიქრთა გულთამხილაჟი პიროვნება. ლაღად მოედინება მტკიცედ და მოზღენილად აგებული ფრაზა. ხატოვანი სახეები, ღრმა. აზრები აჯადოებს მკითხველს: „აჰა, მყა რეკ სიყვარული შენი კარსა მას დაჭმულსა. და მე ძილსა განცა განმადვილებს და მგონებელსა ვითარმედ ცრემლნი იგი შენნი რომელნი განშორების კამსა მიერ და ალო შეჭმნენს დასაფლველ ჩემდა; აქ თითთაგან ჩემთა დამონწყვეთს იგი და მყა, კარიცა იგი დაჭმულ განმელებს. და კარსა ზედა მდგომარე იგი სიყვარულიცა შენი არა განმელთვს... შენმან მეპკრეტმან გონებამან ჩემმან მყის მირიდოს უწყესოსა მას ახალსჯულეზასა და თვისადვე პატიოსნებისა ტაძრად იქცეს და მას შინა ვალობდეს ესთა შენდა, დამდვეს მე ვითარცა ბეჭედი გულსა ზედა შენსა და ვითარცა ბეჭედი მკლავსა შენსა ზედა, რამეთუ ესთა ძლიერ არს სიყვარული, ვითარცა სიკვდილი, რამეთუ არ ძალუც წყალსა მრავალსა დაშრეტად სიყვარულისა, და მდინარენი ვერ წარღვნიან ამას სიტყვიზებრ ქებათასა⁷².

აქ მხატვრული სიმბოლოების (პატიოსნების ტაძარი თვითონ ადამიანია, მისი სულია) და „ქებათა ქების“ წარმტაცი სტრიქონების გამოყენებით ანტონს ამალეებული სიყვარულის ჰიმნი შეუქმნია. მართალია, ამ ეპისტოლეების ცოცხალ სასაუბრო ენაში რიტორული სამკაულებიც არის შეპარული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის თემის სიმწყობრესა და ერთიანობას.

სამშობლოდან გადახვეწილი მგზნებარე პატრიოტის ანტონ კათალიკოსის წერილები გაყდენთილა სევდით დაკარგულ სამშობლოზე. ახლობლებზე, გულისტკივილით იმ ადამიანებზე, რომელთაც ვერ შეიგნეს მისი კეთილი ზრახვანი და სურვილები და, ვითარცა ქრისტე იუდეველთა, ისე გაწირეს. მის წერილებს ახასიათებს მტკიცე კომპოზიცია. იდეური გააზრებისა და სიტყვიერი ფორმის საუცხოოდ შეხამება, ფრაზის გამართულობა და აზრის ემოციური გამოხატვა. მის წერილებში საკმაოდ ჩანს ქართული ენის სიღრმე და სიღიადე, სიღარბისლე და სინატიფე. ეპისტოლეთა სახვით მხარეს აძლიერებს პოეტური ფიგურები, აქა-იქ ძუნწად ჩართული შორისდებულები და რიტორიკული მიმართვები. ისინი აღრმავებენ სევდას და გოდების ელფერს აძლევენ წერილებს. ანტონი ქმნის საინტერესო კომპოზიციებსაც, როგორცაა: გალურჯიაგუნდდა, ვინუგემისველე, მუხლდადგმით და ა. შ.

72 H 18, 39v.

ანტონის წერილებისათვის რუსიციზმებიც არ არის უცხო. ასე მაგალითად: პეტერბურხი, აუდინცია, ნუჟდა, ფომილია, სტოლი, პატარ-კა და ა. შ. იგი ხშირად ხმარობს არქაულსა და იმ დროისათვის გაუგებარ ქართულ სიტყვას, რომელთაგან არამცირე ნაწილი საეკლესიო ენის კლავნილებია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ანტონის წერილების სტილი არ არის ყოველთვის თანაბარი. იგი ჩანს აღზევებული და რატორიკულია, ხან მშვიდი და სადა.

ვფიქრობთ, სწორედ აქ ვლინდება ეპოქის სახე მთელი თავისი წინააღმდეგობებით.

ერთის მხრივ აქ ჩანს ანტონი, სასულიერო წრის წარმომადგენელი, მაღალი სტილის თეორიის გაბატონებისათვის მებრძოლი, ხოლო მეორეს მხრივ ადამიანი, რომლის წერილებში ასე ქარბად იჩინა თავი ეპოქის მოთხოვნისა, ადამიანის შინაგანი სამყაროს და ლირიკული გრძნობის ასახვის სურვილმა.

ეს იყო დრო, როცა არჩილიდან დაწყებული ქართული მწერლობა იბრძოდა ქართული მოტივების, ქართული თემატიკისა და ორიგინალური ვერსიფიკაციის დამკვიდრებისათვის, ვახტანგის, სულხან-საბას. გურამიშვილისა და ბესიკის შემოქმედება, სამღივნო წიგნებში შემონახული მთელი ეპისტოლარული მემკვიდრეობა არის ცდა ტრაფარეტული ფორმების გარღვევისა და ადამიანის შინაგანი სამყაროთი დაინტერესებისა.

ანტონ კათალიკოსის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლამ ბევრი რამ ახლებურად დაგვანახა და საშუალება მოგვცა მისი ბიოგრაფიის ზოგი დეტალი დაგვეზუსტებინა:

1) ეპისტოლეებიდან ნათლად ჩანს, რომ ანტონი თავის შეცოდებას მხოლოდ სარწმუნოებრივი მიზეზებით ზსნიდა. როგორც თვითონ ამბობდა: არა სიძარტლით ვიყავ წინაშე ღმრთისა, რისთვისაც დაისაჯა კიდევ.

2) ირკვევა, რომ ანტონის დაუძინებელი მტერი და მისი განდევნის პირველი ინიციატორი ზაქარია გაბაშვილი თავდაპირველად ფარულად ებრძოდა და არ ამჟღავნებდა თავის აგრესიულ დამოკიდებულებას ანტონის მიმართ. როგორც მათი მიწერ-მოწერიდან ჩანს, ზაქარიას ანტონი ერთგულებაშიც კი დაურწმუნებია და დაუჭერებია: შენს წინაშე არავითარი ცოდვა არა მაქვსო.

ანტონის გაძევების შემდეგ კი ზაქარიას ფრთები გაუშლია და არამც თუ ანტონი, მისი თანამოაზრენიც კი აღარ დაუნდვია და სასტიკად დაუსჯია.

3) ნათელი ხდება ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ნათესაური მიმართების ზოგი საკითხი. ასე მაგ.: დასტურდება, რომ აბელ ანდრო-

ნიკაშვილის მეუღლე ქეთევანი (რომელსაც წყაროს დასახელების გარეშე ერეკლე I-ის ასულად მიიჩნევს მ. ჭანაშვილი) არის ქალიშვილი ერეკლე I-ისა. თეიმურაზ II-ის და და ანტონის დეიდა. ქეთევანი ყოფილა ანტონის თანამზრახველი და მისი ინტერესების დამცველი, რისთვისაც იგი ზაქარიას დაუხდობლად ულანძღავს.

სასტიკად გაუსწორდა ზაქარია ანტონის მეორე დეიდას ზვარეშანსაც, რომელთანაც ანტონს ძალიან ახლო ურთიერთობა და მიწერ-მოწერა ჰქონია.

4) ანტონის წერილები ნათელს ჰფენს მოსკოვში მცხოვრებ ქართული სამეფო კარის წარმომადგენელთა ბიოგრაფიის ზოგიერთ მხარეს. მაგალითად,

ა) ჩვენთვის აქამდე უცნობი იყო, რომ ქართველი მეფის შვილიშვილი ელისაბედი იმპერატორს საქორწილოდ თავის ზელით მოურთაეს. თავისივე სასახლეში ჯვარი დაუწერია და დიდის პატივით გაუთხოვებია.

როგორც ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, ეს ელისაბედი უნდა იყოს ბაქარის ქალიშვილი.

ბ) ანტონისავე წერილებმა მოგვცა საშუალება გაგვერკვია მოსკოვში მცხოვრები ვინმე ბეგუმის ვინაობა, რომელსაც იგი დას უწოდებს. ეს ბეგუმი აღმოჩნდა ვახტანგ VI-ისა და იესეს ძმისწული ანა ქაიხოსროს ასული, რომელიც ვახტანგის ამაღლას რუსეთს გაჰყვა და იქვე დარჩა.

5) ანტონის წერილების სტილის, მხატვრული სახეების და თავისებურებათა შესწავლა უეპკველად გვაფიქრებინებს, რომ ადამიანს, რომელიც ასე უხვად სარგებლობს ქართული საერო ძეგლების: „თამარიანის“, „ვეფხისტყაოსნის“ და „ვისრამიანის“ მხატვრული სახეებითა და ზერხებით, „ვისრამიანისა“, რომელიც ხორციელი და ადამიანური სიყვარულის საგალობელია, არ შეეძლო დაეწვა „ვეფხისტყაოსანი“ (ამ მოსაზრებით, რომ შოთა ამოღო დაწერა, რადგან საერო ამბები აღწერილი).

ანტონი, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, თავად იყო პოეტური, ამქვეყნიური სიყვარულისა და სილამაზის მეხოტბე.

6) ანტონის წერილების ენამ და მისმა შეჭერებამ მე-18 საუკუნის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასთან დაგვარწმუნა, რომ არ შეიძლება საქართველოში სამი სტილის თეორიის გაბატონება და ქართული ენის ბუნებრივი განვითარების გზიდან გადაცდენა და შეფერხება თავს მოვახვიოთ ერთ ადამიანს; სამი სტილის თეორიის თანაჲმად ეპისტოლეები და საქმიანი მიწერ-მოწერა დაბალი სტილით იწერებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, არისტოკრატია ეპისტოლეებსაც კი დარბაისლური და არ-

ქაული სტილით წერდა. სამი სტილის თეორიის დანერგვისათვის მებრძოლი ანტონ კათალიკოსი კი თავის პირად მწუხარებასა და განცდებზე როცა ლაპარაკობს, ჩვეულებრივ სასაუბრო ნათელი ქართულით წერს. ანტონის ეპისტოლეები სანიმუშოა სისადავით და არ არის დაწერილი იმგვარი ღვარჯნილი სტილით, რითაც გამოირჩევა ბესიკისა და იმ პერიოდის სხვა მოღვაწეთა წერალები. ასე გასინჯეთ, ზაქარია გაბაშვილსაც კი სწამებენ ანტონ კათალიკოსის გავლენას „ზაქარია გაბაშვილს სიტყვა, თქმული სოლომონ პირველის მიმართ, ქართული ზეპირი მეტყველების ბუნებრივი გზიდან ერთგვარი გადაცდენაა, რაც ანტონ კათალიკოსის ენობრივი სისტემის თავისებურ გამოკრთომას უნდა წარმოადგენდეს“⁷³.

ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ზაქარია გაბაშვილს ანტონის დაუძინებელ მეტოქეს განეცადა კათალიკოსის გავლენა. ესეც გვაფიქრებინებს, რომ ქართული ენის ბუნებრივი განვითარების ხაზის გაწყვეტა და სამი სტილის თეორიის დაქანონება მხოლოდ ანტონ კათალიკოსის სახელთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.

ამასთან ერთად გვაგონდება ერეკლე მეფის სამძიმრის წერილიც, რომელიც მან ბიძას — ბაქარ ვახტანგის ძეს გაუგზავნა დედის — თამარის და დედის — ანუკა ბატონიშვილების გარდაცვალების გამო. წერილის სტილი საოცრად მძიმეა და ზელოვნური, მას უსაგნო რიტორიკის ელფერი დაჰკრავს. როცა ეს სამძიმარი დაიწერა, 1746 წელს, ამ დროს ანტონი მხოლოდ 2 წლის არჩეული იყო ქართლის საკათალიკოსო კათედრაზე. მისი გრამატიკაც, სადაც სამი სტილის თეორია ჩამოყალიბებული, 1713 წელს გამოქვეყნდა. განა შეიძლება ვთქვათ. რომ ეს წერილი ანტონის სამი სტილის თეორიის გავლენით არის დაწერილი? რასაკვირველია, არა! მაშინ სად ვეძებოთ მიზეზი, თუ კი მანამდეც იწერებოდა მაღალი სტილით ზოგიერთი წერილობითი ძეგლი? ამის ახსნა ამგვარი შეიძლება იყოს მხოლოდ. სამი სტილის თეორიას. ფესვები შორეულ წარსულში აქვს, იგი ჯერ კიდევ ანტიკური საბერძნეთიდან მოდის. რამაც ალბათ თავის დროზე იოანე პეტრიწზე იქონია გავლენა. პეტრიწმა კი თავის მხრივ, ამის დაშვებაც შესაძლებელია, მისი მემკვიდრეობის შესანიშნავ მცოდნეზე, — ანტონ კათალიკოსზე.

მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში კი სამი სტილის თეორია რუსეთიდან შემოჭრილი ჩანს, სადაც იგი ლომონოსოვის დროიდან იყო ფეხმოდგმული. ანტონმა ამ თეორიას მხოლოდ მწყობრი სახე მისცა.

⁷³ ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართული კლასიკური მკერმეტყველება. 1961, გვ. 287.

თუ ამ თეორიას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა, ეს ანტონის, როგორც დადასტურებული პიროვნების სახელითა და მდგომარეობით უნდა აჩხსნას და არა იმით, თითქოს ძალით ახვევდა თავის თეორიას იმპროვიზირებულ მოღვაწეებს. რად უნდა ეწეათ ბესიკსა და ბევრ სხვა მოღვაწეს სამძიმარები და ეპისტოლეები ღვარჰინილი სტილით, თუ თვითონ ანტონი ამ შემთხვევებში უაღრესად სადა სტილს იყენებდა?

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სათანადო ადგილები ანტონის სამ-
ცხმრიდან, რომელიც მან მეფე ერეკლეს გაუგზავნა მისი ქალის თამარის გარდაცვალების გამო: „ამას მუკლდადგმით ორთავ ჩემს ქელ-
მწიფეთ ცრემლით გვედრებით, რომ მოითმინეთ... დათმეთ და ერთ-
მანერთს ნუგეში ეცით, რაც დაგოციათ, ერთმანერთის ძვირფას სი-
ცოცხლეს ანაცვალეთ. თქვენის ჰირის სანაცვლონი იყვნენ, ის თქვენ-
ნი თვთოს მონარხისაგან უდიდესად ძვირფასი შვილები. ესეც ზომ
ჩემის ქელმწიფის თამარ დედოფლის სახელი იმის ნაყოფზედ რომ
აღარ იწოდება, თავის ძმების და დების ჰირის სანაცვლო იყოს“⁷⁴.

რად უნდა ჩაეთვალოს შეცოდებად ამ დიდ მამულიშვილს, ანტონ
კათალიკოსს, ის რაშიც უბრალოა და უცოდველი. ანტონი ამ თეორიის
მხოლოდ მქადაგებელია, უფრო მეტიც, პრაქტიკულად ბოლომდე თან-
მიმდევრულად დამცველიც კი ვერ არის.

სამი სტილის თეორიამ თუ ასე მოიკიდა ერთი საუკუნით საქართ-
ველოში ფეხი, ეს იმიტომ, რომ იგი ეპოქის მოთხოვნილებით საზრდო-
ობდა და საერო არისტოკრატის გარკვეულ წრეებში მაღალი ტონის
ნიშანს წარმოადგენდა.

აქიდან გამომდინარე ექვს იწვევს სპეციალურ ლიტერატურაში
გამოთქმული ზოგი მოსაზრება, რომელიც ანტონ კათალიკოსს მიიჩნევს
სამი სტილის თეორიის განუხრეკლ დამნერგავად, „ქართული მწიგნობ-
რობის ნამდვილ დიქტატორად“ და იმ პერიოდის ბევრი მოღვაწის
რიტორიკის ოჩაფხეებით სიარულშიც მთავარ ბრალს ანტონს სდებს.

ანტონი იყო უდიდესი საეკლესიო მოღვაწე, გამოჩენილი ფილო-
სოფოსი, ენათმეცნიერი, დიდბუნებოვანი და ფაქიზი სულის ადამიანი.
მისი მემკვიდრეობა სავსებით იმსახურებს პატივისცემას.

ანტონ კათალიკოსის მემკვიდრეობის შეფასების დროს არ უნდა
დაგვავიწყდეს, რომ იგი ჰუმანიტატი შვილია მეფურამეტე საუკუნის სა-
ქართველოსი, რომელიც დიდ შინაგან კიდილსა და „ლეღვას განიც-

⁷⁴ ამავე სამძიმარიდან ჩანს, რომ ანტონი მხარს უჭერდა ერეკლეს სიძეს, თამარის მეუღლეს დავით ორბელიანს, მეწინავე ლაშქრის სპასპეტს. ცნობილ მხედარსა და ლიტერატორს. „ეს საწუალი კაცი, სარდალი თქვენისა შესამატია და ქვეყნისაც და ამისა და იმ თქვენის ქალის ობლებს თქვენგან ნუგეში ეცემოდათ“ (H 2510, გვ. 14).

დიდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა და გამოსაეალს ეძებდა“. და რადგანაც „დიდი ადამიანები თანამედროვეობის უკუფენაა — ისტორიაშიც და აზროვნებაშიც, ანტონი შინაგან ჭიდილს, ძიებას, ბრძოლას, მრავალგვარ ცდას განიცდის“⁷⁵.

ამ შინაგან ჭიდილში და აზლის ძიებაში დიდმა მამულიშვილმა სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანა თავისი პირადი ბედნიერება.

⁷⁵ შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, 11, 1958, გვ. 375.

ლია ანდლულაჰი

ვეფხისტყაოსნის თარგმნის ისტორიიდან

(ი. რომენსკი)

რუსულ ენაზე ვეფხისტყაოსნის მრავალრიცხოვან თარგმანთა შორის მხოლოდ რამდენიმემ მოიპოვა ლიტერატურული ფაქტის მნიშვნელობა. მთელი პირველი, რევოლუციამდელი პერიოდი, ფაქტიურად, მომავალი კარგი თარგმანების სამზადისს მიეძღვნა. მაგრამ განსხვავებული ფორმითა და სტილით შესრულებულ ადრეულ თარგმანებსაც არ დაუკარგავთ თავისი ისტორიული მნიშვნელობა. ორიგინალთან ადექვატურობის ძიების ცდებს მოძრაობაში მოჰყავდა რუსული ლექსწყობის თითქმის ყველა სახე: ქორე, იამბი, ამფიბრაჟი, ალექსანდრიული ლექსი, ჰეგზამეტრი და თეთრი ლექსიც. სტროფში მარცვალთა რაოდენობის ამპლიტუდა 8 და 12 შორის ირხეოდა. მოძრავი იყო ჰქვარში სტროფთა რაოდენობაც: 4, 6, 8. ადრეული თარგმანები პოემის მხატვრული და აზრობრივი მხარის მთელ რიგ საკითხთა საინტერესო ინტერპრეტაციასაც წარმოგიდგენდნენ.

წარსული ეპოქა თავის მოთხოვნებს უყენებდა თარგმანს. იმ დროის იდეურ-ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი ეს თარგმანები თავისი საზოგადოებრივი დანიშნულებით სცილდებოდნენ ვიწრო ფორმალურ ძიებებს და გარკვეულ იდეოლოგიურ ხასიათსაც ატარებდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში მოღვაწეობდა პროფესიონალი მთარგმნელების მთელი პლეადა. ისინი მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ თარგმნის საქმეს და მის მაღალ დონეზე შესრულებას ხშირად დიდ დროსა და ენერგიას ანდომებდნენ. ცნობილია, რომ დ. ე. შინმა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ რუსულ ენაზე თარგმნას 45 წელი მოანდომა, ნ. ხილოტკოვსკიმ კი გოეთეს „ფაუსტს“ — 25 წელი. მაგრამ თარგმანებს ევროპული ლიტერატურიდან ქმნიდნენ ამ ენის მცოდნენა.

იქნება რუსთა შორის რუსთაველის ენის არცოდნამ განაპირობა ფაქტი, რომ ქართველთა მაღალ პოეტურ ქმნილებას ღირსეული რუსი მთარგმნელი დიდხანს არ გამოსჩენია?

აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსნის ადრეული თარგმანების ავტორები ლიტერატურაში ახლად ჩაბმული ე. წ. რაზნოჩინული ინტელიგენციის წრიდან იყვნენ უცხო ენების ცოდნით ისინი არ გამოაჩნოდნენ. ამასთან, დაბალი სტილი, რომელიც მათ შემოიტანეს, დაეტყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ პოეზიასაც. ვეფხისტყაოსნის ადრეული თარგმანებიც ამ ნიშნით არის დაღდასმული. მათში შერბილებული და განელებულია მხატვრულ სახეთა სიმკვეთრე: სიბრძნის თქმა უგემოვნო რიტორიკის ფორმაშია წარმოდგენილი.

ადრეულ თარგმანთა ძირითადი ნაწილი პოემის ნაწილობრივი თარგმანებია. ჩანს, ვეფხისტყაოსნის მიუბაძველმა სიღრმემ და ფორმამ ბევრი მთარგმნელი დროზე დახია უკან და მისი შრომა პოემის მხოლოდ ცალკეული თავის ან ნაწყვეტის თარგმნით განსაზღვრა.

თავისი დიდების ძალითვე ვეფხისტყაოსანმა ჩვენი ქვეყნით მრავალი ერის მოწინავე ადამიანი დააინტერესა, მათი სახელი საქართველოს დაუქავშირა და, თავის მხრივ, მთარგმნელთა ორიგინალურ შემოქმედებასაც შემატა პოეტური სიტყვის ძალა.

ცხადია, სადავოა რუსთაველის პოემის წვდომისა და თარგმნის ადრეული გზების სისწორე. მიუხედავად სისუსტისა, თარგმანთა სიმრავლე რუსი შწერლობის მიერ ჩვენი კულტურის ინტენსიურ ათვისებაზე მეტყველებს.

ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნის საქიროება თან სდევდა ჩვენ ორ ერს შორის კულტურულ ურთიერთობათა ზრდას. იგი, ჩვენა ერთობრივი ცხოვრებით იყო ნაკარნახევი. ვეფხისტყაოსანი იყო კარი, რომლის იქით უკეთ ჩანდა ქართული კულტურა, ენა, ისტორია. მისი გამოჩინებისათვის ცალკეულ პირთა შრომა და ბრძოლა პატივისა და მაღლობის ღირსია. ჩვენს წერილებშიც (ამჟამად ქვეყნდება მხოლოდ ერთი), მოცემულია ცდა აღდგეს იმ ადამიანთა სახელები, რომელთაც თავიანთი ღვაწლით ვეფხისტყაოსანს გაუჟაფეს გზა მრავალმილიონიანი რუსი მკითხველისაკენ. ამიტომ მათი თარგმანების კრიტიკა არ დაგვკავს იმ უბრალო რეგისტრაციამდე, სადაც ვიტყოდით რა ითარგმნა „სწორად“ და რა „არასწორად“.

• • •

წარსული საუკუნის ბოლო მეოთხედი რუსთაველოლოგიაში ახალ და სერიოზული მიღწევებით აღინიშნება. 1900 წლისათვის არის პოემის

14. მათ შორის მღიდრული, მ. ზიჩის მიერ ილუსტრირებული გამოცემა ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენაზე მუშაობენ. რუსული და ქართული პრესის ფურცლებზე ქვეყნდება წერილები რუსთაველის ბიოგრაფიის, მსოფლმზედველობის, პოემის წარმოშობის, ლიტერატურული წყაროების, მხატვრული კონსტრუქციისა და პოემის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ.

რუსთაველის თემაზე მუშაობენ მხატვრები, მწერლები, დრამატურგები. რუსთაველის შემოქმედების შესწავლა სასკოლო პროგრამებში შეაქვთ. ტარდება სახალხო ლექციები რუსთაველის შესახებ.

აქტუალურ პრობლემათა შორის დგას პოემის უცხო, განსაკუთრებით კი რუსულ ენაზე გადატანის საკითხიც. მთარგმნელთა დასახმარებლად მოითხოვენ პოემის აწარდელი თარგმანების შექმნას.

ამ ხანებში ცალკე წიგნად რუსულ ენაზე პირველად გამოდის პოემის თარგმანი და ზოგიერთი ცნობა რუსთაველის შესახებ¹. მაგრამ დღემდე უცნობია ზოგიერთი მთარგმნელის ამ მიმართებით ჩატარებული ღვაწლი. მათი თარგმანი არ გამოქვეყნებულა და ახლა მხოლოდ არქივებში თუ მივაგნებთ მათ. ერთ ასეთ თარგმანზე მიგვიითივებს ფილ. მეცნ. დოქტორი ო. ბაქანიძე², როცა ალექსანდრე სარაჯიშვილის არქივში ნაპოვნ პოემის ალ. ნავროცკისეულ თარგმანს ეხება. ძიების დროს ალექსანდრე სარაჯიშვილის არქივში ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთ თარგმანს მივაგენით. თარგმანი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშია დაცული (ROS — ს. ფ. № 2751). მისი ავტორია ი. რომენსკი.

სარაჯიშვილ-რომენსკის თანამშრომლობაზე ყურადღება მიგვაქცევინა ამავე ფონდის № 1178-ით არქივში დაცულმა ორმა რვეულმა. რომელთაგან ერთი ალ. სარაჯიშვილის ხელითაა დაწერილი („რამას განდევნა“ პოემიდან „რამაიანა“, — თარგმნილია ნემენცურიდან 5. იასკოვსკისა და ა. სარაჯიშვილის მიერ“).

ამ ხელნაწერში ჩადებულია ი. რომენსკის წერილიც. იგი ალ. სარაჯიშვილისადმი მიმართული და ეხება „რამაიანას“ თარგმანს.

ვეფხისტყაოსნის რომენსკისეულ თარგმანს, რომელიც მანქანაზე გადაბეჭდილ 5 ფურცელს შეადგენს, თან ახლავს რამდენიმე ხელნაწერი გვერდიც. ისინი ხელმოუწერელია, მაგრამ რომენსკის თარგმანთან ერთად მათი მოთავსება, ჩანს, თავიდანვე გარკვეულ საფუძველს ემყარებოდა. ამ ფურცლებზე კალიგრაფიული ხელით, რომელიც თანდათან

¹ Е. Сталинский, Шота Руставели грузинский народный поэт, Тифл. 1885. იგივე წიგნი გამოიცა 1887 წ.

² ო. ბაქანიძე, როდის ითარგმნა? ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 22/IX, გვ. 3.

უფრო მეტად გაკრული და ნასწორებია, მოცემულია რამდენიმე ლექსი. ვფიქრობთ, ისინიც რომენსკის უნდა ეკუთვნოდეს.

რომენსკის პოეტური შემოქმედებიდან გამოქვეყნებულია „რამა-იანას“ რუსული თარგმანი. წიგნი მოსკოვისა და ლენინგრადის ცენტრალურ ბიბლიოთეკების კატალოგებში ირიცხება.

ბიბლიოგრაფიული ლექსიკონები რომენსკის შესახებ ცნობებს ვერ გვაწვდიან. მხოლოდ „კავკასიის კალენდარში“ ვხვდებით მის სახელს.

ზემოხსენებული წყაროებიდან ირკვევა, რომ იური ალექსანდრეს ძე რომენსკის დასახლება კავკასიაში მის მიმართ მეფის რისხვას უნდა მოჰყოლოდა.

О. молодой властелин, вняв клевете,
Ты оказал несправедливость
Мой позором окупить, —

— წერს რომენსკი ავტობიოგრაფიული ხასიათის ერთ ლექსში. ამავე ლექსიდან ჩანს, რომ ეს მოხდა რომენსკის უანგარო მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის თავზე. პოეტი უნებურ შეცოდებად უთვლის ამ განაჩენს მოტყუებულ ხელისუფალს. მას მიაჩნია, რომ მომავალი, რომელიც არც ოქროთი, არც პირფერობითა და შიშით არ იქნება მოსყიდული, დამნაშავეს სამართლის სამსჯავროზე გამოიყვანს.

მეფისადმი ამ საყვედურის მიხედვით საფიქრებელია, რომ იური რომენსკიც იმ „პოლიტიკურად არასანდო“ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ცარიზმი გადასახლებითა და თავისუფლების აღკვეთით სჯიდა. დეკაბრისტებიდან დაწყებული, ასეთ ადამიანებს ბევრს იცნობდა კავკასია. უსაფუძვლო არ იქნება ვიფიქროთ, რომ რომენსკიც კავკასიაში სამუშაოდ იმავე გზით მოვიდა.

„კავკასიის კალენდარი“ მიუთითებს, რომ ი. რომენსკი დალესტნის ოლქის ქალაქ თემირ-ხან-შურას რეალურ სასწავლებელში მსახურობდა. 1890 წლიდან ათი წლის განმავლობაში მას მათემატიკის მასწავლებლისა და კლასის დამრიგებლის მოვალეობის ამსრულებლად ვხვდებით. ბოლო წლებში ამავე ქალაქის რეალურ სასწავლებელთან არსებულ პანსეონში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. განათლებით მათემატიკოსს, რომენსკის პოეზიის დიდი სიყვარული და ცოდნაც აქვს. ვეფხისტყაოსნით დაინტერესება მის საქართველოში ცხოვრებას, კერძოდ თემირ-ხან-შურაში აღ. სარაჯიშვილთან ნაცნობობას უნდა მოჰყოლოდა.

ყველა ნიშნის მიხედვით, როგორც აღ. ნაეროცკისეული, ისე ვეფხისტყაოსნის რომენსკისეული თარგმანი აღ. სარაჯიშვილის დახმარებით ხორციელდებოდა. პწკარედი, რომელიც შესრულებული იყო. აღ.

ნავროცკის თხოვნით, სარგებლობისათვის ი. რომენსკისაც ჰქონია ხელთ. პოემის თარგმანზე ისინი ერთდროულად არ მუშაობდნენ. ნავროცკი ამ საქმით 1889—1892 წლებში იყო დაკავებული. 1890 წელს სამუშაოდ იგი ერევანში გადავიდა და მალე (1892 წ.) გარდაიცვალა კიდეც.

თანავტორის დაკარგვა ისეთ დიდ და კეთილშობილურ საქმეში, როგორც რუსთაველის პოემის თარგმნა იყო, ალ. სარაჯიშვილს დიდ დანაკლისად უნდა მიეჩნია. პოემის პწკარედზე დიდი პასუხისმგებლობით დაწყებული მისი მუშაობის შეწყვეტაც ნავროცკის სიკვდილით უნდა აიხსნას. სარაჯიშვილს გაკეთებული აქვს პოემის 623 სტროფის პწკარედი, რაც 224 სტროფით აღემატება ნავროცკისეულ თარგმანს.

ნავროცკის თემირ-ხან-შურადან წასვლას ემთხვევა ამ ქალაქში ი. რომენსკის პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყება. დიდი ქართველი პოეტის პატივისცემასა და სიყვარულში თავისი ნიჭითა და განათლებით რომენსკი ნავროცკის ღირსეულ ცვლას წარმოადგენდა. პოემის პწკარედის გარკვეული მონაკვეთი მზად იყო, მისი შემკვეთი კი გარდაცვლილი. პოემა მთარგმნელს ელოდა და სარაჯიშვილს უფლება ჰქონდა რომენსკისათვის ნდობა გამოეცხადებია, მისთვის პოემის პწკარედი გადაეცა.

საარქივო მასალები ცხადყოფენ, რომ ვეფხისტყაოსნის თარგმნას წინ უძღოდა სარაჯიშვილ-რომენსკის საერთო დაინტერესება ინდურ ეპოსით. „რამაიანას“ რუსული და ქართული ვარიანტის ზოგიერთი სიხლოვე მიგვითითებს, რომ მთარგმნელები ერთ პერიოდში მუშაობდნენ და ერთურთის დახმარებითაც სარგებლობდნენ.

ქართული ვარიანტი, რომელიც ალ. სარაჯიშვილისა და ნ. იასკოვსკის ეკუთვნის, გამოქვეყნდა 1897 წელს ჟურნალ „მოამბის“ № 2, 3 და 4-ში. „რამაიანას“ რუსული თარგმანი კი ი. რომენსკიმ პეტერბურგში 1902 წელს გამოსცა. ორივეს წყარო ადოლფ გოლცმანის გერმანული თარგმანი იყო.

ცნობილია, რომ ალ. სარაჯიშვილმა კარგად იცოდა ფრანგული ენა. ჯერ კიდევ ენევეაში სწავლების პერიოდში ამ ენაზე კითხულობდა მოსენებებს და უცხოელთ მისი მშობელი ერის კულტურას აცნობდა. „რამაიანას“ თარგმნის დროს კი გერმანული წყაროთი სარგებლობა მისთვის ი. რომენსკის ან ნ. იასკოვსკის უნდა გაეადვილებინა.

სათარგმნი მასალის არჩევანი ცხადყოფს რომენსკის, როგორც მთარგმნელისა და მოქალაქის მისწრაფებასაც. მას ხიბლავს კაცობრიობისათვის ძვირფასი სიძველე და სიბრძნე. „რამაიანა“ ანუ „სიმღერა რამენე“ ჩვენგან სამ ათას წელზე მეტად დაშორებულ დროს ეხება ჯანდროელთა გმირულ წარსულს გადმოსცემს.

პოემის ხასიათი ძირითადად მორალისკურია. მასში გამოხატულია ძველი ინდოელის მისწრაფება იდეალიზაციენ, მისი შეხედულება ცხოვრებაზე, რელიგიაზე, ბუნებაზე, ადამიანის მოვალეობაზე. ამ ნაწარმოების ფილოსოფია მარტო ისტორიულ ინტერესს არ იწვევს. ცალკეულ შემთხვევებში ის წარმოადგენს ადამიანური სიბრძნის და სიკეთის ნიმუშებს და არ ისაზღვრება დროითა ან წრით, რომელშიც თავდაპირველად შეიქმნა.

„რამაიანას“ რუსული თარგმანიც თავის დროისათვის რუსული ლიტერატურის უდავო შენაძენი იყო. მანამდე ინდურ მხატვრულ ეპოსს ის იცნობდა მხოლოდ ქუეოვსკის მიერ „მაჰაბხარადან“ თარგმნილი ეპიზოდით „ნალი და დამაიანტი“. რომენსკის იზიდავდა „რამაიანას“ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. „რამაიანაში“ გამოხატული ინდური მორალის კოდექსის შეფასებისათვის მან გეორგ ვებერის სიტყვებით აღნიშნა, რომ: Вообщем, индийский эпос не уступает греческому по высокой нравственности и глубине мыслей, ни по художественному совершенству и нежности чувства!

მოკლე წინასიტყვაობაში რომენსკიმ ჩამოაყალიბა მიზანი და მიზეზები, რამაც მას ეს პოემა ათარგმნინა: Сопоставления индийской морали с современной европейской, прошедшей через горнило христианства и обширную лабораторию новейших гуманитарных и философских наук, может навести на многия назидательныя размышления.

Сказанное объясняет, почему именно я выбрал «Рамаяну» и решился предложить ее русским читателям, главным образом русскому юношеству.

ამავე მოტივით მისთვის, როგორც მთარგმნელის და პედაგოგისათვის, ვეფხისტყაოსანი აშკარა მონაპოვარს წარმოადგენდა.

ქართული ენის არცოდნაც არ დააბრკოლებდა გაეგო და ეგრძნო რა დიდებულ განძს წარმოადგენდა იგი ხალხისათვის. ვეფხისტყაოსნისადმი ქართველების საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, მისი ბრძნული აზრების ცოდნა და მოქმადება ამის ცოცხალი საბუთი იყო. რომენსკის დროს რუსულ ენაზე საკმაო ლიტერატურა არსებობდა, რომელიც გააჩვევდა მას რუსთველოლოგიის ძირითად საკითხებში. ჩანს, ის იცნობდა ქართველთა ისტორიასაც, რადგან მისი წარსულის მძიმე სურათებს მასში ჩვენი ქვეყნისადმი თანაგრძნობა და სიყვარული გამოუწვევია. ერთ ხელნაწერ ლექსში მას აღწერილი აქვს ძველი ქართული ციხის ნანგრევები. ოცნებით გადასწვდენია თამარ მეფის დროს, როცა ქართველ მეომარს ვაეკაცობით შორს გაუთქვამს სახელი.

რუსთაველის სიბრძნის ცხოველმყოფელობას რომენსკი სარაჯიშვილის პუქარების გაცნობითაც მიხვდებოდა. მასში, მართალია, ფორმალურად, მაგრამ წარმოდგენილი იყო ქართული პოეტური აზრის

სიმწიფე და სიღრმე. რუსთველის პოემის თარგმნა რომენსკისათვის საპატიო მოვალეობა იყო. რუსულ ენაზე ჯერ არ არსებობდა რამდენადმე მოსაწონი თარგმანი. ყველაზე პოპულარულსა და გავრცელებულ სტალინსკის თარგმანსაც ორიგინალთან მცირე სიახლოვე ახასიათებდა. სარაჯიშვილის პწკარედით სარგებლობას შეცდომათაგან უნდა დაეზღვია რომენსკის შრომა და შედეგად არსებულ თარგმანებზე უფრო ზუსტი თარგმანი უნდა მიგველო.

პოეტური ნიჭით რომენსკი კიდევ აღმატებოდა პოემის მასზე აღრეულ მთარგმნელებს.

„რამაიანას“ თარგმანის მიხედვით ჩანდა, რომ რომენსკი იცავდა ორიგინალის (გერმანული თარგმანის) ზომას — ოთხტერფიან იამბს ვაჟური გარითმვით, სწორედ გადმოსცემდა ყოველ აზრს და შეძლებისდაგვარად ინარჩუნებდა ორიგინალის ეპითეტებსა და მხატვრულ სახეებს. სარაჯიშვილი იცნობდა რომენსკის მუშაობის მეთოდს, რომელიც ამ უკანასკნელმა კიდევ ჩამოაყალიბა „რამაიანას“ წინასიტყვაობაში.

Я не решился бы сказать, что «легче сделать» более, нежели то же», но я ни на минуту не забывал правило. выражением Гнедичем в его предисловии к Илиаде, что «обязанность переводчика — сохранить стих как он есть ни лучше, ни хуже.

ქვევით დავინახავთ რამდენად იყენებს რომენსკი ამ წესს ვეფხისტყაოსნის თარგმნის დროს.

თარგმანი მოიცავს პოემის პროლოგს. იგი რომენსკისაგან საბოლოოდ დამუშავებულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს და გადაბეჭდილი, ალბად შესამოწმებლად და შესაფასებლად, ალ. სარაჯიშვილს გადაეცა.

ის, რომ რომენსკი ამუშავებდა და სრულყოფდა თავის თარგმანს, ჩანს, სხვა ლექსის მაგალითზე, რომელიც არქივში ორ ვარიანტად არის წარმოუდგენელი. შესაძლოა, რომენსკის თარგმნილი, მაგრამ ჯერ გაუმართავი პქონდა პოემის სხვა ნაწილებიც. ჩვენამდე მხოლოდ პროლოგმა მოაღწია.

პროლოგის ოცდათერთმეტივე სტროფი თარგმნილია გაურითმავი, მაგრამ რიტმული ლექსით, ყოველ ტაქტში ჩვიდმეტი მარცვალია, ენობრივად გამართულია და პოეტურობასაც არაა მოკლებული.

პოემის გაურითმავად თარგმნა რომენსკის შემთხვევით არ უნდა დაეშვა. ჩანს, მისთვის, როგორც სარაჯიშვილისათვისაც, უპირველეს მიზანს პოემასთან მისი თარგმანის შინაარსობრივი სიახლოვე შეადგენდა. მთარგმნელმა უფრო ადვილად დასთმო რითმა და პოემა თეთრ ლექსად წარმოგვიდგინა.

პოემის პირველი თარგმანებიდან ორიგინალთან სიახლოვის თვალსაზრისით ბარტდინსკისა (1845 წ.) და ნავროცკის (1889 წ.) თარგმანები

გამოირჩეოდნენ. ეს უპირატესობა ორივეს ქართველმა თანაავტორებმა შესძინა. გართმული თარგმანიც მხოლოდ სტალინსკის ჰქონდა.

დაბეჭითებით ითქმის, რომ აღრეული თარგმანებიდან ი. რომენსკის თარგმანი მეტი უპირატესობით გამოირჩევა. ეს კიდევ უფრო ცხადია მისი ნავროცკისთან შედარებისას. ისინი ერთი პერიოდისა და ერთი და იგივე წყაროთი სარგებლობდნენ. რომენსკიმ შესძლო რუსთაველის სტროფის 4 ტაეპში გადმოტანა, მაშინ როცა ნავროცკისთან 6, 7 და 8 ტაეპებში არის გადმოცემული.

მაგალითისათვის ავიღოთ სტროფის პირველი ტაეპი.

აღ. სარაჯიშვილი:

О, Боже единый, ты создал лицо всякого тела.

აღ. ნავროცკი:

Ты, Боже единый, телам всем дал образ,
Дал им очертание и стройность живую!

ი. რომენსკი:

Единый Бог! Ты всем твореньям образ дал.

ჩვენს სხვა ნაშრომში, სადაც მეტ ადგილს ვუთმობთ აღ. სარაჯიშვილის პწკარედის აღწერას, აღნიშნული გვაქვს, რომ გარდა სიტყვასიტყვითი თარგმანისა, სტროფთა უმეტესობას სქოლიოში დამატებით ახსნა-განმარტებაც ეძლევა, მაგალითად სტრ. 24,1;

Любовь есть нежное нечто, для познания трудный род;

ტურფა განმარტებულია როგორც нежное. სქოლიოში ამის შესახებ დამატებთ წერია: редкое, прелестное, деликатисе, нежное, милое და სხვა. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან აღ. ნავროცკიმ აარჩია „დელიკატური“ და მიიღო:

Любовь — деликатна и нежное что-то,
Познать ее трудно, почти невозможно;

ი. რომენსკიმ აირჩია სხვა სიტყვა და ბევრად უფრო მოხდენილად გამოხატა იგივე აზრი:

Нежна, загадочна для разума любовь.

ბრძნული გამონათქვამების გამოსახატავად ასე ფრთხილად არჩევს რომენსკი სიტყვებს:

ნავროცკისთან . . . и камень холодный

Тотчас разобьется о ту наковальню

Свинца дорогого, что мягок и гибок.

7. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები.

რომენსკისთან:

Свинцовым молотом дробится твердый камень.

სტრ. 12: შირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი...

აღ. ნავროცკიმ ჩვეულებებისაგან ექვს ტაეპში გადმოსცა.

Слаганье стихов есть премудрости отрасль,
Печать творца Бога, то и познается
На свете от Бога, слеэны стихи тем,
Кто чист и достоин: — дают наслажденье
В них данное слово так кратко и сжато
Вот этим стихии нам прекрасны и важны.

იგივე სტროფი რომენსკისთან ასე გამოიყურება:

Стихослагатели возвышенный свои дар
Черпают в мудрости. В нем пользу и усладу
Достойный оцретет; его заслуга в том,
Что мысль пространную передает он кратко.

სრულიად განსხვავებულად აქვს ამ ორ ავტორს წარმოდგენილი აფორიზმი

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა (30, 4).

ნავროცკი:

Злой злобному слову дает предпочтенье.

რომენსკი:

Лишь злomu злая речь приятней совершенства.

როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში ი. რომენსკი ავლენს მეტ პოეტურ გემოვნებასა და მხატვრული აზროვნების უნარს.

ჩვენამდე მოღწეულ ადრეულ თარგმანთა შორის რომენსკის თარგმანი ყველაზე ნაკლებად ამახინჯებს დედნის აზრს: ეს დამსახურება მხოლოდ აღ. სარაჯიშვილს მიეწერებოდა, რომ მისივე პწკარდით სარგებლობის გამო აღ. ნავროცკისაც ასეთივე შედეგისათვის მიეღწია.

ქვემოთ მოგვყავს ი. რომენსკისეული თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა (სტროფთა რიგი ჩვეულებრივ, ისე როგორც ეს მე-19 საუკუნის გამოცემებშია, მიჰყვება „ვეფხისტყაოსნის“ ვანტანგისეული გამოცემის პროლოგს).

Вступ л е н и е

1. Тому, кто сотворил могучей силой мир,
Кто создал существа дыханиям небесным,
Кто многовидную нам землю дал, — цари
Подобны; от Него исходит их величие.
2. Единый бог! Ты всем твореньям образ дал,
Покрой меня! Дай мне над дьяволом победу,
Желанье вечное влюбленного зажги
И облегчи грехи мои в загробной жизни!
3. Дерзну-ль воздать хвалы Тамзре — солнцу? — ей,
Которой царский меч, копые и щит приличны,
Чьи кудри, как гишер, ланиты, как рубин,
Чей вид приятнее, чем леденец голодным.
4. Лия потоки слез, царицу воспоем
Приличной похвалой: пусть озеро гишера
Чернилом будет нам и гибкое стекло
Пером. Пусть слышавший пронзится нами в сердце.
5. Мне сладкие стихи повелено сказать:
Хвалить ее уста, ее ресницы, брови,
Зубы, как хрусталь в рубиновых устах; —
Свинцовым молотом дробится твердый камень.
6. О Боже, помоги осмыслить похвалу:
Язык и сердце дай! Поможем Тарнелю,
Красавиц воспоем и трех светил-мужей,
Готовых, как рабы, услуживать взаимно,
7. Приди и сядь со мной; о Тарнеле лей
Потоки слез, ему подобный по рождению!
Что было до сих под рассказано в словах
Простых, я передам жемчужными стихами.
8. Влюбленный должен быть богат, красноречив,
Свободен, молод, щедр, попятлив мудр, прекрасен,
Как солнце, терпелив, непобедим в борьбе;
Без этих совершенств он не пленит собою.
9. Нежна, загадочна для разума любовь;
И смешивать ее нельзя с предлюбодейством:
Глубокой бездной они разделены.
Пусть слышавший мои слова их примет к сердцу.
10. Кто целомудрен, в ком желаний пустых нет,
Тот гнев влюбленной в разлуке переносит
Со вздохами. Любовь без сердца мне гнусна,
Ненавистны ее объятья и лобзання.

11. Не называйте мне любовью смену чувств:
То пламенеть к одной, то мучиться разлукой
С другою — отрокой забава. Лишь тогда
Влюбленными я зову, кто постоянен в чувствах.
12. Должны быть тайными мучения любви;
Влюбленный от людей таит свои восторги;
К возлюбленной его прикованы мечты;
Не гнев царей ему, но гнев ее ужасен.
13. Он тайны никому не станет доверять,
И будет для него в разлуке скорбь утехой
Он скроет пламень чувств, подавит скорбный вздох
Чтоб им не оскорбить возлюбленной стыдливость.
14. И кто б доверился тому, кто огласит
Любовь к возлюбленной? Какая польза в этом?
Лишь вред себе и ей; нескромной похвалой
Он боль ей причинит и в людях обесславит.
15. Но сам я Руставель, безумию обречен:
Властительницу войск превознесшу стихами
Неизлечим недуг любовный: пусть она
Загубит жизнь мою иль даст мне исцеленье.
16. Я повесть Персии, красы бесценных перл
Стихами изложил, похвальное деянье.
О, пусть красавица к безумцу снизойдет
И царственной рукой покроет благосклонно.
17. Сиянье красоты слепит; но все же взор
Стремится к ней: любовь безумна. О, взмолигесь
Царице: пусть она усладу сердцу даст,
Чтоб мог я восхвалить достойно трех героев.
18. Доволен будь судьбой: назначен труд тебе —
Трудись, война — воюй, о доблести беседуй;
А если ты влюблен, изведай глубину
Страстей, — ни в ком любовь не может быть укором.
19. Стихослагатели возвышенный свой дар
Черпают в мудрости. В нем пользу и усладу
Достойный обретет; его заслуга в том,
Что мысль просторную передает он кратко.
20. Как доброту кони испытывает бег,
Метателя мяча — арена и споровка,
Так стихотворца дар — умение разделять
И связывать слова искусными стихами.
21. Стихослагателем назваться может тот,
Кто трудность языка умело побеждает,
Чей стих неистощим, стремителен как мяч,
Летающий в высоту от ловкого удара.

22. Иной безделицу напишет, но себя
Считает равнее с достойным стихотворцем.
Свой стих уродливый готов уподобить
Высоким образцам: ослиное упорство.
23. В ином меньше есть, но краток стих его
И сердце взволновать бессилен. Не подстрелит
Неопытный стрелок из слабой тетевы
Большого зверя: он охотник мелкой дичи.
24. Иной забавен стих и сложен хорошо,
Пригоден для любви, для шуточной беседы
Во время пиршества в кругу друзей. Но все ж
Слагатель краткого стиха не стихотворец.
25. Стихослагатель! Будь певцом любви. Воспой
Красавицу, ее сокровища исчисли!
Искусство посвятить сказанью ей похвал.
Певца влюбленного достойная задача.
26. Узнайте: ту пою, которой раньше пел —
Моя заслуга в том, себя не обеславолю,
Я имя сладкое бесчестно повторю.
Владычица, не будь жестоким леопардом.
27. Любовь небесную хотел я рассказать.
Уменье для нее и дар высочий нужен;
Давая счастье, она приносит скорбь,
Волнует душу нам и кровь воспаляет.
28. Ее одну постичь не могут мудрецы;
Рассказ о ней уста и слух обременил бы.
Не лучше ль о любви иной мне петь: она
Коль целомудрена, на первую походит.
29. Ища взаимности, иной теряет ум;
Влюбленного зовут безумцем у арабов.
Иному сладостна в любви одна мечта,
В ином же плотское рождается желанье.
30. Любовь, красавица, скрывай; для всех она
должна быть тайной: в ней нежная стыдливость;
Ее и ненависть боится пограбить.
Лишь злomu злая речь приятней совершенства.
31. Тебе приличны скорбь и слезы. Избери
Для мыслей сладостных приют уединенный
И предавайся там восторгам и слезам,
Но чтоб не выдать чувств, людей не удаляйся.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტიზის
გამოკვეთვების გამო*

1960—1963 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“ ოთხ ნაკვეთად¹.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების შედგენა და გამოცემა რუსთველოლოგთა დიდი ხნის ოცნება იყო. ივანე ჯავახიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „დღემდე ჩვენ ვეფხისტყაოსნის არამც თუ სრული კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, არამედ ისეთი გამოცემაც კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაცული ყველა განსხვავებული წანაკითხები მაინც გვექონოდას აღბეჭდილი“². პოემის ტექსტის მკვლევრებმა და გამოკვლევებმა არაერთხელ სცადეს ამ დიდი საქმის შესრულება, მაგრამ ყველა წამოწყება აქამდე განუხორციელებელი დარჩა.

ჯერ-კიდევ პოემის მეორე, 1841 წლის გამოცემისას მარი ბროსეს სურდა ვეფხისტყაოსანი ვარიანტებითურთ დაებეჭდა. ამ მიზნით მას დაუშუშავებია მის ხელთ არსებული ხელნაწერები. საქართველოში დაცული ნუსხებიდან ვარიანტების ამოწერა დაუვალებია ზ. ფალაევანდიშვილისათვის, რომელიც იმ დროს საცხოვრებლად პეტერბურგიდან

* წაკითხულია მოხსენებად 1966 წლის 24 მაისს ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკორდინაციო საბჭოს I სამეცნიერო სესიაზე (თეზისები, გვ. 25—26).

¹ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ ამ გამოცემას საგანგებო რეცენზია უძღვნა ი. მეგრელიძემ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 3/IV.—1964, № 14. გვ. 4). ეხებიან მას სხვებიც.

² ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 74. დაყოფა აქ და ქვემოთ ყველგან ჩვენია.

თბილისში გადმოვიდა. ზ. ფალავანდიშვილს სამუშაოდ თან წამოუღია ვეფხისტყაოსნის დაბეჭდილი თაბახები. საქართველოში ადგილობრივი ინტელიგენცია მოწონებით შეხვედრია ამ განზრახვას. მიუხედავად ამგვარი თადარივისა, ვეფხისტყაოსანი მაშინ სხვადასხვა მიზეზის გამო ვარიანტების გარეშე დაიბეჭდა³.

ასევე, პოემის 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემის მომზადებელ მწერალთა კომისიას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მათ მიერ შემუშავებულ ტექსტს დართოდა ხელნაწერთა ძირითადი განსხვავებული წაკითხვები. ამის შესახებ კომისიის მუშაობის ანგარიშში ი. მელნარგია იტყობინებოდა: „რაც შეეხება სიტყვების განმარტებას და სხვადასხვა ვარიანტების ადგილებს, რომლებიც ყურადღების ღირსნი იქნებიან, ისინი დაიბეჭდებიან, ან ტექსტის ქვემოთ, ან წიგნის ბოლოს და ან სულ ცალკე წიგნად“⁴.

როგორც ამავე ანგარიშშია აღნიშნული, კომისიის პირველ სხდომაზე გ. იოსელიანი მოითხოვდა, რომ მიღებულ „ტექსტთან მოყვანილი იყოს ის ადგილებიც, რომელნიც ტექსტად არ იქნებიან ნაცნობნი. ეს გამოსადეგი იქნება, როგორც ლიტერატურული მასალა“⁵.

მაშინ მწერალთა კომისია მუშაობაში მართლაც იყენებდა რამდენიმე, მათ შორის ძველ, ნუსხას. მაგრამ აღნიშნული დაპირება ვარიანტების დაბეჭდვის შესახებ ვერ შეასრულეს. ეს ნაკლი ცოტა მოგვიანებით კიდევაც აღინიშნა. გიორგი საძაგლიშვილი (კირიონი) კატეგორიული ტონით წერდა: „კომისია ვალდებული იყო აღგენილი ტექსტის ქვეშ ყველა ვარიანტი მოეყვანა, როგორც საზოგადოდ. ამ გვარს შემთხვევებში მიღებულია. იტყვიან, რომ სურათებიან ვეფხისტყაოსნის აკრელება ვარიანტებით გააუშნობდა წიგნს, რომელიც სხვა აზრით იბეჭდებოდაო. ამაზედ ჩვენ ვეთანხმებით, არც ჩვენ ვემდურებით კომისიას იმისათვის, რომ ბ-ნ გ. ქართველიშვილის გამოცემულს ვეფხისტყაოსანში (1888 წ.) არ ჩაურთო ვარიანტები; ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ, სადაც 12 000 მანეთი იხარჯებოდა და შრომა შრომად მიდიოდა, იქ ძნელი არ იყო 300 მანეთი გადაედვათ და ცალკე დაებეჭდათ ვარიანტებით სრული ტექსტი ტაეპთა აღნუსხვით“⁶.

³ ამ საკითხზე იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიადან (XVIII—XIX სს.), თბ., 1966, გვ. 53—54.

⁴ გაზ. „ღროება“, 11/11—1881, № 31, გვ. 4.

⁵ იქვე, გვ. 3.

⁶ საძაგლოვი-ივერიელი, ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა. გაზ. „ივერია“, 3/7—1895, № 93, გვ. 1.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემას აპირებდა ს. კაკაბაძე. 1913 წლის 24 ნოემბერს „სახალხო გაზეთი“ იუწყებოდა, რომ დაიწყო ბეჭდვა და მალე გამოვა ახალი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, რომელსაც „ბოლოს დართული ექნება სრული ვარიანტები წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერების მიხედვით“ (№ 1051, გვ. 6).

მალე ს. კაკაბაძის რედაქტორობით მართლაც გამოვიდა ვრცელი ვეფხისტყაოსანი, რომელშიც რუსთველისეულ ტექსტთან ერთად დაბეჭდილი იყო პოემის ჩანართ-დანართი სტროფები, მაგრამ ვარიანტები არ ახლდა. შესავალ წერილში კი ახსნილი იყო: „ამ გამოცემისათვის განზრახული მქონდა ტექსტისათვის ვარიანტების დართვა ზოგიერთ[ი] ხელნაწერების მიხედვით, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა ნივთიერ მოსაზრებისა გამო“⁷.

გავიდა ხანი. 1927 წელს ს. კაკაბაძემ მეორედ გამოსცა ვეფხისტყაოსანი. აქ ვკითხულობთ „ჩვენი პირველი გამოცემა, რომელიც იყო იმავე დროს ხელნაწერებში დაცულ[ი] მასალების მიხედვით ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტის გამოცემის პირველი ცდა, ზოგიერთ[ი] მეტად ხელაშემშლელ[ი] პირობების გამო ვერ აკმაყოფილებდა ბეჭდვის დამთავრებისთანავე თვით რედაქტორის მოთხოვნილებას, რის გამო ახლო ზანშივე განზრახული იყო ახალი შესწორებული გამოცემის გამოშვება ხელნაწერების მიერ მოცემულ წაკითხვათა სრული სხვაობის ჩვენებით. სხვადასხვა მიზეზის გამო ამ განზრახვის განხორციელება აქამდის შეუძლებელი აღმოჩნდა და მხოლოდ ეხლა წინამდებარე გამოცემის სახით შესაძლებელი ხდება ვეფხისტყაოსნის აღდგენილი ტექსტის შეძლებისდაგვარად წარმოჩენა. ამასთანავე, გამოცემის გასაადვილებლად წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია პოემის მარტოოდენ აღდგენილი ტექსტი, ხოლო ვეფხისტყაოსნის გაგრძელებები, ნართაული ტაეპები ავტორების მიხედვით დაწყობილი, და სრული ვარიანტები იბეჭდება ცალკე დამატებაში“ (გვ. V).

უფრო წინ, შესავალში, რომელიც წიგნის დაბეჭდვის შემდეგაა დაწერილი, წერია: „სარედაქციო ხასიათის ზოგიერთმა მოსაზრებამ აუცილებელი გახადა წიგნის ბეჭდვის შეჩერება და მასთან დაკავშირებით გამოცემის გეგმის შეცვლაც იმგვარად, რომ ამ ხანად წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის დადგენილი ტექსტი გამოკვლევით და ლექსი-

⁷ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქციით, თბ., 1913. გვ. 3-4.

კონით, ხოლო ვეფხისტყაოსნის გაგრძელება და აგრეთვე ნართაული ტაეპები სრული ვარიანტებით გამოდის ცალკე წიგნად... ყველა ამ მიზეზის გამო გამოცემა როგორც შინაგან[ი], ისე გარეგნულ[ი] ხასიათის მხრივ თავდაპირველად დასახულ გეგმას რამდენადმე დაშორებული აღმოჩნდა“ (გვ. III).

იმავე 1927 წელს განმეორებით გამოვიდა პოემის ს. კაკაბაძისეული მეორე გამოცემა, მაგრამ ხელნაწერთა ვარიანტები არც აქ იყო. ს. კაკაბაძემ შემდეგშიაც ვერ მოახერხა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნება.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემა განზრახული ჰქონდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“. მან ერთ-ერთ საბჭოზე დაადგინა, რომ „შეერთებულის ძალით გამოსცეს ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტი ყველა ვარიანტის ჩვენებით (საბჭოს ოქმი № 76)“⁸.

მომდევნო წელს უფრო კონკრეტული ცნობა გამოქვეყნდა. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ წერდა, რომ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ გამოსაცემად ამზადებს ვეფხისტყაოსნის ვარიანტებს პ. ინგოროყვას რედაქციით⁹.

მაშინ პ. ინგოროყვამ პოემის მხოლოდ პირველი თავი დაბეჭდა და ეს საქმეც ამით დათავრდა¹⁰. ამის თაობაზე ი. ჯავახიშვილი წერს: „მინახავს მხოლოდ საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების დაწყებულ, მაგრამ დაუმთავრებელ გამოცემათა შორის პ. ინგოროყვას მიერ ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერების მიხედვით დამზადებული ტექსტის კრიტიკული გამოცემის დასაწყისი, რომლის მარტო პირველი თავი დაბეჭდილი“¹¹.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემით დაინტერესებული იყო იუსტ. აბულაძე. მან პოემის თავის პირველ (1914 წ.,

⁸ ჟურ. „კლდე“, 1914, № 23, გვ. 8.

⁹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. 16/III—1915, № 237, გვ. 2.

¹⁰ 1953 წელს პ. ინგოროყვას რედაქტორობით გამოსულ ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ რეცენზიაში წერია, რომ ეს გამოცემა „რუსთველოლოგიას წარმატებად უნდა იქნეს მიჩნეული, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ერთადერთი გამოცემაა, რომელსაც ახლავს ვარიანტულ სხვაობათა მითითება და ამ სხვაობათა განმარტება“ („მნათობი“, 1955, № 5, გვ. 155). ვარიანტების სისრულისა და სიუხვის თელსაზრისით ეს გამოცემა აქ ერთგვარად შედარებულიც კი არის პოემის იუსტ. აბულაძისეულ გამოცემასთან. სინამდვილეში კი 1953 წლის პ. ინგოროყვასეულ ვეფხისტყაოსნს არავითარი ვარიანტები არ ახლავს.

¹¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხება, თბ., 1956, გვ. 10—11.

გვ. 252—265) და რამდენადმე გაფართოებული სახით მეორე (1926 წ., გვ. 191—240) გამოცემებს დამატების სახით დაურთო ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ ხელნაწერთა ზოგიერთი კითხვა-სხვაობა. იმ დროს თავისთავად ეს უთუოდ ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო, მაგრამ სრულიად არა საკმარისი.

პოემის ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნების საკითხი იდგა ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენ კომისიასეც. საგანეთო ცნობაში ვკითხულობთ: „შოთა რუსთაველის საიუბილეო კომისიამ განიხილა ვეფხისტყაოსნის გამოცემის სქემა, რომელიც წარმოდგენილია პ. ინგოროყვას მიერ. გეგმის მიხედვით პოემა გამოიცემა 12 ტომად. პირველი ოთხი ტომი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტს და ვარიანტებს...“¹².

კომისიის ერთ-ერთი თავმჯდომარე ა. შანიძე შემდგომ წერდა „ჩახართ-დანართებისა და ვარიანტების ამოწერის საქმე ფართოდ მოაწყო საიუბილეოდ გამოსაცემი ტექსტის დამდგენმა კომისიამ, მაგრამ მისი ნაშუშევიარი თავის დროზე, სამწუხაროდ, ვერ დაიბეჭდა“¹³.

ეს ვარიანტები არც შემდეგ გამოქვეყნებულა.

ბოლო დროს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების შედგენაზე მუშაობდნენ ილ. აბულაძე და ი. გიგინეიშვილი¹⁴. რამდენდაც ჩვენთვის ცნობილია, ეს საქმე მათ ძირითადად დაასრულეს, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებიათ.

ამრიგად, ამ არასრული მიმოხილვიდანაც ნათელია, ქართული მეცნიერული საზოგადოება როგორი მონდომებითა და შეუპოვრობით ცდილობდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების შედგენასა და გამოცემას. ეს მონდომება უპირველესად იმით იყო განპირობებული, რომ მკვლევრებს კარგად ესმოდათ, ამ საქმის გარეშე შეუძლებელი იყო, საზოგადოდ, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხების გადაწყვეტა და, კერძოდ, პოემის მეცნიერული გამოცემა. ამ მხრივ რაიმე შეუგ-

¹² გაზ. „კომუნისტი“, 11/XI—1934 წ., № 260, გვ. 4.

¹³ ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის, წიგნში: ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყუაობით' და გამოკვლევით, თბ., 1956, გვ. 015. ბოლოდროინდელი გამოცემა: ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, I, თბ., 1966, გვ. 86.

ამავე საკითხზე იხ. აგრეთვე იმავე ავტორის წერილი: დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, „მნათობი“, 1965, № 10, გვ. 120—122; წიგნში: ვეფხისტყაოსნის საკითხები, გვ. 220—222.

¹⁴ ა. შანიძე, დასახელებული წერილები, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, გვ. 015: „მნათობი“, 1965, № 11, გვ. 131—132, ვეფხისტყაოსნის საკითხები, გვ. 86, 229.

ნებლობაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, სამართლიანი არ არის¹⁵. თუ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემა ადრე ვერ განზორციელდა, ამის ასახსნელად ბევრნაირი მიზეზის დასახელება შეიძლება, მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ ამ უზარმაზარ, შრომატევად საქმეს უპირველესად კოლექტივი ესაჭიროებოდა. ერთისა და ორისათვის ამოდენა სიმძიმის აწევა თითქმის შეუძლებელი იყო, მით უფრო ძველად, ათასნაირ ხელისშემშლელ პირობებში. სარეცენზიო ნაშრომი რომ შედარებით მცირე დროში მომზადდა და გამოცემა, სწორედ კოლექტიური შრომის შედეგია.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებიდან ვარიანტების ამოწერასა და ამოწერილი მასალების დედნებთან შედარებაზე მუშაობდა ლიტერატურის ინსტიტუტის დიდი კოლექტივი, ძირითადად, რუსთველოლოგიისა და ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებათა თანამშრომლები, აგრეთვე მოწვეული პირები: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის თანამშრომლები და სხვები (თითოეულის ღვაწლი გამოცემაში სათანადოდ არის აღნიშნული). ამოწერილი მასალები გააერთიანეს და დასაბეჭდად მოამზადეს: პირველი ნაკვეთი ს. ყუბანეიშვილმა (1960 წ.), მეორე ნაკვეთი — ლ. ქეკელიძემ (1961 წ.), მესამე — მ. გუგუშვილმა (1962 წ.), მეოთხე — ი. ლოლაშვილმა (1963 წ.). ოთხივე ნაკვეთის რედაქტორია ა. ბარამიძე.

„ვარიანტების“ ოთხივე ნაკვეთი ერთნაირი პრინციპებით არის შედგენილი. მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის არც ხარისხშია.

„ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ წიგნში ასახვა ჰპოვა პოემის 48 ხელნაწერმა. საერთოდ, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მეშვეობით 150 ნუსხაზე მეტია, მაგრამ აქედან ორ-მესამედზე მეტი 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის, ან მასთან ახლო მდგომ რედაქციითაა პირია. ამ საკითხში, როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნულ (ნაკვ. I, გვ. 06), რედაქცია დაყრდნობია ს. ცაიშვილის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებს¹⁶. მიღებულ 48 ხელნაწერიდანაც რამდენიმე — H', K', M', N' და სხვა — ძირითად (საკუთრივ ვეფხისტყაოსნის) ნაწილში ვახტანგისეული ტექსტიდან მომდინარეა, მაგრამ მათ ერთვის გაგრძელებები და ისინიც მხოლოდ ამ მონაკვეთში, დანართებშია გამოყენებული. თვით ვახტანგისეული გამოცემა წიგნში შესულია როგორც ხელნაწერი. ვარიანტებში აისახა ისე-

¹⁵ შარ. „ვეფხისტყაოსნის ფართომეტყველება“, 1953, გვ. 8.

¹⁶ ს. ცაიშვილის შემდგომი კვლევის მიხედვით, აქამდე ცნობილია ვეფხისტყაოსნის 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი (ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ორ ტომად, თბ., 1970).

თი გვიანდელი ნუსხებიც, რომლებიც თითქმის ზედმიწევნით ემთხვევა რომელიმე ადრინდელ ხელნაწერს. ასეთია, მაგალითად, G' ნუსხა, რომელიც თავიდან ბოლომდე მისდევს KO-ს.

წიგნში თავიანთი ვარიანტებით წარმოდგენილია ყველა ჩანართი და დანართი სტროფი, მიუხედავად იმისა, ძველია იგი თუ ახალი, ცნობილია თუ უცნობი მისი ავტორი. ასევე მოქცეულან წაკითხვების მიხედვითაც: შეუტანიათ ყველა განსხვავებული წაკითხვა, ისეთებიც კი, რომლებიც აშკარა, კალმისმიერი შეცდომებია. წიგნში თავ-თავიანთი ვარიანტებითაა მოცემული ქვესათაურები.

ვარიანტებს საფუძვლად უდევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა H-757 (=A), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი და უდღევეტო ხელნაწერია. ამ ხელნაწერს თავ-თავის ადგილას დამატებული აქვს ის სტროფები, რომლებიც მასში არ მოიპოვება. ამდენად, თითო ხელნაწერის მიხედვით აქ თავმოყრილია ვეფხისტყაოსნის მთელი შემკვიდროება. ამ სახით ინსტიტუტმა იგი 1956 წელს ცალკე წიგნადაც გამოსცა¹⁷.

ასეთივე შედგენილობისა და მიზნის იყო 1913 წელს ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი¹⁸.

რამდენად გამართლებულია ვეფხისტყაოსნის ვარიანტების ამ სახით გამოცემა? განსაკუთრებით, ძირითად ტექსტად ერთი ხელნაწერისა და ისიც A-ს შერჩევა? საჭირო იყო თუ არა ყველა კითხვა-სხვაობისა და ყველა ნართაული სტროფის დაბეჭდვა? იმ ხელნაწერებიდან, რომლებიც ვარიანტების წიგნში არ შესულა, რაიმე საჭირო ხომ არ დარჩენილა? ან, ხომ არ აჯობებდა, საერთოდ, სხვაგვარად აგებულიყო წიგნი. მაგალითად, როგორც ამ გამოცემაშია, ერთად კი არ ყოფილიყო მოყვანილი ყველა ზელნაწერის მონაცემები, არამედ დალაგებულიყო რედაქციული ჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე, გვერდი-გვერდ?

ამ კითხვებზე სწორი პასუხი რომ გავცეთ, უნდა გავითვალისწინოთ, რა დანიშნულებისაა ვარიანტების ეს გამოცემა. მეორეც, უნდა

17 ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, ჩანართი და დანართი ტექსტებით, ტექსტი გამოსცემალ დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1956.

ამავე რიგის სამუშაოს წარმოადგენს ს. ყუბანეიშვილის მიერვე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა“ (თბ., 1959 წ.), რომელმაც სხვა საკითხების შესწავლასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკუთრივ ვარიანტების შედგენის საქმეში.

18 ს. ყუბანეიშვილის აზრით, პოემის 1841 წლის გამომცემლებს პირველად განზრახული ჰქონიათ ვეფხისტყაოსანი ჩანართ-დანართებიანად დაბეჭდათ (იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ 51-57).

ვიძსჯელოთ იმის მიხედვით, რა იყო ცნობილი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესახებ ამ გამოცემამდე და არა იმის მიხედვით, რა გაირკვა შემდგომ, ან რა ვიციოთ დღეს.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, რასაკვირველია, საზოგადოდ, პოემის დედნისეული ტექსტის დადგენისათვისაა საჭირო, მაგრამ არა იმ გაგებითა და გამოყენებით, როგორც აქამდე იყო ჩვენში.

რუსთველოლოგიის ადრეულ ეტაპებზე და თითქმის უკანასკნელ ხანებშიაც ყველა ხელნაწერს ერთნაირი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ერთნაირი უფლებით იყენებდნენ მას. მაგალითად, ქართველიშვილისეული გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისია ასეთი პრინციპით მუშაობდა: „ჩვენი განზრახვა არის, შევათანხმოთ ვეფხისტყაოსანი (ლაპარაკია პოემის ვახტანგისეულ გამოცემაზე — ბ. დ.) სხვა ვარიანტებთან. რაც აქლია, შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია, გამოვაკლოთ... ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა“¹⁹.

„უკეთესის არჩევის“ — ეს ერთი შეხედვით სწორი — პრინციპი, რომლის მიხედვითაც მეტ-ნაკლებად შემუშავებულია ვეფხისტყაოსნის ყველა ძირითადი გამოცემა, გარდა 1966 წლის გამოცემებისა, სინამდვილეში ძალიან მერყევია და მოკლებულია ობიექტურ, მეცნიერულ საფუძვლებს.

ტექსტოლოგიის თანამედროვე თეორია და თვით ვეფხისტყაოსნის მრავალი ათეული წლის ტექსტოლოგიური მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოემის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემისათვის აუცილებელი პირობაა ტექსტის ისტორიის შესწავლა — ძირითადი რედაქციული ტიპების გამოყოფა, მათი ურთიერთმიმართების შეცნობა და საერთო არქეტიპის დადგენა.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემის უპირველესი დანიშნულება სწორედ ის არის, რომ მოგვცეს მასალები ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად. აქედან გამომდინარე, ცხადია, ვარიანტების გამომცემლები სწორად მოიქცნენ, რომ მიზნად დაისახეს ყველა განსხვავებული წაკითხვის ჩვენება, ისეთებისაც, რომლებიც აშკარა ლაფსუსებია. ასეთი ნაირკითხვები, მართალია, წიგნს ზედმეტად ზრდის, ტვირთავს, ტექსტის დადგენაში უშუალოდ ვერაფერს გვშველის, მაგრამ მათ მაინც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ჭერ-ერთი, საზოგადოდ საჭიროა, ერთხელ მაინც აღრიცხული იყოს ყველა ფორმა. რომ მკვლევარს არ აწუხებდეს, ხელნაწერებში რალაც კიდევ არის დარჩენილი და მათში რაიმე გამოსადეგი არ ერიოსო. მეორეც, ასეთი

¹⁹ რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია, ვეფხისტყაოსნის რედაქცია. ტფილისი, 14 ნოემბერი, გაზ. „დროება“, 15/XI—1880. № 241. გვ. 1—2.

მასალები დიდმნიშვნელოვანია თვით ხელნაწერთა რაობის, გადამწერ-
თა ზასიათის გარკვევისათვის. მესამე, და რაც მთავარია, წერით შეც-
დომებსა და დამახინჯებებს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭე-
ბა ნუსხათა ურთიერთმიმართების დასადგენად და სხვა.

„ვარიანტების“ ეს გამოცემა „უკეთეს წაკითხვათა“ ამორჩევისა-
თვის რომ ყოფილიყო გამიზნული, მაშინ, რა თქმა უნდა, ამგვარ წა-
კითხვათა დაბეჭდვა საჭირო აღარ იქნებოდა.

ასევე უნდა იქნეს შეფასებული იმ ნართაული სტროფებისა და
მათი ვარიანტების ჩვენება, რომელთა ავტორები ცნობილია, ან ავ-
ტორები უცნობია, მაგრამ მათი გვიანდელი წარმოშობა უეჭველია.

გამომცემლები, რასაკვირველია, სწორად მოიქცნენ, გვერდი რომ
აუარეს ვახტანგის გამოცემიდან მომდინარე ნუსხებს²⁰. მაგრამ ზოგ-
ჯერ, აქა-იქ, რუსთველოლოგიის ამა თუ იმ საკითხისათვის საჭირო რამ
ამ ნუსხებშიაც არის ხოლმე. კარგი იქნებოდა ეს ხელნაწერებიც გა-
ცხრილულიყო და ზოგიერთი განსხვავებული, საინტერესო წაკითხვები
აქედანაც ყოფილიყო ნაჩვენები. ისეთები მაინც, რომელთაც რუსთვე-
ლოლოგიაში გამოხმაურება ჰპოვეს. ჩვენი აზრით, სასურველი იყო,
ვარიანტებში შერჩევით შემოსულიყო ის ცვლილებები, რომლებიც
ე. წ. არტანუჯულ ნუსხებში დავით რექტორმა და გიორგი თუმანი-
შვილმა შეიტანეს²¹, სახელდობრ, მაგალითად, 875 (713) სტროფის მე-
ორე ტაეპის წაკითხვა:

რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და ა გ უ ლ ჩ ე ი ლ ე ბ ს.

აღნიშნული სიტყვა, რომელიც გამოცემათა უმრავლესობაშია, მათ
პორის, 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემებში,
მოდის სწორედ ამ არტანუჯული ნუსხებიდან²².

გამართლებული გამოდგა ვარიანტების საფუძვლად A ნუსხის შერ-
ჩევა. გამოთქმულია შეხედულება, რომ უმჯობესი იქნებოდა ძირითად

²⁰ შემდგომ გამოირკვა, რომ „ვარიანტების“ წიგნში არ შესულა ზოგიერთი ისე-
თი ნუსხაც, რომლებიც ვახტანგისეული გამოცემიდან არ მომდინარეობს. ასეთია,
მაგალითად, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები Q-1075,
Q-1235 და სხვა (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია. 1,
1970, გვ. 191—192, 263, 275—281; ტ. 11, გვ. 46—49, 53, 144—146, 152.

²¹ ამის შესახებ იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქ-
ცია, თბ., 1957, გვ. 65—74.

²² ამ საკითხზე იხ. ი. გიგინეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ორი ადგილის წა-
კითხვისათვის, საქ. სსრ უმაღლეს სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა I(V)
სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისებო,
თბ., 1953, გვ. 11—12; მთლიანი სახით: „მაცნე“, 1966, № 3, გვ. 224—231; ი. ლ. ო-
ლაშვილი, თარგმანება ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ტაეპისა, „მაცნე“, 1965,
№ 3, გვ. 166—167.

ტექსტად აღებულიყო პოემის 1937 წლის საიუბილეო, ან შემდგომი გაუმჯობესებული გამოცემა, მაგალითად, 1957 წლისაო.

ვინც ასეთ წინადადებას აყენებს, გულისხმობს, რომ პირველი საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემები, ასე თუ ისე, დადგენილი ტექსტებია და ყველაზე მეტად უახლოვდება დედანს. მართლაც, თუ საფუძვლად ავიღებდით ავთენტიკურ ტექსტს და მას განსხვავებულ წაკითხვებს დაეურთავდით, ჩვენ წინ გადაიშლებოდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის განვითარების მთელი სურათი. სადაც ძირითად ტექსტში ინტერპოლატორთა ნახელავი გამოჩნდებოდა, მისი შეცვლა, გასწორება ძნელი აღარ იქნებოდა. ამითი ბევრად გაიოლდებოდა პოემის აკადემიური გამოცემა, რომლის განხორციელებისათვის გამიზნულია სწორედ ვარიანტების ეს წიგნი.

სინამდვილეში ეს ასე არ გამოდის. ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნებამ ერთბაშად გვიჩვენა ვეფხისტყაოსნის გამოცემათა, მათ შორის ბოლო, 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემათა ნაკლოვანებანი. ცხადი გახდა, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა არ შეიძლება გაგრძელდეს უშუალოდ იმ ეტაპიდან, რომელზედაც ის ამჟამად იმყოფება. ბევრ შემთხვევაში საჭიროა საქმის თავიდან დაწყება. მზედველობაში გვაქვს თუნდაც პოემის ტექსტის ისტორიის შესწავლა.

ვეფხისტყაოსნის ძველი ნუსხები, გარდა მცირე გამონაკლისისა, თავიდან ბოლომდე ერთი რომელიმე რედაქციის დამკველია. როდესაც ძირითად ტექსტად ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერია შერჩეული, ვარიანტებში მულდმივად აღინუსხება და მეორდება დანარჩენი რედაქციის ნუსხები. ე. ი. რედაქციული თავისებურებები ერთ სიბრტყეზე ლაგდება და მკვლევარს საშუალება ეძლევა, ადვილად ადევნოს მას თვალ-ყური. პირველი საიუბილეო გამოცემები კი რამდენიმე რედაქციის ერთგვარ შენაერთს წარმოადგენს. აქ ხშირად ერთი სტრიქონიც კი სხვადასხვა რედაქციის მიხედვითაა გაკეთებული. ასეთ შემთხვევებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხდება რედაქციათა აღრევა, ვარიანტებში ხან ერთი რედაქციის წაკითხვები აღინიშნება და ხან მეორესი. ამ დროს თავიდან ბოლომდე რომელიმე რედაქციისათვის თვალმიდევნება შეუძლებელი ხდება. აქედან გამომდინარე, ერთი ხელნაწერის აღება ძირითად ტექსტად არათუ სასურველი, აუცილებელიც იყო.

ეს ხერხი უცხო არ ყოფილა რუსთველოლოგიაში. ამ წესზე მიუთითებდა თავის დროზე იუსტ. აბულაძე, როდესაც აღნიშნავდა, რომ კარგი იყო, ჭერ დაბეჭდილიყო სრული ტექსტი ისე, როგორც ის ხელნაწერებშია და დართოდა ვარიანტებით²³.

²³ „სახალხი ვაზეთი“, 2/7—1913, № 884, გვ. 3.

A ნუსხის შერჩევა ძირითად ტექსტად ყოველმხრივ მიზანშეწონილი აღმოჩნდა. გამომცემლებმა მასზე არჩევანი შეაჩერეს უპირატესად მისი სივრცელისა და უდღევექობის გამო. ამავე დროს ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე მის სიძველესა და რედაქციულ თავისებურებებსაც. ს. ყუბანეიშვილი წერდა: „ვეფხისტყაოსნის ცნობილ ხელნაწერთა შესწავლიდან გამოირკვა, რომ ტექსტობრივი შედგენილობის მხრივ ყველაზე ვრცელი, დაუზიანებელი და ამასთან ერთ-ერთი ძველი თარიღიანი ხელნაწერია H-757 (გადაწერილია 1671 წელს), რომელიც საყურადღებოა რედაქციულად“²⁴.

ჩამოთვლილი ნიშნები ვარიანტების გამოქვეყნებისათვის უთუოდ ანგარიშგასაწევი და მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, A ხელნაწერმა სხვა მხრივაც გაამართლა თავი: აღმოჩნდა, რომ ის ბევრად უფრო სარწმუნო ტექსტის შემცველია, ვიდრე ფიქრობდნენ.

აღრე სტროფული შედგენილობის სიმოკლის გამო ყველაზე კარგ ხელნაწერებად საყოველთაოდ მიჩნეული იყო E, F და მათი მოსაზღვრე ნუსხები. ს. კაკაბაძემ სწორედ ეს ხელნაწერები დაუღო საფუძვლად პოემის თავის 1913 წლის გამოცემას. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნების შემდეგ, პოემის 1966 წლის ვარიანტებიანი გამოცემის ტექსტის დადგენისას გამოჩნდა, რომ ისინი ერთ-ერთი ძლიერ ნასწორები ნუსხებია.

რედაქციული თვალსაზრისით ვარიანტების საფუძვლად გამოდგებოდა აგრეთვე A რედაქციის სხვა ნუსხები — BCMX. ზოგი მათგანა, კერძოდ, BC ხშირად უკეთეს წაკითხვებსაც იძლევა. მაგრამ მათ აკლიათ სხვა ღირსებები, რომლებიც ასეთი გამოცემის დროს არა ნაკლები მნიშვნელობისა არის: CM საგრძნობლად ნაკლები, დაზიანებული სახითაა მოღწეული, X-ის მთელი ტექსტი საშინლადაა დამახინჯებული გადამწერის ყაზანთ ბეოას ქალის ქართული ენის სუსტად ცოდნის გამო. კარგია B. ეს ხელნაწერი წაკითხვების მიხედვით ზოგჯერ თუ არ ჯობს, თორემ არაფრით ჩამოუვარდება A-ს²⁵. მხოლოდ ეს არის, A რამდენაღმე უფრო ვრცელია.

მაშასადამე, A ნუსხის გამოყენება ვარიანტების საფუძვლად ყოველმხრივ მიზანშეწონილი და გამართლებულია. უნდა შევნიშნოთ მხოლოდ ერთი: ჩვენი აზრით, უმჯობესი იყო, ვეფხისტყაოსნის ნართული სტროფები, რომლის ავტორები ცნობილია და დედნები არსებობს, ძირითად ტექსტში მოეყვანათ დედნის მიხედვით. მაგალითად, დანართის ერთ-ერთი თავი „აქა კიდევ ანდერძი ავთანდილისა ეამსა

24 ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, ჩანართი და დანართი ტექსტებით..., 1956, გვ. 04.

25 B ხელნაწერი ვარიანტების საფუძვლად აურჩევიათ ილ. აბულაძესა და ი. გიგინეიშვილს (იხ. „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, გვ. 015).

სიკვდილისასა“ (სტრ. 2079—2105), რომელიც A-შიც შესულა, ეკუთვნის იოსებ თბილელს და მოიპოვება მისი დედანი — D. აქობებდა, ეს თავი D-ს მიხედვით დაბეჭდილიყო, A-ს წაკითხვები სხვა ხელნაწერების წაკითხვებთან ერთად ვარიანტებში ჩატანილიყო. მით უფრო, A რამდენადმე შორდება დედანს და დედანისეულ წაკითხვებს ზოგჯერ ამახინჯებს კიდევ. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

202^ა გ. ლახნელდით, თვალნო მელნისაჲ მოთქმის რუს მოადრევედოთ A. მოთქმის) ცრემლის D.

269^ა დ. მით არ მიშეკლა, პეფე მყო... ა.

მით არ) ვითარ D.

2102 დ. აღარად უნდით, და ე შორ დით. სოფლისა მიც-მოცემითა A. დაეშორდით სოფლისა) დაეწყდით სოფელსა D.

და სხვა.

ხელნაწერები ვარიანტების საფუძველად ყოველთვის სწორად შერჩეული არ არის იმ სტროფებისათვის, რომლებიც A-ში არ მოიპოვება და სხვა ხელნაწერებიდანაა შემოტანილი. სახელდობრ, ეს უნდა ითქვას J-ის მიმართ. მთელი რიგი სტროფებისა, რომლებიც ძირითად ტექსტში ამ ხელნაწერის მიხედვით არის დაბეჭდილი, ძლიერ თავისებური და ნასწორებია. სტროფები 418¹, 791², 793¹⁻², 837¹, 838¹, 1185¹⁻², 1204¹⁻², 1208¹, 1303¹, 1305¹, 1450¹⁻⁷, 1701¹ მოიპოვება JKOTG¹ ხელნაწერებში, 1643¹⁻² — JKL(მიწ.)OTG¹-ში, 1723¹⁻² — HJKOTG¹-ში, 1855¹⁻² — HJKL(მიწ) OTG¹-ში. ყველა ესენი ძირითად ტექსტში დაბეჭდილია J-ის მიხედვით, რომელსაც თითქმის ერთხმად უპირისპირდება დანარჩენი ხელნაწერები, მათ შორის ხშირად T-ც (J და T ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან). ჯობდა, დასაჯელბული სტროფები მოყვანილი ყოფილიყო K-ს მიხედვით. მაშინ ვარიანტებში უმთავრესად აღინიშნებოდა J და T-ს კითხვა-სხვაობები. ესეც რომ არ იყოს, K უკეთეს წაკითხვებს იძლევა, ვიდრე J. თითქმის ანალოგიური ვითარება გვაქვს იმ სტროფებშიაც, რომლებიც მხოლოდ ორ ხელნაწერში—J-სა და T-ში მოიპოვება. ასეთია 217¹ და 294¹ სტროფები. J ხელნაწერი რომ ძლიერ ნასწორებია, თავიდან, ვარიანტების შედგენისას ცნობილი არ იყო: ეს გამოაჩინა თვით ვარიანტების წიგნმა. აღნიშნული შეუსაბამობა აცილებული იქნებოდა, რომ არ დაჩვეულიყო ძირითადი ტექსტის შეჩვევისათვის შემუშავებული პრინციპი: სტროფები, რომლებიც A-ში არ „მოიპოვება და ამოკრებილია პოემის სხვადასხვა ხელნაწერებიდან“, „იბეჭდება უძველესად მიჩნეული ხელნაწერების მიხედვით“²⁶. K ხელნაწერი კი J-ზე ძველია.

²⁶ ვეფხისტყაოსანი, 1956, გვ. 012.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, ჩვენი აზრით, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემა, საზოგადოდ, ამგვარი შედგენილობითა და აგებულებით სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ვარიანტების ეს გამოცემა ერთი ეტაპია პოემის ტექსტის კვლევის საქმეში და სხვაგვარი სახითა და დანიშნულებით მისი გამოცემა მომავლის საქმეა. კერძოდ, საჭირო იქნება ვეფხისტყაოსნის ვარიანტები გამოიცეს ცალკეული რედაქციული ჯგუფების მიხედვით, ცალ-ცალკე, ან გვერდი-გვერდ სვეტებად, როგორც ამას აღნიშნავს ა. შანიძე²⁷. მაგრამ ასეთი გამოცემის მომზადება პოემის ხელნაწერთა წინამდებარე გამოცემამდე შეუძლებელი იყო, რადგან ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები რედაქციული თვალსაზრისით მანამდე სათანადოდ დამუშავებული არ იყო.

სავსებით სწორად მიუთითებდა ა. შანიძე 1956 წელს „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაზე“ დართულ გამოკვლევაში: „როდესაც დაიბეჭდება ეს ვრცელი რედაქციები (მხედველობაში აქვს ვეფხისტყაოსნის 1956 წლის გამოცემა და ილ. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის მიერ მოსაყვამად ნავარაუდები B ხელნაწერი), შედარებული სხვა ხელნაწერებთან, ნაჩვენები იქნება მთავარი იკითხვისება და ვარიანტები, ეს მოგვცემს საშუალებას, ადვილად გამოვარკვიოთ სხვადასხვა რედაქცია და დავადგინოთ, თუ რომელი ტექსტი რომლისაგან მომდინარეობს. შემდეგ საჭირო იქნება უთუოდ ერთნაირი შედგენილობისა და რედაქციულად ერთნაირი ტექსტების ერთად გამოცემა მათი ვარიანტების ჩვენებით“²⁸.

ამ მხრივ ჩვენი გამოცემა სავსებით ასრულებს ამ წინაპირობას.

შევვხოთ ახლა „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ ზოგიერთ სხვა, ნაკლოვან მხარეებს.

1. ამგვარი წიგნის ღირსება პირველ რიგში განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად ზუსტად და ამომწურავად გადმოგვცემს ხელნაწერთა მონაცემებს, ამ შემთხვევაში, წაკითხვებს. ვისაც ამგვარი საქმე უკეთებია, მისთვის ცნობილია, რა ძნელია ამ მხრივ აბსოლუტურად სიზუსტის მიღწევა. სამწუხაროდ, სარეცენზიო წიგნში ისე ბლომად არის შეცდომები, ლაფსუსები, რომ ბევრად აღემატება ნავარაუდუნსა და დასაშვებს. ამჟამად ჩვენ არ გამოვუდგებით მათ ჩამოთვლას, — ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. აღნიშნავთ მხოლოდ, როგორი ზასიათისაა ისინი.

27 „მნათობი“, 1965, № 11, გვ. 136. „ვეფხისტყაოსნის საკითხები“. გვ. 234.

28 გვ. 015, „ვეფხისტყაოსნის საკითხები“, გვ. 86.

თვით ვარიანტი, განსხვავებული წაკითხვები ნაშრომში შედარებით ცოტაა გამოტოვებული. არც ვარიანტების უსწოროდ მოყვანის შემთხვევებია მაინცდამაინც ხშირი. ძალიან ბევრია შეცდომები ხელნაწერთა დასახელებაში, ლიტერებში. ვარიანტთან არ არის მითითებული ყველა ხელნაწერი, ან (უფრო ნაკლებად) შეცდომითაა მითითებული. ამას რომელიმე ხელნაწერის მიმართ სისტემატური ხასიათი არა აქვს, მაგრამ აქა-იქ შეინიშნება, მთელ სტროფში, და ზოგჯერ მიყოლებით რამდენიმე სტროფშიაც, ნაჩვენები არაა ესა თუ ის ხელნაწერი. მაგალითად, მთელი 24 სტროფის²⁹ მანძილზე (სტრ. 474—501) არ არის დასახელებული ვახტანგისეული გამოცემა (=Y').

რადგან საერთოდ ვარიანტი არ იკარგება, ამგვარი შეცდომები შეიძლება დიდ ნაკლად არ ჩაგვეთვალა. სინამდვილეში, ამგვარმა წერილმანებმა, რომ არაფერი ვთქვათ უშუალოდ ავთენტიკური წაკითხვის შერჩევისას მოსალოდნელ შეცდომებზე, — შესაძლებელია მცდარი დასკვნები მიგვაღებინოს ისეთ კარდინალურ საკითხში, როგორიცაა ვეფხისტყაოსნის რედაქციული ჯგუფებისა და მათი ურთიერთმიმართების განსაზღვრა.

ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვემოწმებინა და აღმოჩნდა, რომ შეცდომათა ერთი წილი ამოწერილი მასალებიდან მომდინარეობს, დიდხედიდი უმრავლესობა შედგენისა და ბეჭდვისას არის დაშვებული.

„ხელნაწერთა ვარიანტების“ ძირითადი ტექსტი გადმობეჭდილია ვეფხისტყაოსნის 1956 წლის ვრცელი გამოცემიდან. „ვარიანტების“ წიგნში გამეორებულია იმ შეცდომათა უმრავლესობა, რომელიც ახლავს პოემის 1956 წლის გამოცემას, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ს. ყუბანეიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფულ შედგენილობაში“ (თბ., 1959, გვ. 327—328) გასწორებულია.

ხელნაწერთა ყველა მონაცემის ჩვენება „ვარიანტების“ წიგნის მიზანს არ შეადგენდა. მაგალითად, აქ არ აღინიშნება ხელნაწერთა მინაწერები, სტროფთა ადგილშენაცვლება, დაზიანებული ან რესტავრირებულია სტროფი და მისთანები. თუ ამგვარი ცნობები ვარიანტების ამ გამოცემისათვის სავალდებულო არ არის³⁰, სამაგიეროდ აუცილებელი იყო ვარიანტებში აღნუსხულიყო ყველა მასალა, რომელიც წაკითხვებს, ვარიანტებს ეხება. როცა ხელნაწერში ესა თუ ის სი-

²⁹ ოთხი სტროფი — 484, 486, 488 და 498 ვახტანგისეულ გამოცემაში არ მოიპოვება.

³⁰ ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების სტროფული სტრუქტურის შესახებ მოცემულია ს. ყუბანეიშვილის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა“. აქვეა აღნიშნული ხელნაწერთა რომელი ადგილებია დაზიანებული და რომელი აღდგენილი.

ტყვა გადაშლილია და შეცვლილია სხვა სიტყვით, ან გასწორებული ვარიანტი გატანილია აშიაზე და ა. შ. ამგვარი ცნობები „ვარიანტების“ წიგნში იშვიათად თუ არის.

2. სარეცენზიო წიგნს დიდი ნაკლი აქვს ვარიანტების დალაგების მხრივ. წიგნის შემდგენლებს ამოწერილი მასალების მონტაჟი მექანიკური წესით უწარმოებიათ:

ა) ვარიანტები დალაგებულია არა ფორმებისა და რედაქციების მიხედვით, არამედ მარტივად, — ლიტერების რიგის მიხედვით. ამის გამო ხშირად ძნელი ხდება როგორც განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულთა თავმოყრა და აღქმა, ასევე ერთი და იმავე სიტყვის ფორმებში გაჩვენება. ნიმუშისათვის მოვიტანთ ერთ მაგალითს: 1271 (108?) სტროფის მეორე ტაეპში „გავჰყრავარ“ სიტყვის ნაირკითხვები ასეა მოცემული:

გავჰყრავარ] მიხდილვარ FZ, გაყრავარ EF'L'Q', მიხდილვარ HV,
მიქ:დლვარ JO, მიხხდივარ K, გაყრავარ NA'D'E'I',
მიხხდივარ TG'.

რა თქმა უნდა, აქ ჯერ ერთი სიტყვის ფორმები უნდა ყოფილიყო მოყვანილი და შემდეგ მეორესი. ერთად ყოფილიყო „მიხხდილვარ“ და ერთად კიდევ „გავყრავარ“ სიტყვის ფორმები. უფრო მეტიც, საკმარისი არ არის ერთნაირი ვარიანტების ერთმანეთის მიყოლებით დაწერა. საჭიროა ერთი ვარიანტის ფორმები, რამდენადაც შესაძლებელია, რედაქციების მიხედვით ერთ ბუდეში მოთავსდეს. მაგალითად, თუ დამოწმებული ნიმუშის მიხედვით ვიმსჯელებთ, „მიხხდილვარ“ სიტყვის ფორმები ასე გაერთიანდება:

გავყრავარ] მიხხდილვარ (მიხხდილვარ JO, მიხხდივარ K, მიხხდი-
ვარ TG', მიხდილვარ FZ) FH-KOTVZG'.

ვარიანტების ამგვარი წესით ჩვენებისას ხელნაწერები უკეთ დალაგდებოდა რედაქციული ჯგუფების მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად გაადვილებდა როგორც ვარიანტულ მასალათა ათვისებას, ისე ხელნაწერთა რედაქციულ სახეთა დადგენას.

მეორე საკითხია, რა თანმიმდევრობით დალაგდეს ვარიანტები: ჯერ დაიწეროს ძირითად ტექსტთან ახლო მდგომი წაკითხვები (მაგალითად, „გავყრავარ“) და შემდეგ თანდათანობით დაშორებული (მაგალითად, „მიხხდილვარ“), თუ პირიქით?

ვარიანტებს რომ საფუძვლად დადგენილი ტექსტი დადებოდა, მაშინ უთუოდ პირველად უნდა მოყვანილიყო ძირითადი ტექსტის მოსაზღვრე ვარიანტები და შემდეგ უფრო განსხვავებულები, ისე რომ მკითხველისათვის მისახვედრი იყოს, საუკუნეთა მანძილზე ხელნაწერებში როგორ და რა თანმიმდევრობით იცვლებოდა პოემის ძირითადი;

დედნისეული ტექსტი. რადგან ამ შემთხვევაში ვარიანტების საფუძველად აღებულია ერთი ხელნაწერი და კრიტიკული ტექსტი მომავლის ძიების საქმეა, განსხვავებულ წაკითხვებზე რომ გამაზვილებულიყო ყურადღება, — თავისუფლად შეიძლებოდა პირველად დიდად დამორჩეული ვარიანტები აღნუსხულიყო და შემდეგ ძირითად ტექსტთან ახლო მდგომ წაკითხვებს დათმობოდა ადგილი. „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ წიგნში, სამწუხაროდ, არც ერთი წესია დაცული და არც მეორე.

ვარიანტების დალაგება ხელნაწერთა (ლიტერთა) რიგის მიხედვით იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ეს რიგი ემთხვევა ხელნაწერთა რედაქციულ კლასიფიკაციას. „ვარიანტების“ წიგნში მიღებული ლიტერები კი ხელნაწერთა ამ მხარეს ნაკლებ ითვალისწინებს.

სარეცენზიო წიგნში ხელნაწერების ლიტერებად გამოყენებულია ლათინური ანბანი. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებისათვის იგივე ანბანი, ოღონდ ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული მნიშვნელობით, ადრე გამოიყენეს 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენმა კომისიამ და პოემის ცალკეულმა გამომცემლებმა — პ. ინგოროყვამ და მ. წერეთელმა. ერთი და იგივე ნიშნის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება დიდად აძნელებს ხელნაწერთა გამოცნობას — ესა თუ ის ასო რომელ ხელნაწერს შეესატყვისება და ვის რომელ ხელნაწერზე აქვს საუბარი. ამგვარ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთათვის დამკვიდრდეს ერთი, საყოველთაოდ მისაღები შიფრი. აქედან გამომდინარე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვარიანტების ამ გამომცემისათვის ახალი ლიტერების შემოღება საჭირო არ იყო; აჯობებდა 1937 წლის კომისიის ლიტერები გაემეორებინათ³¹.

შართალია, ყოველგვარი შიფრი პირობითია, მაგრამ ზოგჯერ მისი შემუშავებისას გარკვეული პრინციპების დაცვა აუცილებელია. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ლიტერები — ყველა, როგორც ახალი, ისე ძველები, — მთლიანად და ბოლომდე არა, მაგრამ რამდენადმე მაინც ემყარება ხელნაწერთა ქრონოლოგიას: ჯერ არის XVII, შემდეგ XVIII და ბოლოს XIX საუკუნეთა ნუსხები. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ყველას ჯობს.

31 შანიძე, დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, „35-ათობი“, 1965, № 10, გვ. 123—124, ვეფხისტყაოსნის საკითხები, გვ. 224—225.

ილ. აბულაძემ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ნაპოვნი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი-ფრაგმენტის გამომცემისას გამოყენა 1937 წლის კომისიის ლიტერები („მაცნე“, 1961, № 3, გვ. 142—150).

ლიტერები, ხელნაწერთა რიგი, რამდენადაც შესაძლებელია, ზუსტად გამოხატავდეს ხელნაწერთა რედაქციულ ურთიერთმიმართებას. პოემის ნუსხათა რედაქციული სახე და ქრონოლოგია კი ერთმანეთს არ შეესაბამება: ცალკეულ რედაქციულ ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში თოქმის ერთნაირი რაოდენობითა და პროპორციით შედის როგორც XVII, ისე XVIII და XIX საუკუნეთა ნუსხები.

მაშასადამე. რამდენადაც ვეფხისტყაოსნის ლიტერთაგან არცერთი არ ემყარება ხელნაწერთა რედაქციულ კლასიფიკაციას, ამდენად არცერთი მათგანი არ არის ვარგისი რუსთველოლოგიაში დამკვიდრებისათვის. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ დროებით, გარკვეულ ეტაპზე, სანამ ხელნაწერთა რედაქციულ მონაცემებზე შემუშავებულ ლიტერებს მივიღებდეთ. რადგან „ვარიანტების“ წიგნის ლიტერები ამკვარ საეტაპო შიფრს წარმოადგენს, მის ნაცვლად თავისუფლად შეიძლება 1937 წლის კომისიის ლიტერების გამოყენება... თუმცა, არც იმით არაფერი დაშვებულა, რომ მათ ახალი შიფრი შეიმუშავეს. ქერ-ერთი, 1937 წლის ლიტერები რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში არ გავრცელებულა. ეს ლიტერები პირველად გამოქვეყნდა 1948 წელს ს. იორდანიშვილის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართი სტროფების საჩვენებლად და შემდეგ მას ძალზე იშვიათად თუ მიმართავდა ვინმე. მეორეც, „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებში“ წარმოდგენილია თითქმის ნახევარზე მეტი ახალი ხელნაწერი, რომლებსაც 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისია არ იყენებდა. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემისას 1937 წლის ლიტერებით რომ ესარგებლათ, სულერთია, ნახევარზე მეტი ახალი ლიტერი მაინც იყო შემოსაღები.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ლიტერები ადრე ხელნაწერთა რედაქციული მონაცემების მიხედვითაც რომ შერჩეულიყო, სასურველ შედეგებს მაინც ვერ მივიღებდით. ვერ მივიღებდით იმის გამო, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პოემის ხელნაწერები რედაქციული თვალსაზრისით სათანადოდ შესწავლილი არ იყო. ვეფხისტყაოსნის ტექსტის მკვლევრებს ს. კაკაბაძეს, იუსტ. აბულაძეს, პ. ინგოროყვას, კ. კიკინაძეს და სხვებს, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ პოემის ნუსხებზე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ურთიერთ მიმართება სხვადასხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი. ამ მხრივ დღესაც არ არის ყველაფერი გარკვეული, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ გამოქვეყნების შემდეგ ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. ს. ცაიშვილის წიგნის „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“ (თბ., 1963 წ.) და სხვათა ცალკეული გამოკვლევების შედეგად ამჟამად პოემის ხელნაწერთა ძირითადი ჯგუფები გამოყოფილია, და-

დგენილია ზოგიერთ ხელნაწერთა წარმომავლობა და რედაქციული სახე. ახლა, როცა ხელთა გვაქვს პოემის ხელნაწერთა ვარიანტები და მისი სტროფული შედგენილობა, გაცილებით ადვილია საბოლოოდ დადგინდეს პოემის ხელნაწერთა ურთიერთმიმართება როგორც ძირითად ჯგუფებსა და ქვეჯგუფებს შორის, ისე ამ ჯგუფებს შიგნით. მას შემდეგ, რაც ეს საქმე მოგვარდება, „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებში“ მიღებული ლიტერები უმაღვე უნდა შეიცვალოს პოემის ხელნაწერთა რედაქციულ კლასიფიკაციაზე დაფუძნებული ლიტერებით³². მაგალითად, ABC ნუსხებს უნდა მოსდევდეს MXD'E'X' ნუსხები. ერთად უნდა იყოს EFIRZH N' და ერთად კიდევ — KOG'JT ნუსხები და ა. შ. ეს საკმარის საშუალო საქმეა, თორემ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ ლიტერები რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში თანდათანობით ფეხს იკიდებს. შეცვლა მანამდე უნდა მოხდეს, სანამ იგი კიდევ უფრო გავრცელდებოდეს და დამკვიდრდებოდეს.

ბ) საარეცენზიო წიგნში ვარიანტული მასალა ძალიან დანაწევრებულია. როდესაც განსხვავებული წაკითხვები რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, ვარიანტებში იგი უმეტესად წარმოდგენილია არა მთლიანი ფრაზების მიხედვით, არამედ დანაწილებულად, ცალკეული სიტყვების მიხედვით. მაგალითად: 216 (151) სტროფის მესამე ტაეპში „ცრემლი მდენიან“ შესიტყვებათა ვარიანტები ამგვარად არის მოცემული:

ცრემლი BMTUXB'D'Y'. ცეხლი EFGJ'NF'I'L'O'R'T', ცეხლი IYZ; მდენიან მდებთან EFGI'NYZF'I'L'Q'R'T', მდებთან JO'

როგორც ვხედავთ, აღნიშნული სიტყვები ხელნაწერებში ორი რედაქციითაა წარმოდგენილი. ხელნაწერთა ერთი ჯგუფი კითხულობს „ცრემლი / ცრემლი მდენიან“, მეორე ჯგუფი — „ცეხლი / ცეხლი მდებთან“³³. ეს ფაქტი ერთბაშად იქნებოდა მისახვედრი, ვარიანტებში ისინი ფრაზების მიხედვით რომ იყოს მოტანილი. ამგვარად:

ცრემლი BMTUXB'D'Y'; ცრემლი მდენიან ცეხლი (ცეხლი IYZ) მდებთან (მდებთან JO') EFGI'NYZF'I'L'O'Q'R'T'.

ვარიანტები ზოგჯერ ისეა დაქუცმაცებული, რომ ამა თუ იმ ხელნაწერის მიხედვით მთლიანი ტაეპის აღდგენა შეუძლებელი ხდება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვარიანტი ბევრია და ისინი მთელი წი-

³² ვეფხისტყაოსნის 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში (რედ.; ა. შანიძე და ა. ბარამიძე) ა. შანიძეს სურდა ლიტერებად ლათინურის ნაცვლად ძველი ქართული ანბანი შემოედო.

³³ ვარიანტთან „ცეხლი“ გამოჩენილია O'.

ნადაღებისა და ტაეპისაგან შედგება. მაგალითად: 1908 სტროფის მეორე ტაეპის ძირითადი ტექსტია:

მობრუნდა, ჰკითხა მზემ, მორჩმან, ტურფამან, ტანად საომან.

მისი ვარიანტები კი ამგვარად არის დანაწილებული:

ბ. მობრუნდა] მას HJTP'.—KOG': ჰკითხა+მან KOG', კითხა K'M'Q'. ჰკითხეს P'; მზემ] მზემან GHJNTK'Q'P'U', მზეთა KOG'M', მზე RJ', მზემან და A'V'; მორჩმან] და GK'Q'U', ტურფამან GJTP'. და ნორჩმან N', მზეთამან KOG'M', მორჩმა R. ნორჩმან J'L'V'; ტურფამან] ნორჩმან და HJKOTG'M'P', ტურფამა RU', ტურფამ X; ტანად — NA'U'V'; საომან P'.

ძნელია ამ ვარიანტებში გარკვევა: როგორ იკითხება მოცემული ტაეპი HJTP'-სა და KOG'-ში, G-სა და მის მიმყოფ ნუსხებში, M'-ში და ა. შ. რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი ვარიანტი?

საკამათო არ შეიძლება იყოს, ვარიანტები აქ ფრაზების მიხედვით უნდა მოეტანათ. ასე მაგალითად (აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარ წაკითხვებს):

მობრუნდა... ტურფამან] მას ჰკითხა (ჰკითხა P') მზემან ტურფამან ნორჩმან და H:TP', ჰკითხა მან მზეთა მზეთამა ნორჩმან და KOG': მზემ... ტურფამან] მზეთა მზეთამან ტურფამან ნორჩმან და M': მზემ...ტანად] მზემან და ნორჩმან ტურფამან N; მზემ] მზემან და A': მზე მორჩმან] მზემან და GK'Q'U'V'; ტანად—A'U'V'. და სხვა.

ცნობილია, რომ ხშირად ხელნაწერებში ერთი და იგივე სიტყვა და შესიტყვება ნებისმიერად არის დაყოფილი. ამის ნიადაგზე „ვარიანტების“ წიგნში ზოგჯერ ერთი და იგივე ვარიანტული სხვაობა სხვადასხვა ვარიანტადაა წარმოდგენილი. მაგალითად, 1915,1 სტროფში იკითხება:

არათ მეფე მორკმულია. იყო მცილე მისი ვინა?

„მისი ვინა“ სიტყვების ვარიანტები კი ამგვარადაა მოცემული:

მისი] არა DRL Q'S', მას V'; მისი ვინა] არა-ნა GQVF'J'K'M'.

რასაკვირველია, აქ DR, GQ და მისი მიმყოფი ნუსხების წაკითხვა ერთია და ისინი ერთად უნდა ყოფილიყო მოყვანილი.

ფაქტიურად ამგვარივე ვითარება გვაქვს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც სიტყვათა სხვადასხვაგვარად დაყოფისაგან განსხვავებულ აზრს ვლდებულობთ. მაგალითად, 1995 სტროფის მეორე ტაეპში „ხელსა დახლითა“-ს ვარიანტებად ცალ-ცალკეა ნაჩვენები „ხელისა ხლითა“ და „ხელის ახლითა“. სინამდვილეში, ორივე ერთი წაკითხვა არის.

ძალიან იშვიათად, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ვარიანტად იკითხება აბსოლუტურად ერთი და იგივე წაკითხვა. მაგალითად, 1999 სტროფის ბოლო ტაეპში GQ'U'-ის წაკითხვა „გაადიდესა“ ვარიანტებში ორჯერაა აღნუსხული,— ჯერ G ხელნაწერთან და შემდეგ Q'U'-თან.

ყოველივე ამგვარი წვრილმანი საგრძნობლად აძნელებს „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ წიგნით სარგებლობას.

3. ვარიანტებში, ისე როგორც ძირითად ტექსტში, გარჩეული არ არის კარიანი და უმარცვლო უნიანი წაკითხვები. როგორც ა. შანიძე მიუთითებს³⁴ და ერთ საზღვარგარეთ დაბეჭდილ წერილში არის აღნიშნული, ეს „ვარიანტების“ წიგნის საგრძნობ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ამბობენ, კარიანი და უმარცვლო უნიანი წაკითხვების გამოყოფა ვარიანტების წიგნს ძლიერ გაზრდიდა, ჯეროვან სარგებელს კი არ მოგვემდო, ვინაიდან XVII—XVIII საუკუნეებში, რომელ ხანასაც ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის ჩვენს ხელთ არსებული ნუსხები, აღნიშნული ასოები უმეტეს შემთხვევაში არასწორად იზმარებოდა და სათანადოდ არ გამოხატავდა კლასიკური ქართულის ნორმებსო.

ადრეული ხანის თხზულებათა XVII—XIX საუკუნეებში გადაწერილ ნუსხებში კარისა და უმარცვლო უნის აღრევის შემთხვევები (მეტნაკლებად) მართლაც ხშირია. ასევეა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებშიც. მიუხედავად ამისა. პოემის ხელნაწერთა მონაცემებს ამ საკითხში მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ-ერთი, იგი საჭიროა ზოგიერთი სადაო სიტყვის გაგებისათვის. გაეხსენოთ. თუნდაც, დღეს-დღეობითაც ცხარე კამათის საგანი:

მე რუსთველ ა ხ ე ლ ბ ი თ ა ვ ე მ საქმესა ამა დ რ .

იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა გავიგოთ აქ „ხელობითა“ — ხანიანი თუ კარიანი ფორმით, გახელებულ ის ა თუ მ ო ხ ე ლ ი ს მნიშვნელობით, უპირველესად უნდა მივმართოთ ხელნაწერებს. მეორეც, კ-სა და უ-ს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ხელნაწერთა რედაქციული თვალსაზრისით დახასიათებისათვის: რამდენად ძველია ესა თუ ის ხელნაწერი. ან მისი პროტოგრაფი, რამდენად იცავს ძველი ქართული ენის ნორმებს მისი გადამწერი და ა. შ. ამგვარ საკითხებზე მასალების მოკემა ხელნაწერთა ვარიანტების წიგნს უნდა შეეძლოს.

„ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებს“ აქვს ზოგიერთი სხვა-ნაკლიც. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც პოემის ძირითად ნაწილში ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს, გამოყენებულა მხოლოდ დანართებში. ეს წინასიტყვაობაში აღნიშნული უნდა იყოს. თორემ შეიძლება საქმეში ჩაუხედავმა კაცმა, — საკუთრივ ვეფხისტყაოსანში მათ ვარიანტებს რომ ვერ იპოვნის, — ეს ხელნაწერები A-ს მიმყოფლ ნუსხებად ჩათვალოს.

³⁴ „მნათობი“, 1965, № 11, გვ. 131, ვეფხისტყაოსნის საკითხებზე, გვ. 229.

ან კიდევ: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ გამოცემლებს ნაირკითხვების აღნუსხვისას გარკვეული შემოკლებები რომ გამოეყენებინათ, წიგნის მოცულობა საგრძნობლად შემცირდებოდა: და, რაც მთავარია, გაადვილდებოდა ძირითად და მეორეხარისხოვან ვარიანტთა ერთმანეთისაგან გამორჩევა. მაგრამ ამგვარი ნაკლოვანებანი არსებითი ხასიათისა არ არის და მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

საზოგადოდ, რა ნაკლიც უნდა აღმოაჩნდეს „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ ამ გამოცემას, იგი მაინც ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მან გარკვეული ეტაპი შექმნა როგორც ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენის, ისე, საერთოდ, პოემის შესწავლის საქმეში. გარდა ამისა, ამ წიგნში ბევრ ჰაქირო მასალას იპოვის როგორც ძველი ქართული მწერლობის, ისე ქართული ენის ისტორიის მკვლევრები. იმ უდიდეს საქმესთან შედარებით, რაც ამ წიგნის გამოცემით გაკეთდა, აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება დიდ სიძნელეს აღარ უნდა წარმოადგენდეს³⁵.

რუსთველოლოგთა მორიგი ამოცანაა, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემა რედაქციების მიხედვით.

³⁵ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ არაერთი ნაკლი გასწორებულია ა. შანშიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ ვეფხისტყაოსნის 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში (ვარიანტებო შეადგინა ც. კარბელაშვილმა).

რიმა ფიციხელაძე

მეფხისტყაოსნის პოეტურ შედარებათა ზოგიერთი საკითხი

რუსთაველის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა შესწავლა ბევრ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, მათი სრულყოფილი გააზრება მხოლოდ დიდ ფოლკლორულ და ლიტერატურულ ტრადიციათა სათანადო გათვალისწინების საფუძველზეა შესაძლებელი. მაგრამ ამავე დროს ვეფხისტყაოსნის ავტორი გვევლინება უდიდეს ნოვატორად პოეტურ სახეთა სფეროშიც. ამიტომაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტრადიციულ და საკუთრივ რუსთველისეულ, ინდივიდუალური პოეტური ჰერეზის საფუძველზე შექმნილ მხატვრულ სახეთა ურთიერთმიმართებაში განხილვა.

ვეფხისტყაოსნის პოეტურ სემანტიკაში დიდად თვალსაჩინო მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ შედარებას. ეს უკანასკნელი ძველთაგანვე დამუშავებული ხერხია ქართულ მწერლობაში. მას წარმატებით იყენებდნენ სასულიერო მწერლობის წარმომადგენლებიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ სასულიერო მწერლობის წიაღში დამუშავდა პოეტურ შედარებათა ისეთი რთული, ცხოველი გამომსახველობითი ძალის მქონე სახე, როგორცაა ე. წ. პარალელიზმი-შედარებანი. მისი უზადო ნიმუში მოგვეპოვება ჯერ კიდევ იაკობ ცურტაველის თხზულებაში. სასულიერო მწერლობაშივე გამოკვეთილი სახით გვევლინება მეტაფორული ატრიბუტები, შედარებათა დეტალები, რომლებმაც შემდგომ მრავალმხრივი დამუშავება პოვეს კლასიკური პერიოდის ქართულ საერო მწერლობაში. მზე, ვარდი, ლომი — კლასიკური პერიოდის პოეტურ წარმოსახვათა ცნობილი დეტალები არანაკლები გამომსახველობითი სიცხოველით გამოიყენებოდა ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაშიც.

რუსთაველის პოეტურ შედარებათა განხილვისას ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრება. მათ შორის — პოეტურ შედარებათა გამომსახველობითი ფუნქცია პოემაში, შედარებათა ზერზე-

ბი, საერთო და განსხვავებული დეტალები და წარმოსახვანი რუსთველის მეტაფორებსა, შედარებებსა და ეპითეტებში, ვეფხისტყაოსნის პოეტური შედარებანი ხელნაწერთა შემკვიდრების მიხედვით და ტექსტის ისტორია ამ თვალსაზრისით და სხვ. ვეფხისტყაოსნის შედარებებში აღბეჭდილია რუსთაველის პოეტური ნააზრების ძირითადი მხარეები — იდეური გამიზნულება, პერსონაჟთა ხასიათები, განცდებო, სიტუაციათა სირთულე. პერსონაჟთა სხვადასხვა ჩგუფის მიმართ პოემაში სხვადასხვაგვარი შინაარსობრივი გააზრების პოეტური შედარებანი გამოიყენება, რითაც დიდი ხელოვნებით გამოკვეთილია ავტორასეული ჩანაფიქრი სხვადასხვა ზასიათების შექმნისა. მზე და მთვარე, რაც არაერთგზის მოხმობილია მთავარ გმირებთან დაკავშირებულ შედარებათა ობიექტებად, ზაზს უსვამს იმ თვისებათა ერთობლიობას, რომლებიც, პოეტის ჩანაფიქრით, იდეალურ გმირთა სახეშია განხორციელებული.

უაღრესად მრავალფეროვანია რუსთაველის პოეტურ შედარებათა შინაარსობრივი მზარე. იგი გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტულის, არამედ აბსტრაქტულის პოეტურ წარმოსახვასაც. გარეგნული სიმშვენიერე, ნაკვთთა სილამაზე, ძლიერი სულიერი განცდები, შინაგანი შემართება, ფიზიკური სიძლიერე, მიჯნურობა, მეგობრობა, შაირობა. ზიბრაქნე — აი, ძირითადი წარმოსახვანი რუსთაველის დიდი პოეტური ოსტატობით შერჩეული, ნატიფი შედარებებისა. რუსთაველის შედარებებში ფართოდ გამოიყენება მისივე მეტაფორათა და ეპითეტათა უმდიდრესი ლექსიკა, მაგრამ ამასთან ერთად, არც თუ იშვიათად, მთელი რიგი ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური ერთეულები მოხმობილია მხოლოდ და მხოლოდ პოეტურ შედარებათა დეტალებად (ჩიქი, კაკაზი, შვილი სააკუნე, ზიპი, სპეტი, ეყვანი, გრიგალი, ნათურქალი და სხვ.). არაიშვიათია პირთა სახელების გამოყენებაც შედარებებში. ამ მხატვრულ ზერხს არაერთგზის მიმართავდნენ მებოტენიც ჰიპერბოლური გააზრების შედარებებში, მას წარმატებით ფლობდნენ კლასიკური პერიოდის საისტორიო თხზულებათა ავტორებიც.

რუსთაველი უდიდესი ოსტატია ვრცელი შედარებებისა. რუსთველური შედარებანი ზშიარად არა მხოლოდ ტაეპის. არამედ მთელი სტროფის ფარგლებშია გაშლილი, ამავე დროს ლოგიკურად მტკიცედ შეკრული და ერთ მყარ წარმოსახვით ერთეულად გამოკვეთილი. არც თუ იშვიათად ვეფხისტყაოსნის შედარებანი სცილდება სტროფის ფარგლებსაც, ადგილი აქვს სტროფიდან სტროფში გარდამავალ ვრცელ შედარება-პარალელიზმებს, სადაც სიტუაციები ეფარდება ერთიმეორეს. სპეციფიკური რუსთველური სინტაქსი, რითაც ვეფხისტყაოსნის ვრცელი შედარებანი გამოირჩევა, მტკიცედ გამოკვეთს შედარების არსს

არა მხოლოდ სუბიექტ-ობიექტთა უშუალო შეზობლობისას, არამედ მაშინაც, როცა ისინი ერთიმეორისაგან დაშორებულია მთელი ფრაზებით, ზოგჯერ მთელი ტაეპებითაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვეფხისტყაოსნის პოეტურ შედარებათა კონსტრუქცია. რუსთაველს მრავალი ზერხი აქვს მომარჯვებული პოეტურ შედარებათა გამოკვეთისთვის. ბევრი ამ ხერხთაგანი ფოლკლორულ-ლიტერატურული ტრადიციებითაა შეპირობებული. ზოგიც სპეციფიკური რუსთველური მხატვრული წარმოსახვით გამოირჩევა. დამხმარე სიტყვათა შორის, რომლებიც მხატვრული შედარების გამოკვეთას ემსახურება ვეფხისტყაოსანში, ერთ-ერთი ძირითადია „ვითა“ („ვით“). იგი უმრავლეს შემთხვევაში სახელით ან სახელზმნით გამოწატულ შედარების ობიექტს მიემართება („ჰმართებს, მართ ვითა მზეობა“ — 23, „ალაფობდეს საქურკლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“ — 55, „...ვითა ვეფხი და ლომია“ — 57)¹, არაიშვიათად კი მთელ ფრაზეოლოგიურ ერთეულსაც, რომელიც შედარების ობიექტის ფუქციას ასრულებს („მფეთა შიგან სიუწვე; ვით ეღემს ალვა, რგულია“ — 50, „ტყბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვა ნე“ — 468). შედარებანი პოემაში ხშირად თავისებური პოეტური კონსტრუქციითაა წარმოდგენილი. თავისებურებას ზოგჯერ მაკავშირებელ სიტყვათა უჩვეულო მდებარეობა განაპირობებს. მაკავშირებელი სიტყვის შედარების ობიექტთა შორის მოქცევა გათიშულ კონსტრუქციას ქმნის, რაც რუსთველის პოეტური ენის ერთ-ერთი სპეციფიკუაა. გათიშულ კონსტრუქციებს პოემაში სხვადასხვაგვარი პოეტური გამართლება აქვს: აძლიერებს ტაეპის შინაარსს, გამოკვეთს რა საჭირო მხატვრულ სახეს ან რომელიმე დეტალს, ზოგჯერ შეპირობებულია რიტმისა და რითმის ინტერესებითაც. სხვადასხვანაირია მისი ფორმალური მხარეც. ზოგჯერ ზორციელდება გამთიშველი სიტყვისა თუ სიტყვათა ჯგუფის მსჯელობაში ჩართვით, ზოგჯერაც — სიტყვათა ბუნებრივი წყობის შეგნებული დარღვევით. რუსთაველი თავის გმირებს არაერთგზის ადარებს ვარდსა და იას. 1324-ე სტროფში ამ შედარებას („ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წა-ცა-ხვია მან, მისცა ფრიდონის მონათე ვარდმან და ვითა იამან“) განსაკუთრებული სიცხოველე ემატება. ეს შინაარსობრივი მხარითაა შეპირობებული. ავთანდილმაცნა მისთვის სანუკვარი ამბავი ნესტანის ადგილსამყოფლისა, იგი ისწრაფის აცნობოს ეს ფრიდონს, შემდეგ კი დაუყოვნებლივ გაემგზავროს ტარიელისკენ. ამ დაძაბული თხრობის ყამს, ავთანდილის მხატვრული სახის გამოკვეთისას პოეტი უთუოდ განზრახ არიდებს თავს სი-

¹ ვეფხისტყაოსნის ტექსტი და სტროფთა ნუმერაცია მითითებულია 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

ტყვათა ბუნებრივ წყობას, თუმცა მისი მიღწევა სრულიად მარტივად, სიტყვათა უბრალო გადაადგილებითაც შეიძლებოდა (ვითა ვარდმან და იამან). ხელნაწერთა საკმაოდ დიდ ჯგუფში წარმოდგენილი ვარიანტი — „ვარდმან და თ მ ი თ ა იამან“ ტაეპის სინტაქსის ზეგავლენით უნდა გაჩენილიყო. ეს ვარიანტი გამორიცხავს შედარებას ორი ობიექტით, ტოვებს მხოლოდ მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გამოხატულ მარტივ შედარებას. ხელნაწერებს შემოუნახავთ სხვა ვარიანტებიც: ვარდმან, ფერთა იამან — H, ვარდმან და ფერთ იამან — IY, ვარდმან და სულად იამან — J, ვარდმან და სრულად იამან — T ვარდმან და მითა იამან — V². სამ ხელნაწერში (KOG') გვხვდება გამოცემებში გაზიარებული წაკითხვა — „ვარდმან და ვითა იამან“. ხელნაწერთა უმრავლესობაში წარმოდგენილი ვარიანტი (თმითა იამან) ლიტერატურულ ტრადიციათა გავლენის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო. ია მშვენიერ თმებთან დაკავშირებულ მხატვრულ წარმოსახვათა დეტალად გვხვდება „ვისრამიანშიც“ („ყოველთა დილათა ია კრიფის და მისისა თმისა ნაცვლად გულსა ზედან დაიდვის“³). შედარების საფუძველია იისებური კეთილსურნელება მშვენიერ თმათა. მაგრამ ვეფხისტყაოსნის ზემოთ აღნიშნულ ტაეპში არა გვაქვს იისა და თმის შედარება. მშვენიერ თმათა იის სმხით წარმოდგენა არ გვხვდება ვეფხისტყაოსნის მეტაფორებშიაც. ია, ისევე, როგორც ვარდი, პოემაში მშვენიერი პირისახის აღმნიშვნელია, ზოგჯერ, ვარდთან გათანაბრებით, პერსონაჟის შემცვლელ სახელადაც გვევლინება. ჩვენთვის საინტერესო ტაეპში ია, ისევე, როგორც ვარდი, ავთანდილის ატრიბუტია. ადრეულ გამოცემებში ხელნაწერთა უმრავლესობის ტრადიციას (თმითა იამან) ენიჭებოდა უპირატესობა, მხოლოდ დ. კარიჭაშვილის მეორე გამოცემაში (1920) წარმოდგენილი იქნა ტექსტი მართებულად, თუმცა 'შემდგომშიაც, კ. ჭიჭინაძის გამოცემის ჩათვლით, კვლავ გრძელდებოდა უმართებულო ვარიანტის ბეჭდვა.

„ვითა“ არაიშვიათად გვევლინება ტაეპის დასასრულსაც შედარების ობიექტთან როგორც უშუალო მეზობლობაში („ზედა გარდმოდგეს მზე ვითა“ — 1403), ისე მისგან გათიშულ კონსტრუქციაში („ნავი მფრინველი ჩნდა ვითა“ — 1023) შ. ნუცუბიძის შენიშვნით ეს ლექსის

2 ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები მითითებულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პუბლიკაციის მიხედვით, ნაკვეთი 1—4, რედაქტორი ა. ბარამიძე. 1960—1963. გათვალისწინებულია აგრეთვე ვეფხისტყაოსნის 1966 წლის გამოცემას (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით) დართული „ძირითადი ვარიანტები“.

3 ვისრამიანი, ალექსანდრე გვახარიას და მავალი თოდუას რედაქციით, 1964, გვ. 58.

ინტერესებით გამოწვეული წმინდა ლიტერატურული კონსტრუქციაა. ამგვარი კონსტრუქციის დროს განსაკუთრებული აქცენტის ქვეშ დგას შედარების ობიექტი.

განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როცა პოეტური შედარება აღწერილობით (თუ შეიძლება ასე ეწოდოს) ხორციელდება. პოეტური სახის გამოკვეთისათვის მოხმობილია შედარების გაგების შემკველი სიტყვები. ზმნათაგან — მსგავსება, გვანა, ჯობნა, ჩენა, დასახვა, დადარება, და სხვ. სახელთაგან — მსგავსი, სწორი, სახე. ამავე მიზნით გამოიყენება აგრეთვე ზმნიზედა „ოდნად“.

ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვაგვანდი ედგმს ზრდილსა (332,3)

ადრი მოდო, გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა (553,4)

მე შენი ვაყრა სიკედლიად მიჩნს და მით თავსა ვევენები (1015,2)

მისთა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტრტი, ლომსა — თათი (1074,4)

დღეს რომე შესწნეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი (1268,2)

გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები (1408,3) და სხვ.

ზოგჯერ გახსნილი სახით წარმოდგენილია მსგავსების ნიშანიც — შედარების საფუძველი. არაიშვიათად ადგილი აქვს შედარებათა შედარებასაც, ანუ სამამაგ შედარებას, რომლის დროსაც აშკარად სახელდება პირველ და მეორე შედარებათა სუბიექტ-ობიექტი, მესამე შედარების სუბიექტ-ობიექტად კი საკუთრივ პირველი და მეორე შედარებანი გვევლინება („მზესა მე ვსჯობდი შევენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა“ — 321,2).

ცალკე უნდა აღინიშნოს პარალელიზმი-შედარებანი, რომლებიც მოვლენათა შეპირისპირებას ან იგავურ პარალელებს ეყრდნობა. ამ ჯგუფში ერთიანდება პოემის ყველაზე ვრცელი შედარებები. პარალელებად მოხმობილია იგავები, სენტენციები, რომლებიც ზოგჯერ წინ უსწრებენ შედარების სუბიექტს, ზოგჯერ კი მის შემდგომ არიან წარმოდგენილნი. ამგვარ შედარებათა სიუხვე ვეფხისტყაოსანში ამ უკანასკნელის ფოლკლორულ პოეზიასთან მჭიდრო კავშირის ერთ-ერთი დადასტურებაა. ვეფხისტყაოსნის პარალელიზმი-შედარებებში უმეტესად ზოგადიდან კერძობითისაკენ გადასვლის ტენდენცია იგრძნობა. ეს ნათლად ჩანს ავთანდილისა და ასმათის დიალოგიდან ქვაბში (255—257), სადაც იგავური პარალელის („ორნი კაცნი მიდიოდეს...“) შემდეგ ავთანდილი თავის მდგომარეობას გადმოგვცემს („აწ, დაო, შენთა ხელთაა“...). ასევეა 35—36-ე სტროფებშიც, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის, ვარდთ ყვავილობისა და ქნობის მონაცვლეობის მარადიული კანონის ანალოგიით პოეტი გვისურათებს როსტევეანის პირადულ განცდებს („მე გარდასრულვარ“...) და სხვ.

ვეფხისტყაოსანში ხშირი მოვლენაა ხარისხის სახელებით გამოხატული პოეტური შედარებანიც, მაგრამ სანამ მათზე შეეჩერდებოდეთ. უნდა აღვნიშნოთ, ერთი ჯგუფი ჰიპერბოლური გააზრების მქონე პოეტური წარმოსახვებისა. რომელთაც თუმცა შინაარსობრივად უფროობითი ხარისხის გააზრება აქვთ, ფორმალურად ხარისხის სახელებით არ არიან წარმოდგენილნი. უფროობითი ხარისხი გამოიხატება, ასე ვთქვათ, აღწერილობითი გზით. პოეტური შედარება ამგვარ შემთხვევებში ვულისხმობს ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოებ სიტყვათა შეპირისპირებას ვარკვეული თვისებისა თუ მოქმედების მეტ-ნაკლებად გამოხატვის თვალსაზრისით. შედარება ზორციელდება ზმნიზედა „უფრო“-ს მოშველიებით. პოეტური ლიცენციის სახით ამგვარ შემთხვევებში უფროობითი ხარისხი ზოგჯერ არსებით სახელთაგანაც იწარმოება. ტაეპის გამომსახველობით სიძლიერეს განაპირობებს ვერბალური ალიტერაციაც, რაც ზოგჯერ სახელთა სუფიქსიან და უსუფიქსო ფორმათა შეპირობებით ზორციელდება, ზოგჯერაც — ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოებ სახელთა და ნასახელარ ზმნაფა შეპირისპირებით. საგულისხმოა, რომ ეს პოეტური წარმოსახვანი შეიმჩნევა ინდო-ხატაელთა ამბავშიც, (დისაგანცა უფრო დესი“ — 252,4; „მზისაცა უფრო მზიანი“ — 1583,3. „მკვდართაგან უფრო მკვდარია“ — 1595,1; „ბუქისაგან უფრო ბუქდეს“ — 1600,4; „შმაგათაგანცა უფრო შმაგო“ — 1604,2). შედარებას გულისხმობს აგრეთვე ზედსართავეებით — მჯობი, მეტი. მეტი-მეტი, ნაწარმოები სახეები („მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისაცა მეტის-მეტითა“ — 712,3; „დედისა მჯობო დედაო“ — 1285,1; „ვცან გმირთა მეტი გმირობა“ — 1402,1).

საკუთრივ უფროობითი ხარისხის ფორმები, რომლებიც პოეტურ შედარებას გამოკვეთს, ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილია როგორც ზედსართავი სახელის, ისე ვითარების ზმნიზედის სახით („ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე საღბინოსა: მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა“ — 341,1—2; „მე ულურჯესი ლილისა — 399,3: „გარ უმაგრესი რეალისა“ — 563,1; „ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვილღესად-რე“ — 139,2). უფროობითი ხარისხით გა. ობა-ტულ შედარებებში თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია შედარების ობიექტი. ფრიად იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ეს უკანასკნელი არ აღინიშნება და იგულისხმება მხოლოდ („ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს“ — 173,4). ხარისხის სახელთა გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვეფხისტყაოსნის მაჯამათა კვლევისას. კერძოდ, 1591-ე მაჯამურ სტროფში, რომლის სამაჯამო შემადგენლობაა „უარე“, პირველ და მესამე ტაეპთა საართმო სიტყვები უნდა განვასხვაოთ შედარებითი ხარისხის გათვა-

ლისწინებით. პირველ ტაეპში „უარე“ ვითარების ზმნიზედის ფუნქციით იხმარება („ტირს სიტყვა—ხაფი უარე“), მესამე ტაეპში კი — ზედსართავის უფროობითი ხარისხისა („შვილი ყოველთა უარე“). ა. შანიძის აღნიშვნით უფროობითი ხარისხის „ასეთი ფორმები დადასტურებულია სპორადულად: მაგ. „ვეფხის-ტყ“.-ში გვხვდება: უ-ამ-ე. უ-არ-ე, უ-მართლ-ე, უ-ნათლ-ე“⁵. ვეფხისტყაოსნის პოეტურ მეტყველებაში არაიშვიათად გამოიყენება ოდნაობითი ხარისხის ფორმებიც. პოემის ცნობილი სახე — „ვარდი მოყვითანო“, რომელიც ღრმა სულიერ განცდებს შეესაბამება და ფრიად მნიშვნელოვანი გამოცხადებლობითა ფუნქციის მქონეა, ოდნაობითი ხარისხის აღმნაშენელია.

ხშირია პოეტურ შედარებათა წარმოება ე ბ რ თანდებულის მეშვეობითაც, რომელიც პოემაში დაერთვის როგორც უშუალოდ სახელის ფუძეს, ისე ნათესაობითის ფორმასაც ლექსის ინტერესების მიხედვით. აღნიშნული თანდებული ვეფხისტყაოსნის შედარებებში გამოიყენება შემოკლებული ფორმითაც (ებ) რითმის შესაბამისად („ბრძენთა თქმულებ“ — 876,1).

არაიშვიათია ვითარებითი ბრუნვის ფორმით გაპოზიტული შედარებანიც. შ. დოლაჭიძის მართებული შენიშვნით ეს „ერთ-ერთი გზაა შედარების მეტაფორამდე დაყვანისა“⁶.

შედარების ნიუანსის შემცველია ნასახელარი ზმნებიც, რომელთა ხშირი ხმარება რუსთველის პოეტური მეტყველების ერთ-ერთ სპეციფიკას წარმოადგენს.

პოეტური შედარება, ვეფხისტყაოსანში გამოკვეთილია აგრეთვე წარმომავლობის სუფიქსით ურ (ულ), როცა ეს უკანასკნელი „აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით“⁷ („სისხლი აღინაღვარული“ — 111,2; „წასრულა მზე დაუდგრომლად, მთვარულად“ — 820,2; „და გაპარება მელურად“ — 1206,2 და სხვ.). ამ სახის შედარებანი ხშირია დადებითი თუ კონტრასტული პარალელიზმების დროს („გთქვი დიაცურად, ზელურად“ — 1206,1; „გამქლავნებასა მექაღდა არ მოყვარულად, მტერულად“ — 1206,3 და სხვ.). აღნიშნული სუფიქსით შედარებათა წარმოებისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი შემთხვევები როცა შედარების სუბიექტი და ობიექტი ერთი ძირისაგანაა ნაწარმოები. სუბიექტად არსებითი სახელი გვევლინება, ობიექტად კი — მისგან ნაწარმოები მიმართებითი ზედსართავი. ამგვარ შედარებათა არსი ჰიპერბოლურ პოეტურ წარმოსახვაში უნდა ვეძიოთ.

5 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 145.

6 შ. დოლაჭიძე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან: კრებული „შოთა რუსთაველი სკოლაში“, 1937, გვ. 139.

7 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 129.

9. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები.

შედარების სუბიექტი თითქოს ედარება თავისსავე თავს, ჰიპერბოლური გააზრებით წარმოდგენილს („სრაცა სრული“ — 632,4; „დარი არ დარობს დარულად“ — 820,4). ურ(ულ) სუფიქსიან ფორმებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ზოგად-ჰიპერბოლური გააზრების მქონე გამოთქმა „რული“. პოეტს თითქოს ვერ უპოვია საჭირო სახე, რომელიც შეიძლება შეედაროს სუბიექტს, ამიტომაც შორისდებულებრივი ტონაციის გამოთქმას მიმართავს. ამ სახის შედარება მალალი პოეტური კულტურის მაჩვენებელია, მასში თვალსაჩინოდ ვლინდება ინდივიდუალური ხელწერაც პოეტისა („აწ ესე მიკვირს რა იყო, ანუ რა ვნახე და რული“ — 111,1; „მომღერალნი იყვნეს რულნი“ — 722,4; „ველარ ვისმენ ჩმასა შენსა სასმენელად მე მას რულსა“ — 823,3).

რუსთველის პოეტური ენისთვის ნიშანდობლივია უარყოფითი შედარებანიც, რაც აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ხალხურ პოეზიასთან მჭიდრო კავშირის ერთ-ერთ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. რუსთველის დროს ეს პოეტური ხერხი უკვე მრავალმხრივ დამუშავებული, დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონეა. მას წარმატებით იყენებდნენ მეხოტბენიც. მდიდარი გამომსახველობითი საშუალებებით ხდებოდა მსგავსების უარყოფა სუბიექტთან ამ უკანასკნელის განუზომელი უპირატესობის გამო. მეხოტბეთა პოეზიაში ზოგჯერ ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი დადებითი და უარყოფითი შედარებანი, რაც მხატვრულ დაპირისპირებასაც ქმნის და კიდევ უფრო აძლიერებს ეპიზოდის გამომსახველობით მხარეს („მსგავს ა მანტისა, არ ამანტისა“ — შავთ. 13,2)⁸. არაიშვიათია შეკითხვით უარყოფაც („ვინ ნახა სადა, ნასაზად სად ა შენებრ ნათელთა ბნელი მცებარე?“ — ჩახრ. 29,4; „ქე აღამისი მსგავსად ამისი ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი?“ — შავთ. 3,1). მეხოტბეთა უარყოფით შედარებებში განსაკუთრებით საგრძნობია პირთა სახელების სიჭარბე („დორიადარა რად ვთქვა შენ დარად, ანუ დებორა გაგულქველევად?“ — ჩახრ. 42,19; „არ გგვანდეს დარი, ხოსრო დადარი, საამ-აქილევ, დებორა ქველი“ — ჩახრ. 64, 12).

უარყოფით შედარებათა დროს ადგილი აქვს ჰიპერბოლურ წარმოსახვას შედარების ობიექტის უარყოფის გზით. ვეფხისტყაოსანში შეიმჩნევა ზოგადი და კონკრეტული უარყოფითი შედარებანი. პირველი მათგანის დროს შედარების ობიექტად გვევლინება ვერაყინ, არაყინ, არ-რომელი და სხვ. („მისებრივ არ-რომელია“ — 511,4; „შენ

⁸ ჩახრუხაძისა და შავთელის ტექსტები შიითიებულია ი. ლოლაშვილის გამოცემაში: ნახევრით, ძველი ქართული მეხოტბენი, წიგნი I—II. 1957—1964.

დაგამეტებს ვერაინ“ — 808,3; „მათებრივ არეინ შობილა“ — 872,4). მეორე შემთხვევაში შედარება უფრო ვიწრო—წარმოსახვითია, შედარების ობიექტი კონკრეტულია. ზოგად-უარყოფითი შედარებანი ვეფხისტყაოსანში უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი, უფრო ხშირია კონკრეტულ-უარყოფითი შედარებანი („რომე მათთანა აღვისა ხეცა ვარგიყოს ხედ არად“ — 281,3; „ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკედარი სამარის კარქა“ — 498,1; „ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია“ — 581,4; „აწ ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ ია“ — 854,3). არაიშვიათია ორი და, ზოგჯერ, სამი უარყოფილი ობიექტის მქონე შედარებანიც („არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ზებული“ — 522,2). ზოგჯერ უარყოფილი ფორმით არის წარმოდგენილი არა მხოლოდ შედარების ობიექტი, არამედ მსგავსების ნიშანიც და, ამრიგად, ადგილი აქვს ორმაგ უარყოფას („შენ დაგამეტებს ვერაინ მსახურებითა ვერთა“ — 808,3).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვეფხისტყაოსანში შედარების ობიექტად გამოყენებული მასალის შინაარსობრივ-ლექსიკური მხარე, მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქცია; რა პოეტური წარმოსახვანი კმნიან ძირითადად ვეფხისტყაოსნის პოეტურ შედარებათა ობიექტების სამყაროს და როგორ პასუხობს ეს უკანასკნელი ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ გამიზნულებას. არც თუ იშვიათად პოემაში შედარების სუბიექტიც ტროპის სახით გვევლინება („მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რისანი!“ — 626,3), მაგრამ ძირითადად გამომსახველობით სიძლიერეს მაინც შედარების ობიექტად გამოყენებული მასალის მალამხატვრული ფორმა განაპირობებს. პოემაში მკვეთრად გამიჯნული როდია შედარების სუბიექტ-ობიექტთა ლექსიკა. ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული ზოგჯერ გვევლინება პოეტური შედარების სუბიექტად, ზოგჯერაც — ობიექტად, რაც დამოკიდებულია მის მხატვრულ ფუნქციაზე. მარგალიტი თავისი რეალური გააზრებით შედარების სუბიექტად აღინიშნება პოემაში („უხვად გასცეს საბოძვარა, მარგალიტი, ვითა დრამა“ — 686,4), მაგრამ ტროპული გააზრებისას იგი შედარების ობიექტია და შეიძლება აღნიშნავდეს ცრემლებს, კბილებს, პოეტური შემოქმედების ნაყოფსაც. მუდმივი ატრიბუტები, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია პოემაში, არაიშვიათად პერსონაჟთა შემცველ სახელებდაც გამოიყენება, ხოლო ასეთ შემთხვევებში კი შეიძლება მოგვევლინოს შედარების სუბიექტადაც. სარო, როგორც შედარების ობიექტი, მრავალგზის აღინიშნება ვეფხისტყაოსანში, მაგრამ შეიძლება მოგვევლინოს შედარების სუბიექტადაც, სარო, როგორც შედარების სუბიექტადაც („მუნ სარო, მსგავსი ვარდისა, ვნახე, მისკირდა, მი, ნები“ — 697,1).

პოემაში იშვიათი როდია პოეტური შედარების გახსნილი სახით წარმოდგენაც, ანუ მსგავსების ნიშნის აღნიშვნა. ზოგჯერ ეს აუცილებლობასაც წარმოადგენს. ქაჯთაგან დატყვევებული ნესტანის მიმართ პოემაში ერთგან ნათქვამია: „ვითა ასპიტი, მკვრეტელთა მისთა თვალითა ჳლალავი“ — 1231,40. აქ შედარების ობიექტად მოხმობილია შხამიანი გველის სახე. ცხადია, შედარება უაღრესად ვიწრო ხასიათისაა, მხოლოდ და მხოლოდ ერთი გარკვეული სიტუაციის შესაბამისია, ამიტომაც აუცილებელი გახდა შედარების გახსნილი სახით წარმოდგენა. მხოლოდ შედარების ობიექტის აღნიშვნა, მსგავსების ნიშნის გარეშე, არა თუ საჭირო წარმოსახვას ვერ შექმნიდა, არამედ სრულიად შეუთავსებელიც იქნებოდა ნესტანის სახესთან. მხოლოდ გახსნილი შედარება წარმოგვიდგენს სრულად ნესტანის შეუდრეკლობას ქაჯთა წინაშე. მაგრამ ყოველთვის შინაარსობრივი აუცილებლობით როდია შეპირობებული პოეტურ შედარებათა გახსნილი სახით წარმოდგენა პოემაში, ზოგჯერ იგი სრულიად ნებისმიერია.

ერთ და იმავე შედარების სუბიექტზე ვეფხისტყაოსანში ზშირად მოდის ხოლმე რამდენიმე ღრმად მოფიქრებული, მაღალმხატვრულ ასპექტში წარმოდგენილი შედარების ობიექტი. ყურადღებას შევაჩერებთ 1561-ე სტროფის პირველ ტაეპზე, სადაც შედარების ერთ სუბიექტთან ორი ობიექტია წარმოდგენილი („ტარიელ ჰვეანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად“). ამათგან ერთი, დამოუკიდებლად ხმარებისას, მეტაფორულ ატრიბუტად გვევლინება (ვარდი), მეორე კი მეტაფორული ფრაზეოლოგიური ერთეულია (ფიფქის თოვა). პირველი შედარება მსგავსების აღმნიშვნელი ზმნით გამოიხატება, მეორე — შედარების ობიექტის ვითარებითი ბრუნვის ფორმით. „ფიფქის თოვა“ ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ცნობილი მხატვრული სახეა, მასთან დაკავშირებული პოეტური წარმოსახვანი ძირითადად შეესაბამება უსაზღვრო ცრემლთა ღვრას (შდრ. „ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა“ — 179,1; „ღვარმან, ზედათ მონადენმან, გააწყალნა ფიფქნი თხელნი“ — 1137,4; „ტარიელ არის დაღრეჯით, ფიფქი ნასღების, თხელღების“ — 1574,4). მაგრამ „ფიფქის თოვა“ მხოლოდ და მხოლოდ ცრემლთა ღვრის აღმნიშვნელი პოეტური სახე არ უნდა იყოს. ეს ფრაზეოლოგიური ერთეული პოემაში ორგან მოხმობილია დიდი სიხარულისა და ზეიმის აღწერისას. თინათინისა და ავთანდილის ქორწილის ეპიზოდში ვკითხულობთ:

ტარიელ ჰვეანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად... (1561.1).

მსგავს მხატვრულ წარმოსახვას ადგილი აქვს აგრეთვე ეპიზოდში, რომელიც უცხო მოყმის ვინაობის გაგების შემდეგ ავთანდილის არა-

ბეთს შექცევას ამბავს გადმოგვცენა. ავთანდილს გაეგება თვით მეფე როსტევეანი და საზეიმო შეხვედრა მოუწყო. „გულ-მხიარულნი, შვე-ბულნი“ სეფე დარბაზისაკენ გაემართნენ. გაიმართა შესაფერისი ღზინი:

მათ ორთავე აშვენებდა ფიფქსა თოვნი. ვარდსა ნამა.
უხუდლ გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა ღრამა (696).

-ცხადია, „ფიფქის თოვნი“ და „ვარდის ნამა“ თანაბარი მნიშვნელობის მხატვრული წარმოსახვანია ამ შემთხვევაში და ორივე ამაღლებულ განწყობილებას, დიდ სიხარულს, ბედნიერების განცდას შეესაბამება. აღნიშნული პოეტური წარმოსახვანი ზემოთ მითითებულ ეპიზოდებში არ უნდა გულისხმობდეს თვით სიხარულის ცრემლთა ღვრასაც, თუმცა ტრადიციულად მათ სწორედ ამგვარად განმარტავდნენ. თ. ბაგრატიონი 686-ე სტროფთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ფ ი ფ ქ ი ახალმოსული თოვლი, ველთა ზედა ფრიად მშვენიერად სჩანს და რა მას ზედ თოვლი მოვა, მას ამსგავსებს ცრემლნი რა დაჩნეულ იყოს სპეტაკსა პირსა ზედა და დაწვთა ვარდთა ზედა დილისა ნამნი რა პკურებულ იყვნენ“⁹. დაახლოებით ამასვე აღნიშნავდა მკვლევარი 1561-ე სტროფის მიმართაც: „ფ ი ფ ქ ი — ახალი თოვლი, რადგანაც როსტევეან მეფემან და თინათინ ტარიელ და ნესტან დარეჯან ისეთის სიყვარულით მიიღეს, ამაღ ტარიელს ტირილი მოსდიოდა თვალთა, როდისაც ეთხოვებოდა მათ და ამისთვის დაფიფქვასა ვარდთასა, ესე იგი ვარდისა ფერთა დაწვთასა ცრემლითა იტყვის მესტიხე დაფიფქვასა“¹⁰. თ. ბაგრატიონის განმარტებას, არსებითად, იმეორებს დ. ჩუბინაშვილიც: „ფიფქი, ახალი მოსული თოვლი... ორივეს შვენოდაო გაცრცვილს და წითელს ლოყებზედაო ცრემლის სისველეო (ე. ი. თოვლი და ნამა)“¹¹. მაგრამ ტექსტში ვარდის დაფიფქვაზე (რომელსაც გულისხმობს თ. ბაგრატიონის განმარტება) როდია ლაპარაკი; არამედ ნათქვამია, რომ ტარიელ ჰგავდა ვარდს და ამავე დროს იყო ფიფქისა მთოველად (1561,1). ფიფქის თოვა აქ არ გულისხმობს ვარდის დაფიფქვას, რომელიც მართლაც ვარდის ზრობის, ვარდის დასეტყვის მსგავსი წარმოსახვა და მხოლოდ და მხოლოდ ცრემლთა ღვრასთან იქნებოდა დაკავშირებული. აქ მხატვრულად გააზრებულია არა ცრემლთა ღვრა და ტანჯვა, არამედ სწორედ საწინააღმდეგო განცდები — დიდი სიხარული და ბედნიერება. ამ

⁹ თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმე-
დაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და სძიებლით, 1960, გვ. 82.

¹⁰ განმარტ. გვ. 280.

¹¹ ვეფხისტყაოსნის დ. ჩუბინაშვილისეული გამოცემა, 1866: განმარტება, რო-
ნელთაჲ სიტყუთა და ფრაზთა, ხმარებულთა ვეფხისტყაოსნის ლექსთა შინა.
გვ. 222.

განცდებთან დაკავშირებული მხატვრული წარმოსახვა პოემაში ვარდის კრეფა, ხოლო ზოგჯერ, ზემოთ აღნიშნულ ეპიზოდთა მიხედვით, — ვარდის ნამა და ფიფქის თოვაც. ამ შემთხვევაშიც ფოლკლორულ ტრადიციათა გამოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე. | ხალხურ პოეზიაში ცნობილი მხატვრული წარმოსახვა მშვენიერი სახის შედარება დანამულ ვარდთან („პირმზეო პირი მას გიგავს დილით ვარდს ნამი ეყაროს“, „ლაწვს მოციმციმე ხალივით ნამი, ცით მონაბერია“), რაც სილამაზის, ბედნიერების, სიხარულის ათინათინს აღნიშნავს სახეზე. ამავე მნიშვნელობის უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის ზემოთ განხილული პოეტური წარმოსახვანიც.

| მრავალმხრივ იქცევა ყურადღებას პოემის შაირობის ეპიზოდში წარმოდგენილი ცნობილი შედარებაც („ვითა ცხენსა“... სტრ. 13—14), სადაც დიდთა ლექსთა თქმა, — უპირველესი მოვალეობა ნამდვილი მოშიარისა, შედარებულია ცხენთა რბევასთან: როგორც მერანს გამოცდის „შარა გრძელი“ და „დიდი რბევა“, ასევე მელექსეს — „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“. ესაა პოემის ვრცელ შედარებათა ერთ-ერთი მაღალმხატვრული ნიმუში, უაღრესად საგულისხმო თემატიკური თვალსაზრისითაც, რადგან პოეტურ ასპექტში წარმოდგენილია საკუთრივ შემოქმედებითი პროცესი. ჯერ კიდევ სასულიერო მწერლობაში საღმრთო სიტყვას მიემართებოდა ნატიფი ეპითეტები — ტკბილი, თაფლმწითოლვარე, ოქრონაკადული და სხვ. ტკბილი ვეფხისტყაოსანშიც მუდმივი ატრიბუტია ნატიფი მეტყველებისა (ამჯერად მხედველობაში არა გვაქვს ამ ეპითეტის სხვა გააზრებანი). უთუოდ ამ ტრადიციას გულისხმობს ხელნაწერთა დიდ ჯგუფში წარმოდგენილი ვარიანტი: „მართ აგრევე მელექსესა — სა უბ ართა ტკბილთა ფრქვევა“, ხელნაწერთა შედარებით მცირე ჯგუფში (DIEGUVF'L'Q'T') იკითხება „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“, რომელსაც უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული გამოცემებშიც უკანასკნელ დრომდე — ვახტანგისეულიდან დაწყებული 1957 წლის გამოცემის ჩათვლით. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ს. კაკაბაძისა და იუსტ. აბულაძის რედაქციება, სადაც აღნიშნული ტაეპი წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა დიდი ჯგუფის ტრადიციის თანახმად. საფიქრებელია, რომ ხელნაწერთა მცირე ჯგუფში დაცული ვარიანტი მართებული სახით წარმოადგენდა რუსთაველის ამ ტაეპს. ცნობილია, რომ რუსთაველის პოეტიკის თანახმად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გრძელ ლექსს, ეპიკურ ქმნილებას. ჩვენთვის საინტერესო შედარებაში მას შეესაბამება ფრაზეოლოგიური ერთეულები „შარა გრძელი“ და „დიდი რბევა“. მაგრამ ამასთან მელექსეს მოეთხოვება მაღალი პოეტური ოსტატობაც, რასაც გულისხმობს მომდევნო სტროფის პოეტური წარმოსახვა — „ხელ-მარ-

ჯვედ სცემდეს ჩოგანსა“. შემოქმედებითი ხელოვნების მაღალ დონეს გულისხმობდა ჩვენი ტაეპის ტრადიციული წაკითხვაც („ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“), სადაც შერწყმულადაა წარმოდგენილი ორივე პირობა, რაც ნამდვილ მოშაირეს მოეთხოვება რუსთველის გაგებით. ხელნაწერთა დიდ ჯგუფში დაცულ ვარიანტში აღნიშნულია მხოლოდ ერთი მხარე — ტკბილთა ლექსთა თქმა, მაგრამ ძირითადი არსი, რასაც გულისხმობს შედარება — გრძელთა ლექსთა თქმა-ალარ არის პოეტურად გააზრებული.

ქართული პოეზიის პოეტურ სახეთა საგანძური რუსთაველმა გამდიდრა ბრძნულად მოფიქრებული შედარებითი სახით („შირობა-ეხენოსნობა), რომელიც ტკბილად სასმენ ხმათა გარდა გულისხმობს ძლიერ, გმირული შემართების პოეზიასაც. ცნობილია, რომ რუსთველური სახეებით დიდადაა დავალებული აღორძინების ხანის პოეზია, ეს შეეხება საკუთრივ ლექსთან. პოეტურ სიტყვასთან დაკავშირებულ სახეებსაც. რუსთველი თავის ლექსს უწოდებს წყობილ მარგალიტს. ეს გამოთქმა გახდა ატრობუტი წყობილი სიტყვისა აღორძინების ხანის პოეზიაში („მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს — ჩაღის ძირსა“ — დ. გურამიშვილი¹². „გიაგმბო ჩემი ამბავი ვით მარგალიტი წყობალი“ — ი. ტლაშაძე¹³). დ. გურამიშვილის პოეზიაშიც მელექსეობის შესახებ პოეტური წარმოსახვანი დაკავშირებულია მხედართან და მერანთ ჯოგთან:

ვით მქედარს-ყრმისა მცირისა წყეპლისა ზედან ჯდომანი,
 მიემზავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ხლომანი,
 ეგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ მიხლომანი... (22,5)
 სულ რომ არა ვსთქვა არარა, ის უფრო არ ევარგება.
 მეც მრევენ მერანთ ჯოგმ-გან... (37,73).

მაგრამ დ. გურამიშვილთან ალარ არის შედარების რუსთველური გააზრება. თუმცა მერანთ სრბოლა, როგორც პოეტური შემოქმედების აღმნიშვნელი სახე, რუსთველური წარმოსახვის ანარეკლია. ვეფხისტყაოსნის ამ შედარების არსი „ლექსთა გრძელთა“ უპირატესობის მხატვრულ წარმოსახვაში მდგომარეობს. ამ აზრს გამოხატავს არა მხოლოდ მე-13—მე-14 სტროფები, სადაც ჩვენთვის საინტერესო შედარებაა გაშლილი, არამედ მთელი მელექსეობის ეპიზოდიც. მე-13 სტროფის პირველ-მეორე ტაეპებში აშკარად გამოკვეთილია შედარების ობიექტები, რომელთა მნიშვნელობის გათვალისწინება ნათელს ხდის შედარების არსს. „შარა გრძელი“ და „დიდი რბევა“ ეს ის დე-

12 დ. გურამიშვილი. დავითიანი, 1955; 22, 7, 1.

13 ი. ტლაშაძე, ბაქარაიანი, სოლ. ყუბანეიშვილის გამოცემა, 1962; სტრ. 17.

ტალებია შედარების ობიექტთან, რომელიც სუბიექტთან უცილოდ განაპირობებს „ლექსთა გრძელთა თქმა“-ს, ისევე, როგორც „მართლად ცემა“, „მარჯვედ ქნევა“, რომლებშიც შესრულებითი ოსტატობა იგულისხმება, განაპირობებს „თქმა და ხევა“-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში შედარებას ლოგიკური საფუძველი ეცლება. ვახტანგის გამოცემაში უპირატესობა მინიჭებული აქვს ხელნაწერთა მცირე ჯგუფის წაკითხვას. მისივე განმარტებით „ვ ი თ ა ც ხ ე ნ ს ა: იგავად მოუყუანია როგორც უნენს გძელი გზა და ბევრი რბევა გამოსცდის: მობურთალს მარჯვედ ჩოგნის კმარება და სწორად ბურთის კურა: აგრევე გძელი ამბვის ვალექსვა რომ მელექსეს რა ამბავი გაუგრძელდება: თუ არ იცის და სიბრძნე და რიტორება არა აქუს: გაპირებებაში სიტყუაც შეუმოკლდება და ლექსიც გაუპირდება“¹⁴. იუსტ. აბულაძე „ვახტანგისეული ვარიანტის“ შესახებ აღნიშნავდა, რომ იგი აშკარად ეწინააღმდეგება პოეტის აზრს „გრძელი სიტყვა ნაკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“-ო. „ვახტანგისეული ვარიანტი“ იუსტ. აბულაძის აზრით მიუღებელია სტილის თვალსაზრისითაც¹⁵. ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოცემას დართულ ნარკვევში იუსტ. აბულაძე აღნიშნულ ეპიზოდს შეეხო ძირითადად როგორც პოეტის თანამედროვე კარის მელექსეთა დახასიათების ნიმუშს¹⁶. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ის უარყოფითი მხარე, რომელსაც ხელნაწერთა დიდ ჯგუფში წარმოდგენილი ვარიანტი შეიცავს. ამ უარყოფითი მხარისგან თავისუფალია „ვახტანგისეული ვარიანტი“. მაგრამ ამ უკანასკნელში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარიტმო სიტყვის (ხევა) მნიშვნელობის დაზუსტებას, რაზედაც დიდადა დამოკიდებული სტროფის ბოლო ორი ტაეპის სინტაქსის გაგებაც. „ხევა“-ს უაღრესად საყურადღებო მნიშვნელობა უნდა გააჩნდეს. შესაძლებელია, აქ საქმე გვექონდეს კლასიკური პერიოდის სათანადო წრეებისათვის კარგად ცნობილ ლიტერატურულ ტერმინთან. რომელიც უნებლიედ შემოუნახავს ვეფხისტყაოსნის შაირობის ეპიზოდს. ღრმა შინაარსობრივი გააზრებით ხსნიდა ამ სიტყვას თ. ბაგრატიონი: „ხ ე ვ ა ანუ და ხ ე ვ ა — ეს ნიშნავს ვალობის კილოსა; ქმა ანუ კ ი ლ ო ოდესცა მადლის კმით სწორეს საზომისა მიმართ მისდრიკოს, რადგანაც ყოველი ლექსი ვალობაზედ უნდა იყოს გამართული, რომელ ლექსი თვისის სასწორისაგან გარე არ გავიდეს; და მდაბიოდ ასე გამო-

¹⁴ შოთა რუსთველი. ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა. აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, 1937; თარგმანი პირველი წიგნისა ამის. გვ. სუბ.

¹⁵ შესწორებანი და შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესახებ, 1917; იხ. იუსტ. აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, კრებული შედგენილი და გამოსაცემად მომზადებული ი. მეგრელიძის მიერ, 1967, გვ. 75.

¹⁶ ვეფხისტყაოსნის იუსტ. აბულაძისეული გამოცემა, 1926; შესავალი. კვ-

ითარგმნება, რომელ ქართა თავდადმართში დაუხევენ, რომელ ურემი არ გარდიჩეხოს. მულექსემაც თვისი თავი ისე გვარად უნდა იპყრას¹⁷. თ. ბაგრატიონის ამ განმარტებისაგან დავალებული უნდა იყოს დ. ჩუბინაშვილის შენიშვნაც: „ლექსთა ხევა: ლექსებისა კილო-ზედ თქმა“¹⁸. მ. ჭანაშვილი აღნიშნულ სიტყვას განმარტავდა ინგილოურის მიხედვით: ხევა-ხევეა¹⁹. ხევა-ს ამ ეპიზოდში განმარტავენ უკან დახევის მნიშვნელობითაც.

3. ინგოროყვა ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის მიმართ შენიშვნავს: „პოეტს გამოაჩენს მონუმენტალური შემოქმედება, შეერთებული პოეტური ზომიერების გრძნობასთან: — ლექსთა გრძელთა თქმა, მაგრამ ამასთან მოხერხებული უკან დახევა პოეტური ცხენისა, როცა სრულდება საუბრის საგანი და ლექსიც ამოწურვას იწყებს“²⁰. ამგვარ გაგებას შეესაბამებოდა ის პუნქტუაცია, რომლითაც გამოცემათა უმრავლესობაში იბეჭდებოდა აღნიშნული ეპიზოდი. მე-13—მე-14 სტროფები წარმოდგენილი იყო ერთმანეთთან სინტაქსური კავშირის გარეშე, მე-13 სტროფის შემდეგ დაისმოდა წერტილი (ეს არ ეხება ს. კაკაბაძისა და იუსტ. აბულაძის გამოცემებს). ასეთ შემთხვევაში რა მაქვემდებარებელი კავშირის მეშვეობით მეოთხე ტაქში გამოიკვეთება დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება: პოეტს მართებს მოხერხებული ხევა (უკან დახევა), „რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“. მაგრამ ამგვარი გააზრებით დასაშვები ხდება, რომ კარგ მელექსეს შეიძლება საუბარი გაუძნელდეს, ლექსმა ლევა დაუწყოს. ეს, რა თქმა უნდა, საერთოდ გამორიცხული როდია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პოემის ეს ეპიზოდი ეძღვნება სწორედ საწინააღმდეგო მოთხოვნას — კარგმა მელექსემ ქართული არ შეამოკლოს, სიტყვაპირობა არა ქმნასო, შეუსაბამობა ნათელი ხდება. თუ თ. ბაგრატიონისა და დ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისს გავიზიარებთ ხევა-ს მნიშვნელობის შესახებ, მაშინ სრულიად გაუმართლებელი იქნება იმ გამოცემებში წარმოდგენილი პუნქტუაცია, რომლებიც სინტაქსურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოგვიდგენს მე-13—მე-14 სტროფებს, მაგრამ ქვეწყობით აკავშირებს მე-13 სტროფის ბოლო ორ ტაქსს. ასეთ შემთხვევაში სტროფის შინაარსი გაზნდებოდა ბუნდოვანი.

17 განმარტ., გვ. 10.

18 ვეფხისტყაოსნის დ. ჩუბინაშვილისეული გამოცემა. 1860; განმარტება, რომელთაზე სიტყვათა და ფრაზათა ხმარებულია ვეფხვის-ტყაოსნის ლექსთა შინა, გვ. 208.

19 მ. ჭანაშვილი, პოეტთა აკადემია საქართველოში. შოთა რუსთაველი და ნ. ზამი განჩელი, 1932, გვ. 24.

20 ბ. ინგოროყვა, რუსთველიანი, 1926, გვ. 288.

შედარება — შეუსაბამო (მელექსე გამოიცდება გრძელთა ლექსთა „კილოზედ თქმით“, როცა საუბარი გაუპირდება და ლექსი ლევას დაუწყებს!). ეს წინააღმდეგობა იგრძნობა საკუთრივ დ. ჩუბინაშვილის გამოცემაშიც. აქვამდ შეუძლებელია გათვალისწინება, ჰქონდა თუ არა ადგილი მსგავს წინააღმდეგობას აღნიშნული ეპიზოდის ვახტანგისეულ ან თ. ბაგრატიონისეულ გაგებაში. მართალია, ვახტანგს გადმოცემული აქვს ჩვენთვის საინტერესო სტროფის შინაარსი, მაგრამ მას არ მოუცია საკუთრივ „ხევა“-ს განმარტება, ზოლო თ. ბაგრატიონმა თუმცა ეს სიტყვა განმარტა, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, როგორ ჰქონდა მას გააზრებული ამ სტროფთა სინტაქსი.

როგორც უკვე აღინიშნა, ს. კაკაბაძისა და იუსტ. აბულაძის გამოცემებში წარმოდგენილია ხელნაწერთა დიდ ჯგუფში დაცული ვარიანტი („საუბართა ტკბილთა ფრქვევა“), ამასთანავე მე-13 სტროფის ბოლო ტაეპის შემდეგ დაისმის მძიმე, მომდევნო სტროფთან დაკავშირება ხდება ქვეწყობით. შემდეგდროინდელ გამოცემებში (1934, 1937, 1951, 1957) ჩვენთვის საინტერესო სტროფები ისევ სინტაქსურად ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი სახით იყო წარმოდგენილი. 1966 წლის გამოცემებში განსხვავებული ვითარებაა: ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტში მესამე ტაეპში იკითხება „საუბართა ტკბილთა ფრქვევა“, რის შემდეგ დაისმის წერტილი, მეოთხე ტაეპი სინტაქსურად უკავშირდება მე-14 სტროფს. გ. წერეთლის, ს. ცაიშვილის, გ. კარტოზიას მიერ გამოცემულ ტექსტში კი კვლავ იკითხება ტრადიციული „თქმა და ზევა“, თუმცადა მესამე ტაეპის შემდეგ აქაც დაისმის წერტილი, რითაც გამორიცხულია მესამე ტაეპის სინტაქსური კავშირი მეოთხესთან. მე-13 სტროფის მეოთხე ტაეპის შემდეგ კი წარმოდგენილია მრავალწერტილი.

ბ. მარი თავდაპირველად ამ სტროფებს სინტაქსურად განცალკევებულად განიხილავდა²¹, მაგრამ 1931 წ. მის მიერ ბრიერთან ერთად ფრანგულად გამოცემულ ქართულ გრამატიკაში შეტანილია აღნიშნული სტროფები და ისინი ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირშია გააზრებული²².

ვ. ბერიძის აზრით მე-13 — მე-14 სტროფთა შორის მჭიდრო სინტაქსური კავშირია²³.

²¹ H. H. Marr, Вступительные и заключительные строфы Витязя в Гарсовой коже Шоты из Рустава с этюдом «Культ женщины и рыцарство в поэме». ТР, XII, 1910, стр. 4.

²² N. Marr et M. Briere, La Langue Georgienne, 1931, გვ. 510

²³ „ეფესისტაოსნის“ პროლოგის ერთი ნაწილის შედგენლობისათვის, 1947. იხ. ვუკ. ბერძენი, რუსთველოლოგიური ეტაუდები, კრებული შედგენილი ი. შვერდლიძის მიერ, 1961, გვ. 203—218.

მე-13 სტროფის ბოლო და მე-14 სტროფის პირველ ტაეპთა ერთ-მანეთთან სინტაქსურად დაკავშირება საეხვებით დასაშვებია საკუთრივ ამ ტაეპთა შინაარსის დაურღვევლად (პოეტს, რა თქმა უნდა, შეეძლო ეთქვა: რა მისჭირდეს საუბარი და ლექსმან ლევა დაუწყოს, მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობაო!). მაგრამ როგორ უნდა გაგვეგო ასეთ შემთხვევაში მე-14 სტროფის ბოლო სამი ტაეპის შინაარსი, სინტაქსური წყობა, მხატვრულ წარმოსახვათა ფუნქცია? თუ ეს ტაეპები ერთ სინტაქსურ მთლიანობად გავიაზრეთ (და ამით სინტაქსურად დაეაშორეთ პირველ ტაეპს), მაშინ მათი შინაარსი ასეთი იქნებოდა: როცა მელექსეს აღმაფრენამ უღალატოს, როცა „ველარ მიჰხედეს ქართულსა“, ლექსმა ძვირობა დაუწყოს, მაშინ არ შეამოკლოს ქართული, სატყეა-მცირობა არა ქმნას, ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანს, დიდი გმირობა გამოიჩინოს. არ შეიძლება იმ წინააღმდეგობის უარყოფა, რაც მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა შორის აჩვენებს შინაარსობრივი თვალსაზრისით. არალოგიკურია, არა ქმნას სიტყვა-მცირობა მაშინ, როცა ლექსმა უკვე ძვირობა დაუწყო. ვფიქრობთ, მე-14 სტროფის სამი უკანასკნელი ტაეპის დამოუკიდებელ სინტაქსურ მთლიანობად გააზრება არ გამოდგება, ამ სტროფის მეორე ტაეპი სინტაქსურად მხოლოდ და მხოლოდ ამავე სტროფის პირველ ტაეპს უნდა დაუკავშირდეს. მაგრამ შეუძლებელია მასვე დაუკავშირდეს მე-13 სტროფის მეოთხე ტაეპიც და ერთ სინტაქსურ მთლიანობად გავიაზროთ 13,4—14,1—14,2. ეს იქნებოდა დამოკიდებულ წინადადებათა შეუწყნარებელი ტავტოლოგია. გვრჩება ის დასკვნა, რომ მე-13 სტროფის მეოთხე ტაეპის სინტაქსური დაკავშირება მომდევნო სტროფთან არ ხერხდება, მისი ადგილი მისსავე სტროფშია საქიებელი. ამავე დროს ამ ტაეპის დამოკიდებული წინადადების ფორმა აქვს, მაშასადამე, იგი რომელიდაც მთავარს უნდა ექვემდებარებოდეს. მაგრამ ცხადი ზდება ისიც, რომ მე-13 სტროფის მესამე ტაეპს იმ სახით, როგორითაც ის ხელნაწერთა უმრავლესობაშია წარმოდგენილი („საუბართა ტკბილთა ფრქვევა“), მეოთხე ტაეპი სინტაქსურად ვერ დაუკავშირდება, რადგანაც ეს გამოიწვევდა შინაარსობრივ შეუსაბამობას. „ვახტანგისეულ ვარიანტს“ („ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“) კი შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხევა-ს უკან დახევის მნიშვნელობით გავიგებთ, მაგრამ ამგვარ გაგებას თავისი უარყოფითი მხარეები აქვს, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. ხოლო თუ „ვახტანგისეულ ვარიანტში“ სარიტმო სიტყვას მივანიჭებთ იმ ღრმა შინაარსობრივ გააზრებას, რომელსაც თ. ბაგრატიონი და დ. ჩუბინაშვილი ანიჭებდნენ, მაშინ ტაეპთა სინტაქსთან კვლავ შეუსაბამო აღმოჩნდება შინაარსი. საერთოდ, ტრადიციული ტექსტის ფარგლებში აღნიშნულ

ტაეპთა სინტაქსის მოწესრიგების ცდები დაკავშირებულია გარკვეულ მოსხვერპლის გაღებასთან შინაარსობრივი, გრამატიკული და მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით. ვარიანტულ სხვაობათაგან კი ყურადღებას იპყრობს O (K—205) ხელნაწერში შემონახული წაკითხვა მე-13 სტროფის მეოთხე ტაეპისა: „რა მისჭირდეს საუბარი, არ დაუწყოს ლექმან ლევა“. ამ ვარიანტის (და]არ) თანახმად ტაეპი წარმოდგება არა მთლიანად დამოკიდებულ, არამედ ქვეწყობილ წინადადებად. ეს კი შესაძლებლობას იძლევა სწორად გავიაზროთ ტაეპთა სინტაქსი-ცა და პოეტური შედარების არსიც. ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე მთელი ეპიზოდის შინაარსი შემდეგნაირად წარმოდგება: 13. როგორც ბედაურ ცხენს გრძელი შარა და დიდი რბევა გამოცდის, მობურთალს — მოედანი და ჩოგნის მარჯვედ, ოსტატურად ქნევა, ისე მელექსეს — გრძელთა ლექსთა მაღალი ხელოვნებით თქმა, „რა მისჭირდეს საუბარი“ (რთულ შემოქმედებით პროცესში, პოეტური წიაღსელების დროს), ლექსი არ გამოელიოს. 14. რაღაა ისეთი მელექსე და რა ფასი აქვს მის მოშაირობას, თუ ლექსი შემოაკლდება, სიტყვა ჭეირობას დაუწყებს. არა, კემმარიტ მელექსეს სიტყვა არ უნდა შემოაკლდეს, ხელ-მარჯვედ უნდა სცემდეს ჩოგანს, დიდი გმირობა გამოიჩინოს.

მცირე რუსთველოლოგიური შენიშვნა*

როგორც ცნობილია, არაერთი რუსთველოლოგიური საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. აკად. კ. კეკელიძე ამის გამო წერდა: „საქიროა მთელი თაობის ინტენსიური მუშაობა, რომ რუსთველოლოგიური პრობლემები საბოლოოდ გაირკვეს“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 100). 1967 წელს გამოცემულ ერთ საინტერესო წიგნში „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თინათინ ოჩიაურა, სავსებით მართებულად არის აღნიშნული: ვეფხისტყაოსნის „ქაჯთა საკითხი სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ყურადღებას იქცევს და მსჯელობის გაშლის დიდ ასპარეზს იძლევა“ (გვ. 97). ზემო მიზანია ამ მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევის ზოგიერთ საკითხზე გამოვთქვა რამდენიმე არა არსებითი ხასიათის სურვილი თუ განმარტება, რომელნიც აჭობებს ავტორმა გაითვალისწინოს ამ კარგი წიგნის შემდეგი გამოცემისას.

პატივცემული მკვლევარი ეხება შ. რუსთველის პოემის ქაჯთა პრობლემას და აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსანში გარკვეულ პერსონაჟთა სახელწოდება „ქაჯი“ ხალხის ეთნიკური სახელი კი არ არის“, არამედ „გარეშემონი ყველანი“ ასე ეძახიან „მათგან განსხვავებული ყოფისა და ზნის წყალობით“ (დასახ. წიგნი, გვ. 93). „ვეფხისტყაოსანში“ — განავრძობს ის, არსად არ წერია, რომ ქაჯები ამ ხალხის (ე. ი. პოემის ქაჯი პერსონაჟების. შ. ჩ.) ნამდვილი სახელწოდებაა და რომ ისინი ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს“. „გარეშეთა მიერ შერქმეული სახელი კი არ ნიშნავს ნამდვილ სახელწოდებას“ (გვ. 95). ერთი სიტყვით, მკვლევარის მიხედვით, თხზულების ამ პერსონაჟთა სახელი „ქაჯი“ „რომელიც ტომის სახელწოდება“ კი არ უნდა იყოს, არამედ გარშემო მცხოვრებ მეზობელ ხალხთაგან შერქმეული „მათგან განსხვავებული ყოფის

* რედაქცია არ იზიარებს შ. ჩიჯავაძის მიერ აქ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას

ეთნიკური ჯგუფისათვის“ (იქვე). აქედან გამომდის, რომ ნესტანის შემპყრობ მონათა ნამდვილი ტომობრივი და მათი ქვეყნის სახელწოდება ვითომც შოთა რუსთაველს არ აღუნიშნავს და ეს სახელი ჩვენთვის უცნობია.

